

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

ზურაბ თარგამაძე

ქართველთა თვითცნობიერება: ისტორიული ასპექტები  
(XVIII საუკუნე)

ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

**დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
მარიამ ჩხარტიშვილი



თბილისის  
უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

2019

## სარჩევი

შესავალი .....	3
თავი I. გამოკვლევის თეორიული საფუძველი.....	17
§ 1.1 იდენტობათა სიმრავლე .....	19
§ 1.2 ნაციონალიზმი .....	29
თავი II. კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა .....	35
§ 2.1 სტამბის დაარსება .....	46
§ 2.2 ენობრივი მარკერი .....	56
§ 2.3 საგანმანათლებლო სისტემის ფორმირება .....	62
თავი III. კოლექტიური მეხსიერების საკითხი.....	69
§ 3.1 საერთო წარმომავლობის მითი .....	69
§ 3.2 რელიგიური მარკერი .....	80
§ 3.3 სამშობლო ტერიტორია .....	87
§ 3.4 მნიშვნელოვანი <i>სხვები</i> .....	92
თავი IV. სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები .....	99
§ 4.1 ისტორიოგრაფიული და ისტორიული მიმოხილვა.....	102
§ 4.2 გლეხთა ბრძოლა და მათი ეკონომიკური მდგომარეობა.....	113
§ 4.3 საქალაქო ცხოვრება .....	121
§ 4.4 ფულად-საფინანსო სისტემა .....	125
§ 4.5 მანუფაქტურული მრეწველობა და ვაჭრობა .....	127
თავი V. ქალთა ისტორია ეკონომიკური და სამართლებრივი ურთიერთობების განვითარების ფონზე .....	138
§ 5.1 პრე-მოდერნული ვითარების მიმოხილვა.....	142
§ 5.2 ქალთა სამართლებრივი სტატუსი.....	151
§ 5.3 ქალთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა .....	160
თავი VI. პოლიტიკური თვითცნობიერება .....	166
§ 6.1 მეფის ორის სხეული.....	167
§ 6.2 რეგიონალიზმის პოლიტიკური ასპექტები.....	170
§ 6.3 სამშობლოს იდეის პოლიტიზება.....	173
§ 6.4 პოლიტიკური ვექტორი და ქართული ერთობის ბედისწერა.....	180
დასკვნა.....	186
დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა .....	190

## შესავალი

ქართული იდენტობის კვლევას გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. საბჭოთა პერიოდში, ამ ტიპის კვლევები ინსპირირებული იყო ეროვნული მოძრაობების განვითარებით. თუმცა თვისებრივად ახალი ეტაპი ამ მიმართულებით დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ იწყება, როდესაც ქართული ინტელექტუალური წრეებისათვის ხელმისაწვდომი ხდება დასავლური თეორიები. მათი ზეგავლენით განვითარდა სამეცნიერო პრაქტიკა სხვადასხვა დარგში, მათ შორის, ჰუმანიტარულ მეცნიერებებშიც.

ისტორიული პროცესის ახლებურად გააზრებამ, ნათელი გახადა, რომ ემპირიული მონაცემების მოპოვების კვალდაკვალ, მათი ფართო მნიშვნელობით წარმოდგენა აუცილებელი და რომ ფაქტებთან და ქრონოლოგიასთან ერთად ისტორიული პროცესის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი ამოცანა ინტელექტუალური მომენტების იდენტიფიცირებაა. გაირკვა, რომ პროფესიული სტანდარტი გულისხმობს ისტორიული პროცესის გააზრებას ინტერდისციპლინარულ ჭრილში. სწორედ ასეთმა ხედვამ მისცა ბიძგი, 90-იანი წლების ბოლოსა და 2000-იანების დასაწყისში, ქართულ საისტორიო პრაქტიკაში ეთნიკური და ნაციონალური იდენტობის კვლევის განვითარებას.

კოლექტიური კულტურული იდენტობა რთული და მრავალშრიანი ფენომენია. ის ყალიბდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში და მჭიდროდაა დაკავშირებული კოლექტიურ მეხსიერებასთან. ამ ფენომენთა ისტორიულობისა და, ამავე დროს, მათი სოციალური არსის გამო, ნათელია, რომ ამ კუთხით წარსულის რეპრეზენტაციისას აუცილებელია სოციალურ თეორიათა გათვალისწინებაც.<sup>1</sup> ამგვარად, ისტორიკოსებს უჩნდებათ შესაძლებლობა ისეთი დეტალების დაზუსტებისა და ანალიზის, რომლებიც რეალურად უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენენ ისტორიული პროცესის განვითარებაზე, თუმცა ტრადიციული

---

<sup>1</sup> ისტორიული პროცესის რეპრეზენტაცია შეუძლებელია, კონკრეტული სოციალური თეორიის გარეშე, მით უფრო, როდესაც საქმე ეხება კოლექტიური კულტურული იდენტობების შესწავლას (თარგამაძე 2016: 226-227; თარგამაძე 2013/2014: 65; თარგამაძე 2015/2016: 225-227).

გადასახედიდან ყურადღების მიღმა რჩებოდა.

კოლექტიური კულტურული ერთობის მეხსიერება მჭიდროდაა დაკავშირებული ისტორიულ მეხსიერებასთანაც. უკანასკნელი მსჭვალავს ადამიანთა ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროს. თანამედროვე საზოგადოებაში არსებული საერთო პერცეფციები, მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ისტორიკოსთა მიერ წარსულის შესახებ გამოთქმულ თვალსაზრისებს ეფუძნებიან. ამიტომ საჭიროა, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის, მით უფრო, საბჭოთა პერიოდის კონცეპტუალური შეფასება.

მართალია, დღეს უკვე გვაქვს ქართული კოლექტიური კულტურული იდენტობის ისტორიის შესწავლის მნიშვნელოვანი გამოცდილება (მაგ., იხ. მ. ჩხარტიშვილი, ლ. პატარიძე, ზ. კიკნაძე, გ. ჯოხაძე, ე. კვაჭანტირაძე, დ. დარჩიაშვილი, ქ. მანია, გ. ანჩაბაძე, ა. გაბისონია და სხვები),<sup>2</sup> რასაც ნაწილობრივ ეფუძნება კიდევ ჩვენი კვლევა, თუმცა ჯერ კიდევ შორს ვართ სრულყოფილი სურათის წარმოდგენისაგან. ამდენად ამ მიმართულებით კვლევის წარმოება თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა.

ზემოთ ხსენებული ხარვეზის შევსებისათვის, ყველაზე უფრო შესაფერის პერიოდად მეთვრამეტე საუკუნე მივიჩნიეთ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მიმართულებით ჩვენთვის ჯერ კიდევ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა ისეთი დეტალები, რამაც გადაგვაწყვეტინა კვლევის გაგრძელება (კერძოდ სტამბის დაარსება, სახელმწიფო სკოლების ფორმირება და ა.შ.) ამ კუთხით. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი სამეცნიერო ხელმძღვანელის, პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილის რეკომენდაციებსა და დაკვირვებებს. ერთგვარი ინსპირაციის წყარო გახდა 2011 წელს მისი და ქეთევან მანიას ავტორობით გამოქვეყნებული მონოგრაფია, *ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში: ივერია და მისი მკითხველი საქართველო*.

გარდა ამისა, ქართული კოლექტიური კულტურული იდენტობის კვლევის აქტუალობაზე შერჩეულ პერიოდში მეტყველებს ის ფაქტი, რომ აღნიშნული პერიოდი, ამ კუთხით, არასრულად და შეიძლება ითქვას, პრაქტიკულად

---

<sup>2</sup> ამ ტექსტების ღირებულებას, გარდა მეცნიერული სიახლისა, განსაზღვრავს ისიც, რომ მათში გადმოცემულია დასავლურ ინტელექტუალურ სივრცეში შექმნილ თეორიათა ქართული გააზრებანიც.

შეუსწავლელია და, რომ ის უშუალოდ უსწრებს იმ პერიოდს, როდესაც მკვლევრები ქართული ერის დაბადებას მოიაზრებენ (გ. ნოდია, ზ. შათირიშვილი, ი. ჩხაიძე, მ. ჩხარტიშვილი და სხვები).

მეთვრამეტე საუკუნე განვითარებული მოვლენების თვალსაზრისით, შესაძლოა ორ პერიოდად დაიყოს. მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლო ათწლეულებსა და მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს საფუძველი ეყრება უმნიშვნელოვანეს კულტურულ ტენდენციებს (ღვივდება ინტერესი საგანმანათლებლო საკითხებისადმი, ასევე ისტორიისა და ძველი ლიტერატურისადმი, ტრადიციებისადმი და ა.შ.). აღნიშნული პროცესი 1723 წლიდან, ცნობილი მოვლენების გამო, პრაქტიკულად მეთვრამეტე საუკუნის შუა პერიოდამდე გრძელდება საქართველოს ფარგლებს გარეთ, კერძოდ რუსეთში. მეორე პერიოდი მოიცავს 40-იანი წლებიდან მოყოლებული საუკუნის ბოლომდე მონაკვეთს, როდესაც ერეკლე მეორისა და კათოლიკოს ანტონ პირველის კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკას ახალ სიმაღლეზე აჰყავს ქართული ერთობის კონცეპტუალიზების ხარისხი. საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბება, სასტამბო საქმის კომერციალიზაცია, სამართლებრივი რეგულაციები მნიშვნელოვნად ცვლიან სოციალურ გარემოს.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევისათვის შერჩეულ ეპოქას ვიცნობდით, მუშაობის პროცესში გამოვლენილმა ახალმა გარემოებებმა სრულიად განსხვავებულ პერსპექტივაში დაგვანახა მეთვრამეტე საუკუნეში არსებული ისტორიული სურათი. სინამდვილეში იმაზე გაცილებით მრავალფეროვანი და მრავალშრიანი აღმოჩნდა მიმდინარე პროცესი, ვიდრე მოველოდით. ქართული კოლექტიური კულტურული იდენტობის ფორმისა და მისი შინაარსის გარკვევამ, მოითხოვა რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ამოცანის გადაწყვეტა. კერძოდ, გამოკვლევის თეორიული საფუძვლის განსაზღვრა, იმ პერიოდის ისტორიულ წყაროებსა და თანამედროვე ისტორიკოსთა კვლევებზე დაკვირვებით XVIII საუკუნეში არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტების კონცეპტუალური შეფასება. XVIII საუკუნეში მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების გააზრება კოლექტიური კულტურული იდენტობის განვითარების პრიზმაში. იმის გარკვევა,

თუ როგორ გაიაზრებოდა ენის, რელიგიის, მნიშვნელოვანი *სხვების*, სამშობლო ტერიტორიის, გენდერის საკითხები და რა გავლენას ახდენდნენ ისინი ქართული კოლექტიური კულტურული იდენტობის ფორმირებაზე.

დაბოლოს, იმის გარკვევა, თუ როგორი იყო ქართული კოლექტიური კულტურული იდენტობის ხასიათი/ფორმა და ქართული ერთობის ისტორიული განვითარება XVIII საუკუნეში.

ამასთან აღმოჩნდა, რომ ჩვენი მიზნის მიღწევა მოითხოვდა, ტრადიციულზე უფრო ვრცლად გადმოგვეცა ისტორიოგრაფიული თვალსაზრისები და საისტორიო კვლევის თავისებურებები გვეჩვენებინა, ზოგადად დისციპლინისა და, მათ შორის, ქართული საისტორიო სკოლის გამოცდილების გათვალისწინებითაც.<sup>3</sup> ვფიქრობთ, საკამათო არ უნდა იყოს, რომ წყაროებში დაცული ცნობები, რომლებსაც ჩვენ განვიხილავთ, სამეცნიერო მიმოქცევაში და ისედაც საზოგადოებაში, დამკვიდრებულნი არიან იმ აზრებთან ერთად, რომლებიც მათ შესახებ სხვადასხვა დროს გამოთქვეს. ამდენად, ორმაგად მნიშვნელოვანი იყო შეგვეფასებინა საბჭოთა დროს ჩამოყალიბებული მოსაზრებების მართებულობა.

რასაკვირველია, არ ვფიქრობთ, რომ საბჭოთა მეცნიერების ინტერესები ცალსახად ტენდენციური გახლდათ აღნიშნულ პერიოდთან მიმართებით. ემპირიული თვალსაზრისით, მაშინდელი მიღწევები ნამდვილად შესაშურია. ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის მთავარი პრობლემა ის გახლდათ, რომ კვლევებში, ისტორიული მატერიალიზმის გავლენით, ისტორიული პროცესის შეფასებისას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მხოლოდ ემპირიულ და რაოდენობრივ მონაცემებს. ამ დამოკიდებულების შედეგი იყო ისიც, რომ ხელი ამან შეუწყო ქართული საზოგადოების ამბივალენტური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ისტორიული წარსულისადმი, ერთგვარი გაორებული ცნობიერების ფორმირებას. მოკლედ, თუმცა კრიტიკულად ვეკიდებით საბჭოთა პერიოდის

---

<sup>3</sup> ისტორიული შემეცნება — არსებითად ესაა წარსულის რეპროდუცირება, მისი კვლავწარმოება. შესაბამისად, აღნიშნული პროცესი თავისთავად გულისხმობს და მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მკვლევრის ინტერპრეტაციაზე. მით უფრო ქართული სინამდვილის გათვალისწინებით, როდესაც საბჭოთა პერიოდში სახელოვნებო და სხვა მიმართულებებთან ერთად საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში ისტორიას, როგორც დარგს უმნიშვნელოვანესი როლი და მისია ჰქონდა განსაზღვრული პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ.

ავტორთა უმეტესობის შეფასებებს, მაღალი ემპირიული ღირებულებისა და სანდოობის გამო, კვლევისას სწორედ მათ მიერ დამუშავებული, შესწავლილი და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი წყაროებით ვსარგებლობთ.

მანამ, სანამ წყაროების შესახებ მოგახსენებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე დეტალის დაზუსტება. კერძოდ იმისა, რომ იმ ტიპის კვლევებისათვის, რომელსაც ჩვენ წარმოვადგენთ, წყაროთა ღირებულებას განსაზღვრავს არა მხოლოდ და ცალსახად მათში ასახული სინამდვილის ისტორიულობა ობიექტივისტური გაგებით, არამედ მათი გავლენა ინტელექტუალური პროცესის განვითარებაზე. კოლექტიურ კულტურულ იდენტობებზე დაკვირვებისას უმნიშვნელოვანესია იმ მონაცემების გათვალისწინება და გაანალიზებაც, რომლებიც ერთობის წევრთა სუბიექტივისტურ დამოკიდებულებებს ასახავენ. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი გახლავთ ქრონოლოგიური ჩარჩო. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიერ გამოყენებულ წყაროთა ნაწილი წარმოადგენს არა უშუალოდ მეთვრამეტე საუკუნეში შექმნილ ტექსტებს, მათი მნიშვნელობა და ღირებულება კვლევისათვის უდავოა. კოლექტიურ კულტურულ თვითცნობიერებაზე დაკვირვება გულისხმობს ისეთი ისტორიული ასპექტების რეპრეზენტაციას, რომელთა ჩამოყალიბება და განვითარება ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობს. ჩვენთვის წყაროთა მნიშვნელობასა და ღირებულებას განსაზღვრავს სხვადასხვა ეპოქაში მათი, როგორც ტექსტების/ნარატივის კვლავწარმოების ფაქტი და არა შექმნის თარიღი ან პირობები.

დისერტაციაზე მუშაობის პროცესში გავეცანიტ და დავაკვირდით მეთვრამეტე საუკუნეში შექმნილ, მრავალფეროვან მასალებს. მათ შორის, როგორც ოფიციალური, დოკუმენტური მნიშვნელობის (საკანონმდებლო ძეგლებს, სასამართლო განჩინებებს, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის საბუთებს და ა.შ.), ასევე საერო/მხატვრულ და სასულიერო ჟანრის ნაწარმოებებს.

საქართველოს სოციალური და ეკონომიკური ისტორიის ამსახველ დოკუმენტებს ჩვენ ვიმოწმებთ ს. კაკაბაძის (1940), შ. ბურჯანაძის (1958,1959), ნ. ბერძენიშვილის (1940, 1953, 1955) გამოცემებიდან, სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისას ვისარგებლეთ ი. დოლიძის (1957, 1963, 1970, 1977, 1981), ი. სურგულაძის (1957), დ. ფურცელაძის (1964) მიერ გამოცემული ქართული

სამართლის ძეგლებიდან. ქართული კოლექტიური კულტურული იდენტობაზე დაკვირვებისათვის უშუალოდ მეთვრამეტე საუკუნეში უმნიშვნელოვანესი წყარო გახლავთ ვახუშტი ბაგრატიონის *აღწერა სამეფოსა საქართველოსა* (1973). ასევე, სულხან-საბა ორბელიანის (*მოგზაურობა ევროპაში* 2013, *ლექსიკონი ქართული* 1991), ანტონ ბაგრატიონის (*წყობილსიტყვაობა* 1980, *მარტირიკა* 1980, *ღრამმატიკა* 1885, 1997), პაპუნა ორბელიანის (*ამბავი ქართლისანი* 1991), ომან ხერხეულიძის (*მეფობა ირაკლი მეორისა* 1989) ნაწარმოებები. საანალიზო პერიოდის შესახებ ცნობებს ვიღებთ მეცხრამეტე საუკუნის ავტორებისაგანაც: პ. იოსელიანი (*ცხოვრება გიორგი მეცამეტისა* 1936), მ. ბარათაშვილის (*იამბიკო; წამებული* 1989), ი. ბატონიშვილის (*კალმასობა* 1936; *სჯულდება* 1957), თ. ბაგრატიონისა (*ახალი ისტორია* 1983; *დავით ბაგრატიონის ისტორია* 1972; *სამსახიობა რაინდისა* 1987) და დავით ბაგრატიონის შემოქმედებიდან (*სამართალი ბატონიშვილის დავითისა* 1964). სხვადასხვა საკითხებთან მიმართებით უფრო ადრინდელი პერიოდების შესახებ ვაკვირდებით ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებს, *ქართლის ცხოვრების* ტექსტებს (*ქართლის ცხოვრების* კრებულში შემავალ ტექსტებს ვიმოწმებთ სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქტორობით გამოცემული ცნობილი სამტომეულიდან 1955, 1959, 1973) და ა.შ. ქართული ერთობის თვითცნობიერებაზე დაკვირვებისას, ისეთი ძირითადი მარკერების იდენტიფიცირებისათვის, როგორებიცაა ენა, რელიგია, ტერიტორია, უმნიშვნელოვანესი წყარო გახლავთ უცხოელ მოგზაურთა: ა. ლამბერტის (2011), ჟ. შარდენის (1975), დე გრაი დე ფუას (1985), კ. კოხის (1981), ო. სპენსერის (1981), ცნობები. კვლევის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ჩვენთვის წყაროს მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ისტორიკოსთა კვლევებსაც. თითოეული ტექსტი, რომელიც ნაშრომშია გამოყენებული, როგორც წყარო, სამეცნიერო საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი, გამოყენებულ წყაროთა სიმრავლისა და, რაც მთავარია, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ჩვენ მიერ შესწავლილი თითოეული ტექსტის ავთენტურობა და შინაარსი, ავტორთა ვინაობა და შექმნის პერიოდი, ასევე მათი ღირებულება არ არის სადავო, გამოყენებული მასალების უფრო დეტალური აღწერის საჭიროება, ვფიქრობთ, არ დგას. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ, თუმცა ისინი კარგადაა ცნობილი სამეცნიერო საზოგადოებისათვის,



არჩეული თეორიული მიდგომა საშუალებას გვაძლევს, მათში ამოვიკითხოთ განსხვავებული შინაარსები.

იმ ტიპის კვლევისათვის, რომლის შესრულებაც ჩვენ გადავწყვიტეთ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს თეორიული საფუძვლის განსაზღვრას. ვინაიდან, საბჭოთა პერიოდში არსებული მიდგომით პრაქტიკულად შეუძლებელი იყო აზრობრივ მომენტებზე დაკვირვება,<sup>4</sup> პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო, შეგვეჩინა ისეთი კონცეფცია, რომელიც ამის საშუალებას მოგვცემდა. არსებული სოციო-ისტორიული თეორიებიდან კოლექტიური კულტურული იდენტობების კვლევის თვალსაზრისით, ყველაზე უფრო შესაფერისად *ეთნოსიმბოლისტური* პარადიგმა მივიჩნიეთ, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, მხედველობაში მივიღოთ გარემოებათა გაცილებით ფართო წრე, ვიდრე ეს ხერხდებოდა სხვა სოციალური თეორიების ჩარჩოში, მაგალითად, იმავე ისტორიული მატერიალიზმის საფუძველზე.

გარდა *ეთნოსიმბოლისტური* პარადიგმისა, ჩვენ კოლექტიური კულტურული იდენტობების რაობის შესახებ ვმსჯელობთ ზოგადად სოციალური მეცნიერებების დებულებათა გათვალისწინებითაც. კვლევისას ვეყრდნობით ბ. ანდერსონის (B. Anderson), მ. ჰროჩისა (M. Hroch) და სხვათა მოსაზრებებს. კვლევისას ასევე გამოვიყენეთ კრიტიკული ანალიზისა და შედარებით მეთოდები. გავითვალისწინეთ ისტორიზმისა და მიზეზ-შედეგობრივობის პრინციპები. ყოველივე ამან კი მოგვცა შესაძლებლობა არსებულ ისტორიულ შეფასებათა ახლებურად გააზრებისა.

მანამ, სანამ დისერტაციის მომდევნო ნაწილების შესახებ მოგახსენებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია საისტორიო კვლევებში თეორიების გამოყენებასთან დაკავშირებით ისტორიკოსთა ნაწილის სკეპტიკური დამოკიდებულების შესახებაც აღვნიშნოთ.

რაც შეეხება *ეთნოსიმბოლისტურ* კონცეფციას, როგორც წესი, მის მთავარ ნაკლად ის მიიჩნევა, რომ ის ზედმეტ ყურადღებას უთმობს სუბიექტივისტურ

---

<sup>4</sup> იმ დროს, შექმნილი პროფესიული ლიტერატურის უდიდესი ნაწილი, მათ შორის ისიც, რომელიც ეძღვნებოდა ქრონოლოგიური და ფაქტოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტას, განსაკუთრებით კი შრომები, რომლებიც ისტორიის შესახებ თეორიული მსჯელობის საბჭოთა პერიოდის ნიმუშებად შეიძლება განვიხილოთ, ხასიათდება უპირობო ერთგულებით ისტორიული მატერიალიზმის დებულებებისადმი, რომლის თანახმადაც ისტორიული პროცესის განვითარება დაიმზირება მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპების გათვალისწინებით (სტალინი 1951: 7-20).

გარემოებებს (თუმცა იგივე თეორია არც ობიექტივისტურ ფაქტორებს ტოვებს დაკვირვების მიღმა). ამასთან, *ეთნოსიმბოლიზმის* მიხედვით, ისტორიისადმი დამოკიდებულება უფრო ანალიტიკური და, შესაბამისად, იმაზე უფრო ფილოსოფიურად გახლავთ, ვიდრე ჩვენთან იყო მიღებული. კვლევაში ფაქტის ატრიბუციით ისეთი მოვლენების აღჭურვამ და შემოტანამ, რომლებიც მანამდე ისტორიული პროცესის განვითარებაში ცალსახად უმნიშვნელო მომენტებად ითვლებოდა, მკვლევართა ნაწილში დაბნეულობა გამოიწვია.

ასევე ითვლება, რომ საკითხები, რომელსაც აღნიშნული კონცეფცია იკვლევს, ისედაც ცნობილია ყველასათვის. დავესესხებით თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სოციალურ ფსიქოლოგს ელიოტ არონსონს და ამ დამოკიდებულების შესახებ ვიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ დისერტაციაში „...მოტანილ[ი]... შედეგების გაცნობისას რაღაც მომენტში გაიფიქრებთ: ”ეს ხომ ისედაც ცალსახაა?! რა უნდოდა ახლა ამის “აღმოჩენას” დროის... ხარჯვა[ა]?“ (არონსონი 2014: 20). ისტორიის შემთხვევაში ეს განპირობებულია კოლექტივისა და ინდივიდების ერთგვარი უხილავი, სენსიტიური კავშირით საკუთარ წარსულთან, რომელიც საზოგადოების დიდ ნაწილში, მათ შორის, სამეცნიეროშიც, ამ ტიპის ნებისმიერი რეტროსპექტული ანალიზისადმი, აყალიბებს ერთგვარ წინასწარმეტყველურ დამოკიდებულებას. ხშირად, სწორედ ამ დამოკიდებულების გამო, ისტორიული დაკვირვებისადმი საზოგადოების ინტერესი და მისადმი ნდობა საკმაოდ დაბალია.

მთავარი კითხვა, რომელიც მეტ-ნაკლებად ისმის ამ თეორიის „ღირებულებასთან“ დაკავშირებით, შემდეგნაირად ჟღერს: არის თუ არა ჩვენ მიერ არჩეული გზით მოპოვებული ცოდნა სანდო? რა თქმა უნდა, არის! ვფიქრობთ, რომ მსჯელობის ჰიპოთეტური და არა აქსიომატური ხასიათი (დუნდუა 2009: 36-37) ჭეშმარიტების განაჩენი არ არის. ფაქტებისა და მათი სუბიექტივისტური მნიშვნელობის შესახებ კი ვიტყვით, რომ არც ფიზიკური თუ მათემატიკური ჭეშმარიტებების პრაქტიკულად და ემპირიულად შემოწმების შესაძლებლობა არ აქვს ადამიანთა დიდ უმრავლესობას, თუმცა გონებაში გარკვეული დაშვებების შედეგად ღებულობენ მათ.

მეორე, დამაბრკოლებელი გარემოება გახლავთ ის, რომ, როგორც მივუთითეთ, კოლექტიური კულტურული იდენტობების კვლევა, მათ შორის ეთნოსიმბოლისტური პარადიგმის მიხედვითაც, მოითხოვს ისტორიულ პროცესზე დაკვირვებასა და სხვადასხვა ასპექტის გააზრებას ხანგრძლივ ქრონოლოგიურ ჩარჩოში. ტრადიციული გადასახედიდან კი, რომელიც უფრო კონკრეტული საკითხების კვლევაზე იყო კონცენტრირებული, თემატური მრავალფეროვნებისა და განსაკუთრებით კი იმის გამო, რომ ასე კვლევის ფოკუსში მთლიანი ეპოქა ექცევა, მცირდება მეცნიერული ცოდნის მოპოვების შანსები. იმავე დამოკიდებულების მიხედვით, ვინაიდან მეთვრამეტე საუკუნე საკმაოდ ვრცელი პერიოდია და, რაც მთავარია, მის შესახებ არსებული მასალების სრული ან „სასურველი“ მოცულობის დამუშავება, ერთი ნაშრომის ფარგლებში, მით უფრო ერთი ავტორის მიერ, ობიექტურად წარმოდგენელი გახლავთ, სამეცნიერო თვალსაზრისით ღირებული ცოდნის მოპოვებაც თითქოს შეუძლებელი უნდა იყოს.

რასაკვირველია, ჩვენ ასე არ ვფიქრობთ. ისტორიული სინამდვილის ადეკვატურად გაგებას ხელს ხშირად სწორედაც, რომ კონკრეტულ საკითხებზე ზედმეტი კონცენტრირება უშლის. ისტორიული მოვლენებისაგან დისტანცირება და წარსულის პანორამული სურათის დანახვა იძლევა შესაძლებლობას მოვლენათა ჯაჭვის აღდგენისა და ცალკეული მოვლენების რეალური მნიშვნელობის გაგებისათვის. ისტორიული პროცესის წარმოდგენა კოლექტიური კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებისა და განვითარების გააზრების პერსპექტივიდან კი, რომელიც, თავის მხრივ, არის მრავალგანზომილებიანი და, რაც მთავარია, დროში განგრძობადი ფენომენი, განზოგადების გარეშე შეუძლებელია.

თეორიის გამოყენებასთან დაკავშირებული „პრობლემური“ საკითხები რომ ამოვწუროთ, პირველ თავში, *ეთნოსიმბოლისტური* თეორიის ძირითადი პოსტულატების გარდა, რომელთა გარშემოც არის კონცენტრირებული დისერტაციის ძირითადი ტექსტი, კოლექტიური კულტურული იდენტობების რაობის შესახებ მსჯელობა შემდგომისდაგვარად წარმოდგენილია ზოგადად სოციალური მეცნიერების პერსპექტივიდან.

დისერტაციის სტრუქტურა ჩამოყალიბებულია ზემოთ ხსენებული

გარემოებების გათვალისწინებით. ის შედგება შესავლის, ექვსი თავის, ოცდაერთი ქვეთავისა და დასკვნისაგან. ერთვის გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის ნუსხა. ძირითადი თავები დავალაგეთ იმ თემებისა და საკითხების მიხედვით, რომლებიც ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად შესწავლილადაა მიჩნეული. ბუნებრივია, შეგვეძლო სხვანაირადაც მოვქცეულიყავით, თუმცა, როდესაც ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ, კონკრეტული მიზანი გვამოძრავებდა. ჩავთვალეთ, რომ ტრადიციული დასათაურების ქვეშ ამოკითხული განსხვავებული მოსაზრებების შემდეგ უფრო თვალსაჩინო გახდებოდა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების თავისებური ხაზი და, მათ შორის, მისი გავლენა კოლექტიური ცნობიერების ჩამოყალიბებაზე; იმის ჩვენება, რომ თანამედროვე ქართველის ცნობიერებაში დამკვიდრებული კონცეპტები თავისუფალი ინტერპრეტაციის შესაძლებლობის შემთხვევაში განსხვავებული შინაარსისანი იქნებოდნენ. წინამდებარე დისერტაციის ერთ-ერთ უმთავრეს ღირებულებად სწორედ ის ფაქტი მიგვაჩნია, რომ ეპოქის გააზრებისა და ქართული იდენტობის განვითარებაზე დაკვირვებისას ის აჩვენებს საბჭოთა პერიოდში არსებული საისტორიო პრაქტიკისაგან კონცეპტუალურად განსხვავებული დამოკიდებულების უპირტესობას.

ერთადერთი, რაც „ტრადიციებიდან“ არ გავითვალისწინეთ, არის თავების რიგითობა. როგორც წესი, ქართველი მკვლევრები ჯერ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს განიხილავდნენ და მხოლოდ ამის შემდგომ აღნიშნავდნენ კულტურული ფაქტორების შესახებ. ჩვენს შემთხვევაში კი ისტორიული პროცესის გაშუქება კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობის ასპექტების ჩვენებით დავიწყეთ.

დისერტაციის მეორე და მესამე თავში თავში გადავწყვიტეთ, გაგვეშუქებინა ქართული ერთობის ცხოვრების კულტურული ასპექტები. მთელი რიგი პრობლემებისა, რომლებსაც ვეხებით, ემპირიული თვალსაზრისით, ჩვენამდეც იყო ქართველ მეცნიერთა კვლევის ობიექტი, რამაც მნიშვნელოვნად შეგვიმსუბუქა საქმე; თუმცა კულტურული პროცესის ხასიათის, ისევე, როგორც ქართული ერთობის ცხოვრების სხვა მხარეების, ფრაგმენტირებულად წარმოდგენა, მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობის მნიშვნელობის გააზრებას ზღუდავდა.

ისტორია, ენა, წეს-ჩვეულებები, სარწმუნოება, ლიტერატურა ქმნიან ერთიან კულტურულ სისტემას, რომლისადმი მიმღეობა განსაზღვრავს სუბიექტის კუთვნილებას ამა თუ იმ ერთობისადმი. ღირებულებათა სისტემის გაზიარებისათვის უმნიშვნელოვანესია სოციალიზაციისათვის აუცილებელი მხარდაჭერის: სასკოლო-საგანმანათლებლო სისტემისა და წიგნის ბეჭდვის საქმის ორგანიზება. ერეკლე მეორე და ანტონ პირველი, ხსნიან სასწავლო დაწესებულებებს, აყალიბებენ საერთო საგანმანათლებლო პროგრამას. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში შეინიშნება საინტერესო ტენდენცია კულტურულ პროცესში ქალთა მონაწილეობის ზრდის თვალსაზრისითაც. როგორც ლიტერატურაშია განმარტებული, ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობები ნაციონალიზმის იდეების ფორმირებასა და ზოგადად ეროვნული მოძრაობების განვითარებას უწყობს ხელს.

აღნიშნული ეპოქის გააზრებისას, ნაციონალისტური სენტიმენტების მითოპოეტურ პლანში წარმოდგენა და მისი რეალური სოციალური და საზოგადოებრივი მნიშვნელობისაგან დაშორება, შეუძლებელს ხდის და ხდიდა ქართული იდენტობის ჩამოყალიბებაში ისეთ მნიშვნელოვან მომენტებზე დაკვირვებას, როგორიცაა სამშობლო ტერიტორიის, გენდერისა და მნიშვნელოვან *სხვებთან* დაკავშირებით არსებული გამოცდილება. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული საკითხები, მეთვრამეტე საუკუნესთან მიმართებით პრაქტიკულად პირველად დაისვა.

კულტურული ასპექტების გაშუქების შემდეგ პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო, დაკვირვებოდით მეთვრამეტე საუკუნეში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს და შეძლებისდაგვარად გაგვერკვია, თუ რა გავლენას ახდენდა ასზე კულტურული მოძრაობის დღის წესრიგი, ან პირიქით. დავაზუსტებთ, რომ ჩვენი მიზანი არ იყო, კონკრეტული საკითხების კვლევა, მით უმეტეს, რომელიმე პრობლემის გადაჭრა ამ კუთხით.

როდესაც ეკონომიკური ცხოვრების განვითარებაზე ვმსჯელობთ, ამოსავალ პრინციპად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში, ეკონომიკური ცხოვრების დღის წესრიგი მნიშვნელოვნად ზემოქმედებს კულტურული პოსტულატების ფორმირებაზე და, უფრო მეტიც, ხდება ამ ტიპის მოძრაობებისათვის ბიძგის მიმცემი, მას ცალკე აღებულს არ შეუძლია უზრუნველყოს ერთობის წევრებს

შორის სიახლოვის იმგვარი განცდა, რომელიც ყველაზე უფრო დიდი საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე ინარჩუნებს მის ჰომოგენურობას. ვერც ერთი ერის შემთხვევაში ნაციონალური მასშტაბის საფრთხის გაელვების მომენტში მისი გამაერთიანებელი ვერ ხდება ეკონომიკური კეთილდღეობა. წინაპართა მემკვიდრეობისა და მომავალი თაობების (საერთო ბედისწერის განცდა) დაცვის, ზოგჯერ უკიდურესად ბანალური სიმბოლიზმითაც გამოხატული სურვილი უფრო აერთიანებს ადამიანებს, ვიდრე ეკონომიკური კეთილდღეობის დაცვისათვის ბრძოლა.

სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებზე კულტურული მოძრაობის გავლენის მაგალითის სახით, მეხუთე თავში, წარმოდგენილია ქალთა ეკონომიკური და სამართლებრივი აქტივობების შემთხვევები. კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობის ფონზე და მასში ქალთა ჩართულობის გათვალისწინებით, სრულიად ბუნებრივად მოჩანს სამართლებრივ და ეკონომიკურ სარბიელზე მათი განსაკუთრებული აქტივობა.

მეექვსე თავში ვეხებით პოლიტიკური თვითცნობიერების საკითხებს. მეთვრამეტე საუკუნის პოლიტიკის ისტორია და შესაბამისი საისტორიო მასალებიც ქართველი მკვლევრების მიერ, წინა თავში განხილული საკითხების მსგავსად, დაწვრილებითაა შესწავლილი, თუმცა მსჯელობებში იგნორირებულია პოლიტიკური პროცესების განვითარებაზე სუბიექტივისტური ფაქტორების გავლენა. ისტორიული წარსულის შესწავლისადმი არაანალიტიკური დამოკიდებულების გამო არასათანადოდაა შეფასებული ისეთი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა, როგორცაა: მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლო ათწლეულებსა და მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში განვითარებული ეთნო-კულტურული მოძრაობა.

სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების მსგავსად, ჩვენთვის ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანი იყო, პოლიტიკური თვითცნობიერება გაგვეაზრებინა ქართული იდენტობის განვითარების კონტექსტში. პოლიტიკური თვითცნობიერების ფორმირება გააზრებულია მეფის პიროვნების პროვიდენციალური პერცეფციის პრიზმაში, ასევე რეგიონალიზმის განვითარების თავლსაზრისიდან. დავაკვირდით ეთნო-კულტურულ მოძრაობაში მეფის კონცეპტისა და სამშობლოს იდეის

პოლიტიკების საკითხს, ასევე ეთნო-კულტურული მოძრაობის შედეგად შექმნილ გარემოში პოლიტიკური ორიენტირებისა და საერთო ბედისწერის განცდის საკითხებს. ქართული ერთობის კონცეპტუალიზების პროცესში პოლიტიკური საკითხების ამ რაკურსით წარმოდგენამ რამდენადმე განსხვავებული სურათი მოგვცა მეთვრამეტე საუკუნეში განვითარებული პოლიტიკური პროცესის შესახებ.

საბოლოოდ გამოიკვეთა, რომ მეთვრამეტე საუკუნეში ქართული კოლექტიური კულტურული იდენტობის ფორმა შეესაბამებოდა დემოტური *ეთნის* ისტორიულ ტიპს. მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლო ათწლეულებში განვითარებული ეთნო-კულტურული მოძრაობა მეთვრამეტე საუკუნის შუა წლებიდან ატარებდა ნაციონალისტურ ხასიათს, მოგვიანებით სახელწიფო სკოლების ფორმირებისა და ბეჭდური კაპიტალიზმის წარმოშობის შემდეგ, ის იძენს ეთნო-კულტურული ნაციონალიზმისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში არსებული კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით (ვგულისხმობთ, ხელისუფლების ორიენტირებულობას დაბალ ფენებზე, შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების შემოღებას, თავისუფალ გლეხთა რიცხვის გამრავლებას, საქალაქო ცხოვრებისა და ფულად-საფინანსო სისტემის განვითარებას, ვაჭრობისა და მანუფაქტურის წარმატებას, ასევე შიდა კლასობრივი დიფერენციაციის გაღრმავებას და ზოგადად მოდერნიზაციას), განსხვავებით ქართულ სამეცნიერო საზოგადებაში მიღებული მოსაზრებისაგან (იხ. ნოდია 2009: 119; ჩხაიძე 2009: 62; შათირიშვილი 2010: 9; ჩხარტიშვილი, მანია 2011: 94-95, 97) ვთვლით, რომ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში კერძოდ 70-80-იანი წლებიდან ვითარდება ეთნო-კულტურული ნაციონალიზმის პირველადი სახე.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი აპრობირებულია სამეცნიერო საზოგადოებაში, როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ. კვლევის პერიოდში მოხსენებები წავიკითხეთ არაერთ საერთაშორისო თუ ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაზე, გამოვაქვეყნეთ რამდენიმე სტატია და მონოგრაფია. მიგვაჩნია, რომ ნაშრომი დახმარებას გაუწევს საქართველოს ისტორიის მკვლევრებს, სტუდენტებსა და ზოგადად იდენტობრივი კვლევებით დაინტერესებულ მკითხველს. ვფიქრობთ, რომ მას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს

საქართველოს ისტორიის აქტუალური საკითხების გადაზრებაში. ნაშრომი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისტორიისა და მისი მომიჯნავე დისციპლინების: სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების, კულტურის კვლევების მიმართულებით სასწავლო პროგრამებში დამხმარე სახელმძღვანელოდ.

დაბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე დისერტაციით, პრობლემას არ მივიჩნევთ ამოწურულად, ვთვლით, რომ ჩვენი გამოკვლევით ხელი შევუწყვეთ მეთვრამეტე საუკუნისა და ქართული იდენტობის შესახებ ცოდნის გამრავალფეროვნებას. შევძელით უფრო ღრმად ჩაგვხედა იმ პერიოდში მიმდინარე პროცესების შინაარსში, გვეჩვენებინა მისი შინაგანი მხარე და სიძლიერე, რომ ის წარმოადგენდა გააზრებულ მოქმედებასა და ისტორიული განვითარების კანონზომიერ შედეგს.



## თავი I. გამოკვლევის თეორიული საფუძველი

ისტორიაში თეორიის გამოყენების აუცილებლობას განსაზღვრავს არა მკვლევრის სუბიექტური არჩევანი, არამედ მისი საგანი. გვინდა თუ არა, წყაროთა წაკითხვა დაკავშირებულია მათი სიმბოლური შინაარსების გაგებასთან. იმ შემთხვევაშიც კი, თუ უარყოფთ საგანთა იდეაციურ სემანტიკას და არტეფაქტს განვიხილავთ მხოლოდ ფიზიკური, თუნდაც ავთენტური, ობიექტის სახით, ვერ გვექნება წვდომა წარსულის უშუალო მონაცემებთან. ჩვენ შორის მაინც იქნება სინამდვილის ინტერპრეტაცია და არა თავისთავად ფაქტი. ამ აზრით პირი, რომელიც ისტორიულ წარსულს სწავლობს *მე-ს/ჩვენ-ის* შეცნობისათვის აწმყოში, ემსგავსება არა მკვლევარ-მეცნიერს პოზიტივისტური გაგებით, არამედ მწერალს, რომელიც შემეცნებისას მიმართავს აბსტრაქტიზმს და ახდენს ინტერპრეტირებული სინამდვილის რეინტერპრეტაციას. შეუძლებელია ასეთი ცოდნის ობიექტურობის მიღებული გაგებიდან წარმოდგენა. ამიტომ ისტორიკოსი ვალდებულია, საკუთარი მსჯელობა დაუქვემდებაროს არა მხოლოდ ფიზიკურ კანონზომიერებებთან მიახლოებულ სტანდარტებს, არამედ ინტუიტიურ განზოგადებასაც.

ქრონოლოგიურ და ფაქტოგრაფიულ მსაზღვრელთა დადგენით, ზემოთ ხსენებული პრობლემა საისტორიო კვლევის ობიექტურობასთან დაკავშირებით, მეტ-ნაკლებად მშვიდობიანად კი გვარდება, თუმცა, აშკარაა, რომ ასე ისტორია შორდება თავის მიზნებს. სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, რომ არც თეორიული დისკურსის განსაზღვრა ხსნის ისტორიული რეპრეზენტაციის წინაშე არსებულ პრობლემებს საბოლოოდ.

შეუძლებელია, რომელიმე თეორია სრულყოფილად მოიცავდეს საკითხს. ასეც რომ იყოს, არ არსებობს გზა, ამ, ან სხვა ხერხით მოპოვებული ცოდნის ჭეშმარიტებაში ობიექტუად დასარწმუნებლად. ამდენად, ვერცერთ თეორიულ მიდგომას, ვერც მისი მეშვეობით მოპოვებული ცოდნის მასშტაბის და ვერც მისი ემპირიულად დადასტურების მაგალითების სიმრავლის გამო ვერ მივიჩნევთ ცალსახად მართებულად (ემბერი, ემბერი და სხვები 2009: 227).

წარმოდგენილი მოსაზრება სკეპტიკურად განწყობილთათვის, ვინც ფიქრობს, რომ ერთადერთი პრობლემა ექსპერიმენტებისა და სიახლეებისაკენ სწრაფვაა, და

ვინც ჩვენი მსჯელობიდან გამომდინარე, ისტორიული შემეცნების არაპირდაპირობის შესახებ თეორიული ჩარჩოს არჩევის საკითხის დასმას, ახალ, ხელოვნურად შექმნილ გამაბუნდოვანებელ გარემოებად ჩათვლიდა, შესავალშიც და აქაც განვითარებული მსჯელობა დამატებითი არგუმენტი იქნება მტკიცებისათვის, რომ ვერანაირი თეორია, განსაკუთრებით კი, „საზღვარგარეთული“, ვერ გამოდგება ისტორიის და მით უფრო ეროვნული ისტორიის გასაშუქებლად. არ ვიცით რამდენად შევძლებთ ამ გაუგებრობის თავიდან აცილებას, თუმცა მაინც განვმარტავთ, რომ როდესაც თეორიული ჩარჩოს შემეცნებითი შესაძლებლობების შესახებ ვწერთ, ვგულისხმობთ ეპისტემოლოგიურ პრობლემებს და არ ვცდილობთ ვინმეს დაეჭვებას ზოგადად შემეცნების შესაძლებლობაში.

მეორე პრობლემა, რომელიც თავს იჩენს შედარებით ლიბერალური დამოკიდებულების გამო, პლურალიზმია. ისტორიული პროცესის, კოლექტიური კულტურული ინდენტობების პერსპექტივიდან წარმოდგენით გვინდა თუ არა, წარსულის მრავალფეროვანი ინტერპრეტაციის ინიცირებას ვახდენთ და *ტოტალურ ისტორიასთან* ერთად კარს ვუხსნით მის უკიდურესად პერსონიფიცირებასა და ინდივიდუალურ დონეზე გააზრების პრაქტიკასაც; თუმცა ეს თეორიის გამოყენების გარეშეც ასე მოხდებოდა, ამ ყველაფრის გათვალისწინებით მაინც კიდევ უფრო „სამართლიანად“ ჟღერს შეკითხვა იმის თაობაზე, რამდენად გვჭირდება ცოდნა, რომლის სისწორეშიც ობიექტურად დარწმუნებულები ვერ ვიქნებით.

სიტუაციიდან გამოსავლად ბუნებრივად მოჩანს მსჯელობაში თეორიის, ამხსნელობითი შესაძლებლობების მხედველობაში მიღების არაპრაქტიკულობის აღიარება, რაოდენობრივი კვლევებისა და *ზემოდან ქვემოთ* ხედვის ტრადიციის გაძლიერება. სინამდვილეში კი, თეორიული დისკურსის უარყოფა იმ მიზეზის გამო, რომელიც ჩვენ ზემოთ დავახასიათეთ, ჰგავს წერისას ხელის გამოყენებაზე უარის თქმას, მხოლოდ იმიტომ, რომ ნაწერსა და ჩვენ შორის ის გარკვეულ დამატებით რგოლს ქმნის. თეორიულ ჩარჩოსაც სწორედ ისეთი ბუნებრივი მნიშვნელობა აქვს საისტორიო შემეცნებისათვის, როგორც ხელს წერისას. ამდენად, არა თუ გვაშორებს ის წარსულის აღწერის შესაძლებლობას, მხოლოდ ამგვარადაა შესაძლებელი ისტორიის შემეცნება.

პრობლემები არ უნდა ვეძებოთ აზროვნების წესში. გარემოებები, რომლებიც საგნების შესახებ ჩვენს წარმოდგენებს შორის ფორმალურ სხვაობებს განაპირობებს, არ უნდა გვიშლიდნენ ხელს მათ შორის მსგავსებების დანახვაში. მით უფრო, საისტორიო შემეცნების სფეროში, სადაც, გვინდა თუ არა, ცოდნის პოზიტივისტური სტანდარტები არ მუშაობს. კვლევაში თეორიული საფუძვლების არსებობა იმ მიზნის მიღწევას ემსახურება, რომ აღვწეროთ საგნის არსი. ასეთ დროს იმისათვის, რომ ცოდნას ისტორიოგრაფიული კვალიფიკაცია მივანიჭოთ აუცილებელია კონკრეტულსა და ზოგადს შორის წონასწორობის შენარჩუნება იმგვარად, რომ არ მივეცეთ ზედმეტ განზოგადებასა და ამასთან ზედმეტი კონკრეტულობის გამო არც მისი მთლიანობაში აღქმის შესაძლებლობას დავშორდეთ. მხოლოდ ასეა შესაძლებელი ისტორიული კანონზომიერებების გამოვლენა/დადგენა.

სწორედ ამ მოცემულობებისა და წინაპირობების გამო გადავწყვიტეთ წარსულზე დაკვირვებისას მიგვემართა თეორიისათვის. ვფიქრობთ, რომ არსებული სოციო-ისტორიული კონცეფციებიდან *ეთნოსიმბოლიზმი* ყველაზე უფრო სრულყოფილად გადმოცემს საკითხის არსს.

### §1.1 იდენტობათა სიმრავლე

და იყო ყოველი ქუეყანა - ბაგე ერთ და ჳმა ერთ ყოველთა. და იყო, ძრვასა მათსა აღმოსავლით გამო პოვეს ველი ქუეყანასა სენარისასა და დაემკვდრნენ მუნ. და ჳრქუა კაცმან მოყუასსა: მოვედით, გამოვზილნეთ ალიზნი და გამოვაცხუნეთ იგინი ცეცხლითა. და იყო მათდა ალიზნი ქვად და ასფალტოსი იყო მათდა თიჯად. და თქუეს: მოვედით, ვიშენოთ თავთა თჯსთათჯს ქალაქი და გოდოლი, რომლისა თავი იყოს ვიდრე ცადმდე. და ვყოთ თავთა თჯსთად სახელი პირველ განთესვისა ჩუენისა პირსა ზედა ყოვლისა ქუეყანისასა. და გარდამოვიდა უფალი ხილვად ქალაქისა და გოდლისა, რომელი აღაშენეს ძეთა კაცთასა. და თქუა უფალმან ღმერთმან: აჳა ნათესავი ერთ და ბაგენი - ერთ ყოველთა, და ამის იწყეს ქმნად და აწ არა დააკლდეს მათგან ყოველნი, რაოდენ-თა-ცა ინებონ ქმნად. მოვედით, გარდავიდეთ და შეურინეთ მათ ენანი მუნ, რათა არა ესმოდის თჯთოეულსა ჳმად მოყუსისა. და განთესნა იგინი უფალმან მუნით პირსა ზედა ყოვლისა ქუეყანისასა. და დასცხრეს მაშენებელნი ქალაქისა და გოდლისანი. (ძველი აღთქმა თავი 11)

ბიბლიური პასაჟებიდან ბაბილონის გოდოლის შენება პირველად ცოდვად დაცემის შემდეგ ყველაზე უფრო მკაფიო სიუჟეტია, სადაც არასანქცირებულადაა გამოცხადებული ცოდნა, უფრო კონკრეტულად კი ცოდნის ის ფორმა, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის რაციონალური ინტერესების დაკმაყოფილების

სურვილთან.<sup>5</sup> მორალური კომპრომისი ამ სიუჟეტის დიდაქტიკურ ხასიათში ვლინდება, როდესაც სასჯელს, როგორც აკრძალულის მიმართ ადამიანთა დაუპლეველი ლტოლვის შედეგს, „სიკეთეს“ მოჰყვება თან; დაცემის შედეგად იქმნება მრავალფეროვნება, რომელმაც სათავე დაუდო იდენტობათა სიმრავლეს და მსოფლიო წესრიგს.<sup>6</sup>

ეპიგრაფში განვითარებული სიუჟეტის განუსაზღვრელი ინტელექტუალური შესაძლებლობა იდენტობათა ღვთაებრივ წარმომავლობაზე მითითებით, მათი ბუნების სუბსტანციური წინააღმდეგობრიობის წარმოჩენაში ვლინდება. გოდოლის შენების იდეის პერცეფცია, მისი უნივერსალურობა და მუდმივობა აუცილებელ წინაპირობად გვევლინება თვითშემეცნების გზაზე. მისგან მიღებული ინტელექტუალური გამოცდილება, ტრავმულიცაა და საკრალურიც, უფრო სწორად ტრავმულობაა საკრალიზებული. ეს ფონი, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ბევრად უფრო თვალსაჩინო ხდება ნაციონალიზმისა და ნაციების დაბადების მომენტში; ახალი ტექნიციური მსოფლიო წესრიგის ფორმირების გარიჟრაჟზე, როდესაც ერთობა კოლექტიურ *მე-სა* და მის მისიას წარმოიდგენს რელიგიურობისათვის დამახასიათებელი სულისკვეთებით. ასეთ დროს საკუთარი *მე-ს* ცოდნა, *სხვებისაგან* გამოყოფისკენ უბიძგებს როგორც ინდივიდებს, ასევე *ჩვენ-ჯგუფებსაც*.

კოლექტიური იდენტობებისათვის კულტურა და მისი შემადგენელი პოსტულატები, ეთნიკურობის, რელიგიის, საერთო წარმომავლობისა და რჩეულობის განცდასთან ერთად ქმნიან შესაძლებლობას საკუთარი ექსკლუზიურობის წარმოდგენისათვის.<sup>7</sup> შინაგანი წინააღმდეგობა, რაც ახლავს საკუთარი იდენტობის აღმოჩენასა და სხვებთან ურთიერთობის პრაქტიკას, ისტორიული გამოცდილების

---

<sup>5</sup> ეს ამბავი, ერთგვარი ისტორიული გაკვეთილია ერთ ენაზე მოსაუბრე ადამიანებისათვის. მეცნიერული ცოდნა, რომელსაც შეუძლია ადამიანის სურვილების ახდენა, სუბიექტურობისგან/ინდივიდუალურობისაგან ანუ იდენტობისაგან დაცლილია. მისი ენა ტექნიციური/მათემატიკურია, რომლის გაგებასაც ყველა შეძლებს, და რომელიც არ მოითხოვს კომუნიკაციის ჩვენთვის ნაცნობი ფორმების ფლობას, ამ აზრით ის უნივერსალურია.

<sup>6</sup> საგულისხმოა, რომ ლეონტი მროველიც *მეფეთა ცხოვრებაში*, ქართველთა წარმომავლობის შესახებ თხრობას სწორედ ბაბილონის გოდოლის ამბის ციტირებიც იწყებს (მროველი 1955ბ: 3-4).

<sup>7</sup> ისტორიული პროცესი არის კულტურული ცხოვრების ერთიანობა, მისი ყველაზე უფრო ფართო მნიშვნელობით. კულტურული პროცესი კი კოლექტიური/ისტორიული მეხსიერება (ყულიჯანიშვილი 2009: 210-212).

სახით ირეკლება ინდივიდუალურ და კოლექტიურ მახსოვრობაში (დიურიინგი 2009: 77-79, 81; სიგუა 2012: 19-20). მარტივად რომ ვთქვათ, „რაც გვახსოვს, რაცაც ვივიწყებთ. მაგრამ ეს ცოდნა განაგრძობს არსებობას...“ (ჯოხაძე 2015: 24). პარადოქსია, თუმცა სწორედ ასეთი ისტორიული პრაქტიკა აიძულებს ადამიანთა ერთობებს იდენტიფიცირებადი ფასეულობების ზღვარზე გაერთიანდნენ უფრო მოზრდილი და განსხვავებული სოციალური შინაარსების მქონე კოლექტივების (პარსონსი 1991: 96) ჩვენ-გგუფების სახით.

*ჩვენ-გგუფთა* სიმრავლეში წონასწორობის შენარჩუნება მოითხოვს, რომ კოლექტიური და ინდივიდუალური მე ყოველთვის იყოს უკეთესი სხვაზე, რაღაცით გამორჩეული; *სხვისი* არსებობა იმდენად არის ამ აზრით მნიშვნელოვანი ერთობისათვის, რომ „თუ მტერი არ არსებობს, ის უნდა შექმნათ“ (ციტატისათვის იხ. ეკო 2014: 15; დამატებით იხ.: ერიქსენი 1995: 427-428; ანდრონიკაშვილი 2014: 296-303).

სხვადასხვა ისტორიულ გარემოში, *სხვებთან* ურთიერთობის, მათთან თანაცხოვრების პრაქტიკა სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს. მნიშვნელოვანი *სხვები* შესაძლებელია იყვნენ მეზობლები ტერიტორიული თვალსაზრისით, ან *შინაურები*. ერთობის კონცეპტუალიზებისათვის ბიძგის მიმცემი, *სხვებისაგან* მომდინარე რეალური ან წარმოსახვითი საფრთხე ხდება.

ერთობის წევრთა შორის არსებული თვითიგივეობის განცდა ერთგვარი რეფლექსიის შედეგია, მათი მიჯაჭვულობა სიმბოლოებისადმი შეუძლებელია ავხსნათ ლოგიკური მსჯელობის იმ ფორმით, რომელიც მხოლოდ სენსორულ და რაციონალურ ასპექტებს მოიცავს. როგორც პიტირიმ სოროკინი განმარტავს ყველა საზოგადოებას:

აქვს დამახასიათებელი მენტალიტეტი, ჭეშმარიტებისა და ცოდნის საკუთარი სისტემა, ფილოსოფია და მსოფლმხედველობა, საკუთარი რელიგია და სიწმინდის ნიმუში, წარმოდგენა სამართლიანობაზე, მხატვრული სიტყვიერებისა და ხელოვნების ფორმები, უფლებები, კანონები, ქცევის კოდექსი, სოციალურ ურთიერთობათა დომინირებული ფორმები,

ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზაცია, დაბოლოს, პიროვნების საკუთარი ტიპი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მენტალიტეტითა და ქცევით (სოროკინი 1941: 17).

ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის თვითაღქმა იმდენად არის სუბიექტური, რომ შესაძლებელია, თავისუფლად ვუწოდოთ მას წარმოსახვითიც (ანდერსონი 2006: 6-7).<sup>8</sup>

ადამიანთა კლექტიური იდენტობა ნებისმიერ შემთხვევაში კულტურით დეტერმინირებული ფენომენია. მისი ფრომირება მეხსიერები პოლიტიკის ნაყოფია, მისი ისტორიულობა ეჭვგარეშეა. ნებისმიერ შემთხვევაში ფაქტია, რომ ჯერ კიდევ „...არქაული სულიერი კულტურის, ერთ-ერთ უმთავრეს და საერთო ნიშანს კოლექტიურობა შეადგენ[და]“ (ხიდაშელი 2001: 133). ადამიანის სოციაბილურობა მისი ბუნებრივი მოცემულობაა (გასეტი 2016: 98):

დაბადების შემდგომ, პირველი სოციალური ჯგუფი ჩვენი ოჯახია. თუმცა, ოჯახის სტრუქტურა სხვადასხვა საზოგადოებაში განსხვავდება. კოლექტივისტური საზოგადოებების უმეტესობაში ბავშვი იზრდება „ოჯახში“, რომელშიც ერთად მცხოვრებ ხალხთა ჯგუფში შედის: მხოლოდ მშობლები და სხვა შვილები კი არა, არამედ ბებია-ბაბუები, ბიძები, დეიდები, მოსამსახურეები ან სახლის სხვა მოსახლეები. კულტურულ ანთროპოლოგიაში ამას დიდ ოჯახს უწოდებენ. ბავშვები იზრდებიან და სწავლობენ, რომ „ჩვენ“ ჯგუფის ნაწილს წარმოადგენენ. ეს კავშირი ნებაყოფლობითი კი არა, ბუნების მონიჭებულია (ჰოფსტედე, ჰოფსტედე 2011: 74).

სწორედ ამიტომ არის, რომ ინდივიდის მიჯაჭვულობა საკუთარი ერთობისადმი არამომგებიანი სიტუაციების მიუხედავად უაღრესად ძლიერია. თაობიდან თაობას გენეტიკური ნიშან-თვისებების მსგავსად გადაეცემა ემოციური

---

<sup>8</sup> ბენედიქტ ანდერსონის აზრით, ეროვნული ცნობიერება იმ ემოციური ვაკუუმის შევსებას ემსახურება, რომელიც ნამდვილი იდენტობების დაშლის შედეგად წარმოიქმნა (ვრცლად იხ.: ანდერსონი 2006).

კავშირი საკუთარ ერთობასთან. ამ კავშირების სიმტკიცეს განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ ნებისმიერი კოლექტივი ეფუძნება ამა თუ იმ მსოფლმხედველობას, რომელიც *ჩვენ-ჯგუფის* წევრთა მატერიალური და არამატერიალური გამოცდილების სახით იქმნება და ინახება კიდევ კულტურაში (სურმანიძე 2001: 10). ასეთი გამოცდილებების საფუძველზე ყალიბდება, ტერიტორიულ, რასობრივ, ენობრივ, რელიგიურ, გენდერულ, ეთნიკურ და ეროვნულ იდენტობათა სიმრავლე:

...კულტურის თანამედროვე კვლევებში კოლექტიური (ისევე, როგორც ინდივიდუალური) იდენტობა მიიჩნევა დისკურსულ წარმონაქმნად, კულტურულ კონსტრუქციად, რომელიც არსებობს არა თავისთავად, არამედ მხოლოდ სიმბოლოთა და ღირებულებათა სისტემების ფარგლებში. შეიძლება ითქვას, რომ კოლექტიური იდენტობა ერთგვარი პროგრამაა, რომელიც ამა თუ იმ კულტურაში წარმოიქმნება და საშუალებას აძლევს ინდივიდს, თავი მიაკუთვნოს ჯგუფს (საზოგადოებას/ერს) და ამ დაჯგუფების წევრობა წარმოაჩინოს გარეშე პირებთან. კულტურული ჰომოგენიზაცია (გაერთგვაროვნება), რომლის შედეგადაც ინდივიდები თავს კოლექტივის წევრებად აცნობიერებენ, ხორციელდება მათ მიერ ქცევის გაუცნობიერებელი მოდუსების ათვისების საფუძველზე (ციტატისათვის ის ხ.: ცაგარელი 2016: 193; დამატებით იხ.: ჰოფსტედე, ჰოფსტედე 2011: 38-39).<sup>9</sup>

როგორც შესავალში განვმარტეთ ჩვენ ისტორიული რეკონსტრუქციისას გადავწყვიტეთ მივმართოთ ეთნოსიმბოლისტურ პარადიგმას. ის სწორედ იმით არის საინტერესო, რომ მოიცავს და ითვალისწინებს ჩვენ მიერ ზემოთ დახასიათებული კოლექტიური კულტურული იდენტობის ფორმირების, მისი შინაარსის როგორც სოციალურ, ისე ისტორიულ ასპექტებსაც.

---

<sup>9</sup> უნდა ითქვას, რომ იდენტობისა და ეთნიკურობის დისკურსული ხასიათი ქმნის გარკვეულ უხერხულოობებს საისტორიო პრაქტიკაში მათზე დაკვირვებისას (დევიდსონი 2017: 292-310). ვხვდებით ისეთ თვალსაზრისსაც, რომლის თანახმადაც მეთვრამეტე საუკუნემდე, საყოველთაო სოციალური მექანიზმების არარსებობის გამო, რომლებიც უზრუნველყოფდნენ კომუნიკაციას ადამიანებს შორის, ვერ იარსებებდა ვერანაირი იდენტობა (თევზაძე 2009ა:140-141). გ. თევზაძე საკამათოს ხდის შეხედულებას ერთობის წევრებს შორის სოლიდარულობის ცნობიერების არსებობის შესახებაც კი (თევზაძე 2009ბ: 8-10).

ეთნოსიმბოლიზმის თანახმად კოლექტიური კულტურული იდენტობის ყველაზე უფრო მსხვილ და, მათ შორის, ჩამოთვლილი იდენტობათა სიმრავლის მომცველ გაერთიანებებს წარმოადგენენ *ეთნიები* და *ნაციები*. როგორც სმითი განმარტავს, *ეთნი* შეიძლება დახასიათდეს, როგორც საკუთარი თვითდასახელების, საერთო წინაპრის, საზიარო ისტორიული მახსოვრობის, საერთო კულტურის ერთი ან მეტი განმასხვავებელი ელემენტის, მშობლიური მიწა-წყლის მქონე ერთობად, რომლის წევრებსაც გააჩნიათ სოლიდარობის გრძნობა ერთმანეთისადმი (სმითი 2008: 27). დასახელებულთაგან, რაც უფრო მეტი ატრიბუტი გააჩნია ერთობას, მით უფრო მეტად ემსგავსება ის ეთნიკური ერთობის იდეალურ ტიპს ნაციას,<sup>10</sup> რომელიც თავის მხრივ არის:

ადამიანთა თვითდასახელების მქონე ერთობა, რომელსაც უკავია სამშობლო მიწა და რომელსაც აქვს საერთო მითები და საზიარო ისტორია, საერთო საჯარო კულტურა, ერთიანი ეკონომიკა და ყველა წევრისათვის საერთო უფლება-მოვალეობანი (სმითი 2004ა: 17).

ერთობა ნაციონალურ ეტაპზე გადასვლით არ წყვეტს კავშირს წარსულთან, პირიქით, ამ დროს ის ცდილობს არსებულ პერცეფციათა მნიშვნელოვანი ნაწილები გახადოს საყოველთაო და ასე შეინარჩუნოს საკუთარი თვითმყოფადობა: „ორივე დონეზე, სოციალურ-პოლიტიკურსა და კულტურულ-ფსიქოლოგიურზე“ (სმითი 2008: 86). ამ შემთხვევაშიც, *ეთნის* მსგავსად, კულტურული და ისტორიული მახსიერების ფაქტორი უმნიშვნელოვანესია. სმითის თანახმად:

...ნაციის ღერძი ემყარება ეთნიკური ისტორიის ცოდნას, ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ დედამიწის რომელიღაც კონკრეტულ ადგილას საერთო

---

<sup>10</sup> სმითი ეთნიკური ერთობის შესახებ საუბრისას აზუსტებს ეთნიკური კატეგორიის მნიშვნელობასაც, რომელიც, თუმცა განისაზღვრება ეთნიკური ერთობის მსგავსი ატრიბუტებით, ის უფრო რასობრივთან მიახლოებული ერთობაა და ამდენად განსხვავდება ამ უკანასკნელისაგან (სმითი 2008: 26-27).



ისტორიის და ბედ-იღბლის ერთიანობაში თაობათა შორის უწყვეტი კავშირი ხორციელდება (სმითი 2008: 87).

„კულტურა [კი] არის სწორედ ის სისტემური მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც საუკუნეთა მანძილზე იდენტობრივი თვითიგივეობა შესაძლებელი ხდება“ (კიკნაძე 2009: 7).

თავის მხრივ, ნაციად ქმნადობისაკენ გზა კომპლექსური კულტურული, სოციალური ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაზე გადის. სმითი გამოყოფს დემოტური (ვერტიკალური) და ლატერალური (ჰორიზონტალური) *ეთნის* ტიპებს (სმითი 2008: 64), რომელთა შორის ისტორიული გამოცდილების თვალსაზრისით „იდეალურ-ტიპური სხვაობა არსებობს“ (სმითი 2008: 66). ლატერალური ერთობის წევრები იყვნენ მაღალი პოლიტიკური და სასულიერო იერარქები. ერთი მხრივ, ის მკაცრად იყო შემოსაზღვრული კლასობრივი ნიშნით, „მაშინ როდესაც ფართოდ იყო განფენილი გეოგრაფიულად და მჭიდრო კავშირს ამყარებდა მეზობელი ლატერალური ეთნის უმაღლეს იერარქებთან“ (სმითი: 2008: 65). მისი საპირისპირო მნიშვნელობა აქვს ვერტიკალურ *ეთნის*. განსხვავებით ლატერალური ერთობისაგან, დემოტური (ვერტიკალური) *ეთნისათვის* დამახასიათებელი იყო სოციალური სიღრმე და ეთნიკური კულტურის დაბალ კლასებში შეღწევის ტენდენცია. ასეთ შემთხვევებში კლასობრივი დაყოფა კულტურის ნაირგვარობით არ იყო გამყარებული „პირიქით გამორჩეული ისტორიული კულტურა ხელს უწყობ[და] სხვადასხვა კლასების გაერთიანებას საერთო მემკვიდრეობისა და ტრადიციების გარშემო, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელს გარედან საფრთხე ემუქრებოდა“ (სმითი 2008: 65-65)

ნაციად გარდაქმნის პერსპექტივა სწორედ ეთნიკური ერთობების ისტორიულ გამოცდილებაზეა დამოკიდებული. ლიტერატურაში ზოგადად გამოყოფენ ორი ტიპის, ე.წ. სამოქალაქო და ეთნიკურ ნაციებს. სამოქალაქო ნაციების ჩამოყალიბების გეოგრაფიული არეალი ძირითადად ემთხვევა ლატერალური *ეთნის* სახცოვრისს. ე.წ. აღმოსავლური ნაციების ხასიათი და ფორმა კი მნიშვნელოვნად განსაზღვრა ძირითადი ეთნიკური ჯგუფის ისტორიულმა გამოცდილებამ:

გენეალოგია და სავარაუდო მემკვიდრეობითი კავშირები, ადგილობრივი ენები, სახალხო მობილიზაცია, ადათ-წესები – ეს ყველაფერი არის ნაციის ალტერნატიული, ეთნიკური კონცეფციის ის ელემენტები, რომლებმაც ასახეს აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის არაერთი საზოგადოების მიერ განვლილი სრულიად განსხვავებული გზა “ნაციის ჩამოყალიბებისას”. ...რომელშიც ყოველი ნაციონალიზმის საფუძველში ჩადებული ღრმა დუალიზმი აისახება (სმითი 2008: 15).

ნაციის ეთნიკური მოდელის თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ ამ შემთხვევაში საერთო ფასეულობები, რწმენები, წეს-ჩვეულებები, ქცევის ნორმები, ენა და ა.შ. (სმითი 2008: 13; სტილსი 2009: 257-292) ქმნიან საზოგადოების საერთო კულტურულ სისტემას. ინდივიდთა მიერ სოციალიზაციის გზით კულტურის შეთვისება განაპირობებს მის მიკუთვნებას ნაციისადმი. ეროვნული მობილიზების უშუალოდ წინა ეტაპზე ე.წ. კულტურული ნარატივი გარდაიქმნება ნაციონალიზმის იდეოლოგიად და ხდება ნაციის ჩამოყალიბების წინაპირობა.<sup>11</sup> ნაციონალიზმის, მისი წარმოშობისა და განვითარების შესახებ ამავე თავის მეორე ქვეთავში გვექნება საუბარი. ამჯერად კი თვალი მივადევნოთ ე.დ. სმითის მიერ დახასიათებულ იდენტობის სხვა ტიპებს, რომელთა გათვალისწინებასაც, წინამდებარე კვლევისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

**გენდერი.** არ არსებობს საზოგადოება, რომელიც არ არის სქესის მიხედვით დეტერმინირებული. ამგვარი დამოკიდებულებები, სათავეს ღრმა ისტორიულ-კულტურულ წარსულში იღებს. მკვლევართა ერთი ნაწილის მიხედვით სქესი არის კულტურულად დეტერმინირებული კატეგორია, რის გამოცაა, რომ სხვადასხვა ხალხები და სოციალური ჯგუფები სხვადასხვანაირად განსაზღვრავენ მას (ჰოფსტედე, ჰოფსტედე 2011: 111-112).

---

<sup>11</sup> ნაციისა და ეთნიკის დახასიათების შემდეგ შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ისინი ერთიდაიგივე ფენომენებს წარმოადგენენ თუმცა ეს ასე არ არის, მიუხედავად მსაგვსებისა, მათ შორის არის მნიშვნელოვანი თვისობრივი სხვაობაც, რაც გამოიხატება ერთობის სოციალური სხეულის აგებულებაში, ასევე ინტელექტუალურ დონეზეც.

სმითის მოსაზრების მიხედვით, კოლექტიურ იდენტობათა შორის ყველაზე უფრო აშკარა და ფუნდამენტური არის გენდერული იდენტობა. მისი აზრით, რეალურად ჩვენი სქესობრივი კუთვნილება განგვსაზღვრავს ჩვენ, და, რომ სწორედ ის არის უნივერსალური კატეგორია (სმითი 2008: 4-5). როგორც ვხედავთ, ორი ურთიერთგანსხვავებული მოცემულობა გვაქვს, რომელთა შორის ნამდვილად არსებობს გარკვეული ურთიერთკავშირიც. უფრო სწორად, ის, რაც მათ შორის წინააღმდეგობას წარმოშობს, ამავე დროს, აერთიანებს კიდეც მათ.<sup>12</sup>

სქესი, როგორც გაცნობიერებული ფაქტი, ბიოლოგიურად მოცემული განსხვავებულობის გაგებასთან ერთად, არის ამ განსხვავებულობის შესახებ/ან მის შედეგად კონკრეტულ კულტურულ-ისტორიულ გარემოში კონსტრუირებული წარმოდგენა (კალჰუნი, ლაითი და სხვები 2008: 378-379). მისი მნიშვნელობა თანამედროვე კულტურებში და ადრეც, ამა თუ იმ საზოგადოების ინტელექტუალური განვითარების შესაბამისად, მეტ-ნაკლებად განსხვავებულად შეიძლება გავიგოთ.<sup>13</sup> ქალთა სოციალური და სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვა მნიშვნელოვანია კოლექტიური კულტურული ერთობის ისტორიული ტიპის განსაზღვრისათვის. გენდერული აღქმები, როგორც სოციალურ და კულტურულად დეტერმინირებული კატეგორიები მყისიერად რეაგირებენ მიმდინარე ცვლილებებზე.

**ტერიტორია** არის მეორე უმნიშვნელოვანესი კატეგორია, თუმცა, როგორც სმითი მიუთითებს, მას არ გააჩნია ფუნდამენტური მნიშვნელობა ერთობის ჰომოგენიზებისათვის, პირიქით, ის ამ აზრით, ეთნიკური ერთობის საწინააღმდეგო შინაარსის მატარებელია. „...რეგიონები გეოგრაფიულად ძნელად განსასაზღვრია, მათი ცენტრი ხშირად მრავალრიცხოვანია, საზღვრები კი ბუნდოვანი“ (სმითი 2008: 5). რეგიონალიზმის საკითხი, როგორც მას სმითი უწოდებს ჩვენთვის

---

<sup>12</sup> ბიოლოგიური დეტერმინანტი, ინტელექტუალური განვითარების უფრო მაღალ საფეხურებზე კარგავს თავის მნიშვნელობას, თუმცა არ უნდა ვიფიქროთ, რომ ის სრულიად ქრება, უბრალოდ იფარება კულტურულ-ისტორიული პროცესების სქელი ფენით და აუცილებლად იჩენს ხოლმე თავს კრიტიკულ სიტუაციებში.

<sup>13</sup> თუკი ადრე გენდერული იდენტობის კვლევა გულისხმობდა ქალობის (ქალთა ისტორიის), შემდეგ კი მამაკაცობის, როგორც სოციალურად კონსტრუირებულ ფენომენებზე დაკვირვებას, ახლა მისი სქესური მნიშვნელობისაგან დაშორება ქმნის გენდერულ იდენტობათა მრავალფეროვნებას (ბატლერი 2017: 25-50; ცაგარელი 2016: 260; დამატებით იხ.: გედოლი 1976: 809-823; დე ლორეტი 1987; კიკნაძე, დონაძე 2006; ჰეინი 1990; 281-291).

მნიშვნელოვანია, იმდენად, რამდენაც საქართველოს ისტორიის გარკვეული მონაკვეთის ამ თვალსაზრისით რეპრეზენტაციას შეუძლია ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია მოგვცეს ქართული ერთობის განვითარების თავისებურების შესახებ. გარდა ამისა რეგიონული იდენტობის განვითარებასთან სამშობლო ტერიტორიის ცნების შეპირისპირებას (თუმცა გარკვეული აზრით ამბივალენტური ცნებები არიან) შეუძლია ქართული *ეთნის* ინტელექტუალური და ისტორიული გამოცდილების თავისებურებებზეც მიგვანიშნოს.

დემოტური *ეთნის* ისტორიული გამოცდილების მიხედვით პოლიტიკური სტაგნაციის პირობებში *მამულის* საზღვრების, ერთგვარი სივრცულ-ტერიტორიული აღქმა უკავშირდება ეთნო-კულტურული მობილიზების იმ ეტაპს, როდესაც ერთობა იწყებს მისთვის მნიშვნელოვანი მომენტების იდენტიფიცირებას და ახდენს მათ პოლიტიზებას.

მომდევნო ასპექტი გახლავთ სოციალური კლასის კატეგორია, რომელიც თავისი არსით **სოციალურ-ეკონომიკური** საკითხია. ეთნოსიმბოლისტური კონცეფცია მხედველობაში იღებს სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობას, თუმცა აკვირდება რა მთლიან პროცესს და ახდენს ისტორიულ-კულტურული ინდიკატორების მიხედვით მათ სისტემატიზაციას, თვლის, რომ „სოციალური კლასი ძნელად თუ გამოდგება ხანგრძლივი კოლექტიური იდენტობის საფუძველად, რადგან მისი ემოციური მიმზიდველობა შეზღუდულია და არც კულტურული სიღრმე გააჩნია“ (სმითი 2008: 6). ძლიერი კლასობრივი იდენტობა დამახასიათებელია ლატერალური ეთნის ისტორიული ტიპისათვის თუმცა სოციალიზაციის ხარისხის ზრდისა და ეროვნული კონსოლიდაციის ეტაპზე ის თავის მნიშვნელობას კარგავს.

ბოლო გახლავთ **რელიგიური** იდენტობა. რომლის სოციალიზაციის მასშტაბი ხშირად და განსაკუთრებით ეკლესიური ინსტიტუციების ჩამოყალიბებისას, სცდება ცალკეულ კლასებსა და ეთნიკურ ჯგუფებს. რელიგიური ორგანიზაციის მიზნები:

ან ნაციონალურ ელფერს ატარებს, ან უნივერსალურს. ...იგი დაფუძნებულია კულტურის ღერძისა და მისი ელემენტების – ღირებულებების, სიმბოლოების,

მითებისა და ტრადიციების ანაბეჭდებზე, რომლებიც ხშირად წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებშია კოდირებული (სმითი 2008: 7).

ამ აზრით, როგორც სმითი მიუთითებს, ეთნიკურ და რელიგიურ იდენტობებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს (სმითი 2008: 8-9). ეთნიკური იდენტობა მსგავსად რელიგიური იდენტობისა „მიიღწევის იმისაკენ, რომ მის საფუძველზე შექმნილმა საზოგადოებრივმა ერთობამ ერთზე მეტი კლასი მოიცვას“ (სმითი 2008: 7). რელიგიური იდენტობა, როგორც ყველაზე ძლიერი კომპონენტი ეთნო-კულტურისა გადამწყვეტ როლს თამაშობს ეთნიკური მობილიზების პროცესში, არა მხოლოდ კულტურული თვალსაზრისით არამედ ინსტიტუციური კუთხითაც.

## § 1.2 ნაციონალიზმი

ნაციონალიზმის საკითხის ანალიზს უამრავი კვლევა მიეძღვნა. მისი წარმოშობის დროისა და ფორმების შესახებ განსხვავებული ხედვები არსებობს. მაგალითად, *მოდერნისტები* თვლიან, რომ ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგიური მოძრაობა, ახალი დროის მოვლენაა. ამ შეხედულების საპირისპიროდ *პრიმორდიალისტები* მიიჩნევენ, რომ ნაციები მუდმივი კატეგორიებია და რომ, შესაბამისად, ისინი ყოველთვის არსებობდნენ. *პერენიალისტები*, მათ მსგავსად, ნაციებს მიიჩნევენ დროში განგრძობად კატეგორიებად, თუმცა არ თვლიან, რომ ერები წარმოადგენენ მუდმივ და ბუნებრივ ისტორიულ ფენომენებს (ვრცლად იხ.: დავითაშვილი 2003; სმითი 2004ა; სმითი 2003: 223-224; ჩხარტიშვილი, მანია და სხვები 2011; ჩხაიძე 2009; დეი 2004; ჰითჩინსი 2009; დელანტი, კუმარი 2006; გენსი 2003; ბრუბეიკერი 2009: 21-42). სამივე თეორიული მიდგომისათვის დამახასიათებელია აქცენტი ობიექტივისტურ ფაქტორებზე ისტორიული პროცესის განვითარებაში.

ისტორიული *ეთნოსიმბოლიზმი*, განსხვავებით ხსენებული თეორიული პარადიგმებისაგან, ყურადღებას

ნაციონალიზმის იმპულსის სუბიექტურ ელემენტს აქცევს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი 'ობიექტურ' ფაქტორებს თავისთავად ნაგულისხმევად მიიჩნევს ან ანალიზის სფეროს მიღმა ტოვებს. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ იგი სუბიექტურ ელემენტებს – მახსოვრობას, ღირებულებებს, სენტიმენტებს, მითსა და სიმბოლოს – უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, და, რომ ამგვარად ესწრაფვის შეაღწიოს ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის სიღრმეებში და ახსნას ისინი (სმითი 2004ა: 92).

ეთნოსიმბოლიზმი კულტურული პროცესის განვითარებას ხედავს კლასთა ინტერაქციაში. მეორე განმასხვავებელი ნიშანი გახლავთ ისტორიული პროცესის განვითარების *La Longue durée* პერსპექტივიდან წარმოდგენა, რაც გულისხმობს იმ გზების ხანგრძლივი დროის გათვალისწინებით აღწერას, რომელთა წყალობითაც კოლექტიური ღირებულებები გავლენას ახდენდნენ ერთობის ბედზე და მის ნაციად ჩამოყალიბებაზე (სმითი 2004ა: 92-93). თავის მხრივ, აღნიშნული დამოკიდებულება განსაზღვრავს მესამე განმასხვავებელი ნიშნის არსებობასაც, კერძოდ იმას, რომ „ნაციებისა და ნაციონალიზმის წარმოშობის ანალიზი ადრეული კოლექტიური კულტურული იდენტობების და, განსაკუთრებით, ეთნიკური ერთობების, ანუ *ეთნიკების*, ჩარჩოებშია მოქცეული“ (ციტატისათვის იხ.: სმითი 2004ა: 93; დამატებით იხ.: სმითი 2004ბ: 196-197). მისთვის მთავარი „კულტურული და სიმბოლური რეპერტუარი, რომელთანაც ისინი ღრმა კულტურული კავშირის უწყვეტობას ამტკიცებენ“ და რომელზე დაფუძნებითაც იქმნება ერი (სმითი 2004ა: 93), წინაპრების მემკვიდრეობაა.

კიდევ ერთხელ გვსურს გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ სხვა თეორიებსა და *ეთნოსიმბოლიზმს* შორის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი გახლავთ ის, რომ მისთვის კოლექტიური მიჯაჭვულობა და სოლიდარულობა არ განისაზღვრება ცალსახად რაციონალური ასპექტებით (სმითი 2004ა: 94). ამ უკანასკნელისათვის ეთნიკური და ნაციონალური სენტიმენტებისადმი მიჯაჭვულობის აღიარება და მისი გაცნობიერება ერთგვარი გასაღებია ახსნისათვის:

ნაციონალური იდენტობის ინტერპრეტაცია შესაძლოა სწორედ ნაციონალიზმის გზით. ნაციონალიზმი, როგორც დამოუკიდებელი რწმენითი სისტემა, ხაზს უსვამს და ამკვეთრებს ადრეულ ეპოქებში არსებულ განცდებს, სიმბოლოებს და რწმენებს და აძლევს მათ ახალ უფრო მეტად პოლიტიზებულ, დამაჯერებლობას. მეორე მხრივ, ის არ არღვევს, არც აუქმებს ადრე არსებულ სენტიმენტებსა და რწმენებს. ის არ გვევლინება, როგორც სრულიად ახალი იდეოლოგიური არტეფაქტი, რომელიც განასახიერებს რადიკალურ წყვეტას ყველაფერ იმისგან, რაც იყო ადრე. ნაციონალიზმში უფრო უნდა დავინახოთ იდეოლოგია, რომელიც წარსულის მემკვიდრეობისაგან (წარსულის მითოლოგიიდან, სიმბოლიზმიდან, მიჯაჭვულობიდან, რწმენებიდან, რელიგიური და ტრადიციული მსოფლხედვიდან) ირჩევს ზოგს და ახდენს შერჩეულის ინტერპრეტაციას (ციტატისათვის იხ. ჩხარტიშვილი, მანია 2011: 54; დამატებით იხ.: სმითი 2004ბ: 197) .

*ნაციასა და ეთნის ისტორიულ ბმას უზრუნველყოფს ნაციონალიზმი.* ის, როგორც საზიარო ღირებულებათა სისტემის მატარებელი იდეოლოგია, რომლის მიზანიცაა ავტონომიის მიღწევა და შენარჩუნება (სმითი 1996: 447), მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალიზაციის ისეთი წინაპირობების არსებობასთან, როგორიცაა საგანმანათლებლო სისტემა, ვერნაკულური ენა, საჯარო საგანმანათლებლო სისტემა, ბეჭდური კაპიტალიზმის განვითარება, ლიტერატურული და შემოქმედებითი პროცესის ორგანიზება და ა.შ. (ანდერსონი 2006: 29, 37-38, 44-45, 46; ერიქსენი 1988: 88, 93-94; ამირეჯიბი-მალენი 2011: 77-79, 81-82, 84, 88-89).

ნაციონალისტური მოძრაობის განვითარება მიბმულია კულტურულ პროცესთან, რომლის ფარგლებშიც სავალდებულო ხდება საერთო ისტორიული წარმოშობის, ასევე საერთო წინაპრებისა და მომავლის იდეების რწმენა, შესაბამისად, სამოქალაქო და სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებთან შედარებით მეტ მნიშვნელობას იძენს ენა, ტრადიციები და ა.შ. (სმითი 2004ბ: 198; ჩხარტიშვილი, მანია 2011: 63).

ნაციონალისტისათვის ნაცია, როგორც კულტურის ფორმა, ის ერთობაა, რომლის წევრებსაც გაცნობიერებული აქვთ თავიანთი კულტურული ერთიანობა და ნაციონალური ისტორია და თავდადებით იღწვიან ვერნაკულური ენების, ტრადიციების, ხელოვნების დარგების, ლანდშაფტის, ნაციონალური განათლებისა და ინსტიტუციების მეშვეობით ნაციონალური ინდივიდუალობის განვითარებისათვის (სმითი 2004ა: 62).

როგორც დავინახეთ, არსებითად ის, რასაც სმითი უწოდებს *ეთნო-ნაციას* და *ნაციონალიზმს* კულტურის პროდუქტებია. როგორც მიროსლავ ჰროში აღნიშნავს, ნაციონალიზმის ჩამოყალიბებისას ერთობა რამდენიმე ეტაპს გადის, მათ შორის პირველი არის კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებისაკენ სწრაფვა, მომდევნო გახლავთ ელიტის მიერ შექმნილი ეროვნული იდეების ხალხამდე მიტანა და მისი შესაფერისი გზების ძიება, როგორცაა საგანმანათლებლო სისტემის ფორმირება, ასევე პრესა. ნაციონალიზმის კულმინაცია და მისი საბოლოო ეტაპი გახლავთ საყოველთაო მობილიზაცია (ჰროში 2007: 1-18).

ამასთან:

ეს სახალხო, ნაციონალური კულტურა უბრალოდ კერძო საქმე არ არის. ნაციის კულტურა საჯარო გამოხატვას მოითხოვს და პოლიტიკურ სიმბოლიზმს განაპირობებს. ავთენტურ ისტორიასთან დაბრუნებამ და ვერნაკულურმა კულტურამ საჯარო ფორმა უნდა მიიღოს და პოლიტიზირებულ უნდა იქნას. კულტურული ნაცია პოლიტიკური ნაციაც უნდა გახდეს, რომელსაც ექნება საჯარო კულტურა – საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფორმა და საზომი. ამიტომაც, რომ ნაცია ‘პოლიტიკური კულტურით’, მისი განსაკუთრებული პოლიტიკური როლებითა და ინსტიტუციებით და მისი უნიკალური სიმბოლოებით – დროშებით, ჰიმნებით, ზეიმებით, ცერემონიებით და მათი მსგავსი ატრიბუტებით ხასიათდება (სმითი 2004ა: 63).



ნაციონალიზმის ფორმირების პროცესში, პირველ რიგში აუცილებელი ხდება იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რასაც შეუძლია ხელი შეუშალოს ერთიანი ეროვნული ცნობიერების ფორმირებას. რელიგია, ენა და ეთნიკური კუთვნილება, ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე მსაზღვრელებს წარმოადგენენ იმ მომენტში. ეროვნული ცნობიერების მხარდაჭერის ფუნქციას კისრულობს საისტორიო მწერლობა. პირველადი ისტორიული ნარატივები ხდებიან სამეცნიერო დისკურსის ნაწილები (ჰროში 2013: 7-8).

ჰროშის თანახმად ნაციონალური ისტორიები შეიქმნენ მაშინ, როდესაც ნაციონალური მოძრაობების წარმატება ჯერ კიდევ არ იყო გარანტირებული. იმ მომენტში ეროვნული ისტორიები პირველ რიგში გამოიყენებოდნენ ნაციონალური აგიტაციისათვის. ტექნიკურად ეს პროცესი ხორციელდებოდა მედიევალური ისტორიოგრაფიული ტრადიციის გაგრძელებით, თუმცა არა მისი პირდაპირ გადმოღებით, არამედ იმ ისტორიული მონაცემების შერჩევით, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი გახდებოდა ისეთი ფუნდამენტური სტერეოტიპის ჩამოყალიბება როგორცაა *ჩვენ* და *სხვები*. ამ მოძრაობის მიზანი არის გასცეს პასუხი შეკითხვაზე რა არის ერი? ნაციის ტოლი ერთიანი პოლიტიკური სხეულისა და სახელმწიფოს არარსებობის შემთხვევაშიც კი (ჰროში 2013: 8-9).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კონკრეტულ შემთხვევებში ნაციის ფორმირებაში და მისი ხასიათის განსაზღვრაში გადამწყვეტ როლს თამაშობენ ე.წ. დომინანტი *ეთნიები*:

გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ერები ძირითადად ჩამოყალიბდნენ ისტორიულად, ეთნიკური ბირთვებისა და დომინანტური *ეთნიების* გარშემო, რომლებიც განსაზღვრავდნენ ნაციათა კულტურულ და სოციალურ საფუძვლებს, მაშინაც კი, როდესაც ერი განაგრძობდა გაფართოებას კერძო ინდივიდებისა თუ მთლიანი *ეთნიებისა* და მათი ნაწილების მიღების ხარჯზე. მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეიძლება გახდნენ, და ხშირად არიან კიდევ, ისეთი კრიზისების გამომწვევნი, როგორცაა ომი და მასობრივი მიგრაცია...; დომინანტი *ეთნიების* კულტურები, სხვა ეთნიკური და კულტურული ელემენტების მიღების შემდეგაც

აგრძელებენ თანამედროვე ნაციის უზრუნველყოფას შემაკავშირებელი ელემენტებით (მიწის, ენის, კანონისა და გადასახადების სახით) (სმითი 2004ბ: 197).

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი ნაციონალისტური პროექტი, არა აქვს მნიშვნელობა რომელ კატეგორიაში ჯდება ის, მიზნად ერის იდეის გარშემო ელიტებისა და განსხვავებული ჯგუფების მობილიზებას (სმითი 1996: 448), საბოლოოდ კი სახელმწიფოს დაფუძნებას ისახავს. კონკრეტული ისტორიულ-კულტურული გამოცდილება და გარემო განსაზღვრავს იმას, თუ საჭირო მომენტში რა სახით და რა მომენტების აქტუალიზებით ჩამოყალიბდება ის, ექნება გამოკვეთილად ეთნო-კულტურული თუ ტერიტორიულ-პოლიტიკური ხასიათი. იმ ერების შემთხვევაში, რომლებსაც უწოდებენ მოდერნიზაციის პროდუქტებს (ჩხარტიშვილი, მანია 2011/2012: 72; ჩხარტიშვილი 2014: 290-291), კერძო და საზიარო საკუთრების განცდა დაუკავშირდა პოლიტიკური თანასწორობისა და თავისუფლების ისტორიულად კოდიფიცირებულ იდეებს. საქართველოში, ნაციონალიზმის ფორმირების პირველ პერიოდში (ვგულისხმობთ მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებს) და ქართველი ერის ფორმირების საბოლოო ეტაპზეც, ერთიანი ქართული სახელმწიფოს არარსებობა და პოლიტიკური კრიზისი, განსაზღვრავდა ეთნო-კულტურული ნაციონალიზმის იდეების დომინანტობას.

ასევე ფაქტია, რომ პრე-მოდერნულ ხანაში და ნაციების ფორმირების პროცესშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ელიტების როლს და მათ მონაწილეობას კულტურულ პროცესში (ჩხარტიშვილი 2013: 190, 192).

## თავი II. კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა

გარემო, რომელშიც ინდივიდუალური და კოლექტიური ცნობიერება ყალიბდება, წარმოადგენს წინაპართა მატერიალური და სპირიტუალური გამოცდილებების შედეგსა და საცავს (კალჭუნი, ლაითი და სხვები 2008: 160-161). მისი მოქმედების მექანიზმი შესაძლებელია წარმოვიდგინოთ კულტურული პროცესის განვითარების სახით. კულტურა კოლექტიური მეხსიერების ხატების მეშვეობით უზრუნველყოფს *ჩვენ-ჩვენი* ექსკლუზიურობის – *სხვებისაგან* განსხვავებულობის – სტერეოტიპების გადაცემას, ამდენად არის ის თავდაცვისათვის საჭირო იარაღიც. მისი მოვალეობაა წარსულის მუდმივი მახსოვრობის გარანტირება.

ერთობის მდგრადობასა და მის ხანგრძლივ დროში არსებობას უზრუნველყოფს კოლექტივის წევრების დამოკიდებულებისა და მიჯაჭვულობის ხარისხი წარსულისადმი. რაც უფრო ღრმა და მრავალფეროვანია კულტურული პროცესი, მისი რეპრეზენტაციის შესაძლებლობები, მით უფრო ჰომოგენური და მყარია ერთობის წევრებს შორის კავშირებიც.

სოციალიზაციის თვალსაზრისით, მეხსიერების შენახვისა და მისი გადაცემისათვის ყველაზე უფრო მოსახერხებელი გახლავთ ლიტერატურა. წერილობითი ტექსტის მაგიური შესაძლებლობები საერთო წინაპართა ნამოქმედარს, მათ მემკვიდრეობას განსაკუთრებული ნაციონალისტური სულისკვეთებით მუხტავს. შეიძლება ითქვას, რომ „ლიტერატურის არსებობა ერის ეროვნული ცნობიერების განვითარების მისი გამოღვიძების საშუალებაა, ის არის ერის დღიური“ (მინდაძე 2005: 58).

კულტურული მემკვიდრეობის სიძლიერე არის წინაპირობა ნაციონალისტური მოძრაობის წარმოქმნისათვის, თუმცა მის „გადათარგმნას“ ნაციონალიზმის ენაზე სჭირდება მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერაც. მართალია, ლიტერატურა თავისთავად მედიაა, რომელიც ქმნის შესაძლებლობას კომუნიკაციის დამყარებისათვის და ლიტერატურის, ასეთი მნიშვნელობა თვალსაჩინოა კოლექტიური იდენტობების განვითარებისა და ჩამოყალიბების ყველა ეტაპზე, თუმცა განსაკუთრებული შესაძლებლობები მას უჩნდება ბეჭდური

კაპიტალიზმის განვითარების პირობებში, როდესაც ინფორმაციის გავრცელებისა და ხელმისაწვდომობის არეალი შეუზღუდავად იწყებს გაფართოებას. ტექსტის ბეჭდურად გამოცემის შესაძლებლობა, სტიმულს აძლევს წინაპართა კულტურული მიღწევებისადმი რაციონალური ინტერესების გამოღვიძებას.

1603-1618 წლების ირან-ოსმალეთის ომი, 1614-1617 წლებში შაჰ აბას პირველის ლაშქრობები საქართველოში, რომელმაც აღმოსავლეთ საქართველო დემოგრაფიული, პოლიტიკური და ეკონომიკური კატასტროფის წინაშე დააყენა, შიდა პოლიტიკური ვითარება, დაპირისპირება სხვადასხვა ბანაკებს შორის (1626 წლის ბაზალეთის ბრძოლა და სხვა), მცირე ჩამონათვალია იმ მოვლენებისა, რომლებიც მნიშვნელოვან ბიძგს აძლევდა ეთნო-კულტურულ მობილიზებას. არჩილ მეორისა (1643-1713) და მისი თანამოაზრეების მიერ წამოწყებული კულტურული მოძრაობა, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში ახალ ფაზაში გადადის, სწორედ ამ ფაქტორებით იყო ინსპირირებული.

წიგნების პოლიგრაფიულ, შევსებულ და გადამუშავებლ გამოცემებში ერთმანეთს უხამდება ძველი ლიტერატურული ტრადიცია და ახალი დროის საჭიროებები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წარსულის კრიტიკულ გააზრებასა და იმ პერიოდის სამეცნიერო სტანდარტებთან შეთანადებას. როგორც ვიცით, ვახტანგ მეექვსემ „ისტორიის მეცნიერული დამუშავებისა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მისი გამოყენების მიზნით ... თავის კარზე მოიწვია სწავლულ კაცთა კრება“ (ლორთქიფანიძე 1962: 98). მეთვრამეტე საუკუნის მომდევნო პერიოდებში კიდევ უფრო იხვეწება და ორგანიზაციულად ვითარდება აღნიშნული პროცესი.

ლიტერატურული მემკვიდრეობის დაცვისა და ახლის შექმნის სურვილი ბუნებრივად აღძრავდა ენისადმი ფილოლოგიურ ინტერესსაც. განმარტებითი ლექსიკონების შედგენა გარდა იმისა, რომ ენის სიწმინდის დაცვის შესაძლებლობას იძლეოდა, მას ჰქონდა პრაქტიკული დანიშნულებაც: „ენა საზოგადოების ყველა წევრისათვისათვის ხელმისაწვდომი რესურსია. ...და სწორედ ამ ენით მართული კომუნიკაცია აახლოებს ადამიანებს ერთმანეთთან“ (კალჭუნი, ლაითი და სხვები 2008: 168). გარდა ამისა ის „ლიტერატურის მასალაა, ... და, ამდენად, რომელიღაც ენობრივი ჯგუფის კულტურული მემკვიდრეობის მატარებელი[ცა]“ (უელეკი,

უორენი 2010: 26) ამ აზრით ენა, ერთი მხრივ, არის კულტურის განვითარების და მისი გადაცემის საშუალება, მეორე მხრივ კი, თავად კულტურა წარმოადგენს ენის პროდუქტს (კალჭუნი, ლაითი და სხვები 2008: 167). ამდენად ქართული ენის დაცვა ქართული იდენტობის დაცვას უდრიდა.

წინამდებარე თავში ვეცდებით კულტურული მოძრაობა და მისი პოლიტიკა: ენის, სტამბის დაარსებისა და საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბების საკითხები გავიაზროთ კოლექტიური კულტურული იდენტობის განვითარების პრიზმაში. თუმცა მანამდე მეტი სიცხდისათვის საჭიროა ზოგადად მიმოვიხილოთ მეთვრამეტე საუკუნეში არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა.

ერთობის კონცეპტუალიზებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახალხო სალიტერატურო ენის არსებობას. სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება დაკავშირებულია სამწერლობო ტრადიციების განვითარებასთან. როგორც ცნობილია ქართული მწერლობის ისტორია მრავალ საუკუნეს ითვლის. ძველ ქართულ საგანმანათლებლო ცენტრებს წარმოადგენდნენ ეკლესია-მონასტრები,<sup>14</sup> სადაც იწერებოდა როგორც ორიგინალური ქართული ნაწარმოებები, ასევე ხდებოდა თარგმნა აღმოსავლური თუ დასავლური საეკლესიო და საერო ლიტერატურისა (მენაბდე 1962ა: 40). ასეთი ცენტრები „ქმნიდ[ნენ] წინაპირობას... ლიტერატურის შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის“ (მენაბდე 1980: 6).

ძველ ქართველ მოღვაწეთა ენერგიულმა ზრუნვამ კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის დაცვა შენარჩუნებაზე, წიგნთსაცავების დაარსებასა და გამდიდრებაზე სასურველი შედეგი გამოიღო. ჟამთა სიავეს გადაურჩა და ჩვენამდე მოაღწია ათასობით ძვირფასმა ხელნაწერმა (მენაბდე 1980: 118).

ამ მემკვიდრეობის გათვალისწინებით სავსებით სამართლიანად ჟღერს მოსაზრება, რომ ქართული ლიტერატურა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიო

---

<sup>14</sup> ქართული სამონასტრო ცხოვრება ფართოდ იყო გაშლილი როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქვეყნებში. ჯერ კიდევ მეოთხე-მეხუთე საუკუნეებში დაარსდა პირველი ქართული სამონასტრო კომპლექსები საზღვარგარეთ (მენაბდე 1962ბ).

ლიტერატურის ისტორიაში და, რომ „თავისი იდეური სიღრმითა და მრავალფეროვნებით, მას უაღრესად საპატიო ადგილი უჭირავს მსოფლიო კულტურის საგანძურში“ (მენაბდე 1962ა: 7). კორნელი კეკელიძე, თავის მონოგრაფიაში *ძველი ქართული მწერლობის ისტორია* მიუთითებს, რომ ქართველებმა „საეკლესიო მწერლობასთან ერთად, განავითრეს მდიდარი საერო მხატვრული მწერლობაც...“ (კეკელიძე 1952: 1).

მიუხედავად იმისა, რომ რთულია დახასიათდეს რაიმე გამაერთიანებელი ნიშნის მიხედვით, ვინაიდან ავტორთა ინტერესები და გემოვნება როგორც ენობრივ-სტილისტური, ასევე თემატური თვალსაზრისითაც ძალიან განსხვავდება ერთიმეორისაგან, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ მეთვრამეტე საუკუნის მწერლობაში, განსხვავებით ადრინდელი პერიოდებისაგან, ახალი ლიტერატურული მოძრაობის წარმომადგენლებს შორის განსაკუთრებულად პოპულარული იყო პატრიოტული მოტივები და საისტორიო ჟანრი (კეკელიძე, ბარამიძე 1987: 27-29). სამეცნიერო სამეტყველო აპარატით, ეპოქის შესაბამისად გამართული ტექსტები, ახალი ინტელექტუალური სტრატეგიის მქონე საერო მწერლობის ნიმუშებს წარმოადგენდნენ და მნიშვნელოვან ადგილს იმკვიდრებდნენ სასულიერო მწერლობის გვერდით (კეკელიძე 1958: 14).

როგორც აღვნიშნეთ, მეთვრამეტე საუკუნეში ქართული კულტურა ორიგინალური და თვითმყოფადი გზით იწყებს განვითარებას.<sup>15</sup> ამ საქმეში კი სალიტერატურო ენას განსაკუთრებული ფუნქცია ჰქონდა. ის, რომ ენის სტანდარტიზაციის პრობლემა არ იდგა ქართული ერთობის წინაშე, შესაძლებლობას აძლევდა მას უფრო მეტი ყურადღება დაეთმო სხვა ასპექტებისათვის. წარსულისაკენ მიბრუნება, ტრადიციებისადმი და წინაპართა ინტელექტუალური დანატოვრისადმი ჩაღრმავება, საკუთარი იდენტობის განახლების, ერთგვარი ეთნო-კულტურული თვითგამორკვევის შესაძლებლობას ქმნიდა.

ადრინდელი პერიოდის ქართული მწერლობის ნიმუშებთან შედარებით ამ დროს შექმნილ ნაწარმოებთა ორიგინალობას, მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ის ფაქტიც, რომ ავტორთა შემოქმედებით ინტერესებში, აცნობიერებენ რა ცოდნის

---

<sup>15</sup>არჩილიდან მოყოლებული, ავტორები გამოხენ და უარყოფენ თეიმურაზ პირველის მიერ მოწონებულ სპარსული ლექსის სტილსა და ენას.

ზოგად და საყოველთაო დანიშნულებას, რაც მთავარია, მისი ფართო მასების განათლების მიზნით გამოყენების საჭიროებას, ჩნდება რაციონალური დასაბუთებისა და ახსნის მოთხოვნილება (კალანდაძე 1972: 16, 28, 34). ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოსა და მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში განვითარებული მოძრაობისათვის დამახასიათებელი იყო დაბალ ფენებზე ორიენტირებულობა. ხალხი, როგორც ერთგვარი ეთნო-კულტურული ღირებულება შედიოდა, როგორც შემოქმედებითი, ასევე ოფიციალური სახელმწიფოებრივი საქმიანობის ინტერესის სფეროში.

მეთვრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის გაცნობის შემდეგ, ნებისმიერი მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ ახალი მიმართულებების გაჩენა ქართულ ლიტერატურასა და კულტურაში დასავლური კულტურით დაინტერესებისა და გატაცების შედეგი იყო. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ქართველები ევროპაში „ეზიარენ ჰუმანიზმისა და რენესანსის, ხელოვნებისა და მეცნიერების აღორძინების იდეებს“ (კეკელიძე 1958: 23). მიხეილ თამარაშვილს ევროპელებისადმი ქართველთა სიმპათიების ნიშნად მიაჩნდა ძლიერი ინტერესი კათოლიკური სარწმუნოებისა და ევროპული კულტურისადმი (თამარაშვილი 1902: 297-298, 305, 316, 322).

საგულისხმო ფაქტია, რომ პირველი ქართული ტექსტი, რომში დაიბეჭდა 1629 წელს. 1643 და 1670 წლებში რომშივე დაიბეჭდა ქართული გრამატიკის სახელმძღვანელო, რომელიც საქართველოში წამომსვლელი მისიონერებისათვის იყო განკუთვნილი. ქართული წიგნი იბეჭდება 1681 წელსაც და მის შემდეგაც მეთვრამეტე საუკუნეში.<sup>16</sup>

როგორც აღვნიშნეთ, ეთნო-კულტურული მობილიზებისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს საგარეო საფრთხის ფაქტორი. პოლიტიკური მარცხის გამო, ჯერ არჩილ მეორეს, შემდეგ კი ვახტანგ მეექვსეს მოუწია სამშობლოს დატოვება. იმ მასშტაბის საგარეო საფრთხე, რაც ქართული ერთობისათვის, ვახტანგ მეექვსის პოლიტიკური კურსის მარცხმა შექმნა, ძნელია ანალოგი მოვუძებნოთ. სწორედ ამ მარცხის მასშტაბურობა იყო ერთგვარი ბიძგის მიმცემი იმ შემოქმედებითი საქმიანობისათვის, რომლითაც რუსეთში ჩასული ქართველი ახალმოსახლეები

<sup>16</sup> იმავე წელს ნიკიფორე ირბახის მონაწილეობით გამოიცა *ქართული ანბანი ლოცვანითურთ* (Litania Lauretana) (ჭიჭინაძე 1916: 73; ვრცლად იხ.: თამარაშვილი 1902).

დაკავდნენ. მათ მიერ შექმნილი ქართული კულტურა უმნიშვნელოვანეს ინტელექტუალურ მხარდაჭერას წარმოადგენდა თავად საქართველოში მიმდინარე კულტურული პროცესისა და ეთნო-კულტურული მობილიზებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ქართული ინტელექტუალური ელიტა, იმ აზრით, რაშიც შეგვიძლია, ამავე დროს, ვიგულისხმოთ არა მხოლოდ მმართველი კლასი, არამედ მოაზროვნეთა წრე, სწორედ რუსეთში მცხოვრები ქართველებისაგან შეიქმნა. ამ მოსაზრებას ამყარებს და ადასტურებს, მათ მიერ შექმნილი კულტურული მემკვიდრეობა.

მეთვრამეტე საუკუნეში, ქართული კულტურის მესვეურთა საქმიანობა ორ პერიოდად შეიძლება დაიყოს, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მოღვაწეთა დასებად. ორ – ვახტანგისა და ერეკლეს პერიოდებად უნდა გაიყოს თავად საქართველოში მიმდინარე კულტურული პროცესიც.

როგორც ვთქვით, პირველი, ვისაც სამშობლოს გარეთ მოუხდა საკუთარი კულტურული საქმიანობის გაგრძელება, იყო არჩილ მეორე (1647-1713) (გონიკაშვილი 1986: 17). არჩილი ქართული კულტურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენელია. შეიძლება ითქვას, რომ მეთვრამეტე საუკუნის ქართული კულტურის თვითმყოფად ნიადაგზე დაბრუნებას მან ჩაუყარა საფუძველი. მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში მის მიერ დაარსებული ლიტერატურული სკოლის წარმომადგენლები ცდილობდნენ: „აქმაღლებინათ საზოგადოების თვითშეგნება“ (ლორთქიფანიძე 1962: 19).

სამშობლოდან გადახვეწის შემდეგ არჩილი თანამოაზრეებთან ერთად 1705 წელს მოსკოვში აარსებს ქართულ სტამბას, სადაც აქტიურად განაგრძობს კულტურულ საქმიანობას (მენაბდე 1963: 200-201). საგამომცემლო და ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდნენ სხვებიც. „მოსკოვში არა თუ იწერებოდა, იბეჭდებოდა კიდევ ქართული წიგნები, რომელთა უპირველესი დანიშნულება საქართველოში გავრცელება იყო“ (ციტატისათვის იხ.: შარაშიძე 1937ბ: 48; სიხარულიძე 1991: 28).

ქართული ემიგრაციის მეორე ტალღა რუსეთისაკენ დაიდრა 1723 წელს ვახტანგ მეექვსის მეთაურობით. სწორედ მათ ითავეს არჩილის წამოწყებული საქმის გაგრძელება. ვახტანგის ამალის ერთი ნაწილი ასტრახანში დარჩა გარკვეული



დროით. მათი ხელმძღვანელობა დაევალა ქართული ისტორიული მეცნიერების ფუძემდებელ ვახუშტი ბაგრატიონს (სიხარულიძე 1991: 150; დამატებით იხ: მელიქიშვილი 1997).

მოსკოვის, ვახტანგის პერიოდის ქართველი მოღვაწეებიდან განსაკუთრებული ნაყოფიერებით გამოირჩეოდა ონანა მდივანი ქობულაშვილი, რომელსაც ეკუთვნის *ქილილა და დამანას* გალექსილი ადგილები, რამდენიმე *ანბანთქება*, და რომანტიკული პოემა *ბარამგულიჯანიანი*. ქართული ემიგრანტული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან პოეტი დიმიტრი სააკაძე და სულხან-საბა ორბელიანის ძმისშვილი, ვახუშტი ვახტანგის ძე ორბელიანი. ამ უკანასკნელს ეკუთვნის *ანბანთქებანი* და *პეტერგოვის აღწერა*. გამორჩეული მოღვაწეა მამუკა ბარათაშვილი, რომელსაც შეუქმნია *ჭაშნიკი ანუ სწავლა ლექსთა თქმისა*. მიხაილ ელივიჩს ვახტანგის დავალებით უთარგმნია *სივაკის ზომა ანუ პლანიმეტრია*, რომლის რედაქტირება ვახტანგს თავადვე უკისრია. დიდი ქართველი მოღვაწის, ვახტანგ მეფის, ნაწერების გადაწერა-გასწორებით იყო დაკავებული რუსეთში ქართული მწერლობის კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, სამეფო კარის მდივანი, მელქისედეგ ახელის-ძე კავკასიძე (ბრეგაძე 1958: 11-15). ვახტანგ მეექვსის მემკვიდრეობის შესახებ უამრავი ლიტერატურა მოგვეპოვება (ვრცლად იხ.: მენაბდე 1966; პაიჭაძე 1981; ჩაგუნავა 1986 და სხვები).

ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ ვახტანგ მეექვსის ვაჟები: ბაქარი და ვახუშტი ბაგრატიონები, მამუკა ბარათაშვილი, დავით გურამიშვილი, დიმიტრი სააკაძე, ბესიკი, სარიდან ჩოლოყაშვილი, გაბრიელ გელოვანი, ერასტი თურქესტანიშვილი. ამ უკანასკნელის მიერ რუსულიდან ქართულად ნათარგმნი *მოკლედ სიტყვის გება სოგრატისი*, *სწავლა პირველი*, ლექსად გაუწყვია და *სიბრძნე მაღალობელი* უწოდებია ვახტანგს, ასევე ნიკოლოზ, დიმიტრი, ზოსიმე და ვახტანგ ორბელიანები და სხვანი (ბრეგაძე 1958: 15-17).

მას შემდეგ, რაც 1737 წელს ქალაქ ასტრახანში გარდაიცვალა ვახტანგ მეექვსე ქართველ კოლონისტთა ნაწილი იმპერიის სხვადასხვა მხარეში გაიფანტა. ამან გარკვეულად დაასუსტა ქართველთა მოსკოვის კოლონია (ბრეგაძე 1958: 17-18). 1738 წლის შემდეგ, როდესაც იმპერატორმა კოლონიას დაფინანსება შეუწყვიტა, მისი

წევრები იძულებულნი გახდნენ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო ჩამდგარიყვნენ მეფის რუსეთის სამსახურში (ბერძენიშვილი 1965:158-159). მიუხედავად სირთულეებისა მკვლევრები ვახტანგისა და მისი თანამოაზრეების მოღვაწეობის ყველაზე უფრო ნაყოფიერ ხანად მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევარს მიიჩნევენ: „არ იქნება გადაჭარბებული თუ კი ვიტყვით, რომ მომდევნო წლების (1740 წლის შემდგომ) კულტურული საქმიანობის საწყისები სწორედ ამ პერიოდიდან მომდინარეობენ“ (ბრეგაძე 1958: 16).

უფრო მოგვიანო პერიოდში უკვე კოლონიის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის მოთავეებად გამოდიან გიორგი ვახტანგის ძე ბაგრატიონი, ანა ქაიხოსროს ასული ბაგრატიონი და დიმიტრი გიორგის ძე ბაგრატიონი. ანა ბაგრატიონის დავალებით გაიოზ არქიდიაკონს რუსულიდან ქართულად უთარგმნია *კიტაის სიბრძნე*. მასვე ეკუთვნის რუსულიდან ქართულად ნათარგმნი და გიორგი ვახტანგის ძისათვის მიძღვნილი *მიმოსვლა ბარონ დე პოლნიცასი, აღწერილი ისტორიულის და ლეოღრაფიულის გვართ თვით მისგანვე*. როგორც მკვლევრები მიუთითებენ, გაიოზს ამ წიგნების თარგმნისას მიზნად ჰქონია მათი საქართველოში გამოგზავნა. ანა ბაგრატიონის დავალებით უთარგმნია დიმიტრი ბაგრატიონს სამუელ რაბინის თხზულება *ოქროს აღნაქვი* (ბრეგაძე 1958: 19-20).

მთარგმნელობითი საქმიანობა მათ არც მომდევნო წლებში შეუწყვეტიათ. ქართველი კოლონისტები საკმაოდ აქტიურად ეწევიან სხვადასხვა სახის სამეცნიერო და ქართული სასულიერო კანონიკური წიგნების თარგმნასა და შევსება-გასწორებას (ბრეგაძე 1958: 20). თავის მხრივ, რუსი და უცხოელი მეცნიერებიც ინტერესდებიან ცალკეული ქართველი მოღვაწეების საქმიანობით. 1736 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის მეცნიერებათა ბიურომ თარგმნა ვახუშტის ყველა რუკა. ამ რუკებით სარგებლობდნენ ევროპელი მეცნიერებიც. ქართული ემიგრაციის წარმომადგენლები აქტიურად ჩაერთნენ რუსულ საგანმანათლებლო პროექტებშიც. 1785 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებაში მონაწილეობა მიიღო გიორგი ვახტანგის ძე ბაგრატიონმა (ბრეგაძე 1958: 22).

აუცილებელია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ მეთვრამეტე საუკუნეში მიმდინარე კულტურული მოძრაობა ვრცელდებოდა დასავლეთ ქართულ სამეფო-სამთავროებზეც. ცალკე უნდა გამოიყოს იმერეთის მეფის სოლომონ პირველის (1735-1784) კარზე გაჩაღებული კულტურული საქმიანობა, სადაც აქტიურად ხდებოდა ხელნაწერების გადაწერა და განახლება-აღდგენა. მისი მოთხოვნით დაუმზადებიათ *სახარება* და *ვეფხისტყაოსანი*. აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონიც (1778-1807), სოლომონ მეორის კონკურენტი (მენაბდე 1962ბ: 517).

დასავლეთ საქართველოში მოღვაწეობდნენ ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი-რუსთველი, არჩილი, ზაქარია გაბაშვილი. იმერეთში დაწერა ბესიკმა *ცრემლთა ისხარნი*, აქვე მოღვაწეობდნენ მისი ძმებიც იოსები და ნიკოლოზი. გამორჩეული ლირიკოსი გახლდათ სოლომონ მეორის სიმე ელიზბარ ერისთავი (მენაბდე 1962ბ: 519-521). 1779 წელს იმერეთში ჩადის ალექსანდრე ამილახვარიც. მან სწორედ იქ დაწერა *ბრძენი აღმოსავლეთისა, ანუ განზრახვაი მისი სახელმწიფოისათვის მმართველობისა შეძღვნობილი სამადლობოლად აწ მპყრობელად მეფისად იმერთა სოლომონისა თავადისა მიერ ალექსანდრე ამილახორის შვილისა*. იმერეთში მოღვაწეობდა ტიმოთე გაბაშვილიც, ის იყო იმერეთის მეფის ელჩი რუსეთში. გელათში მოღვაწეობდა ზაქარია გაბაშვილი, რომელსაც იქ უნდა შეექმნა ლოცვა *სინანულის-თხოვნა ღვთისა მიმართ* და ა.შ. საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად იყო ჩართული სოლომონ პირველის ძმა იოსებ კათალიკოსიც. ხელნაწერების გადაწერა ხდებოდა რაჭის ერისთავის კარზეც (მენაბდე 1962ბ: 522-523).

კულტურული ცენტრების ფუნქციას არ კარგავდნენ დასავლეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრები. ამ მხრივ მნიშვნელოვანი კერები იყო კაცხის, ჯრუჭის, მღვიმის და ვანის მონასტრები, გურიაში-შემოქმედის მონასტერი, სადაც მოღვაწეობდა იმ დროის ცნობილი პოეტი იაკობ დუმბაძე (მენაბდე 1962ბ: 544-548, 567-571).

სამეცნიერო ლიტერატურისა და უშუალოდ ორიგინალი ტექსტების გაცნობის შემდეგ, ერთი შეხედვითაც ნათელია, რომ მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში

დაწყებული კულტურული მობილიზება თავისი მასშტაბით არ იყო ჩვეულებრივი მოვლენა. როგორც ჩანს, ამას მისი აქტიური წევრებიც კარგად გრძნობდნენ და ცდილობდნენ მოეცვათ რაც შეიძლება ვრცელი ფართობები ინტელექტუალური სივრცისა. საგულისხმოა, რომ მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, განვითარებული კულტურული მოძრაობის ცენტრში იდგა მეფე და ერთმეფობის იდეა. გარდა იმისა, რომ ამ ფაქტს, მოემბენება ობიექტური ახსნა, როგორც ამას შემდგომში მოვლენების განვითარება აჩვენებს, საუკუნის დასაწყისში მეფის იდეის გარშემო კულტურული მოძრაობის მესვეურთა გაერთიანებამ, შექმნა ნოყიერი ნიადაგი მისი, როგორც ერთგვარი ეთნო-კულტურული სიმბოლოსა და ერთობის იდენტობრივი მარკერის წარმოდგენისათვის. სხვა სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორებთან ერთად, სწორედ ეს იყო მეფისადმი განსაკუთრებული ლოიალობის მიზეზი.

მეთვრამეტე საუკუნეში მიმდინარე კულტურული პროცესი დემოკრატიზმითაც ხასიათდებოდა. კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად ჩანან ჩართულნი ქალებიც (განსაკუთრებით მეორე ნახევარში). იოანე ბატონიშვილი *კალმასობაში*, მათთვის გეოგრაფიის, მათემატიკის, ეკონომიკის და ა.შ. სწავლების მხარდამჭერად გვევლინება (ბაგრატიონი 1936: 242). ამ პერიოდიდან ვიცნობთ რამდენიმე გადამწერ ქალს და, რაც მთავარია, გვყავს ორიგინალური ტექსტების ავტორი ქალებიც, რომელთა ნაწარმოებების იდეური სიღრმე და ხარისხი უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს წარმოადგენენ ქართული ლიტერატურისათვის (კეკელიძე, ბარამიძე 1987: 27).

მეჩვიდმეტე საუკუნეში ქალთა ინტელექტუალური და საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ საინტერესო ცნობა აქვს დაცული არქანჯელო ლამბერტის:

...მეგრელები იმდენად უმეცარნი არიან, რომ მათ შორის არავის არ ესმის ის ქართული წიგნები, რომელიც დაწერილია მათის ნამდვილის ძველებურის და წმინდა ენით. ამ ენისაგან მათი მდაბიური ენა ისე განირჩევა, როგორც ჩვენი მდაბიური, ლათინურიდან განირჩევა. აქ არ თავდება მათი უმეცრება: ქართული წერა-კითხვა დღეს სულ მოსპობილი იქნებოდა აქ, რომ ქალებს არ შეენახათ იგი.

ისე, რომ თუ ვისმე უნდა კითხვა შეისწავლოს, უნდა რომელსამე ქალს მიეზაროს სასწავლებლად (ლამბერტი 2011: 185).

ბუნებრივია, რომ წინამდებარე დისერტაციის ფარგლებში, შეუძლებელი იყო კულტურული მოძრაობის ყველა დეტალის გაშუქება, ან მისი კვლევა, თუმცა ეს არც იყო აუცილებელი. ამ მიმართულებით უკვე შესრულებული კვლევების მაღალი სამეცნიერო ხარისხისა და სანდოობის გამო, არც მაინც და მაინც აუცილებლობა იდგა ამისა. მთავრი იყო გვეჩვენებინა კულტურული მოძრაობის მასშტაბი და ხაზი გაგვესვა იმ კულტურული ტენდენციებისათვის, რომლითაც ხასიათდებოდა მეთვრამეტე საუკუნე.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები, ვფიქრობთ, რომ თვალსაჩინოდ მიუთითებენ მეთვრამეტე საუკუნეში არსებული კულტურული მოძრაობის მასშტაბზე. საქართველოდან ემიგრირებული არისტორკატია საუკუნის შუა ხანებისათვის ჩამოყალიბდა კულტურული ინტელიგენციის სახით. ქართველი ინტელექტუალების ძირითადი საქმიანობის სფერო, როგორც რუსეთში, ასევე მათი საქართველოში ყოფნის პერიოდში გახლდათ კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობის ორგანიზება. რაც თავისთავად მოითხოვდა, როგორც ტექნიკური, ისე ინტელექტუალური თვალსაზრისით, ურთიერთდაკავშირებული და მრავალშრიანი მოქმედებების უზრუნველყოფას. ასეთ საკითხთაგანი იყო საგამომცემლო საქმის ორგანიზებაც.

ვფიქრობთ, განხილული მაგალითები საკმარის მტკიცებულებას შეიცავს იმისათვის, რომ მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისისათვის ქართული ეთნიკური ერთობის ტიპი დავუკავშიროთ დემოტური *ეთნის* ისტორიულ გამოცდილებას. წარსულის გაიდეალება, მედიევალური ისტორიისადმი და ლიტერატურისადმი ინტერესი, ასევე სწავლა-აღზრდის ორგანიზებისათვის ზრუნვა, დაბალ ფენებზე ორიენტირება ეთნო-კულტურული მოძრაობის დამხასიათებელი ნიშნები იყო მთელი მეთვრამეტე საუკუნის განმავლობაში.

## § 2.1 სტამბის დაარსება

როგორც ცნობილია, სტამბის დაარსების იდეა საქართველოში მეჩვიდმეტე საუკუნეში უნდა გაჩენილიყო, ყოველ შემთხვევაში თეიმურაზ პირველის (1589-1663) ელჩის, ნიკიფორე ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილის (1585-1658) ევროპაში, კერძოდ რომში მოგზაურობის შემდეგ, სადაც ის არათუ გაეცნო სტამბის საქმიანობის სპეციფიკას, მისი უშუალო მონაწილეობით დამზადდა ქართული შრიფტი და დაიბეჭდა კიდეც *ქართულ-იტალიური ლექსიკონი* (ჩიქობავა, ვათეიშვილი 1983: 13), უეჭველად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში სტამბის საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და აუცილებლობის შესახებ ნამდვილად იცოდნენ. ქრისტინე შარაშიძე მიუთითებს, რომ ქართული სტამბის დაარსების სურვილი, ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნის დროს გაუჩნდა არჩილ მეორესაც (შარაშიძე 1937ბ: 30). მისი მოთხოვნით ქართული შრიფტი დაუმზადებია ამსტერდამში ცნობილ ასოთჩამომსხმელ ტოტფალუმ მიკლომ კიშს (ლორთქიფანიძე 1962: 5-6, 61).

თუმცა საბოლოოდ საქართველოში პირველი სტამბის გამართვა და წიგნის ბეჭდვა ვახტანგ მეექვსის სახელს დაუკავშირდა (1675-1737). ქართველ მკვლევართა ვერსიით, ვახტანგს იერუსალიმის პატრიარქისათვის უნდა ეთხოვა სტამბის საქმის ორგანიზებაში დახმარება, რომელსაც, თავის მხრივ, მისთვის შუამდგომლობა გაუწევია უნგრო-ვლახეთის მთავარ კონსტანტინესთან და ანთიმოზ ივერიელთან (კურდღელაშვილი 1959: 6). ანთიმოზმა საქართველოში საკუთარი მოწაფე მიხაილ სტეფანეს ძე უნგრო-ვლახელი გამოგზავნა, რომელსაც ქართული წიგნის ბეჭდვის სათანადოდ ორგანიზებისათვის ცდა არ დაუკლია: „უნგრო-ვლახელის ღვაწლი მხოლოდ საბეჭდავის მოწყობით, სტამბის ტექნიკურად გამართვით და ათი ჩინებული გამოცემის დაბეჭდვით არ ამოწურულა. მან უდიდესი ამაგი დასდო ქართულ კულტურას ქართველ მბეჭდავთა გაწვრთვნიტაც“ (შარაშიძე 1955: 101).

ქართული სტამბის გამართვისათვის მოსამზადებელი სამუშაოები 1709 წლისათვის უკვე დასრულებულია. ქართული ინტელექტუალური ელიტისათვის სტამბის დაარსებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მათთვის სტამბა იყო საკუთარი იდეების გავრცელების შესაძლებლობა. წარმოუდგენლად დიდი მოვლენა უნდა

ყოფილიყო მაშინდელი კულტურული ცხოვრებისათვის სტამბის გახსნა თბილისში: „ბეჭდვითმა საქმიანობამ ჩვენს ქვეყანაში იმ დროისათვის უდიდესი სახელმწიფოებრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო როლი შეასრულა“ (ლორთქიფანიძე 1962: 5).

ერთი გარკვეული წესით გასწორებულ ნაბეჭდ წიგნს, რომლებიც ერთბაშად წვდებოდა არა მარტო ქართლის, არამედ მთელი საქართველოს ყოველ კუთხეს, დიდი გამაერთიანებელი როლი უნდა შეესრულებინა პოლიტიკური დაქსაქსულობისა და სპარსეთ-თურქეთის გარემოცვის პირობებში (შარაშიძე 1955: 109).

წლობით და თვეობით ხელით ნაწერი წიგნის მაგიერ, რომელთა გამრავლებაც ობიექტური მიზეზების გამო ურთულესი გახლდათ, წარმოუდგენელი სისწრაფით ვრცელდებოდა ათასობით ნაბეჭდი წიგნი, რომელიც ახალ „მომხმარებელს იძენ[და] და წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვს ამრავლებ[და]“ (შარაშიძე 1955: 129). ის, რომ სტამბა განკუთვნილი იყო ძირითადად საგანმანათლებლო და საზოგადო დანიშნულებისათვის, დასტურდება იმ ფაქტითაც, რომ ვახტანგის სტამბაში წიგნების უმეტესობა საერო მხედრული შრიფტით იბეჭდებოდა:

ყველასათვის ხელმისაწვდომი მხედრული შრიფტით დაბეჭდილი, ადვილი ენით დაწერილი წიგნების ასეული და ათასეული ცალების გავრცელებას, ფეოდალური შუღლით დაქსაქსული ქართველობისათვის უდიდესი გამაერთიანებელი და ფართო განმანათლებლური მნიშვნელობა ჰქონდა (შარაშიძე 1955: 111).

საზოგადოების განათლების მიზნით ვახტანგი თავის სტამბაში ბეჭდავს სასწავლო სახელმძღვანელოებსაც. ფინანსური ხელმისაწვდომობა, რაოდენობა და მოთხოვნის შემთხვევაში მისი მიწოდების შესაძლებლობა, ვგულისხმობთ ბეჭდვას, მნიშვნელოვანი წინაპირობა და სტიმული იყო საგანმანათლებლო სივრცის

ორგანიზებისათვის. მართალია, სტამბის დაარსების პირველ პერიოდში პოლიგრაფიის შესაძლებლობები გაცილებით ნაკლები იყო, თუმცა, მისი დიდი უპირატესობა და გარდამტეხი როლი საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით, ყველასათვის ნათელი მალევე გახდა.

„სანამ [წიგნი] მხოლოდ ფუფუნების საგანი იყო მისი სოციალური ფუნქცია უფრო ვიწროდ იყო შემოფარგლული“ (შარაშიძე 1937ა: 50). თავისთავად:

სახელმძღვანელო[ც] ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით მხოლოდ ნაბეჭდი შეიძლება ყოფილიყო და ნაბეჭდი სახელმძღვანელოს საჭიროების წარმოშობა, ასეთი სახელმძღვანელოს გამოცემის ფაქტი-სწავლა განათლების ფეოდალური ზღუდეებიდან გამოსვლის ერთ-ერთი პირველ მერცხალთაგანად შეიძლება ჩაითვალოს (შარაშიძე 1937ა: 50).

კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობის მიზნები, რომ თავიდანვე სერიოზული გახლდათ, სტამბის გამართვისათვის ვახტანგ მეექვსის მიერ გაწეულ ფინანსურ ხარჯთან ერთად, ისიც მიუთითებს, რომ

სარედაქციო სამუშაოების ჩასატარებლად ვახტანგს სტამბის დაარსებამდე ჩამოუყალიბებია ქართველ მწიგნობართა გუნდი, რომელშიც შედიოდნენ ცნობილი გადამწერ-კალიგრაფები და ტექსტის აღმდგენელ შემსწორებლები (ლორთქიფანიძე 1962: 96-97).

ნიკოლოზ ბერძენიშვილის შეფასებით:

ფიზიკურ საშუალებათა გვერდით შემუშავდა მტრის შემოტევის წინააღმდეგ იდეური ბრძოლის საშუალებანი. თანდათან ჩამოყალიბდა იდეურ-პოლიტიკურ მოღვაწეთა ძლიერი დასი, პოეტ-ლიტერატორები, მეცნიერ-ისტორიკოსები, სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწეები. სათანადო მებრძოლი მოტივები გაჩნდა პოეზიაში (არჩილი, იოსებ თბილელი), საამისოდ გაიმართა ისტორიაც (ახალი



ქართლის ცხოვრება), გაჩაღდა მაჰმადიანობის წინააღმდეგ პროპაგანდა (იაკობ დუმბაძე), დაიწყო ქრისტიანობის აღდგომისაკენ მიმართული ენერგიული მოქმედება (არჩილი, ვახტანგ VI, დომენტი)... (ბერძენიშვილი 1944: 137).

*სწავლული კაცების* კომისიის სახელით ცნობილი ჯგუფი გახლდათ ერთგვარი ინტელექტუალური ლაბორატორია, სადაც ქართული კულტურისა და მეცნიერების განვითარებისათვის პრაქტიკული ხელშეწყობის გარდა უნდა ჩამოყალიბებული ახალი მოძრაობის სამოქმედო გეგმა, მისი დღის წესრიგი.

პირველი წიგნები, რომლებიც 1709 წელს დაიბეჭდა იყო *სახარება, დავითნი* და *სამოციქულო*. 1711 წელს გერმანე ხუცეს მონაზონის მიერ გამოიცა *სწავლანი*, ასევე 1721 წელს დაიბეჭდა სპარსულიდან ვახტანგის მიერ თარგმნილი მათემატიკისა და ასტრონომიის სწავლებისათვის *აიათი ანუ ქმნულების ცოდნა* (შარაშიძე 1937ა: 36). ქართული სასწავლო სახელმძღვანელოების ბეჭდვა ხდებოდა საზღვარგარეთაც. 1732-1737 წლებში რუსეთში დაიბეჭდა პირველი *სასწავლო ყრმათათვის*, ასევე 1741 წელს რომში გამოვიდა – *საქრისტიანო მოძღუარება, მოკლედ დარიგებული მარტივლათათვის ზეპირად დასასწავლებლად* (შარაშიძე 1937ა: 44).

ვახტანგის სტამბაში გამოსული წიგნებიდან აღსანიშნავია ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქაელის რედაქტორობით 1712 წელს გამოსული *დავითნი* და *ვეფხისტყაოსანი*, ეს იყო *ვეფხისტყაოსნის* პირველი მეცნიერულად კომენტირებული ტექსტი (იმედაშვილი 1941: 114). 1713 წელს იგივე მიქაელი გამოსცემს *კურთხევანს*, 1717 და 1720 წლებში გიორგი მხატვარი გამოსცემს *ჟამნს* და *პარაკლიტონს* (შარაშიძე 1955: 101-102). ამ პერიოდში გიორგი მხატვართან ერთად მოღვაწეობდა მესტამბე გარსევან ყოფილი-მღვდელი გაბრიელი, რომელიც რედაქტორობასაც ითავსებდა. 1719-1720 წლებში გამოსული *ქმნულება ეკლესიისას*, 1721 წელს დაბეჭდილ *ქმნულების ცოდნის წიგნისა* და 1722 წელს გამოცემული ვახტანგის სტამბის ბოლო წიგნის, მხედრულად დაბეჭდილი *ჟამნის* გამომცემლადაც სწორედ ეს უკანასკნელი გვევლინება (შარაშიძე 1955:102).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1723 წელს, ცნობილი მოვლენების გამო ვახტანგი იძულებული გახდა დაეტოვებინა ქართლი (ვრცლად იხ.: ჯავახიშვილი 2006;

გაწერელია 1957; მეგრულად 1960: 143-175; პაიჭაძე 1973: 413-421). მიუხედავად ხანმოკლე პერიოდისა, მისი სტამბისა და *სწავლული კაცების* კომისიის საქმიანობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურის თვითმყოფად ნიადაგზე დაბრუნების საქმეში (კვასხვაძე 1952: 198). მათი მოღვაწეობის შედეგად ქართული ერთობის თვითცნობიერება თვისებრივად ახალ საფეხურზე ავიდა. ენის, რელიგიის, სამშობლო-ტერიტორიის, საერთო წინაპრებისა და საზიარო ისტორიისადმი სენტიმენტების აღმვრისაკენ მიმართული კულტურული პოლიტიკა, ქმნიდა ხელსაყრელ ნიადაგს ეროვნული იდეოლოგიის ჩამოყალიბებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგი თანამოაზრეებთან ერთად მოსკოვშიც იმავე საქმის კეთებას განაგრძობს, რასაც საქართველოში ყოფნის დროს ემსახურებოდა და, როგორც ვთქვით, მის რუსეთში მოღვაწეობასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში მიმდინარე კულტურული პროცესის წარმატებისათვის, ქართული ინტელიგენციის ემიგრაციაში წასვლით, მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში დაწყებული კულტურული მოძრაობა, მაინც მნიშვნელოვნად შეფერხდა. ივანე ჯავახიშვილი წერს:

დაუფასებელია ის დიდი ღვაწლი, რომელიც ვახტანგ მეფეს, მის უფროსს, თანადროულსა და უმცროს თანამშრობლებს მიუძღვით ქართველი ერის წინაშე. მათი წყალობით ხალხის თვითშემეცნება ფხიზელი გახდა და გაღრმავდა. ყველაფერს კულტურული აღორძინების იერი დაეტყო. ხელშემწყობი პოლიტიკური ცხოვრების პირობები იყო მხოლოდ საჭირო, რომ ეს აღორძინება განმტკიცებულიყო და თანდათან აყვავებისა და ძლიერების ხანად ქცეულიყო (ჯავახიშვილი 2006: 8).

1723 წლიდან მოყოლებული 1745 წლამდე საქართველოს უმძიმესი პერიოდი უდგას (ვრცლად იხ.: ბერძენიშვილი 1944: 3-169; ბერძენიშვილი 1965; ჩხატარაიშვილი 1973: 455-478 და სხვები). *ოსმალთა* და *ყიზილბაშთა* მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი კულტურული მოძრაობის მასშტაბების ზრდას. ვახტანგის შემდეგ თბილისის სტამბა ისე ყოფილა დაზიანებული, რომ 1749 წელს

მისი გამართვა ხელახლა გამხდარა საჭირო (კარიჭაშვილი 1929: 87). მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება სრულიად ახალი ეტაპი საქართველოს კულტურული აღორძინების საქმეში. მისი მოთავეები იყვნენ ერეკლე მეორე (1720-1798) და კათოლიკოსი ანტონ პირველი (1720-1788). მათი კულტურული პროგრამა ბოლომდე ითვალისწინებდა ვახტანგის მიერ წამოწყებული მოძრაობის მიზნებს.

ერეკლეს თავისი მოღვაწეობის პერიოდში სამჯერ მოუხდა სტამბის განახლება და მისი სრულყოფა. პირველად განახლებული სტამბა საპატრიარქოს ტერიტორიაზე იქნა გამართული, მეორედ 1762-1763 წლებში სამეფო სასახლის ეზოში, 1782 წელს კი მესამედ კონსტანტინეპოლელი ხელოსნის დახმარებით განუახლებია (გუგუშვილი 1929: 70), სწორედ ამ მესამე პერიოდს უკავშირდება ყველაზე უფრო ნაყოფიერი პერიოდი საგამომცემლო საქმიანობისა (როგავა 1950: 136).

ერეკლეს დროს ყალიბდება ქართველ პოლიგრაფთა კორპუსი. რომელიც მოიცავდა: სარედაქციო დარგის მუშაკებს, *მთარგმნელებს*, *ღრამატიკულ კანონზე შემსწორებლებს*, *მხატვრებს* და ა.შ. ბეჭდვის პროცესის ტექნიკური მხარის გამართულობაზე კი თავის მხირ ზრუნავდნენ: *პრობის მართველი*, *მესტამბეთუხუცესი*, *ბეჭდვის ზედამდგომელი*, *სტამბის სახმართა ზედა გამრჯელი* და სხვანი (გუგუშვილი 1929: 67-68). თავის მხრივ, „კათალიკოზი ანტონ პირველი[ც] განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სტამბის მუშაკთა ხელობის განვითარებას. ამასთანავე მისი ბრძანებით სტამბაში შეგირდებიც სწავლობდნენ სტამბის საქმეს მცოდნე პირთაგან“ (როგავა 1950: 131-132).

ერეკლეს სტამბის მუშაობის პირველი პერიოდი არ გამოირჩევა დიდი ნაყოფიერებით. 1749-1782 წლებში სულ რვა-ცხრა დასახლების წიგნი გამოვიდა (როგავა 1950: 134). თავდაპირველად წიგნები იბეჭდებოდა უფრო საეკლესიო საჭიროებისათვის. 1749 წელს გამოვიდა *ლოცვანი*, 1751 წელს *კონდაკი ანუ წიგნი საღვთოსა მსახურებისა*, 1751 წელს გამოდის *სახარება და ქადაგება ღვთისმეტყველება* ანტონ კათალიკოსისა, 1763 წელს *ლოცვანი* და *ფსალმუნები ანუ დავითნი*, 1764 წელს *კურთხევანი*, 1769 წელს *დაუჯდომელი*, 1772 წელს *პარაკლიტონი რომელ არს სავედრებელი*, 1780 წელს ხელახლა იბეჭდება *დავითნი*,

1782 წელს იბეჭდება *შესხმა პირველისა ახლისა ამის წიგნთა ბეჭდავისა*, 1783 წელს *კონდაკი ანუ საღვთო მსახურება*, 1784 წელს *კურთხევანი*, იმავე წელსვე გამოდის *კიტაის სიბრძნე ანუ სწავლა ქუეყანასა ზედა ბედნიერად ცხოურებისა*, 1786–1788 წლებში *სახარება და ზადიკი*, 1790 წელს *დაუჯდომელი* და ა.შ. აღსანიშნავია ის, რომ იმ დროისათვის გამოცემული წიგნების რაოდენობა რამდენიმე ასეულ და ათასეულ ეგზემპლიარსაც აღწევდა (კარიჭაშვილი 1929: 92). 1772–1798 სტამბის მუშაკებად ჩანან დავით მღვდელი კარის საყდრის ხუცესი, ტრიფილე არხიმანდრიტი, იოანე ოსეს ძე ხუცესი, ქრისტოფორე კეჟერაშვილი და სხვები (კარიჭაშვილი 1929: 99–100).

მეთვრამეტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ერეკლეს გადაწყვეტილებით სტამბა გადადის კერძო პირის, ქრისტოფორე კეჟერაშვილის ხელში. ის ფაქტი, რომ ერეკლემ სტამბა მას, მოგების ნახევრის სახელმწიფოსათვის მიცემის პირობით გადასცა, თანაც საბეჭდი ქალაქი თავად მას უნდა შეემინა რუსეთში (გუგუშვილი 1929: 71; იოსელიანი 1990: 234), მეტყველებს იმაზე, რომ ეს საქმე საკმაოდ მომგებიანიც იყო. წიგნის ბეჭდვა მას ავტომატურად აიაფებდა და ხელმისაწვდომს ხდიდა საზოგადოებისათვის. თუ შევადარებთ მეთვრამეტე საუკუნეში ხელით ნაწერი და დაბეჭდილი წიგნების ფასებს დავინახავთ, რომ მათ შორის სხვაობა უზარმაზარი იყო. მაგალითად, 1709 წელს თბილისში დაბეჭდილი სახარება 10 მანეთი ღირდა, ხოლო ვახტანგისეული *ვეფხისტყაოსანი* რომლის ფასშიც მისთვის ჩატარებული რესტავრაციის ღირებულებაც შედიოდა, 20 მანეთი, ამ დროს ხელით გადაწერილი წიგნის ფასი სამოცდაათ თუმნამდე, ანუ შვიდას მანეთამდე აღწევდა. მეცხრამეტე საუკუნეშიც კი ხელით გადაწერილი წიგნების ფასები რამდენიმე ასეული მანეთით განისაზღვრებოდა (გუგუშვილი 1929: 21).

„1782-1795 წწ. ახალი სტამბა არათუ აღმოსავლეთ საქართველოს აკმაყოფილებდა დაბეჭდილ წიგნთა საკმაო რაოდენობით, არამედ დასავლეთ საქართველოსაც“ (როგავა 1950: 136). 1795 წელს ალა მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების შემდეგ ერეკლეს სტამბამ მუშაობა შეწყვიტა. მისი განახლება მალევე უნდა მომხდარიყო. გიორგი ერეკლეს ძის (1746-1800) მეფობის დროს სტამბა კერძო პირის ქრისტოფორე ბადრიძის ხელში ჩანს. გიორგის მიერ ბადრიძისადმი მიცემულ 1799 წლის 22 დეკემბრით დათარიღებულ სიგელში ვკითხულობთ, რომ „მეფე ერეკლე

მეორის დროს წახველ ალექსის ქვეყანასა. მესტამბეობა მიგელო, მოხველ. საქართველო სამლოცო წიგნებისაგან ნაკლებად იყო და თორმეტი ათასი წიგნი დაგვიბეჭდე მამა ერეკლეს დროსვეო “(როგავა 1950: 137).

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მოსკოვში, პეტერბურგში, მოზდოვში გაიოზ რექტორის მიერ დაარსებულ სტამბაში და რომში, დაბეჭდილი ქართული წიგნების ნაწილი, საქართველოში იგზავნებოდა და ამას დავუმატებთ კეჟერაშვილის ცნობას საიდანაც ჩანს, რომ თოთხმეტი ათასი წიგნი დაბეჭდა და ბადრიძის მიერ ჯერ კიდევ ერეკლეს დროს თორმეტი ათასი წიგნის გამოცემის ფაქტს (მკვლევართა მითითებით მარტო ანტონ პირველის პირად ბიბლიოთეკაში შვიდი ათას ტომზე მეტი წიგნი ინახებოდა), ასევე ვახტანგის სტამბის დროს გამოსულ წიგნების რაოდენობას, ყველაზე უფრო პესიმისტური გამოთვლით დაახლოებით ორმოცი ათას ნაბეჭდ წიგნამდე მაინც უნდა ყოფილიყო საქართველოში. ეს კი იმ დროისათვის, განსაკუთრებით შექმნილი არასტაბილური ვითარების გათვალისწინებით, საკმაოდ შთამბეჭდავი მაჩვენებელია. ის ფაქტი, რომ „წიგნზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ, მიუხედავად იმ პერიოდისათვის გამოცემის მაღალი ტირაჟიანობისა, მთლიანად ვერ შეცვალა ხელით გადაწერის პრაქტიკა...“ (ლორთქიფანიძე 1962: 50), იმაზეც მიუთითებს, რომ მომხმარებელი წიგნს იმაზე მეტი ჰყავდა ვიდრე გამოცემელობას შეეძლო დაეკამაყოფილებინა.

წიგნის გადაწერის ტრადიციის შენარჩუნებას ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ გადამწერლობა ხელობად იყო ქცეული (გუგუშვილი 1929: 19). გადაწერის პრაქტიკას მისდევნდნენ ემიგრაციაში მცხოვრები ქართველებიც. რუსეთში ვახუშტის მეთვალყურეობის ქვეშ გაასწორა და რედაქტირება გაუკეთა ნიკოლოზ ვახტანგის ძე ორბელიანმა *იოანე დამასკელის წიგნს*, რომელიც, მისივე გადმოცემით, შელახული იყო და საკმაო რაოდენობის თავებიც აკლდა. მასვე უთარგმნია *აღსარება მართლისა სარწმუნოებისა*. ნიკოლოზთან ერთად კალიგრაფიული საქმიანობით დაკავებული იყო მისი ძმა ზოსიმე და გადამწერთა დიდი ჯგუფი, „რომლებიც განსაკუთრებული მონდომებით განაგრძობენ ძველი წიგნების რესტავრაციას, მათს გადაწერას გამრავლების მიზნით და საქართველოში გამოსაგზავნად“ (ზრეგამე 1958: 11-12).

ხელით ნაწერი წიგნების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ თარგმანები, რომელთა გავრცელება დაბეჭდვამდე სწორედ ამ ფორმით ხდებოდა.

თავად ვახუშტის რუსულიდან ქართულად უთარგმნია *ანტიქრისტეს მოვლინების ნიშნები და ქვეყნის დასასრული*. მასვე ეკუთვნის 1745 წელს საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული *მსოფლიო გეოგრაფიის* ქართული თარგმანი, რომელშიც შესწორებები შეუტანია. ამავე წელს უნდა დაემთავრებინა მას თავისი *ისტორია და გეოგრაფია*. ვახუშტის ძმის ბაქარის კალამს ეკუთვნის *ბიბლიის* რედაქტირებული გამოცემა (ბრეგამე 1958: 12).

მთარგმნელობით საქმიანობაში აქტიურად იყო ჩართული ანტონ პირველიც. მასთან ერთად წიგნებს თარგმნიდნენ: ნიკოლოზ ქიზიყელი, დოსითეოზ (ჩერქეზიშვილი) ნეკრესელი, ფილიპე ყაითმაზაშვილი, გაიოზ რექტორი, იოანე ორბელი, ანტონ ცაგარელ-ჭყონდიდელი და მრავალი სხვა (როგავა 1950: 40-41, 113-114, 116-119).

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ვისაუბრეთ ქართული კულტურის მოღვაწეთა საქმიანობის შესახებ რუსეთში, ორიოდ სიტყვით აუცილებელია ცალკე აღვნიშნოთ იქ არსებული ქართული სტამბების საქმიანობის თაობაზეც. საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართული სტამბების გამრავლება მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვან და საშურ საქმედ ითვლებოდა წიგნის ბეჭდვა. როგორც უკვე ვახსენეთ არჩილს მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში დაუარსებია ქართული სტამბა მოსკოვში. ამას გარდა რუსეთში, მეთვრამეტე საუკუნეში, კიდევ რამდენიმე ქართული სტამბა მოქმედებდა. ერთ-ერთი იყო 1737 წელს დაარსებული სტამბა სოფელ ვსეხსვიატსკოეში, რომელშიც 1744 წლამდე დაიბეჭდა თორმეტი წიგნი, მათ შორის, არჩილის მიერ მომზადებული *ბიბლიაც* (ქიქოძე, ჩხატარაიშვილი და სხვები 1973: 512). 1786 წელს გაიხსნა სტამბა პეტერბურგში, სადაც გამოიცა *სახარება* (სიხარულიძე 1991: 231). მეთვრამეტე საუკუნის ბოლოსათვის მოზდოკში ქართული სტამბა გაუხსნია გაიოზ რექტორსაც (ჭიჭინაძე 1916: 102; ვრცლად იხ. ჭიჭინაძე 1909).

გამოკვლევის თეორიულ საფუძვლებში აღვნიშნეთ, რომ ბეჭდური კაპიტალიზმის განვითარება უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ეროვნული

იდეოლოგიის ჩამოყალიბებისათვის. საგამომცემლო საქმე, რომელიც, როგორც დავინახეთ მეთვრამეტე საუკუნეში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში მოიცავდა რამდენიმე ქართული სტამბის საქმიანობას, ამასთან სტამბების კერძო პირთა მფლობელობაში ყოფნის ფაქტი, ცალსახად მიუთითებს მეთვრამეტე საუკუნეში უფრო ზუსტად კი მის მეორე ნახევარში საქართველოში საგამომცემლო ბაზრის ფორმირებისა და ბეჭდური კაპიტალიზმის განვითარების პირველი ეტაპის დადგომაზე. კერძო პირების მონაწილეობას და მათ ფინანსურ ინტერესებს თუ მივიღებთ მხედველობაში (იოსელიანი 1990: 236-237, 287-288), უნდა ვივარაუდოთ, რომ მეთვრამეტე საუკუნის ბოლოსათვის, წიგნის ბეჭდვა შემოსავლიან კომერციულ საქმიანობად უკვე იყო ქცეული (ქართული საგამომცემლო საქმიანობის შესახებ საინტერესო ცნობას ვხვდებით ზაქარია ჭიჭინაძესთან, რომლის თანახმადაც მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს 1788 წლისათვის ქართულ ენაზე გამოუციათ გაზეთის მსგავსი ფურცელი (ჭიჭინაძე 1916: 9).

ქართული სტანდარტიზებული ენის არსებობის ფაქტი უმნიშვნელოვანესი ხელისშემწყობი წინაპირობა იყო წიგნის ბეჭდვის საქმის წარმატებისათვის. საგამომცემლო საქმის მასშტაბი, მისი კერძო პირისათვის გადაცემა და ფინანსური რენტაბელობა, სწორედ, ის ნიშნებია, რაც ახასიათებდა ბეჭდური კაპიტალიზმის განვითარებას დასავლეთში (ანდერსონი 2006: 18-40). მაღალი მოთხოვნა, მისი გაიაფება და ხელმისაწვდომობის ზრდა მეთვრამეტე საუკუნის 70-80-იან წლებში ქართული ეთნო-კულტურული მობილიზების ხარისხობრივად ახალ სიმაღლეზე მიუთითებდა და, თავის მხრივ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი გახლდათ ნაციონალიზმის განვითარებისა და ეროვნული კონსოლიდაციისთვის. საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ დაბეჭდილი, ასევე გადაწერილი და ხელით ნაწერი ტექსტები ქმნიდნენ უმნიშვნელოვანეს წიგნად ფონს, რომლის პოტენციური მკითხველი, როგორც ჩანს ქართული ერთობის მხოლოდ არისტოკრატიული ნაწილი არ იყო.

## § 2.2 ენობრივი მარკერი

ლიტერატურაში კარგად არის დასაბუთებული და ახსნილი, ქართული კოლექტიური თვითცნობიერების ჩამოყალიბებაში ქართული ენის ისტორიული მნიშვნელობა (ჩხარტიშვილი, მანია 2010: 472-483).<sup>17</sup>

ენა, როგორც აღვნიშნეთ, არის თვითმყოფადობის შენარჩუნების საშუალება. რაც შეეხება ქართულ ენას, როგორც ცნობილია, ის ადრევე ჩამოყალიბდა ქართული იდენტობის ერთ-ერთ უმთავრეს მარკერად. ქვემოთ მოტანილი საყოველთაოდ ცნობილი ციტატა გიორგი მერჩულის თხზულებიდან კარგად გამოხატავს მის ამგვარ მნიშვნელობას: „...ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების“ (მერჩულე 1987: 591). ამავე პერიოდშია შექმნილი იოანე ზოსიმეს *ქებაიც*, სადაც ვკითხულობთ:

დამარხულ არს ენად ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებელად. რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.

და ესე ენად მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვან.

და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან. ესე არიან ორნი დანი ვითარცა მარიამ და მართად

და მეგობრობად ამისთვის თქუა [მახარებელმან]. რამეთუ ყოველი საიდუმლოდ ამას ენასა შინა დამარხულ არს.

და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინაისწარმეტყუელმან, რამეთუ „წელი ათასი – ვითარცა ერთი დღე“.

---

<sup>17</sup> დღესაც ძალიან მაღალია ქართული საზოგადოების მგრძნობელობა ანბანისა და მასთან დაკავშირებული საკითხებისადმი. ასეთი მიმართება ანბანისადმი ძლიერდება ქართული საისტორიო ტრადიციიტა და მეცნიერთა ვარაუდებით, რომ ქართული დამწერლობის პირველი ნიმუშების შექმნა წარმართობის პერიოდს უკავშირებდა (ვრცლად იხ.: ჭილაშვილი 2004; კუჭუხიძე 2010: 176-186). საგულისხმოა, რომ 2015 წელს კასპის რაიონში, გრაკლიანის გორაზე მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების დროს (ხელმძღვანელი პროფესორი ვახტანგ ლიჩელი) ძვ.წ. მეშვიდე საუკუნის ტაძრის საკურთხეველში მიკვლეული წარწერები საბოლოო მეცნიერული შეფასების მიცემამდე იქცა სენსაციად, ჩათვალა რა ქართული დამწერლობის უძველეს ნიმუშებად. ქართული ანბანისა და მწერლობისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე მიუთითებს მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში: თეიმურაზ პირველის, არჩილის, ვახტანგ მეექვსის, დავით გურამიშვილის, თეიმურაზ მეორის, ბესიკის და სხვათა გატაცება აკროსტიქული (კიდურწერილობა) ჟანრით.



და სახარებასა შინა ქართულსა, ხოლო, თავსა მათედსა წილი ზის, რომელ ასოდ არს. და იტყვს ყოვლად ოთხ ათასსა მარაგსა, – და ესე არს ოთხი დღედ და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთვის მისთანავე დაფლული სიკუდილითა ნათლისღებისა მისისაითა.

და ესე ენად შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალიდა დაწუნებული – მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა.

და სასწაულად ესე აქუს: ას-ოთხი წელი უმეტესს სხუათა ენათა ქრისტემს მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე.

და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამებ წარმოგიტხარ, ას-ოთხი ესე წელი, და წილი ანბანისაჲ (ზოსიმე 1991: 15-16).

იოანე ზოსიმეს, მერჩულესაგან განსხვავებით, რომელიც ლინგვისტურ იდენტობას აიგივებს ერთგვარ ეთნიკურ და ტერიტორიულ მნიშვნელობასთან, ქართული ენის საკრალიზებით, მისი სტატუსი განსაკუთრებულ რანგში აჰყავს. ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის რელიგიურ მოვლენასთან ქართული ენის დაკავშირებით, ის ხაზს უსვამს არა მხოლოდ ქართული ენის განსაკუთრებულ მდგომარეობას, არამედ იმ კოლექტივის განსაკუთრებულ მისიასაც, რომელისთვისაც ის გახლავთ მშობლიური ენა.

გიორგი მერჩულეს ფორმულას პრაქტიკულად ზუსტად იმეორებს ლეონტი მროველიც „და ესე ფარნავაზ იყო მეფე პირველი ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განა|ვრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა“ (მროველი 1955ბ: 26).

ქართული ენის ფლობა, რომ ქართული იდენტობის ტოლფასი მნიშვნელობისა იყო, ამაზე უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერებიც მიუთითებენ. მეჩვიდმეტე საუკუნეში, იტალიელი მისიონერი ლამბერტი, მეგრელების დახასიათებისას წერდა, რომ

მართლაც, მეგრელები იმდენად უმეცარნი არიან, რომ მათ შორის არავის არ ესმის ის ქართული წიგნები, რომელიც დაწერილია მათის ნამდვილის ძველებურის და

წმინდა ენით. ამ ენისაგან მათი მდაბიური ენა ისე განირჩევა, როგორც ჩვენი მდაბიური, ლათინურიდან განირჩევა (ლემბერტი 2011: 185).

მეცხრამეტე საუკუნის, მეორე ცნობილი ფრანგი მოგზაური შარდენი აღნიშნავს, რომ „კოლხების (მეგრელების) ენა წარმოსდგება იბერიულისაგან ანუ ქართულიდან...“ (შარდენი 1975: 123).

მეცხრამეტე საუკუნეშიც მოგზაურები, როდესაც ახასიათებენ ქართულ ერთობას, ქართველობის ერთ-ერთ უმთავრეს მარკერად საერთო ენის ქონას ასახელებენ: „მეგრელები, იმერლები და ქართველები ერთი და იგივე ხალხის ჩამომავლები არიან, ოღონდ ერთი ენის სხვადასხვა დიალექტზე ლაპარაკობენ“ (სპენსერი 1981: 144).

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, კულტურულ მოძრაობაში ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა გახლდათ ქართული ენის დაცვა. სწორედ ეს იყო მიზეზი სპარსული ლიტერატურული სტილის, რომელსაც ასე ეტროფოდა თეიმურაზ პირველი, დაგმობისა (კეკელიძე 1952: 28-29; ვრცლად იხ.: გუგუშვილი 1981).

თუკი არჩილისათვის და მისი თანამედროვეებისათვის, *ანბანთქებანი* ავსებდნენ ანბანის დაუფლების მსურველთა მოთხოვნილებებს, მეთვრამეტე საუკუნის დადგომისთანავე სტამბის დაარსების შემდეგ ნათელი ხდება, რომ საჭირო იყო უფრო კომპლექსური მიდგომა. ნიკიფორე ირბახის შემდეგ, რომლის მონაწილეობითაც, როგორც აღვნიშნეთ, იტალიელი და ზოგადად ევროპელი მისიონერებისათვის შეიქმნა იტალიურ-ქართული ლექსიკონი,<sup>18</sup> სულხან-საბა ორბელიანი იყო პირველი, ვინც ქართული ენის განმარტებითი სახელმძღვანელო დაწერა.

მიზეზთა შორის, რომელმაც ორბელიანი აიძულა ხელი მოეკიდა ასეთი შრომატევადი საქმისათვის, ავტორი, გარდა იმისა, რომ ასახელებს მსგავსი ქართული ლექსიკონის არ არსებობის ფაქტს, მიუთითებს ქართული ენის მოვლისა და დაცვის აუცილებლობაზეც (ორბელიანი 1991: 27-28).

---

<sup>18</sup> ქართულ-ჰოლანდიური ცხრაას სიტყვიანი ლექსიკონი, ნიკოლაას ვიტსენტან ერთად შეუქმნია ალექსანდრე ბატონიშვილს (ვათეიშვილი 2014: 461-500).

ქართული ენის სტატუსი მისი მნიშვნელობა მეთვრამეტე საუკუნის მომდევნო პერიოდებში, კულტურული მოძრაობის განვითარების პარალელურად სულ უფრო და უფრო იზრდება. ვახუშტი აღწერა სამეფოსა საქართველოსაში ქართველობის ერთ-ერთ უმთავრეს მსაზღვრელად სხვა ფაქტორებთან ერთად ასახელებს ქართულ ენასაც (ბაგრატიონი 1973: 291-292). როდესაც ის, ენის მიხედვით ახდენს ქართული ერთობის წევრთა მარკირებას, დამატებით განმარტავს, რომ მეგრელები და სვანები ამ ნიშნის მიხედვით ერთიანი ქართული ოჯახის ისტორიული და განუყოფელი ნაწილები არიან (ბაგრატიონი 1973: 783, 788). ფაქტია, რომ საქართველოს მეგრულ და სვანურ მოსახლეობაში ქართულ ენაზე მეტყველების პრობლემა არ იდგა. ენობრივი მარკერის გამკვეთრება, ერთგვარი ენობრივი სენტიმენტების გაღვივება, კულტურის იმ პოლიტიკის ნაწილი იყო, რომელიც წინაპართა მემკვიდრეობის დაცვის სურვილით მუხტავდა ინტელექტუალურ ელიტას.

ეთნო-კულტურული მობილიზების იმ ეტაპზე, სრულიად ბუნებრივი იყო, პირველ რიგში, სწორედ იმ ნიშნების გამკვეთრება, რომელთა მიხედვითაც ქართული ერთობის განსხვავებულობა *სხვებისაგან* ყველასთვის ნათელი იქნებოდა. ასეთი მოქმედება სრულიად შეესაბამება დემოტური *ეთნის* სტრატეგიას. მეგრელებისა და სვანების ქართველობის განმარტება ვახუშტის იმისათვის დასჭირდა, რომ თავიდან აეცილებინა გაუგებრობა, რომელიც მკითხველში მისი ენობრივი კონცეფციის გააზრებისას შეიძლება გაჩენილიყო სვანური და მეგრული ენების არსებობის გამო.

ვახუშტი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მეგრელებისა და სვანებისაგან განსხვავებით, აფხაზები და ოსები ქართულ ენობრივ და კულტურულ სივრცეს არ განეკუთვნებოდნენ. ხაზს უსვამს იმასაც, რომ აფხაზებს: „ენა საკუთარი თვისი აქუსთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული“ (ბაგრატიონი 1973: 639, 786). ოსებთან დაკავშირებით კი შემდეგს: „ვიეთა მოთავეთა და ქართლსა და რაჭას მსვლელთა უწყიან ქართულნი...“ (ბაგრატიონი 1973: 639). აფხაზური ჯგუფის ქართული ერთობის ნაწილად არმოაზრების შესახებ, უფრო ადრეულ მაგალითს ვხვდებით სულხან-საბა ორბელიანის *მოგზაურობაში*. 1715 წელს ევროპიდან მობრუნებულ სულხან-საბას გზად უნახავს ქართველი ტყვეები, მათ შორის

აფხაზებიც, რომლებიც მისდა გასაკვირად ქართულის მცოდნენი აღმოჩნდნენ (ორბელიანი 2013: 321).

მეთვრამეტე საუკუნის შუა პერიოდიდან მოყოლებული ქართველ ინტელექტუალთა დამოკიდებულება ენისადმი გულისხმობდა, ენის წარმოდგენას არა მხოლოდ ეთნო-კულტურული გამაერთიანებლის, როლში ხარისხობრივად ახალ სიმაღლეზე აყვანის ფუნქციასაც აკისრებდა მას. 1753 წელს ანტონის მიერ შექმნილი ქართული *დრამატიკის* სახელმძღვანელო იყო პირველი სრული ვერსია ქართული გრამატიკისა (ქაროსანიძე 1998: 86)

ვინაიდან მოქმედებად ჩუწნი და შრომად აწინდელი არს, რათა კარისა მიმართა სიბრძნისა გზად იყოსმცა სლჳსა ჩუწნისა, არ შემაცდომელ ანუ დასაბრკოლებელ, ხოლო ხელოვნებად ესე წინა-მდებარე, ვინაიდაგან არს შემძლებლობა მართლ-უბნობად და წესიერ წერად, და არა რად მოყუარება სიბრძნისა, იქმნების თჳნიერ მართლ-უბნობისა ანუ წესიერ წერისა... მაშა სადამე დრამატიკად, თჳნიერ იჳჳსა, არს კარი სიბრძნისა (ანტონი 1885: 1).

ანტონი იქვე თავად აკონკრეტებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალის შესახებ:

ერთგონება განაშუჭუნებს სიბრძნესა, ხოლო ერთ-გონიერებად ძმათა ერთისა სარწმუნოებისად და ერთისა სასოებად, და სიყვარულისად მოგჳყუანებს, რომლისა კიდე ზიარებად ღუთისად ვერ შემძლებელ-არს თჳნიერ სიბრძნისა მოგებისა, რომლითამცა სხჳთ რადთმე მოიგების უჳკეთუ ერთ სიბრძნითვე“ (ანტონი 1885: 1).

როგორც თავად წერს მას ამ ტექსტის შექმნისას ენის დაცვისა და მისი განვითარების მიზანი ამოძრავებდა. სწორედ ამიტომ გამოუცია მეორედ აღნიშული სახელმძღვანელო (ანტონი 1885: 1-2).

მისთვის ეს საქმე, რომ უმნიშვნელოვანესი იყო, ჩანს იქედანაც, რომ *წყობილსიტყვაობაში*, რომელიც რელიგიური შინაარსის ძეგლია, მანამ სანამ მკითხველს მოუთხოვს ქართველ წმინდან მეფეებზე, იხსენიებს ფარნავაზს. მიზეზს იქვე განმარტავს და წერს: „თუ ბარბაროსთა მივერჩდე ქება-სტიხით,/ ჰვამს მაშინ ქებად ფარნავაზ მეფე დიდი,/ ვინ ქართულებრსა შეეწია ენასა,/ სუფთა ქმნით, წმედით აუხუ-ალამაზ-ლექსნა/ და მეფობითნი სჯულნი დასდენა საქებელ“ (ბაგრატიონი 1980ბ: 233). როგორც მისი *გრამატიკიდან* ჩანს ანტონის ენასა და რელიგიას ერთ სიბრტყეში, ერთმანეთის ფარდ და პრაქტიკულად იგივეობრივი მნიშვნელობის საკითხებად განიხილავდა (ანტონი 1997: 8). მისი დამოკიდებულება იმითაც იყო გამორჩეული, რომ მან სავალდებულო გახადა გრამატიკული წესების დაცვა და გამოყენება წერისას (იოსელიანი 1990: 224).

ანტონი თავისი გრამატიკის პირველ გამოცემაში, ამუშავებს ე.წ. *სამი სტილის* თეორიას. მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა ამ კუთხით. ზოგი თვლის, რომ ამითი ხელი შეემალა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებას, ზოგს კი, პირიქით მიაჩნია. ჩვენი მიზანი ამ დისკუსიაში შესვლა არაა, სათანადო ლიტერატურაში კარგად ჩანს აღნიშნული (ბაბუნაშვილი 1970: 231-238; ქაროსანიძე 1998: 84-86; ბაბუნაშვილი, უთურგაძე 1991: 5-10). ჩვენ ყურადღების გამახვილება გვსურს იმ გარემოების შესახებ, რომ ანტონის დაინტერესება *სამი სტილის* თეორიით, ერთი მხრივ, ქართული საეკლესიო ტრადიციების დაცვისა და ბერძნული ფილოსოფიით იყო შთაგონებული, მეორე მხრივ კი, ეს იყო მცდელობა ერთგვარი ენობრივი მეხსიერების შენარჩუნებისა, რაც სავსებით შეესაბამებოდა ეთნო-კულტურული მობილიზების ამოცანებს. მნიშვნელოვანია, რომ „ანტონმა დაიწყო ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაცია ხალხური მეტყველების ფორმათა გაბედული გამოყენებით სათანადო პარადიგმებში“ (ბაბუნაშვილი, უთურგაძე 1991: 78). საგულისხმოა ისიც, რომ ანტონი მისივე *გრამატიკის* მეორე რედაქციაში საერთოდ აღარ ეხება *სამის სტილის* თეორიას (ბაბუნაშვილი, უთურგაძე 1991: 7).

ენობრივ საკითხზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მეთვრამეტე საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული ანტონის მიერ ენის კოდიფიკაციით, მისი სამობილიზაციო შესაძლებლობები იზრდება, ხდება ენის გახალხურება/დემოკრატიზაცია. ენის,

როგორც ეთნიკური მეხსიერების მატარებელის უნიფიკაცია ეთნო-კულტურული მოძრაობის ორგანიზებულობაზე მიუთითებს. სხვა ფაქტორებთან ერთად ვთვლით, რომ ენის ამგვარი პოზიციიდან წარმოდგენა მოასწავებდა ეთნო-კულტურული მოძრაობის დაახლოებას ნაციონალისტური დღის წესრიგის ფორმირებასთან.

1749 წელს, ერეკლე მეორისა და ანტონ პირველის თაოსნობით აღდგენილი სტამბისა (იოსელიანი 1990: 233) და ანტონის მიერ ქართული ენის კოდიფიცირების შემდეგ, დღის წესრიგში ლოგიკურად დგება ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბების საკითხიც.

### § 2.3 საგანმანათლებლო სისტემის ფორმირება

მეთვრამეტე საუკუნეში, კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობის ძირითად ამოცანებს შორის სტამბისა და მასთან დაკავშირებული საქმიანობის, ენის კოდიფიცირებისათვის ზრუნვასთან ერთად, განათლების სისტემის ჩამოყალიბება იყო. საგანმანათლებლო სისტემის ფორმირება და სასწავლო პროცესის ერთიანი სტანდარტის მიხედვით ორგანიზების მიზანი იყო მოეცვა მთელი ქართული საზოგადოება განურჩევლად წოდებისა და სოციალური მდგომარეობისა (როგავა 1950: 15-18).

მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე და მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეთა შემოქმედებითი საქმიანობა განათლების მიღებას, მისი მნიშვნელობის ხაზგასმასა და ახალგაზრდობისათვის შესაბამისი ლიტერატურის შექმნას გულისხმობდა. ასეთი შეფასება ეხება, როგორც საერო, ისე სასულიერო პირთა შემოქმედებით საქმიანობასაც.<sup>19</sup> საეკლესიო დანიშნულების წიგნთა დიდი ნაწილი სწორედ საგანმანათლებლო ფუნქციას ითავსებდა. მათ მიზნებში შედიოდა წერისა და კითხვისათვის საჭირო უნარების გამომუშავება და ა.შ.

განუზომლად დიდია, მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეთა წვლილი იმაში, რომ ერეკლე მეორემ და ანტონ პირველმა შეძლეს საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბება; გარდა იმისა, რომ მათ, ვგულისხმობთ

---

<sup>19</sup> მაგალითად იხ.: არჩილის *საქართველოს ზნეობანი*, დავით გურამიშვილის სწავლა მოსწავლეთა და სულხან-საბა ორბელიანის *სიბრძნე სიცრუისა* და სხვები.

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში სასკოლო საქმის მოთავეებს, უკვე ჰქონდათ კონკრეტული სახელმძღვანელოები, სწავლა-აღზრდის საქმის ორგანიზების საწყისი ეტაპისათვის საჭირო სათანადოდ გამართული ტექსტები, წინამორბედებისაგან სწავლების მეთოდების შესახებაც გააჩნდათ (მაგ., არჩილისა და სულხან-საბას თვალსაზრისები სწავლა-აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით და ა.შ.) მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა, კარგად დამუშავებული კონცეფციების სახით (ლორთქიფანიძე 1962: 30-31).

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ვსაუბროთ საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბებაზე, მის ორგანიზაციაზე, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ანტონ კათალიკოსის პიროვნებას, როგორც საჯარო განათლების თანამედროვე კონცეფციასთან მიახლოებული სისტემის ორგანიზატორსა და სულის ჩამდგმელს.

ანტონის ფილოსოფიურ-რაციონალისტური მსოფლგაგებით, ახალი ქვეყნის წარმოქმნა შეუძლებელი იყო საზოგადოების გონებრივი განვითარების, განათლების საქმის მაღლა დაყენების გარეშე. მისი თვალსაზრისით, ადამიანთა გონება განსაზღვრავდა საზოგადოებრივ ყოფიერებას (როგავა 1950: 9).

როგორც ა. როგავა მიუთითებს ის „ფილოსოფიურ-რაციონალური მსოფლგაგების მატარებელი იყო და რაციონალისტურ ფილოსოფიასა და მეცნიერებას ავრცელებდა ჩვენში...“ (როგავა 1981: 4-5).

ანტონ პირველის მსოფლმხედველობა და დამოკიდებულება საზოგადო საქმიანობისადმი კარგად ჩანს მის შემოქმედებაში. ამქვეყნიურობის სიყვარულით გამსჭვალული ლირიკული ლექსები, რომლის მთავარი თემა ქალი და მისადმი ტრფიალი იყო, წარმოადგენს „მისი, როგორც ნიჭიერი პოეტისა და ფართო მსოფლმხედველობის მქონე პირის სახეს“ (როგავა 1981: 7-10). განსხვავებით სხვა სასულიერო პირებისაგან იგი აქტიურად ცდილობდა *ვეფხისტყაოსნის* პოპულარიზებას, შოთას კი უნიჭიერეს პოეტად და ფილოსოფოსად მიიჩნევდა (როგავა 1981: 27). წერდა და თარგმნიდა ფილოსოფიურ ნაწარმოებებსაც:

კატეხიზისი, ლუთის-მეტყველება ოთხ ტომად, 1780 წელს დაწერა კატილორია და ა.შ. (როგავა 1950: 40-41, 113-114).

როგორც ვთქვით, ანტონის მთელი შემოქმედება და მოღვაწეობა აჩვენებს, რომ ის განათლებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა (როგავა 1981: 22, 31, 32). ქრისტიანული კულტურის ათვისებასთან ერთად საქართველოს აღდგენისა და გამოხსნის ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობად, მეცნიერულ-ფილოსოფიური და საერო მხატვრული ლიტერატურული ჟანრის განვითარებასაც მიიჩნევდა. თვლიდა, რომ წარსული კულტურული მემკვიდრეობიდან ღირებული და პროგრესული მემკვიდრეობის ათვისების გზით უნდა შექმნილიყო ახალი საქართველო (როგავა 1981: 113-114).

ანტონი პრაქტიკულად ყველა ეტაპზე იღებდა მონაწილეობას საგანმანათლებლო საქმის ორგანიზებაში. ის გარდა იმისა, რომ თავადვე ასწავლიდა, ქმნიდა სასწავლო სახელმძღვანელოებსაც (როგავა 1950: 40-41).

როგორც აპოლონ როგავა მიუთითებს, ქართული განმანათლებლობის თავკაცების მიერ აქტიურად ხდებოდა განათლებული მონარქიზმის იდეის პროპაგანდა და, რომ მის წარმომადგენლებს მხოლოდ ამ გზით, განათლებული საზოგადოების ძალისხმევით, ესახებოდათ საქართველოს აღდგენა-გაერთიანება (როგავა 1981: 32; როგავა 1950: 18). თუმცა, მეორე მხრივ, კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობის გამოკვეთილი მიზანი, რაც მასში საზოგადოების ფართო ფენების ჩართვას გულისხმობდა, ამ მოძრაობას დემოკრატიზმისათვის დამახასიათებელი სულისკვეთებით მუხტავდა. განათლებული საზოგადოების იდეა, მართალია, პირდაპირი მნიშვნელობით არ იყო განათლებული მონარქიზმის საწინააღმდეგო, მაგრამ პროცესების განვითარებისათვის რეალურ და ძლიერ ალტერნატიულ შესაძლებლობას წარმოადგენდა.

ერეკლესათვის, როგორც განათლებული პიროვნებისათვის, შექმნილი მძიმე ვითარებიდან გამოსავალი ქვეყნის ძირეული, თუნდაც დემოკრატიული პროცესების განვითარებისათვის ხელისშეწყობის გზით გარდაქმნა იყო. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ერეკლე მეორესა და კათოლიკოს ანტონს შორის როგორც პოლიტიკურ, ისე საზოგადოებრივ საკითხებშიც სრული ურთიერთგაგება იყო.



სწორედ ამიტომ ყოველი მათი წამოწყებული საქმე, მათ შორის: „სახალხო განათლების განვითარების საქმე წარმატებით მიმდინარეობდა და არისტოკრატის მოწინავე ნაწილი, სასულიერო წრე და ნაწილობრივ დაბალი წოდებაც შეძლებისდაგვარად ეტანებოდა ამ დარგს“ (როგავა 1950: 15-16).

ანტონი თავის ფილოსოფიის წინასიტყვაობაში წერდა, რომ „...თვინიერ სწავლისა ვერავინ ჰპოვოს სიბრძნეი. კმა არს შურითა შეუჭმელთა და სიმართლის-მუყუარეთა მიმართ სიბრძნის სწავლებით მოგებისათვის მტკიცედ დამტკიცებულნი ჩემნი ზემოთქმულნი“ (როგავა 1950: 16). როგორც აღვნიშნეთ, მისთვის გონების განვითარება უმთავრესი მონაპოვარი იყო საზოგადოებრივი განვითარების თავლსაზრისით.

ის და მისი თანამოაზრეები საზოგადოების საყოველთაო განათლების გარეშე არათუ კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებასაც წარმოუდგენლად თვლიდნენ (როგავა 1950: 18). ამ კუთხით საინტერესო ფაქტია ერეკლე მეორის მიერ შემოღებული კანონი, რომელიც ობლად დარჩენილი ბავშვის, მეურვეს მისთვის პირველ რიგში განათლების მიცემის ვალდებულებას აკისრებდა (როგავა 1950: 18).

ერეკლე მეორემ და ანტონ პირველმა შექმნეს ორსაფეხურიანი საგანმანათლებლო სისტემა: პირველდაწყებითი და საშუალო სკოლები (კეკელიძე 1958: 315). 1755 წელს დაარსეს თბილისის სემინარია, სადაც რექტორებად სხვადასხვა დროს იყვნენ ფილიპე ყაითმაზაშვილი და იოანე ოსოს ძე. 1758 წელს თელავის სასახლეში გახსნეს ფილოსოფიური სკოლა, რომლის ბაზაზეც მოგვიანებით 1782 წელს ამოქმედდა სემინარიაც. ამ სასწავლებლის რექტორები სხვადასხვა დროს იყვნენ: გაიოზი და დავით რექტორები (როგავა 1950: 26-26; იოსელიანი 1990: 373-374). საგულისხმოა, რომ „სემინარიებში განათლებას დაბალი სოციალური წრის გლეხების, ხელოსნების, ვაჭრების შვილებიც იღებდნენ“ (როგავა 1950: 75-76,84). როგორც მკვლევრები მიუთითებენ სახელმწიფო სკოლების გარდა კერძო და ნახევრად კერძო ტიპის სასწავლებლებიც ფუნქციონირებდნენ: სიონის, კალაუბნის, ქაშუეთის, ანჩისხატის, ნეკრესის სკოლები და. ა.შ. მათი არსებობა მთლიანად შემოწირულობებზე იყო დამოკიდებული (როგავა 1950: 61). ფართოდ გამოიყენებოდა

კერძო მასწავლებლის აყვანის პრაქტიკაც, რომლებიც ბავშვებს ამზადებდნენ სემინარიაში სწავლის გასაგრძელებლად (როგავა 1950: 87-88). ამ საქმის ორგანიზება შეუძლებელი იქნებოდა კარგად ჩამოყალიბებული ერთიანი სასწავლო სტანდარტისა (სასკოლო პროგრამის) და სახელმძღვანელოების არსებობის გარეშე.

ალექსანდრე გარსევანიშვილი 1895 წელს კვალში გამოქვეყნებულ სტატიაში მკითხველს მოუთხოვდა ერეკლე მეორის დროს უმაღლესი სასწავლებლის გახსნის პროექტის არსებობის შესახებ (გარსევანიშვილი: 1895: 13-15). დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ გიორგი ერეკლეს ძის მეფობის დროს მისთვის მისივე შვილს იოანე ბატონიშვილს შეუთავაზებია, რეფორმების პაკეტი, რომელიც ითვალისწინებდა თბილისში, გორსა და თელავში უმაღლესი სასწავლებლების გახსნას, რაზეც გიორგის თანხმობაც განუცხადებია, თუმცა რუსეთთან შეერთების გამო ეს პროექტი ვერ განხორციელდა (როგავა 1950: 110; კეკელიძე, ბარამიძე 1987: 35). იოანე ბატონიშვილის პროექტის თანახმად უნდა გახსნილიყო ბიბლიოთეკები, მოწყობილიყო არქივები (ბაგრატიონი 1957: 56-57). სამწუხაროდ დამატებითი წყაროები, რომლებიც ზუსტ წარმოდგენას შეგვიქნიდნენ იმის შესახებ თუ როგორ ესახებოდათ უმაღლესი განათლების ორგანიზება უფრო კონკრეტულად, არ მოგვეპოვება. თუმცა, მოცემული ვითარების გათვალისწინებით მსგავსი პროექტის არსებობა მიმდინარე საგანმანათლებლო პოლიტიკის ნაწილად სრულიად ბუნებრივად მოსჩანს.

გარდა ადგილობრივი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა ქართველებს განათლების მიღება შეეძლოთ საზღვარგარეთაც. ფრანგული მისიონის თავდაუზოგავი მუშაობის შედეგად ქართველი ახალგაზრდები აქტიურად იგზავნებოდნენ ევროპაში განათლების მისაღებად. 1702 წელს იტალიაში გაგზავნილი წერილი, რომელიც ეხება ქართველი ახალგაზრდის რომში სასწავლებლად გამგზავრებას, თბილისის მისიონში ადგილების უქონლობის გამო, განათლების მიღებისადმი დიდ ინტერესზე მიუთითებს (თამარაშვილი 1902: 305). 1723 წლით თარიღდება გორელი ტულუკაანთ დავითის ჩასვლა რომის კოლეგიაში, რომელსაც 1734 წელს ფილოსოფიაში დაუცავს ხარისხი. მასვე დაუწერია ქართული *კატეხიზმო* (თამარაშვილი 1902: 343). 1728 წელს დაცული ცნობიდან ჩანს, რომ რომში

ორი ქართველი ახალგაზრდა გამგზავრებულა და ა. შ. ამგვარი შინაარსის საბუთები მრავლია.

საჯარო განათლების სისტემის ჩამოყალიბება და არაფორმალურიდან ფორმალური განათლებისაკენ სწრაფვა, ინდუსტრიული საზოგადოებებისათვისაა დამახასიათებელი (კალჭუნი, ლაითი და სხვები 2008: 494). თუმცა ობიექტურად მაშინდელი ქართული ეკონომიკა საწარმოო ძალთა განვითარების თვალსაზრისით დასავლურ ტემპებს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა, კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობისა და ერეკლეს ქვეყნის მოდერნიზების პოლიტიკის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე, მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში არსებული სურათი სწორედ ამ გადასახედიდან უნდა გავიაზროთ.

იმ ისტორიული წინაპირობების გათვალისწინებით, რომელიც შეიქმნა მეჩვიდმეტე საუკუნეში, კულტურული მოძრაობის ცენტრში მედიევალური ისტორიისა და ლიტერატურის დაყენება, სტამბის დაარსება, ენის კოდიფიკაცია, საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბება და ის გარემოება, რომ აღნიშული აქტივობები აღბეჭდილი იყო დემოკრატიზმის ნიშნებით, გვაფიქრებინებს, რომ მეთვრამეტე საუკუნის შუა პერიოდისათვის, ეთნო-კულტურული მობილიზების პროცესმა შეიძინა ნაციონალისტური ხასიათი. მიუხედავად იმისა, რომ რთული და პრაქტიკულად, შეუძლებელია, გავარკვიოთ თუ რამდენად მოიცავდა ქართლ-კახეთში მიმდინარე პროცესი ქართულ კოლექტიურ კულტურულ ერთობას მთლიანად, ზემოთ ხსენებული რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ განათლების მიღებას, ნათლად აჩვენებს, რომ სახელმწიფო სკოლების ფორმირებას ერეკლე მეორის დროს ჰქონდა სახალხო ხასიათი და შეიძლება ითქვას, რომ ხელს უწყობდა ერთიანი ინტელექტუალური სივრცის ორგანიზებას. ქართული *ეთნის* მობილიზებასთან ერთად ამ მოძრაობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იყო, იმ ტიპის საჯარო სივრცის ორგანიზება, რომლის განვითარებასაც ამავე დროს პოლიტიკური თვალსაზრისითაც ექნებოდა პოტენციალი.

კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობის გარეგნული მხარეების მიმოხილვის შემდეგ, რომელიც აუცილებელი იყო იმისათვის, რომ დაგვედგინა ამ მოძრაობის მასშტაბი და მიზანდასახულობა, ქვემოთ ვეცდებით, ქართული *ეთნის*

განვითარება წარმოვადგინოთ კოლექტიური მესიერების, რელიგიის, სამშობლო ტერიტორიისა და მნიშვნელოვანი *სხვების* პერსპექტივიდან.

### თავი III. კოლექტიური მეხსიერების საკითხი

*ჩვენ-ჯგუფის* შენახვასა და მის წევრებს შორის სოლიდარობის გრძნობას უზრუნველყოფს მრავალფეროვან სიმბოლოთა ჯაჭვი, რომელიც, თავის მხრივ, კოლექტიური მეხსიერების საშუალებით ინახება და გადაეცემა თაობიდან თაობას. ამ აზრით კოლექტიური კულტურული იდენტობა და მეხსიერება პრაქტიკულად ერთი და იგივეა. მშობლიურ ენაზე შექმნილი საისტორიო მწერლობა, როგორც მედია, განსაკუთრებულ ფუნქციას ასრულებს და, შეიძლება ითქვას, განსზაღვრავს კიდევ კოლექტიური მახსოვრობის ფორმას. ისტორიული მეხსიერების ფუნქციაა აწმყოში აღადგინოს წარსულის სახეები და უზრუნველყოს „საკუთარი თავის შეცნობა დროსა და სივრცეში“ (კვაჭანტირაძე 2008: 90). ვახტანგ მეექვსის მიერ სწავლული კაცების კომისიის შექმნა სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. ახალი მოცემულობის გათვალისწინებით, ვახუშტი მათი საქმიანობის შედეგებს არადაამაკმაყოფილებლად მიიჩნევს და მოგვიანებით თავად წერს საისტორიო-გეოგრაფიულ გამოკვლევას *აღწერა სამეფოს საქართველოსას*, სადაც საგანგებოდ განმარტავს ისტორიული მეხსიერების მნიშვნელობის შესახებ, ერთობის კონცეპტუალიზების თვალსაზრისით.

#### § 3.1 საერთო წარმომავლობის მითი

როგორც მივუთითეთ: „მეთვრამეტე საუკუნის საქართველოში ძველი ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და გამოყენების საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა“ (როგავა 1950: 31).

მდიდარი ისტორიული წარსულის გამოზმეურებამ, ერის ნაიარევ სხეულს უკვდავების მალამო მოსცხო, ნათელი მოჰფინა ჩვენს მომავალს, და მისადმი რწმენა განამტკიცა, გამოაფხიზლა, აღაფრთოვანა, სული ჩაუდგა ადამიანებს, ახალი ღონე შეჰმატა და სამკვდრო-საციცოცხლო ბრძოლისათვის დარაზმა (ლორთქიფანიძე 1962: 23).

მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული და მთელი მეთვრამეტე საუკუნის განმავლობაში ქართული კულტურული ელიტის მიზანს, საერთო ისტორიული წარსულის ხაზგასმა, კოლექტიური მეხსიერების ხატებისა და საერთო ღირებულებათა სისტემის გარშემო ქართული ერთობის კონცენტრირება წარმოადგენდა. როგორც ვთქვით, სწორედ, ასეთი იყო საუკუნის დასაწყისში ვახტანგ მეექვსის მიერ ე.წ. *სწავლული კაცების კომისიის* შექმნის მიზანიც. ამ საქმის გამგრძელებელი იყო ვახუშტი ბაგრატიონი:

ხოლო ჩუენი შრომა ესე ამისათვის იყო, ვინაფთგან მეფეს ვახტანგის სახელით აღეწერათ და ვიხილეთ ესოდენნი წინააღმდეგნი და უსწორებლობანი, ესენი განვასწორენით და განვამართლეთ მოწმობითა ზეით თქმულითა, რათა არავინ თქუას მხილველმან ამისმან შეურაცხება რაჲმე (ბაგრატიონი 1973: 304).

*სწავლული კაცებიც* და ვახუშტიც ახალი ქართლის ცხოვრების შექმნას კი არ იწყებენ, არამედ აგრძელებენ საქართველოს ისტორიის წერის ტრადიციას, რომელსაც საფუძველი ღრმა წარსულში ჩაეყარა. ვახუშტი *აღწერა სამეფოსა საქართველოსას* შესავალშივე — *მკითხველთათვის სიტყუა რაჲსათვის არს შრომა ესე*, ხაზს უსვამს საისტორიო მწერლობის, როგორც კოლექტიური მახსოვრობის შემნახველ ფუნქციას, მისი შექმნის აუცილებლობას:

არამედ რაისგანმე არს ესოდენი კეთილი, გარნა არს არა თუ ვსოვნისაგან, არამედ ვსოვნაცა ესე წარწყმდეს სამისა ანუ ოთხისა და უფროს ხუთისამდე ნათესავისა, და ამისათვის ვიხილავთ უმჯობესად წერილთა, რომელი გვასწავებს სიბრძნეთა წინათქმულთა და მოგვაკსენებს დასაბამითგანთა წამთა, ჟამთა, თთუეთა და წელიწადთა, და საუკუნოთა, კუალად უმეტესთაცა, და არა წარწყმდების, არამედ ჰგიეს უკუნისამდე (ბაგრატიონი 1973: 2).

კარგად ჩანს, რომ ვახუშტის მიზანს ამ შემთხვევაში წარმოადგენს ისეთი ნაწარმოების შექმნა, რომელიც ინდივიდებს შორის არსებული ყოფითი

კომინიკაციური მეხსიერების მიღმა, უზრუნველყოფდა კოლექტიური, საერთო და ხანგრძლივი ისტორიული მეხსიერების შენარჩუნებას. მომდევნო აზნაგში ვახუშტი უფრო კონკრეტულად განმარტავს თავისი სიტყვების მნიშვნელობას: „კუალად მატთანე მოგვაკსენებს ქმნულეზასა და ყოფათა მეფეთა, მთავართა და დიდებულთა, ვიდრე მცირედმდე და ვითარებასა მათთა, განგვაშორებს ბოროტსა და შეგვრთავს კეთილსა“ (ბაგრატიონი 1973: 3).

ციტატიდან ჩანს, რომ ვახუშტისათვის წინაპრების შესახებ ცოდნა, გარდა იმისა, რომ ერთობის წარსულთან კავშირის, ანუ მისი არსებობის საფუძვლის ისტორიული სიღრმის მოწმობაა, წარმოადგენს წინაპრობას აწმყოში კეთილდღეობისათვისაც. ისტორიული მეხსიერების უწყვეტობა განსაზღვრავს ერთობის არსებობას აწმყოსა და მომავალშიც. საკუთარი განსაკუთრებულობისა და ამის გამო საერთო ბედისწერის გარკვეულ ისტორიულ კანონზომიერებად წარმოადგენა, ერთობის სიმტკიცის გასაღებია.

წარსულის ხსოვნა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მასში ხედავს ის ჭეშმარიტებასა და სიმართლეს:

მატიანე მოგვაკსენებს დასაბამითგანსა ჟამსა, წელსა და საუკუნოსა; მატთანე განარჩევს კეთილსა და ბოროტსა; მატთანე აღამაღლებს კეთილის ქმნულეზასა და გმობს უკეთურთ ქმნულეზასა, მატთანე მეტყუელებს ჭეშმარიტსა და არა სცბის, და მოწმობს სხუათა და სხუათა; მატთანე განამკნობს კაცსა და ერთგულ ჰყოფს ქუეყნისად; მატთანე აცნობებს ნათესავთ–ჩამომავლობასა, და დასდებს თავსა სარწმუნოებისათვს, და მოყუარულ ჰყოფს მოყუასსა მოყუსისა მიმართ (ბაგრატიონი 1973: 4).

ვახუშტი ამ ციტატაში მოკლედ, მაგრამ ძალიან ზუსტად განმარტავს ისტორიისა და ისტორიული ნაწარმოების შექმნის აუცილებლობას შიდაჯგუფური კავშირების განმტკიცებისათვის. მისთვის წარსულის ხატების რეპრეზენტაცია, საკუთარი ვინაობის გახსენებას უდრის. ისტორიული ტექსტი კი, ერთგვარი საკრალური მნიშვნელობის ობიექტია, რომელსაც ძალუმს ერთობას ამცნოს

ჭეშმარიტება. პირველივე თავში – *ზნენი და ჩუეულეზანი საქართველოსანი*, ქართული ერთობის წევრებს ახსენებს ისეთ მომენტებს, როგორცაა გმირი წინაპრები, საერთო რელიგიური, ტერიტორიული, პოლიტიკური და კულტურული წარსული.

ვახუშტი მიუხედავად იმისა, რომ შუასაუკუნეებისაგან განსხვავებით უფრო ახლებური მსოფლმხედველობის მატარებელია, *ზნენი და ჩუეულეზანი საქართველოსანის* შესახებ საუბრისას მკითხველს ახსენებს სამყაროსა და ადამიანის შექმნის და, რაც მთავარია, ქართველთა წარმოშობის ბიბლიურ ვერსიას. ვახუშტი, რომელიც აღიარებდა საერო ანუ სამოქალაქო ისტორიის შექმნის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, ამ ხერხით, ცდილობდა არსებულ საისტორიო ტრადიციასთან კავშირის შენარჩუნებას და ქართული ერთობის ერთიან ორგანიზმად ყოფნის იდეის ისტორიულობის მხარდაჭერას. აწმყოდან სიმძიმის ცენტრის გადატანა წარსულზე საუკეთესო და ლოგიკური გამოსავალიც იყო პოლიტიკური დეცენტრალიზაციის პირობებში.

მისი კონცეფციის თანახმად პოლიტიკურზე უფრო მნიშვნელოვანი კულტურულ–ისტორიული ერთიანობის შენარჩუნება და საერთო ღირებულებათა სისტემის აღიარებაა:

გარნა თუ მრავალ მთავარ იყვნენ და ოდესმე განდგიან თვს–თვსად, გარნა მარადის გარე მტერთთა თვსთა ზედა ერთობდნენ და მორჩილებდნენ მცხეთელ მამასახლისსა და, შეერთბამებულნი თვსთა ქვეყნისათვის მკნედ იბრძოდნან (ბაგრატიონი 1973: 15).

მიუხედავად იმისა, რომ ქართლოსის მემკვიდრეები დამოუკიდებლად განაგრძობენ ცხოვრებას:

სარწმუნოება მათი იყო ერთისა დამბადებელისა ღვთისა თაყვანისცემა, და ფუცვიდიან ქართლოსის საფლავსა. ზნენი აქუნდათ პირმტკიცობა, მტერთა ზედა



ერთობა, თავისუფლებისათვის მკნედ ბრძოლა, მაგრად დგომა მისთვის, ციხე-სიმაგრეთა და ქალაქთა შენება, მაგრება ქუეყანისა (ზაგრატიონი 1973: 15).

ვახუშტი გარკვეულ კომპრომისზეც მიდიოდა. ის მზად იყო შეგუებოდა პოლიტიკურ დაქსაქსულობას, თუ კი შენარჩუნებული იქნებოდა კულტურული ერთობა. მართალია, ვერ ვიტყვით, რომ მისი დამოკიდებულება ცალსახაა, მისთვის ისევე, როგორც მამამისისა და მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი მოღვაწეებისათვისაც კვლავაც მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკური ერთობა, თუმცა არსებული ვითარების გათვალისწინებით აქცენტს აკეთებს ისეთ ღირებულებებზე, რომლებსაც შეეძლოთ გამაერთიანებლის ფუნქცია ეკისრათ კონკრეტულ მომენტში.

ის ცდილობს მკითხველს მიაწოდოს ქართველთა ერთიანობის ფაქტი, როგორც გარდაუვალი ისტორიულ-კულტურული კანონზომიერება და თან შეძლებისდაგვარად შეახსენოს ერთიან სახელმწიფოდ ყოფნის პირობები:

...ჩვეულება აქუნდათა ერთისა მეფისა მორჩილება და სარწმუნოდ მის მიმართ ყოფა, და ჩამომავალთა და გუართა მეფეთა შემდგომად მისა გამეფებად, რამეთუ შემდგომად მისა ძე და არა სხუა გვარი, არცაღა თუ გამორჩევით; არავის მონებდნენ თვნიერ მათთა ანუ წულთაგან ანუ ასულთაგან, უკეთუ არა დაეტევის წული (ვითარცა იტყვს მაიჟან სპასპეტი, და იხილვების მატანესა ჩუენსა) (ზაგრატიონი 1973: 17).

ტრადიციების ერთგულების საკითხი გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ინდივიდის მიერ რომელიმე ერთობისათვის თავის მიკუთვნებისას. თუ პიროვნება არ იზიარებს კონკრეტული ჯგუფის ღირებულებს, ის, შესაბამისად, ვერ იქნება ამ ერთობის წევრი, მიუხედავად ჯგუფთან მისი გენეტიკური თუ ნათესაობრივი კავშირებისა. ვახუშტი გარკვეულ წინაპირობად წარმოადგენს ჯგუფის წევრობის, ანუ კონკრეტული კულტურული ღირებულებათა სისტემისადმი ინდივიდის პირადი დამოკიდებულების საკითხს:

ხოლო წესნი ესენი და ჩუეულებანი აქუნდათ, რომელნი ვთქვით, და განუხეთქელობისათჳს სამეფოსა მცდელობდნენ და, უკეთუ მიუღიან საზღვარნი თჳსნი, ყოველნი მწუხარებდენ და იჭირვოდნენ კუალად–გებასავე, და მეფეთა თჳსთა მიუდრეკელად ერთგულებდნენ, გარნა თუ სძლიან ვინმე მძალვრთაგანმან, არა დაემორჩილიან, არამედ კუალად იპყრიან თჳსნივე წესნი, და არა დაუტევინ ღმერთნი, და მეფე, და ჩვეულებანი თვისნი (ბაგრატიონი 1973: 24).

იგი ცდილობს, რომ არსებული ტრადიციები წარმოადგინოს არა მხოლოდ ელიტების ჩვევებად, არამედ მთლიანი საზოგადოებისა, ისეთ მოვლენად, რომლებიც აერთიანებს *ჩვენ-ჯგუფის* ყველა წევრს, ყველა ფენას. ამ სისტემაში თავსდებოდნენ სასულიერო და საერო სფეროს, როგორც მაღალი იერარქები, ასევე ჩვეულებრივი ადამიანებიც. ავტორი *ჩვენ-ჯგუფის* წევრებს შორის კავშირის უშუალოების განცდას აძლიერებს ქართველების ზოგადი გარეგნული და თვისობრივი მახასიათებლების აღწერით. გარეგნული იერსახის შენარჩუნება, ზნე-ჩვეულებებისა და ტრადიციების ერთგულება, მათი დაცვის მიზანი აერთიანებდა მოსახლეობის ყველა ფენას.

ვახუშტის ნაშრომის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაშიც ვლინდება, რომ ის ქართველებს მიუთითებდა მათი მანკიერი თვისებების შესახებაც:

აწინდელთა ჟამთა აქუნდათ წესნი იგინივე და შერეულნი ყიზილბაშთა ესენი, რამეთუ სხდიან ნოხთა უსკამოდ, კელითა სჭამდიან. სანოვაგე ქართველთა და კახთა უმეტეს ყიზილბაშთა რიგისა, ხოლო მესხთა–ურუმთა და იმერთა–ურუმულთაგან შერეული; და სასახლეთა შენებანი მათივე რიგისა და არღარა ქართული, თჳნიერ დარბაზისა, და მესხთა ურუმთა რიგისა (ბაგრატიონი 1973: 31-32).

ამის შედეგი კი ის იყო, რომ

ამა ჟამთა იპარვიდიან სილაღითა მცველნი ციხისანი, თათარნი ტფილისისა, გორისა და სურამისა ტყუეთა და ჰყიდიან და შეერიათ ქართველთაცა სყიდვა ტყუეთა და იცვალეზოდაცა ქცევა-ზნენი ქართლისანი და იქცოდნენ უმეტეს ყიზილბაშთა ზნე-წესითა და ყოვლითა უწესობითა ქრისტიანულისათა ცოდვითურთ (ბაგრატიონი 1973: 476).

ავტორი ცდილობს მკითხველს აუხსნას არსებული ვითარების სიმძიმე, უკეთ აჩვენოს უცხო ელემენტების (რაც მთავარია არაქრისტიანული კულტურის), უარყოფითი ზემოქმედება ქართულ წესსა და ტრადიციებზე. რომ ტრადიციების ცვლილება შესაძლებელია, მხოლოდ *მშობელი* კულტურის წიაღში და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაშია ერთობისათვის მისაღები (და შესაბამისად მისი სიმტკიცის გარანტი), თუ ის არის პროგრესზე ორიენტირებული და ემსახურება ერთობის თვითდაჯერებულობისა და მისი კულტურული იმუნიტეტის განმტკიცებას.

ვახუშტი განსაკუთრებული სითბოთი იხსენიებს იმ ქართველ მეფეებს, რომლებიც თავიანთი მმართველობის დროს აქტიურად ცდილობდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებასა და მის განვითარებას. მეფეების სახით ის ქართულ ერთობას საკუთარ დიდ წინაპრებს ახსენებს. განსაკუთრებული ეპითეტებით ამკობს ბაგრატ მესამეს, რომელმაც: „... დაიპყრა .... ყოველი ივერია სიბრძნე ძლიერებითა თვისითა“ (ბაგრატიონი 1973: 142). ბაგრატ მეოთხის შესახებ კი წერს:

არამედ ესე იყო ბაგრატ პირველად კურაპალატი, შემდგომად ნოველისიმოსი, მერმე სევასტოსი და უშუენიერესი ყოველთა კაცთა, სიბრძნითა ფილოსოფოსი, ენითა სვიანი, უმდიდრესი ყოველთა მეფეთა აფხაზეთისათა, მოწყალე, უხვ, შემცოდეთა შემნდობელი; არამედ ქუეყანათა ჟამსა, მისსა დაწყნარება არა აქუნდა; ეკლესიანი, გლახაკნი, აზნა/ურნი ვერ იკადრებდნენ მოცალეზად (ბაგრატიონი 1973: 152).

გამორჩეულად ახასიათებს დავით აღმაშენებლის ღვაწლს:

ხოლო მეფესა დავითს ამისათჳს ეწოდა აღმაშენებელი, რამეთუ ოდეს იქმნა/მეფედ, იყო ქუეყანა ესე სრულიად ოკერ; ამან განავსნა და აღაშენა, რომელ არღარა ეტეოდა ამით, რამეთუ იყო მოშიში და მოყუარე ღვთისა, გლახაკთა, ქურივთა და/ობოლთა მოწყალე, სნეულოთა მოპატივე (ბაგრატიონი 1973: 163).

განსაკუთრებული სენტიმენტალურობით გადმოსცემს დემეტრე მეორის თავდადების ამბავს სარწმუნოებისა და ქართველობისთვის. ხაზს უსვამს გიორგი ბრწყინვალის ღვაწლს ქართველი ხალხისა და სახელმწიფოებრიობის წინაშე. განსაკუთრებით აღნიშნავს იმ მეფეთა თავდადებას, რომლებსაც მოღვაწეობა უხდებოდათ დაშლილი საქართველოს პირობებში. ასეთები იყვნენ ქართლის მეფეები ლუარსაბი და სვიმონი. ვახტანგ მეხუთე შაჰნავაზის შესახებ წერს:

ხოლო ესე ვახტანგ მეფე იყო მკნე, ახოვანი ჰაეროვანი, გამოცდილი ბრძოლათა შინა და შემმართებელი, მოისარ–მოასპარეუე რჩეული, ღრმად გამგონე, ღრმად მოუბარ–განმზრახი, უხვ, ქურივ–ობოლთა შემწყალე, მრისხანე ჯეროვანი და მოწყალე, სვიანი და ღვთის მოყუარე. ამან მოიწყო ქართლი და კახეთი, იმერნი ჟამად ეპყრნეს, ჟამად მსახურებდნენ და უსმენდნენ, მესხნი მორჩილებდნენ. ამან აღაშენა და განავსო ქართლი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი, რომელსა შინა კაცნი არა იყვნენ; მატა რჯულსა ქრისტეანობისასა და ეკლესიათა, რამეთუ მცდელობდა, რათა როსტომის განრყუნილნი მოეგო კუალად კუალსავე თჳსსა, ვინაფთგან ჟამსა მისსა ზიარება სისხლისა და ჳორცისა უფლისა ჩუენისა სირცხვლად უჩნდათ, ამან კათალიკოზით დომენტით კუალად შემოიყვანნა აღსაარებად და ზიარებად (ბაგრატიონი 1973: 453-454).

იგივე დამოკიდებულება ჩანს ვახტანგ მეექვსის მიმართაც:

ვახტანგ იყო ღუთის მოყვარე და ფრიად მოღვაწე, სამღუდელოთა პატივისმცემელი, ქურივ–ობოლთა და გლახაკთა მიმ/ცემელშემამკობელი, მოწყალე, ცოდნისმოყვარე, ბრძენი, მკნე და ახოვანი, შუენიერ–ჰაეროვანი, მუ/შაკი, უხვ და მშვიდი, არამედ ჟამად მრისხანე. ამან მოიწყო ყოველნი ქართველნი, გარნა მიეცა კათალიკოსობა მეფესა ნიკოლოზისათვისვე არამედ შეითქუნენ ეპისკოპოსნი და არქიმანდრიტნი და არღარა ინებეს ნიკოლოზ რამეთუ არს სოფლიერი, და ევდემოსს დაუდვეს უმეცრება და გამორჩევით დაადგინეს ნებითა ვახტანგისათა კათალიკოზად დომენტი ძე ლევანისა და ძმა ვახტანგისა, ახლად მოსრული რუსეთიდამ, და აკურთხეს ქსა ჩ~დე, ქარ. ტ~ ჟგ (ზაგრატიონი 1973: 481).

ვახტანგის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას განსაკუთრებით უსვამს ხაზს, მან:

აღაშენა და განავსო ქართლი, რამეთუ რომელნი ჟამსა ერეკლე მეფისასა შთასრულ იყვნენ კახეთს ქართველნი, ამან ბრძანებითა ყეენისათა გამოიყვანნა ყოველნი და დასხნა თვსთავე ადგილთა ზედა. ამას მორჩილებდნენ იმერნი, უსმენდნენ კახნი, მოილო მბეჭდველობა ვლახეთიდამ და განამრავლნა წიგნნი სამღთონი, რამეთუ უმეცარნიცა სამღუდელოთა წერილთა იკითხვიდიან, განაწყუნა სპანი როქითა მცველად თვსად. დასწერა წიგნი სამართლისა და მით სჯიდიან მსაჯულნი, მოშალა ტყვს სყიდვა, დაამდაბლნა თათარნი, და უმეტეს ტფილისს ციხის მცველნი, აღამაღლნა ქართველნი, გაიღო რუნი და აღაშენა მრავალნი დაბნებნი (ზაგრატიონი 1973: 481-482).

დიდი წინაპრების გახსენებით ის არა მარტო მმართველი წრეების სენტიმენტების გამოწვევას ცდილობს, არამედ, როგორც აღვნიშნეთ, მთლიანი ერთობის: „გარნა გლახთა უწიგნოთაცა უწყიან ძლიერება გორგასლისა, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფისა“ წერდა ის (ზაგრატიონი 1973: 292).

ვახუშტი, ითვალისწინებს რა არსებულ რეალობას, ქმნის ერთგვარ სამოქმედო პროგრამას, სადაც ის ხაზგასმით და ცალსახად მიუთითებს, რომ ქართველებს აქვთ საერთო წარსული, საერთო ისტორია, საერთო ენა, რელიგია, კულტურა და მიუხედავად ამჟამინდელი პოლიტიკური დაშლილობისა ის ერთიან ეთნო-კულტურულ ორგანიზმს წარმოადგენს. ქართველთა ერთიანობას განაპირობებდა არა მხოლოდ გენეტიკური კავშირი, არამედ საერთო მახსოვრობა და საერთო ისტორიული წარსული. ის მკითხველს აწვდიდა ერთიანობის მისეულ კონცეფციას, რომელიც წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც გარდაუვალი ისტორიული კანონზომიერება.

ქართველობის ვახუშტისეული ინტერპრეტაცია გულისხმობდა მის ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით წარმოდგენას და ქმნიდა სერიოზულ იდეოლოგიურ ნიადაგს ქართული ნაციონალისტური მოძრაობის განვითარებისათვის.

ისტორიული ერთიანობის იდეას მეტი დამაჯერებლობა, რომ შეეძინა აუცილებელი იყო იმ გარემოებების განმარტებაც, რამაც ერთხელ უკვე მიიყვანა ის ისეთ კატასტროფამდე, რასაც ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლა მოჰყვა. ვახუშტი ცდილობს ამ ფაქტის გამომწვევი მიზეზები ერთობის გარეთ ეძებოს, რათა არ დაარღვიოს მისი სულიერი (კულტურული) ერთიანობის საფუძველი (ყოველ შემთხვევაში ავტორი ძალიან ცდილობს ერთობის პოლიტიკური ერთიანობის რღვევის მიზეზები ბაგრატიონთა გვარის გარეთ ეძებოს). „გარნა შურითა ურთიერთთა და გარეშეთა მტერთაგან იქმნა განყოფილება, ვითარცა დავითისა და ნარინ–დავითისა და მათ ქუევითა“ (ბაგრატიონი 1973: 292).

ვახუშტი არ ტოვებს საქართველოს გაერთიანებისა და მისი დაშლის არცერთ შემთხვევას ახსნა-გარნმარტების გარეშე:

შემდგომად მეფისა გიორგისა დაჯდა ძე მისი კონსტანტინე. არამედ ვინაძთგან გამეფდა ბაგრატი იმერეთს, ამან კონსტანტინემ მოუწოდა ათაბაღსა ბაადურს და ჰერ-კახთა და არღარა მოვიდა ათაბაგი, რამეთუ დაეპყრნა სამცხე-კლარჯეთი. გარნა ეპისკოპოზთა მისცა ნება: და არცა ჰერ-კახთა ინებეს, არამედ

გარდმოიყვანეს დიდოეთიდამ დავით და აკურთხეს მეფედ. და იქმნა მიერ ჟამითგან სამეფოსა განხეთქილება სამად. რამეთუ ერთი მეფე დაჯდა იმერეთს, ერთი კახეთს და ნეშტი დარჩა მეფესა ქართლისასა: და არცალათუ ამას აკმარეს. არამედ განდგა თავადად ათაბაგი და მან დაიპყრნა საათაბაგო, რომელ არს სამცხე-კლარჯეთი. კულად განდგა იმერთაგან თავადად დადიანი, გურიელი, შარვაშიძე და სუანნი, და ამათ დაიპყრნეს საზღვარნი თჳსნი. და ვიდრე აწამდე არღარა იქმნა შეკრება მისი. არამედ კულადცა უფროსად დაკნინებანი (ბაგრატიონი 1973: 383).

დაბოლოს, მიუხედავად, პოლიტიკური დაქუცმაცებულობისა იგი ასახელებს ქართველობის აღმნიშვნელ უტყუარ და არასაკამათო ფაქტებს. ვახუშტი ილიამდე ასი წლით ადრე განსაზღვრავს ქართველობის ერთიანობის იდეურ ბაზისს (რატიანი 2009: 33), ამ მოვლენის ისტორიულობას მეთვრამეტე საუკუნეში განვითარებული კულტურული მოძრაობის ხასიათი, მისი მხარდაჭერა განსაზღვრავდა, რომელიც მას გააჩნდა სახელმწიფო სკოლებისა და სტამბის სახით. განსხვავებით ადრინდელი პერიოდებისაგან, მათ შორის განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქისაგანაც, ენობრივი და რელიგიური ნიშნით ქართული ერთობის წევრთა მარკირება, გაცილებით ფართო ჯგუფების ჩართულობას გულისხმობდა. მოდით თვალი გავადევნოთ რას წერს ვახუშტი ქართული ერთობის უმთავრესი იდენტობირივი მარკერების შესახებ:

გარნა ერთმეფობასა წარმოაჩინებს აწცა სამნი ხილულნი ესენი, ვინათგან იყო ყოველი ივერია ქართლის მეფისა ქუეშე პყრობასა: პირველი, უკეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა ანუ იმერსა, მესხსა, და ჰერ-კახსა რა რჯული ხარ, წამს მოგიგებს: 'ქართველი'. მეორედ, არს ამათ ყოველთა წიგნი და ენა ერთი-იგივე ფარნაოზ პირველისა მეფისაგან ქმნული: და ჰკითხო რა წინათქმულთა მათ კაცთა: 'რა ენა და წიგნი უწყი', მოგიგებს მყის: 'ქართული'. რამეთუ არა იტყვს, არაცა რჯულსა, ენასა და წიგნს იმერთასა, ანუ მესხთა და ჰერ-კახთასა, არამედ ქართულსა. მესამედ: არასამდე ვიხილავთ დიდთა შენებულთა და ეკლესია-

მონასტერთა ანუ ხატთა და ჯუართა ძვრფასთა, რომელთა ზედა იყოს სხუათა მეფეთა სახელნი, თვინიერ: 'ჩუენ მეფემან საქათველოსამან ანუ ქართლისამან ანუ აფხაზეთისამან, რომელთა ზედა წერილ არიან ქუათა, ხატთა და ჯუართა ზედა (ბაგრატიონი 1973: 291-292).

როგორც ვხედავთ ის თავს უყრის ყველა იმ ნიშანს, რომლითაც აღბეჭდილი იყო მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მიმდინარე ეთნო-კულტურული თვითგანახლების პროცესი. ერთმეფობა, ენა და რელიგია ის მარკერებია, რომელთა გარშემოც უნდა მომხდარიყო ქართული ერთობის გაერთიანება.

ვახუშტის ტექსტის ორიგინალურობა და განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში გამოიხატებოდა, რომ თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ის აგრძელებდა უკვე არსებულ საისტორიო მწერლობის ტრადიციას, და ეს ასეც უნდა ყოფილიყო ვინაიდან, როგორც დავინახეთ მისი მიზანი იყო ქართველთა ერთიანობის ისტორიულობის ხაზგასმა; განსხვავებით შუა საუკუნეებისაგან, როდესაც პროვიდენციალური სულისკვეთება ნარატივის ლეგიტიმაციისათვის გადამწყვეტი წინაპირობა იყო, ვახუშტი ცდილობს მეცნიერის თვალით დააკვირდეს და აღწეროს ქართული ერთობა და მისი ისტორია. ეს ფაქტი, თავისთავად მიუთითებდა იმაზე, რომ მას სურდა მისი ტექსტის სანდოობის ისეთ ხარისხში აყვანა, რომელიც დამაჯერებელი იქნებოდა არა მხოლოდ ქართველებისათვის, არამედ *სხვებისთვისაც*.

### § 3.2 რელიგიური მარკერი

რელიგიის ცენტრალური ნაწილია რწმენათა და სიმბოლოთა სისტემა. „რწმენა კულტურული მტკიცებულებაა, რომლის დაჯერებაც არ საჭიროებს ემპირიულ საფუძველს“ (კალჭუნი, ლაითი და სხვები 2008: 532). ამ საკითხის შესახებ გამოკვლევის თეორიულ საფუძველებში განვმარტავდით, რომ ის არის უმნიშვნელოვანესი და ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძლიერი მარკერი კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებაში. ქვემოთ ვეცდები ვაჩვენოთ რას ვგულისხმობდით.

როგორც სმითი განმარტავს, *ეთნიკური კატეგორია* და *ეთნიე* განსხვავდება ერთმანეთისაგან. მართალია, *ეთნიკური კატეგორია* გულისხმობს და მოიცავს



კომპონენტთა ისეთ ერთობლიობას, რომელიც დამახასიათებელია *ეთნისა* და *ნაციისათვისაც*, თუმცა უპირველესად ის მაინც ეფუძნება ერთიანობის ოჯახურ-ნათესაობრივ და რასობრივ განცდებს (სმითი 2008:26). მისი *ეთნიდ* ჩამოყალიბება გულისხმობს *ოჯახების* ყოველდღიური ცხოვრების წესის კოლექტიურ კულტურულ ღირებულებებზე დაქვევას, რიტუალური წარმოდგენისა და მისი ვერბალური რეპროდუცირების გზით. საყოფაცხოვრებო წესების სიმბოლური და ვიზუალური რეპრეზენტაცია, აუცილებელია არა მხოლოდ კულტურული ღირებულებების შექმნა-შენარჩუნებისათვის, არამედ თაობებს შორი უწყვეტი კავშირის უზრუნველყოფისათვისაც.

საქართველოს ისტორიაში ასეთი ცვლილების მომენტს წარმოადგენდა ფარნავაზის მიერ ქართული პანთეონის რეფორმა და ანბანის შექმნა (მროველი 1955ბ: 25). *ეთნიკური კატეგორიის ეთნიდ* გარდაქმნისათვის აუცილებელია ძლიერი სპირიტუალური სტიმული, რომელსაც შეეძლება უფრო მაღალი ხარისხის სოციალური ორგანიზაციის მხარდაჭერა. „უკლებლივ ყველა რელიგია, გამოიხატება *სიმბოლოებით*, ან ისეთი საგნებით, რომლებსაც დამატებითი მნიშვნელობა აქვ[თ],... რელიგიური რიტუალები და ცერემონიები სოციალური მოქმედების [სწორედ ასეთი] ფორმებია“ (კალჭუნი, ლაითი და სხვები 2008: 534).

პოლითეისტურ, წარმართულ ღმერთთა პანთეონს, თუმცა ის ფლობდა იგივე შესაძლებლობებს, იმ მოცემულობაში, როდესაც სხვადასხვა ოჯახისთვისაც კი თაყვანისცემის ობიექტი განსხვავებული შეიძლებოდა ყოფილიყო ხასიათით, სიმბოლური და რიტუალური მნიშვნელობით, ძლიერი გამმეერთიანებელი მუხტი არ ჰქონდა.

ამგვარ შესაძლებლობას იძლევა ერთობის წევრთა კონცენტრირება, რომელიმე ერთ ღმერთზე. ერთი ღმერთის აღიარების პრინციპული მნიშვნელობა, აიძულებს მის წევრებს მობილიზდნენ საყოველთაო რელიგიური პრაქტიკის გარშემო. რაც „...ხელს უწყობს სოციალურ ერთობას და ქმნის მორალურ და ეთნიკურ ერთსულოვნებას[აც]“ (კალჭუნი, ლაითი და სხვები 2008: 533). ენა, როგორც უკვე არსებული კულტურული გამოცდილების მომცველი, მონოთეისტური რელიგიისათვის ხდება ინსტრუმენტი, ერთგვარი იარაღიც, იმ აზრით, რომ ის უკვე

არსებული ტრადიციების/პრაქტიკის გათვალისწინებით იწყებს ახალი კულტურული პროგრამის განხორციელებას (ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ ქართული ანბანის შექმნაც ფარნავაზს მიეწერება). ასეთი ცვლილება საქართველოში დაუკავშირდა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას (ვრცლად იხ.: ჩხარტიშვილი 2009ა). მხოლოდ ამის შემდეგ ყალიბდება ერთგვარი *მორალური თემი* (მრევლი), რომლის წევრებსაც უკვე ჰქონდათ: „საერთო რწმენა, სიმბოლოები, პრაქტიკა და გამოცდილება“ (კალჭუნი, ლაითი და სხვები 2008: 538).

შუა საუკუნეების ქართულმა ისტორიოგრაფიამ კარგად დაინახა ამ მომენტის, ისევე როგორც ფარნავაზის მიერ ქართული ანბანის შემოღების გამაერთიანებელი, პრაქტიკული დანიშნულება და სათანადოდ გამოკვეთა ისინი. *ქართლის ცხოვრების* სახელით ცნობილ *ისტორიების* კრებულში, ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის პარალელურად, სწორედ ზემოთ ხსენებულ მომენტებზეა გაკეთებული განსაკუთრებული აქცენტი.

რელიგიურ ფაქტორს, არც მომდევნო პერიოდებში, მათ შორის, ჩვენ მიერ შერჩეულ ეპოქაშიც დაუკარგავს არ გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ქართველთა ერთიანობას, ვახუშტი, ქრისტიანობამდელი პერიოდიდან მოიაზრებს, რითაც ამძაფრებს ჯგუფის წევრებს შორის საერთო ბედისწერის განცდას და მისგან გამოწვეულ სენტიმენტებს. ჩანს, რომ *ეთნიდ* ყოფნას ავტორი, მის წევრებს შორის ერთიანობის შესახებ ინტერესთა თანხვედრას მიიჩნევს. ვიდრე მისი წევრები იზიარებდნენ საერთო ბედს:

აქუნდათ პირმტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათვის მკნედ ბრძოლა, მაგრად დგომა მისთვის – ხოლო, როგორც კი ეს ერთიანობა ირღვევა ზ.თ. – დაივიწყეს ღმერთი დამბადებელი თვისი თაყვანის სცემდნენ მზესა, მთოვარესა, ვარსკულავთა და ნივთიერთა და პირუტყუთა, და შემოერიათ გარეგანნი წარმართნი: სპარსნი, თურქნი, ასურნი და ბერძენნი, და შემდგომად ურიანი, და იტყოდინან ესეოდენითა ენითა; და უმეტეს დაივიწყეს დამბადებელი თვისი და წესნი და ჩვეულებანი თვისნი, და იქმნენ ყოველთა წარმართთა უწარმართესნი და

უუსჯულოესნი, რამეთუ არღარა უწყოდნენ ნათესაობანი და შერეულ იყვნენ შეყოფითა, ვიდრე წარწერადცა უცხოთა (ბაგრატიონი 1973: 15).

მგრძობელობა კონფენსიური კუთვნილების საკითხისადმი იმითაც იყო გამოწვეული, რომ ქართული არისტოკრატის მნიშვნელოვანი ნაწილი გარკვეული პოლიტიკური პრივილეგიების მიღების სანაცვლოდ თმობდა წინაპართა რელიგიას. რაც ქართული კულტურული სივრციდან გასვლასთან ერთად, პოლიტიკური თვალსაზრისითაც გახლდათ მნიშვნელოვანი პრობლემა. საეკლესიო პოლიტიკის ნაწილად იქცა სარწმუნოებრივი იგიურობის დემონსტრირება ერთობის წევრებს შორის. აღნიშული მომენტის ხაზგასმა ერთნაირად მნიშვნელოვანი იყო როგორც საერო, ასევე სასულიერო პირებისათვისაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვახუშტი ბაგრატიონი, *აღწერასა სამეფოსა საქართველოსაში*, აცოცხლებს ქართლის ცხოვრების ტრადიციას ქართველთა რელიგიური ერთგვაროვნების შესახებ ქრისტიანობამდელ ეპოქაშიც კი. ამით ის ერთიანობის იდეას სძენს წარმოუდგენლად დიდ სიღრმეს: „აქუნდათ სარწმუნოდ ღმერთნი ესენი, და, მტკიცედ დგნენ სარწმუნოებასა სიყუარულსა ზედა, და არა თაყვანისციან სხუათა ვიეთთამე ღმერთთა“ (ბაგრატიონი 1973: 16-17). ხოლო მას შემდეგ რაც:

შემუსრა ძალითა ზეგარდამოთა წმიდამან ნინომან არმაზ, უდიდესი ღმერთი ქართველთა, და გაც და გაიმა, და იქმნა მეფე მირიან წმიდის ნინოს მიერ ქრისტეანე, და აღიარეს სრულიად საქართველოსათა მედ ღვთისად მარიამ ქალწულისაგან განჯორციელებული, უფალი ჩუენი იესო ქრისტე. და შემუსრა შემდგომად მირიან ყოველნი კერპნი საბრძანებელსა თჯსსა და მათ წილ აღმართნა ცხოველსმყოფელნი ჯუარნი ქრისტეს მეუფისა დასამხოზად მტერთა (ბაგრატიონი 1973: 25).

სარწმუნოების შეცვლა არა მხოლოდ კულტურული სივრციდან გასვლას, არამედ საკუთარი ერთობისათვის მტრად გახდომასაც ნიშნავდა. ვახუშტი მეექვსის პოზიცია ამ მხრივ ნამდვილად გამოდგებოდა სამაგალითოდ: „მე მოვედ, რათა არა

დამართონ მტერთა და შეირყეს ქართლი გარნა არიან ძმანი ჩემნი მაჰმადიანნი და რომელნი გნებავს წარავლინე და მე ვეგო წინაშე შენსა“ (ბაგრატიონი 1973: 492).

ვახტანგის მიერ მაჰმადიანობის მიღებაზე უარის თქმის გამო სამეფო ტახტის დათმობა რელიგიური მომენტის პრინციპული მნიშვნელობის ხაზგასმა იყო. რელიგიური და ენობრივი მარკერი პრაქტიკულად ერთ სიბრტყეში გაიაზრებოდა, ნებისმიერ მათგანზე უარის თქმა დამლუპველი იქნებოდა ქართული ერთობისთვის.

რელიგიური ფაქტორის წონაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ ვახუშტი, მამამისის, ვახტანგის, მიერ, პეტრე პირველთან სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის შეკვრას, რის შედეგადაც ქვეყანაც და მისი პოლიტიკური კარიერაც დაიღუპა, ქრისტიანობის გამოხსნის მოტივით ამართლებს: „არამედ განუტევა ყოველნი და აღირჩია რუსთა მეფე, რამეთუ ჰგონებდა განთავისუფლებასა ეკლესიათასა და ძალსა ქრისტიანობისასა. ამისათვის შეკრებული სპითა წარვიდა განჯას“ (ბაგრატიონი 1973: 500).

როგორც ვთქვით, სარწმუნოების შეცვლა, მისი ღალატი ერთიანობის საფუძვლის მოშლასა და ერთობის დაღუპვას უდრიდა. ვახუშტი რელიგიური ნიშნის მიხედვით ენის მსგავსად, ახდენს ქართული ერთობის მარკირებას. უფრო სწორედ ის საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული რელიგიური მარკერის ფონზე ახდენს ქართველებისა და *სხვების* იდენტიფიცირებას, მათ შორის, წყალგამყოფის დადებას. წინა შემთხვევის მსგავსად, ვგულისხმობთ ენობრივ მარკერს, ვახუშტი ამჯერადაც საგანგებოდ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ აფხაზები და ოსები არ წარმოადგენდნენ ქართული რელიგიური და ეთნიკური ერთობის ნაწილებს. მართალია, ისინი იყვნენ ქრისტიანები, თუმცა მხოლოდ ფორმალურად (ბაგრატიონი 1973: 638, 786).

ვახუშტის ამოცანა *აღწერა სამეფოსა საქართველოსას* შექმნისას, უპირველეს ყოვლისა იყო ქართული *ეთნის* ერთიანობის ხაზგასმა. თუმცა, როგორც მეთვრამეტე საუკუნეში განვითარებული პროცესები აჩვენებენ რელიგიური მარკერი ისეთი სიმძაფრით აღარ ასოცირდებოდა კონფესიურ საკითხთან, როგორც ეს ადრე შუა საუკუნეებში ან შემოდგომ პერიოდებში იყო. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში განსაკუთრები მაღალი სასულიერო იერარქების გაკათოლიკება

გვაფიქრებინებს, რომ რელიგიური მარკერი უკვე, ამ დროს, სასულიეროსთან ერთად საერო საჭიროებების მიხედვით იმუხტება ერთგვარი სეკულარული იმპულსებით.

კათოლიკოს ანტონისათვის, გაკათოლიკების გამო გამოტანილი განაჩენი მას სამუდამოდ უკრძალავდა კათოლიკოსის ტახტის დაკავებას (ქავთარია 1977: 17-18), თუმცა ასეთი აკრძალვა პირობითი აღმოჩნდა. მის მიერ კათოლიკობის აღიარება, მიმდინარე პროცესებში ეკლესიის როლის ერთგვარი „მოდერნისტული“ ხედვა იყო და ეკლესიის ახალ საზოგადოებრივ დანიშნულებაზე მიანიშნებს.

ის არ იყო პირველი ვინც მართლმადიდებლობა დათმო. ასეთი მაგალითები საქართველოში, განსაკუთრებით, მის სამხრეთ რეგიონებში, საკმაოდ ხშირი გახლდათ, როგორც მკვლევრები მიუთითებენ, თავის დროზე კათოლიკობა მიიღო თეიმურაზ პირველის (1589-1663) ელჩმა ნიკიფორე ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილმა (1585-1658), სულხან-საბა ორბელიანმა და ვახტანგ მეექვსემაც. გაკათოლიკებით ქართველები ახერხებდნენ საკუთარი იდენტობის შენარჩუნებას. მართლმადიდებლობაზე და არა ქრისტიანობაზე უარის თქმა და ამ ფაქტისადმი საეკლესიო მაღალი იერარქების ნაწილის ლიბერალური დამოკიდებულება, მიანიშნებს, რომ ეკლესია აფასებდა არსებულ ვითარებას და მზად იყო ქრისტიანობის, როგორც ქართული იდენტობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მარკერის შენარჩუნებისათვის, გადაეხედა საკუთარი პოლიტიკისათვის.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ქართული ეკლესია, ანტონ პირველის მეთურობით, გამოდიოდა უმნიშვნელოვანესი კულტურული პროცესების მონაწილედ და ინიციატორად არა რელიგიური ცენზორის როლში, არამედ საერო ცხოვრების განვითარებისათვის საჭირო თვალსაზრისიდან.

ნათელია ისიც, რომ მოწინააღმდეგეების გარდა, ახალი კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობის მიზნებს თავისი მხარდამჭერებიც ჰყავდა, როგორც საერო, ასევე სასულიერო პირებშიც, რომლებიც ცდილობდნენ მისი საჭიროებებისათვის მოერგოთ ეკლესიის პოზიციაც. ერთ-ერთი უპირველესი და მთავარი მხარდამჭერი ამ საქმისა ანტონ პირველი თავად იყო.

ქართული ეკლესიის დამოკიდებულება, ეკლესიის კურსსა და რელიგიურ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებასთან ერთად,

გულისხმობდა საერო და სასულიერო სფეროების მორიგებას ისე, რომ აღიარებულიყო მათ შორის არსებული ინტერესთა განსხვავებულობებიც. მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობის კონტექსტში, მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, ჩანს სეკულარიზაციისაკენ მიდრეკილება. აღნიშნული კონცეპტუალური ტრანსფორმაცია ვერ განხორციელდა ბოლომდე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისა და ქართული სამეფო-სამთავროების გაუქმების გამო.

რელიგიური პოლიტიკის ზემოთ ხსენებული თავისებურება აისახა სასულიერო მწერლობაშიც. ეროვნული წმინდანების ღვაწლის დაფასებისათვის, რასაც ანტონ პირველი *მარტირიკაში* აგრძელებს <sup>20</sup> (მესამე რედაქციის ავტორი გახლავთ ანტონი) (ბაგრატიონი 1980ა: 421). რელიგიური მარკერის გაძლიერებით ის ქმნის ერთგვარ რელიგიურ რუკას სადაც *სხვებს* შორის მონიშნული იყო ქართული ერთობის ადგილიც.

*მარტირიკის* წინასიტყვაობაში ანტონი მიუთითებს, რომ „ეგრეთ ამანცა მარტულთა მოყუარემან/ არა უწყევა უმოხსენოდ იგინი, // რამეთუ ჰსცვიდა ბრძანებთა საღმრთოთა, / რომელ არს დაცუა სჯულთა წინაპართათა“ (ბაგრატიონი 1980ბ: 11),

წინაპართა სჯულის დაცვა და ერთობისათვის თავდადება წმინდანთა ის თვისებები გახლდათ, რომელებსაც რელიგიური დამოკიდებულების გაძლიერების გარდა, ერთობის გამაერთიანებელი ფუნქციაც შეეძლო ეკისრა. ანტონ კათოლიკოსი შალვა ახალციხელისადმი მიძღვნილ მიმართვაში სწორედ ამ გარემოებას უსვამს ხაზს: „წმინდა და საღმრთო მოღუაწეო და სულო საწადელო, სუნნელებაო და სიკეთეო ყოველთა ქართუელთაო...“ (ბაგრატიონი 1980ბ: 317).

*წყობილსიტყვაობის* ტექსტში *ყოველთა წმიდათა შორის* ცალკე გამოჰყოფს *ქართველთა წმინდათა კატეგორიას* (ბაგრატიონი 1980ბ: 203-260). ანტონისათვის, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი იყო, მკითხველისათვის განსაკუთრებით კი მოსწავლეებისათვის ეჩვენებინა, ის ქართველები, რომლებმაც თავისი წვლილი

---

<sup>20</sup> *მარტირიკის* შექმნისათვის ზრუნვა, როგორც ვიცით, ჯერ კიდევ 1699 წელს დაუწყია ონოფრე მაჭულტაძეს, მისი საქმე გაუგრძელებია დომენტი კათალიკოსს; დომენტის კრებული 1713 წელს გადაწერა დავით გარეჯელმა ბერმა გაბრიელ საგინაშვილმა, რომელიც თავის მხრივ გაუგრძელებია ბესარიან ორბელიძელის (ის არის მეორე რედაქციის ავტორი) შემდგომში ეს საქმე გაუგრძელებია და დაუსრულებია კათალიკოსს ანტონს (ბაგრატიონი 1980ა: 420-421).

შეიტანეს მსოფლიო მართლმადიდებლური საზოგადოების სულიერი ცხოვრების განვითარებაში (ბაგრატიონი 1980ბ: 232).

მჭიდრო კავშირი, რომელიც ქართველ წმინდანებს გააჩნდათ საქართველოსთან, კარგად ჩანს ევსტათი მცხეთელისადმი მიძღვნილი სტრიქონებიდანაც: „ქალაქმან მცხეთა მიიღო თავი შენი,/ ძვირფას-რე სპეკალ, გვრგვან ქართველთ მეფობის,/და სისხლი შენი – ტფილისმან საღმრთო პორფირ,/ხოლო ნაწილნი შენნი – ივერიამან/ უხრწნელ საუნჯედ, კეთილ-მდგმოო ევსტათი!“ (ბაგრატიონი 1980ბ: 227). ან „ელევთერობ შენ შორის მრჩობლსა სოფელსა,/ ქუეყანას განსწმენდ სისხლით ქართველთას, რაჟდენ (ბაგრატიონი 1980ბ: 228).

მეთვრამეტე საუკუნეში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის საერთო პოზიცია, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა ყალიბდებოდა კულტურლ-საგანმანათლებლო მიზნების დღის წესრიგის შესაბამისად და, შეიძლება ითქვას, რომ ის იყო ერთგვარი ლოკომოტივი საერო ცხოვრების ხელშეწყობის საქმეშიც. ამ აზრით საინტერესო ტენდენცია იყო გაკათოლიკების პრაქტიკა. რომელიც სხვა ფაქტორებთან ერთად რელიგიული/ქრისტიანული იდენტობის შენარჩუნების სურვილითაც იყო ნაკარნახევი. ამ გზით ქართული ერთობის წევრებს შეეძლოთ თავი დაეცვათ სამხრეთიდან მოძალებული ისლამიზაციისაგან და თან შეენარჩუნებინათ მმათვის უმნიშვნელოვანესი იდენტობრივი მარკერი რელიგიის სახით.

### § 3.3 სამშობლო ტერიტორია

ტერიტორიული იდენტობა არის მეორე უმნიშვნელოვანესი კატეგორია, თუმცა ის უფრო გარეგნული ნიშნებით არის დეტერმინირებული ვიდრე შინაგანი. მისი განვითარება როგორც სმითი აღნიშნავს პრემოდერნულ ხანაში უფრო რეგიონალიზმის სახით იყო შესაძლებელი, თუმცა არა იმ უკიდურესობამდე, რომ მაგალითად რელიგიური ან ეთნიკური იდენტობის მნიშვნელობა მოეცვა ან გადაეფარა. რეგიონული იდენტობის განვითარებასთან სამშობლო ტერიტორიის ცნების დაპირისპირებას (თუმცა გაკრვეული აზრით, ისინი ამბივალენტური შინაარსის მატარებლები არიან) შეუძლია ქართული *ეთნის* ინტელექტუალური და ისტორიული გამოცდილების თავისებურებებზე მიგვანიშნოს.

ეთნიკური მოდელის შემთხვევაში, სამშობლო ტერიტორიის ისეთი განცდის ჩამოყალიბება, როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, უკავშირდება უშუალოდ წინა მოდერნის პერიოდსა და მოდერნს, როდესაც წიგნის ბეჭდვა, პრესა და საჯარო განათლების სისტემის ჩამოყალიბება ქმნის შესაძლებლობას კოლექტიური კულტურული ხატების გაზიარებისათვის, უფრო სწორედ იმ ფაქტის პირდაპირი მნიშვნელობით გაცნობიერებისათვის, რომ ერთობის სხვა წევრებისათვისაც იგივე ღირებულებები იყო მისაღები, რაც ინდივიდს ადრე მისი ოჯახის, სოფლის, ან რეგიონისათვის დამახასიათებელი შეიძლება ჰგონებოდა. „იქ სადაც ნაცია წინარე ეთნიკური მოცემულობის საფუძველზეა აღმოცენებული, კულტურის ვერნაკულური ფორმები მის საჯარო ყოფიერება გამსჭვალავს და მის ყოფიერებას განსაზღვრავს“ (სმითი 2004ა: 63). ეთნიკური და კულტურით დეტრმინირებული მოდელისათვის სამშობლოს უფრო წარმოსახვითი, საკრალიზებული მნიშვნელობა აქვს (სმითი 2004ა: 61-62).

იმ ტიპის ტერიტორიული პერცეფცია, რომელიც უფრო მეტ ბმას პოულობს ეკონომიკურ კეთილდღეობასა და ფიზიკურ უსაფრთხოებასთან, დამახასიათებელია ლატერალური გამოცდილების მქონე ერთობისათვის. თუმცა, როგორც სმითი განმარტავს, ნაციონალიზმების სამოქალაქო და ეთნიკური ნიშნით დაყოფა მაინც პირობითია, ვინაიდან ისინი ხშირად იცლიან ბუნებას, მათი მკაცრი ტიპოლოგიზირება შეუძლებელია (სმითი 2004ა: 71). ნაციონალისტურ მოძრაობებში „სუვერენული ხალხის კონცეპტი, .... იკავებს მონარქის, როგორც ერთადერთი ლეგიტიმური მმართველის ადგილს,“ (ჩხარტიშვილი, მანია და სხვები 2011: 263) ქართული გამოცდილების შემთხვევაში ასეთი კონცეპტუალური გადაჯგუფება არ მომხდარა.

ქართულ კოლექტიურ კულტურულ იდენტობის წევრებს, ყოველ შემთხვევაში მის ელიტას ქართული ტერიტორიების შესახებ წარმოდგენა ადრინდელი პერიოდიდანვე ჰქონდა (მროველი 1955ბ: 24-25; ჯუანშერი 1955: 146). ტერიტორიის ენობრივი ნიშნით მარკირების მაგალითია გადმოცემული გიორგი მერჩულეს ცნობილი ციტატაში, რომელიც წინა თავში დავიმოწმეთ.



ჯუანშერი და ლეონტი მროველი კონკრეტულად მიუთითებენ იმ ტერიტორიების შესახებ სადაც ქართული ერთობის წევრები ცხოვრობდნენ (ჭელიძე 2017: 47-48). თუმცა მეთვრამეტე საუკუნეში რამდენადმე განსხვავებული მნიშვნელობა აქვს ტერიტორიული კონცეპტუალიზების საკითხის გარკვევას.

შუა საუკუნეებში სამშობლო ტერიტორიის გაგება მნიშვნელოვნად იყო მიბმული მეფის პიროვნებასთან. მეფის, როგორც, ღვთის რჩეულის, მოვალეობად მიიჩნეოდა სამშობლო ტერიტორიის დაცვა და მისი გაფართოებისათვის ზრუნვა. საქართველოს ერთიანობის დაშლის შემდეგ მეფის ამ თვალსაზრისით გამაერთიანებლის როლში წარმოდგენა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ის პოლიტიკური სიმბოლოდან, რომელსაც ზურგს შუა საუკუნეებში მეფის პიროვნების თეოლოგიური ინტერპრეტაცია უმაგრებდა, ერთგვარ ეთნო-კულტურულ მარკერად იქცა.

ვახუშტი ბაგრატიონი აღწერა სამეფოსა საქართველოსაში, იძლევა ქართული მიწებისა და რეგიონების აღწერას. მკითხველს ქართველთა ისტორიული საცხოვრისის გარდა ინფორმაციას აწვდის მათი თვითდასახელებისა და მისი უცხოური შესატყვისების შესახებაც:

ხოლო ქუეყანა ესე იწოდების სახელითა სამითა. პირველას–საქართველო, მეორედ–ივერია, მესამედ–გიორგია. ხოლო საქართველო არს სახელი ქართლოსის გამო, რომელსა წილად ხუდა ქუეყანა ესე და, სადა დაეშენა, უწოდა სახელითა თჳსითა ქართლი, და მის გამო მორჩილთა ანუ წილკდომილთა მისთა ეწოდა საქართველო. გინა შემდგომად მისსა, რომელ ფუცვიდნენ ძენი და ძენი ძეთა მისთანი საფლავს მისსა, ეწოდათ საქართველო (ბაგრატიონი 1973: 39).

რაც შეეხება ივერიას, მას ავტორი ადერკის მიერ არშაკის ძლევას უკავშირებს. გეორგიას კი ქართველთა შრომის მოყვარეობას „რამეთუ გიორგი მუშაკად ითარგმნის“ (ბაგრატიონი 1973: 39).

ბოლო სახელწოდებას ასევე ქართველთა მიერ ქრისტიანობის მიღებასა და წმინდა გიორგის კულტის არსებობასთანაც აიგივებს. იქვე განსაზღვრავს იმ

ტერიტორიალურ სივრცეს, რომელშიც ქართველთა წინაპრები (ბიბლიური პერსონაჟები) და მათი მემკვიდრე ქართველური ტომები ცხოვრობდნენ უხსოვარი დროიდან: „ხოლო არს სიგრძე ქუეყანისა ამისა 3~ ეჯი, ხოლო განი სპერის ზღვსაკენ 5~ ეჯი, შუა ადგილი 1~ ზ ეჯი, ხოლო ბოლოთ კერძი 1~ ე ეჯი, და მდებარებს კასპიისა და პონტოს ზღუას შორის“ (ზაგრატიონი 1973: 40).

ვახუშტის ინტერესი ქართული ტერიტორიებისადმი, მისი ფლორისა და ფაუნისადმი, ასევე მისი ბუნებრივი რესურსების, გეოგრაფიული გარემოსა და მასზე მცხოვრები ქალებისა და კაცების სუბიექტურ მახასიათებელთა მიმართ, იმ მომენტში უფრო ეთნიკური ერთობის იმ ნიშან-თვისებათა გამოკვეთა იყო, რომელიც მას *სხვებისაგან* განასხვავებდა, უპირველესად ეთნო-გენეალოგიური ნიშნების მიხედვით, ვიდრე პოლიტიკური. სამშობლოს იდეას, ამ კუთხით, აძლიერებდა კათოლიკოს ანტონ პირველის შემოქმედებაც.

საინტერესოა, როგორი იყო ქართველებთან დაკავშირებული ტერიტორიული ასოციაციები *სხვებისათვის*. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის მეჩვიდმეტე საუკუნის ევროპელი მოგზაური ლამბერტი. როდესაც ის წერს კოლხების წარმომავლობის შესახებ, ახდენს ქართველების ისტორიული საცხოვრისის იდენტიფიცირებას. ბიბლიური სიუჟეტებისა და ანტიკური ავტორების ცნობებზე დაყრდნობით ლამბერტი ამბობს, რომ კოლხები, ქართველები (ქართლები) და სამცხელები არიან ქართველები, რაც მთავარია, ის მიუთითებს მათ შორის ცხოვრების წესის მსგავსებაზეც (ლამბერტი 2011: 25-28). საქართველოს საზღვრების შესახებ ცნობას ის გვაწვდის კოლხიდის აწინდელი მთავრების ჩამომავლობის საკითხის განხილვისას, როგორც ლამბერტი მიუთითებს:

...საქართველო სამეფო (l'imperio Giorgiano) გავრცელებული იყო ირანის მხრით თავრიზამდი და თურქეთის, ანუ უკეთ ვთქვა, სამცხის მხრით – არზრუმამდი. კოლხიდისაკენ კი საქართველოს სამეფო მიდიოდა კაფამდი, რომელიც ხერსონესშია (ლამბერტი 2011: 29).

ავტორი აღნიშნავს, რომ ამის ობიექტური მტკიცებულებები ქართული სოფლებისა და მოსახლეობის ასევე ქართული კულტურული მემკვიდრეობის სახით ამ ტერიტორიებზე დღესაცაა შემორჩენილი (ლამბერტი 2011: 29-30).

მეთვრამეტე საუკუნის მოგზაური, დე გრაი დე ფუა *საქართველოს შესახებ* მიუთითებს, რომ „საქართველო დაყოფილია შვიდ პროვინციად. კახეთი და ქართლი ეკუთვნის მეფე ერეკლეს, იმერეთი – მეფე სოლომონს, სამეგრელო მთავარ – დადიანს, გურია ეკუთვნის მთავარს, რომელიც ცნობილია გურიელის სახელით. გურჯისტანი და ჯავახეთი თურქებს ეკუთვნით“ (დე ფუა 1985: 35).

მეცხრამეტე საუკუნის მოგზაური კოხიც, თავის ნაწერებში აღნიშნავს, რომ ახალციხე ძველად ქართული პროვინცია იყო და, რომ ის ქართველებმა მეთექვსმეტე საუკუნეში დაკარგეს (კოხი 1981: 187).

მოყვანილმა მასალებმა, ვფიქრობთ, ერთი მხრივ, ცხადყო, რომ მიუხედავად საქართველოს სამეფოს, სამეფო-სამთავროებად დაშლისა, ქართველთა ტერიტორიული საცხოვრისის შესახებ ადრე ჩამოყალიბებული პერცეფციები არ დარღვეულა. უფრო მეტიც, მიუხედავად მისი დაქუცმაცებულობისა, უცხოელი მოგზაურებიც ახერხებდნენ ისტორიული ქართული მიწების იდენტიფიცირებას. თუმცა, მეორე მხრივ, შექმნილი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, აშკარაა, რომ ტერიტორიული კონცეპტალიზების იმგვარი შესაძლებლობა, რომელიც საჭირო იყო სამოქალაქო ტიპის ნაციონალიზმის მხარდასაჭერად არ არსებობდა, მით უფრო, პოლიტიკური დეცენტრალიზაციის პირობებში. ამ კუთხით, სამშობლო ტერიტორიის იდეის პოლიტიზებისა და განვითარებისათვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას წამრმოადგენდა ქართული კოლექტიური კულტურული იდენტობის ფორმა და შინაარსი, რომელიც, ჩვენი აზრით, დემოტური *ეთნის* ისტორიულ გამოცდილებას შეესაბამებოდა. კულტურით დეტერმინებული ერთობებისათვის ნაციონალისტური მოძრაობების განვითარების პერიოდში, ტერიტორიის კონცეპტი, არ იყო პოლიტიკური შინაარსით დატვირთული.

### § 3.4 მნიშვნელოვანი სხვები<sup>21</sup>

შიდა კონფლიქტები მნიშვნელოვანი გამოწვევაა თანამედროვე ქართული სახელმწიფოსათვის. 1990-იანი წლები, როდესაც დაპირისპირება შეირადებულ შეტაკებებში გადაიზარდა, ერთგვარ წყალგამყოფად იქცა ქართულ-აფხაზურ და ოსურ ურთიერთობებში. კონფლიქტამდელ და კონფლიქტის შემდგომი პერიოდის შრომებს ერთმანეთისაგან განასხვავებს ის, რომ თუ მანამდე ისტორიკოსთა ძირითადი ამოცანა, მიუხედავად რამდენიმე საუკუნოვანი ეთნოგრაფიული და პოლიტიკური დანაწევრებისა, იყო ქართველთა სულიერი ერთიანობის ხაზგასმა (დარჩიაშვილი 2015: 10),<sup>22</sup> 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ამ დაპირისპირებების არსში წვდომის სურვილის გამო, უწევთ კონფლიქტის, როგორც ისტორიული ფაქტის, აღიარება და საკუთარი სიმართლის მტკიცება.

ავტორთა უმრავლესობის თანახმად კონფლიქტები ხელოვნურადაა შექმნილი და მისი ჩამოყალიბება ცალსახად დაკავშირებული იყო/და არის რუსეთის სურვილთან შეექმნა არასტაბილური გარემო რეგიონში (გამახარია 1991: 127; გაფრინდაშვილი, ქიქოძე და სხვები 1991: 1,47-48; მიბჩუანი 1994: 37,58-59; თოთაძე 2008: 3-5, 9-10; ჯანიაშვილი 2015: 53, 56, 59; გუნცაძე 2013/2014: 40, 42, 55, 57 და სხვები). დღეს ალბათ აღარავის ეპარება ეჭვი ჩრდილოელი მეზობლის მავნებლურ ინტერესებში, და, მათ შორის, არც ჩვენ, თუმცა ხშირად ეს პრობლემების არსში წვდომასა და რეალობის ადეკვატურად შეფასებაში ხელს გვიშლის.

ქართველ ისტორიკოსთა მსჯელობაში ორი ტენდენცია იკვეთება. ერთი მიზნად ისახავს აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების ქართული წარმომავლობის მტკიცებას, მეორე კი ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის ისტორიულ-კულტურული კავშირების სიღრმეზე აკეთებს აქცენტს (მიბჩუანი 1994: 12,15; ჯანიაშვილი 2015: 68-70; ვრცლად იხ.: ლორთქიფანიძე 1990; გოგოლაძე 1995). რაც შეეხებათ ოსებს, აქ გაცილებით მარტივად არის საქმე, ისინი არასდროს ვიდრე

<sup>21</sup> აღნიშნული საკითხის შესახებ, 2016 წელს რომის ლა საპინცას უნივერსიტეტში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე: Dynamics and Policies of Prejudice from the Eighteenth to the Twenty-first Century, გავაკეთეთ მოხსენება: *Political Prejudices and Ethnic Conflicts: The Case of Georgia*.

<sup>22</sup> აფხაზი და ოსი ხალხის ისტორიის საკითხების შესწავლას გამოკვლევები მიუძღვნეს ნ. მარმა, ი. ორბელმა, ივ. ჯავახიშვილმა, ნ. ბერძენშვილმა, ს. ჯანაშიამ, ნ. ლომოურმა და სხვებმა.

მეცხრამეტე საუკუნემდე, საქართველოს ტერიტორიაზე არ ცხოვრობდნენ იმ რაოდენობით, რომ საკუთარი პოლიტიკური ან კულტურული კვალი დაემჩნიათ მასზე.

*ქართლის ცხოვრების* ძველი ტექსტების მიხედვით აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობებში მეტ-ნაკლებად პოზიტიური გამოცდილება არსებობს. ქართულ ისტორიოგრაფიასა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს შორისაც დამკვიდრებული შეხედულება, რომ ქართული ერთობა წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს კოლექტივს, რომელსაც ერთ სახელმწიფოში სხვებთან თანაცხოვრების მდიდარი და ცალსახად პოზიტიური გამოცდილება აქვს (თარგამაძე 2018: 134). შუა საუკუნეებში, ამის მიზეზი, ის იყო, რომ როდესაც პოლიტიკური სტაბილურობა უზრუნველყოფდა წესრიგს, *სხვების* იდენტიფიცირებას არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. პოლიტიკური სტაგნაციის შემდეგ ქართველმა ინტელექტუალებმა აქცენტი გადაიტანეს ქართული ერთობის ეთნო-კულტურული კონცეპტუალიზებისაკენ, ასეთი გამოწვევა კი მოითხოვდა *სხვებისაგან* ქართული ერთობის გამიჯვნას. რელიგიური ნიშნების მიხედვით ქართული ერთობის მარკირება იმ *სხვების* იდენტიფიცირებას ისახავდა მიზნად, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო ქართული ერთობისათვის საფრთხეს წარმოადგენდნენ იმ მომენტში.

მტკიცება იმისა, რომ მაგალითად აფხაზეთის ტერიტორიაზე მეცხოვრები ეთნიკური ჯგუფი სინამდვილეში იყო ქართული, ან პირიქით არ იყო ეთნიკურად ქართული, თუმცა ქართულ კულტურულ გარემოში ისინი აუცილებლად გაქართველდებოდნენ, ასევე მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში შიდა და გარე ფაქტორებით, შიდა ქართლსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე, გამოწვეული მიგრაციების და დემოგრაფიული სურათის ცვლილების არასათანადოდ აღქმა, ან პირიქით მისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება მსჯელობაში, ეთნიკური უმცირესობების მოთხოვნათა არალეგიტიმურობაზე მინიშნების პარალელურად, გარდა იმისა, რომ გულუბრყვილოდ და არასერიოზულად ჟღერს, ხელს უწყობს კონფლიქტების კიდევ უფრო გაღრმავებას.

ცნობებს, რომლებიც ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობის და მის მომდევნო პერიოდებშიც ქართველებსა და აფხაზებს, მათ შორის, ოსებსაც

ერთმანეთთან აიგივებენ, არ ნიშნავს, რომ ქართველთა კულტურული ჰეგემონია ამ რეგიონებსა და ეთნიკურ ჯგუფებზე იმდენად ძლიერი იყო, რომ ისინი გაქართველდნენ. ფაქტია, რომ ავტორთა უმეტესობა, ითვალისწინებდა შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას და ქართული სახელმწიფოს გავლენის ქვეშ, ან მის შემადგენლობაში მყოფ ეთნიკურ ჯგუფებს მიიჩნევდა ქართულად (გაფრინდაშვილი, ქიქოძე და სხვები 1991).<sup>23</sup>

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ქართველებით დასახლებულ ტერიტორიაზე სხვებიც ცხოვრობდნენ და, მათ შორის, „დამოუკიდებლობის ყველაზე მაღალი დონე ეგრისის პოლიტიკურ სისტემაში ჰქონდათ დღევანდელი აფხაზეთის დასავლეთ ნაწილში მცხოვრებ აბაზგებს (აფხაზებს)“ (ანჩაბაძე 2009: 71).

როგორც დავით მუსხელიშვილი მიუთითებს, აღნიშნული მდგომარეობა არ დარჩენილა შეუმჩნეველი არც ქართველი და არც უცხოელებისათვის (მუსხელიშვილი 1977: 138). გარდა ტერიტორიული ავტონომიისა, რომელიც მოგვიანებით აფხაზეთის სამეფოს ფორმირებით დასრულდა, იყო სხვა მომენტებიც (ანჩაბაძე 2009: 77).

რას უნდა გამოეწვია მეთვრამეტე საუკუნეში პოზიტიური დამოკიდებულებების „გაფუჭება“?

*აღწერა სამეფოსა საქართველოსას* შესავალში, ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებს, რომ მატიანეს შექმნის მიზანი ადამიანებისათვის ნამდვილი ისტორიის გაცნობა და ამით მოსახლეობაში ქვეყნისადმი ერთგულების, საერთო მეხსიერებისა და ღირებულებათა სისტემის ფორმირების უზრუნველყოფაა (ბაგრატიონი 1973: 2, 4). ისტორიისა და მახსოვრობის მნიშვნელობაზე საუბრის პარალელურად ის ასაჯაროებს ქართველობის მისეულ განსაზღვრებას. საგანგებოდ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ მიუხედავად დანაწევრებისა, ცალკეულ-სამეფო სამთავროებად დაშლილი საქართველო ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით ერთიანი იყო და არის კიდევ, რის დასტურადაც შემდეგი გარემოება მოჰყავს:

---

<sup>23</sup> მეთორმეტე საუკუნის ბიზანტიელი ავტორი იოანე ცეცე იბერებს, აბაზგებს და ალანებს ერთი ტომის ხალხებად მიიჩნევს (ცეცე 1967: 23). მეთხუთმეტე საუკუნის სომეხი ავტორის ცნობაც: დვალეებს, ოსებს, იმერლებს, მეგრელებს, აფხაზებს, სვანებს და ქართლებს ერთ მოდგმის ხალხად მიიჩნევს (მეწოფეცი 1987: 24).

უკეთუ კითხო ვინმე ქართველსა ანუ იმერსა, მესხსა და ჰერ კახსა რა რჯული ხარ, წამს მოგიგებს ქართველი. მეორედ, არს ამათ ყოველთა წიგნი და ენა ერთი-იგივე ფარნაოზ პირველისა მეფისაგან ქმნული: და ჰკითხო მათ წინათქმულთა კაცთა: “რა ენა და წიგნი უწყი”, მოგიგებს მყის: “ქართული”. რამეთუ არა იტყვის, არცა რჯულსა, ენასა და წიგნსა იმერთასა, ანუ მესხთა და ჰერ-კახთასა, არამედ ქართულსა (ბაგრატიონი 1973: 291-292).<sup>24</sup>

როგორც დავინახეთ, ვახუშტის მიხედვით ქართველობის პირველი და უმთავრესი ნიშანი არის ეთნიკური წარმომავლობა. აუცილებელ ატრიბუტად მიაჩნია ერთობის წევრთა მიერ ქართული ენისა და წიგნის ანუ კულტურის გამზიარებლობაც. როგორც ტექსტიდან ჩანს, ვახუშტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რელიგიური ერთიანობის საკითხსაც (ბაგრატიონი 1973: 15, 25). ამკარაა, რომ ავტორის მიზანს ამ შემთხვევაში იმ ნიშნების იდენტიფიცირება წარმოადგენდა, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა *სხვებისაგან* ქართული ეთნო-კულტურული ჯგუფის განსხვავება. ამიტომაც იყენებს ის ქართული ერთობისათვის ორი უმნიშვნელოვანეს მარკერს რელიგიასა და ენას.

ვახუშტი აფხაზებისა და ოსების შესახებ, საგანგებოდ აღნიშნავს, რომ არცერთს ამათთაგანს ქართულ ერთობასთან არ აკავშირებს არც ეთნიკური ანუ ნათესაობრივი კავშირი, მეგრელებისა და სვანებისაგან განსხვავებით, ისინი არც ქართულ ენობრივ და კულტურულ სივრცეს განეკუთვნებიან და არც გამოკვეთილი რელიგიური ერთობა აქვთ ქართველებთან. პირიქით, ისინი არიან ისეთი თვისებების მატარებელნი, რომლებიც კატეგორიულად მიუღებელია ქართველობისათს. აი რას წერს ვახუშტი აფხაზებზე:

...მპარავნი ავაზაკნი, ზღვათა შინა მავალნი ოლეჰკანდარებითა, რომელთა შინა შთასხდებიან... დაუხდებიან ოსმალთა ნავთა და ლაზ-ჭანთა და უფროსად ოდიშ გურსა. არამედ არიან ბრძოლასა შინა მდედრნი, მალმიმდრეკნი, ზღუათა შინა მაგარნი და ძლიერნი (ბაგრატიონი 1973: 785-786).

---

<sup>24</sup> მითითებული ციტატა ოდნავ ზემოთ უფრო ვრცლად გახლავთ დამოწმებული.

ოსების შესახებ კი შემდეგს:

თვისთა ქუეყანასა შინა მცირედ მჭამელნი, რამეთუ კმა იყოფენ თვინიერ წყალსა და პურსა და შრატსა. სხუათა ადგილთა და სტუმრობათა შინა გაუძლომელნი. ვერ შემმართველნი ბრძოლასა შინა, რამეთუ ეშინისთ ლაშკართაგან ფრიად. არამედ ღამით შემმართველნი და შემპარავნი ლაშკართა შინა და გამომსვლელნი, უსაქციელონი, ბრიყვნი, ქუეყანასა თვისთა ლაღნი და ამაცნი, სხუათა ქუეყანათა შინა მდაბალნი, გონიერად მოუბარნი, ქურდნი, პარავნი, მტყუარნი, ხარბნი, მომხუეჭნი, მესისხლენი, მემრუმენი, ტყვის მყიდველნი, გრნა არნა თვისთა ყიდიან (ბაგრატიონი 1973: 637).

ქართველები, ქართველი კაცის ბუნებას სრულიად განსხვავებული ნიშებს მიაწერდნენ. ამ აზრით, საინტერესოა დავით ბაგრატიონის მიმართვა თანამებრძოლებისადმი, ლეკების წინააღმდეგ ბრძოლის წინ:

...დღეს თუმცა ვხედავთ ამ შემთხვეულებაში მომშველელი ჯარი არ მოგვესწრება და ჩვენ დიახ | ცოტანი ვართ, მაგრამ ძველთავე ჩვე საქართველოს ერთა ჩვეულება ეს არის: თუ მტერს შეხვდა კ[ა]ცი და ომი არ აუტეხა და მტრის სიმრავლის შიშით მირიდა, იგი კაცი კაცად აღარ ვარგა და აღარც ვაჟკაცად იხსენება; ვეღარც სახლსა და საზოგადოებაში გამოერკვევა და სახელი ასე წაუხდებამ, რომ სიკვდილი ურჩევნია კაცსა იმისთანას სიცოცხლესაო (ბაგრატიონი 1972: 27).

მეთვრამეტე საუკუნეში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში მიმდინარე კულტურული მოძრაობა, როგორც ჩანს, ქართული ერთობის უფრო ფართო და, შეიძლება ითქვას, ნაციონალიზმისათვის დამახასიათებელ ვარიანტს იცნობს, თუმცა მაშინაც აუცილებელი იყო არაქართველის ქართველებთან ასოცირებისას და მისი გაქართველებისათვის არსებულიყო განსაკუთრებული საფუძველი. *მარტივიკაში*,



ანტონ პირველი წმინდანთა რიგს ურთავს სამ სომეხ წმინდანს, თუმცა აკეთებს საგანგებო განმარტებას:

ვჰსჭრუტეთ წინაპართაგან მამათა ქართულეთა, ვითარმედ დაუმტკიცებოდა  
განსაზღვრებად ესე ანუ განჩინებად, რამეთუ სათთუეთა შინა მოსაცსენებელთა  
და მეტაფრასთა ვსენებად სომხეთსა შინა ვნებულთა ჭემმარიტებისა მოწამეთა...  
(ბაგრატიონი 1980ა: 341).

*აღწერა სამეფოსა საქართველოსას* ტექსტში, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც მისი შემქნელი თავადვე ახდენს საკუთარი ამოცანის ხაზგასმას ერთიანი ცნობიერების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, ასეთი აქცენტი ეთნიკური უმცირესობების საკითხზე გვაფიქრებინებს, რომ ავტორის მიზანი იყო ქართული ეთნო-კულტურული სივრცის შემოსაზღვრა, სადაც როგორც დავინახეთ, ვერ მოიძებნა ადგილი აფხაზებისა და ოსებისათვის.

ქართული ნარატივი სულ მცირე მეთვრამეტე საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული, როდესაც იბადება ქართული ნაციონალისტური მოძრაობა, იმსჭვალება ოსურ-აფხაზური მოსახლეობისადმი „ნეგატიური“ დამოკიდებულებებით. ერთგვარი ეთნო-კულტურული თვითდასაზღვრა, რაც უპირველესად ქართული იდენტობის ჰომოგენიზებას ისახავდა მიზნად, გაგრძელდა მეცხრამეტე საუკუნეშიც (ჩხარტიშვილი, მანია 2011: 539). ამ და წინა თავში განვითარებული მსჯელობიდან გამოჩნდა, რომ მეთვრამეტე საუკუნეში ინტელექტუალთა შემოქმედებითი საქმიანობა მთლიანად მიმართული იყო ისეთი კულტურული ასპექტების გამოკვეთისაკენ როგორცაა ენა, რელიგია, საერთო წარმომავლობისა და წინაპრების შესახებ მითები, ისტორიული მეხსიერება და ა.შ. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ ქართული ერთობის ფორმა მეთვრამეტე საუკუნეში შეესაბამებოდა დემოტური (ვერტიკალური) *ეთნის* ისტორიულ ტიპს. მეთვრამეტე საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული ეთნო-კულტურულ მოძრაობაში ჩნდება ნაციონალისტური მოძრაობისათვის დამახასიათებელი ტენდენციები, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი

პოლიტიკურმა სტაგნაციამ. სასტამბო საქმის წარმატება და საგანამანათლებლო სისტემის ფორმირება, ახალ შესაძლებლობებს ქმნიდნენ ნაციონალისტური მოძრაობისა და ნაციონალიზმის იდეების განვითარებისათვის. კიდევ უფრო ნათლად ეს მოძრაობა, მისი სოციალური ასპექტები, ჩანს სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებზე დაკვირვებისას.

#### თავი IV. სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური ისტორიის საკითხების შესწავლის დიდი ტრადიცია გაგვაჩნია და სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებული წვლილი საბჭოთა პერიოდის ქართული საისტორიო სკოლის წარმომადგენლებს აქვთ შეტანილი მის განვითარებაში (ვრცლად იხ.: ჯანაშია 1935; ბერძენიშვილი 1974; სურგულაძე 1973; მელიქიშვილი 1973; ბოგვერაძე 1979; ჯამბურია 2007; ლორთქიფანიძე 1963; ტუხაშვილი 1980; მუსხელიშვილი 1980; მამულია 1987 და სხვები), პოლიტიკურად მოტივირებულ და საერთაშორისო დიალოგისაგან იზოლირებულ გარემოში, ისტორიული რეპრეზენტაციისას, მათ შორის, სოციალურ-ეკონომიკური საკითხებზე დაკვირვების დროსაც, ისტორიული მატერიალიზმის შესაძლებლობების სრულად გამოყენებაც ვერ ხდებოდა.<sup>25</sup> ეკონომიკური პროცესიდან, რომლის განვითარება არ არის დამოკიდებული მხოლოდ ობიექტურ კრიტერიუმებზე, სუბიექტივისტური მომენტების გამორიცხვა, ისტორიული პროცესის სწორად გაგებისათვის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი გარემოება იყო.<sup>26</sup>

გარდა ზემოთ ხსენებული გარემოებისა, ისტორიული ეპოქის რეკონსტრუქციისას, აუცილებელია, მხედველობაში ვიქონიოთ საერთაშორისო ვითარება და გავლენა, რომელიც როგორც წესი თავდაპირველად კულტურაზე და ინტელექტუალთა შემოქმედებაზე აისახება და მხოლოდ ამის შემდეგ ზემოქმედებს სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაზე. რასაკვირველია, არ ვგულისხმობთ, რომ ამის გამო, მეთვრამეტე საუკუნეში, ან უფრო ადრე, საქართველოში განვითარებული და სხვაგან მიმდინარე პროცესი აბსოლუტურად იდენტურად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა ურთიერთკავშირი ისტორიის არც ერთ ეტაპზე გამორიცხული არაა, მით უფრო

---

<sup>25</sup> მათ შორის ამგვარი სააზროვნო ორიენტირების შედეგად ჩამოყალიბებული ტენდენციური შეფასებების ციკლიდანაა, აზრი იმის შესახებ, რომ საქართველო არასოდეს არ შედიოდა დასავლეთის ინტერესებში და რუსეთმა შეუწყო ხელი მის განვითარებას (დუმბაძე, გუჩუა 1990: 344); სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ ამ საკითხის მიმართ მეოცე საუკუნის დასაწყისში, საქართველოს გასაბჭოებამდე (თავისუფალი საქართველო 1913ბ: 2-16).

<sup>26</sup> მოსაზრება, რომ ეკონომიკა და სოციალური ურთიერთობების სხვა ფორმები ფარავენ ერთმანეთს და განიცდიან ურთიერთგავლენას, იმდენად, რომ ზოგჯერ კონკრეტული ისტორიულ-კულტურული ტენდენციები ხდებიან ეკონომიკური პროცესებისათვის ბიძგის მიმცემნი არ არის ახალი (იხ. ბლოკი 2001: xxiii-xxiv, xxv; დამატებით იხ. ვეშაპიძე, ასლამაზიშვილი და სხვები 2005: 10).

მეთვრამეტე საუკუნეში, როდესაც ინტერკულტურული კავშირები ძალზედ აქტიურია. ამ ფაქტის უგულვებელყოფის გამო, სპეციალურ ლიტერატურაში, რომელიც სცოიალურ-ეკონომიკურ ურთიერთობების კლევას ეხება, ჩანს გარკვეული ბუნდოვანება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისეთი ფენომენების ანალიზს ეხება საქმე როგორცაა ფეოდალური ურთიერთობები, ფედალიზმი და კაპიტალიზმი.

მიუხედავად იმისა, რომ შესავალში განვმარტეთ ჩვენი ინტერესი ამ კუთხით, იმის გამო, რომ თავი ვერ ავარიდეთ კონკრეტული საკითხების შესახებ მსჯელობებსაც, კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს, რომ წინამდებარე დისერტაციის ძირითად მიზნებში არ შედის არსებული პრობლემების ტრადიციული ემპირიული თვალსაზრისით კვლევა, ჩვენი ამოცანა ამ ნაწილში, უფრო საკითხის დასმა გახლავთ ვიდრე მისი გადაჭრა. მეორე მხრივ, სოციალურ ეკონომიკური ვითარების კოლექტიური კულტურული იდენტობის განვითარების კუთხით გააზრებისათვის აუცილებელია კონკრეტული ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებაც. ჩვენი მოსაზრებები ამ ნაწილში, ეფუძნება დისერტაციაში დამოწმებულ ავტორთა დაკვირვებებს და მათ მიერ გამოქვეყნებულ მასალებს. ვფიქრობთ, ამ გზით მკითხველი დარწმუნდება, რომ მოსაზრებებს, რომლებსაც ჩვენ გამოვთქვამთ, თუნდაც გარკვეული აზრით ჰიპოთეტურიც იყოს ისინი, აქვთ არსებობის საფუძველი და ჩვენთვის საინტერესო პერიოდის შეფასებისას შეუძლებელია მათი, როგორც ფაქტების, გაუთვალისწინებლობა, მით უფრო, იმ კუთხით, რომელიც ჩვენთვისაა საინტერესო.

როგორც წინა თავებში მივუთითეთ, განვითარებულმა მოვლენებმა, მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან მოყოლებული, მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ინტელექტუალურ ელიტას ერთობის წევრთა ეთნო-კულტურული მარკერების გარშემო მობილიზებისათვის. როგორც გამოჩნდა მეთვრამეტე საუკუნის შუა პერიოდში, ეთნო-კულტურული მოძრაობამ შეიძნა ნაციონალისტურ ხასიათს. სტამბისა და სახელმწიფო სკოლების დაარსება ხელს უწყობდა და ქმნიდა იმგვარ ინტელექტუალურ გარემოს, რომლის ცენტრშიც უპირველეს ყოვლისა *ეთნის* ერთგვაროვნების შენარჩუნება და განმტკიცების ამოცანა იდგა. ასეთ დროს ეკონომიკური სტაგნაციის მიუხედავად პროგრესისა, ვითარების გამოსწორების

მიზეზი მთავარი ინტელექტუალური მხარდაჭერა ხდება, რომელსაც ელიტა/მმართველი კლასი, პირველ რიგში, სწორედ, *ეთნის* ინტერესებიდან გამომდინარე გამოხატავს. მათ შორის მიისწრაფვის იმ ტიპის ცვლილებებისაკენაც, რომლებიც პოტენციურად აშკარად სცდებიან და უფრო მეტიც არღვევენ მათთვის სასურველ იერარქიულ წესრიგს. მოკლედ, რომ ვთქვათ მოვლენების ასეთი განვითარება ტიპურია დემოკრატიული *ეთნის* ისტორიული გამოცდილებისათვის.

ასეთ დროს, მმართველი ელიტის ეკონომიკური და სოციალური სტრატეგია, მით უფრო, აბსოლუტუზმის პირობებში, ხელოვნურად ინსპირირებული მოდერნიზაციის მოდელზე იგება. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში: დემოკრატიზმის ნიშნების გაჩენა, კლასობრივი დიფერენციაციის პროცესი როგორც დაბალ, ისე აზნაურულ ფენაში, ქალთა აქტივობებისა<sup>27</sup> და ვაჭართა გათავადების მაგალითები, აზნაურთა დაინტერესება ვაჭრობით და საქალაქო ცხოვრების განვითარება, თავისუფალი მოსახლეობის გამრავლება, სოციალური და ეკონომიკური სტიმულის არ არსებობის მიუხედავად, სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებზე ეთნო-კულტურული მოძრაობის გავლენის შედეგი იყო.

წინამდებარე თავში ვეცდებით, ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით გავაშუქოთ არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ხასიათი და გამოვკვეთოთ ის ტენდენციები, რომლებიც მნიშვნელოვან ბმას პოულობენ ეთნო-კულტურულ მოძრაობასთან. პირველ რიგში ამ საკითხების შესახებ მსჯელობას დავიწყებთ ისტორიული და ისტორიოგრაფიული ფონის მიმოხილვით რათა უფრო თვალსაჩინო იყოს, ერთი მხრივ, განვითარებული მოვლენების ისტორიული ხასიათი და, მეორე მხრივ, გამოჩნდეს ის ამბივალენტური დამოკიდებულება, რომელიც ჰქონდა საბჭოთა ისტორიოგრაფიას ამ საკითხების კვლევისადმი.

---

<sup>27</sup> ამ პერიოდიდან ვიცნობთ *ვეფხისტყაოსნის* გადამწერ რამდენიმე ქალს: ყაზახანთ ბეჟოას ასულს (1702), მანანა ზედგინიძეს (1788). ასევე საინტერესოა ერეკლეს ქალიშვილების შემოქმედებითი საქმიანობა.

#### § 4.1 ისტორიოგრაფიული და ისტორიული მიმოხილვა

იმისათვის, რომ უფრო გასაგები იყოს, ერთი მხრივ, ჩვენი პოზიცია და, მეორე მხრივ, ის წინააღმდეგობა რაზეც ზემოთ მოგახსენებდით, მეთვრამეტე საუკუნეში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები უნდა განვიხილოთ ადრინდელი პერიოდების გათვალისწინებით.

ფეოდალიზმის კვლევა ჩვენთანაც და დასავლეთშიც კვლავ რჩება ისტორიოგრაფიის აქტუალურ საკითხთა შორის. ვრცელია იმ ლიტერატურის ჩამონათვალი, რომელიც ამ თემის გარშემო შეიქმნა (იხ: ადამსი, 1901: 11-35; ბლოკი 1904; რობინსონი 1904; ქოლბერნი 1956; ჰერლიჰი 1971; ვაითი 1975: 138-155; სტერნი 1988: 829-872; ბისონი 1994: 6-42; რეინოლდსი 1994; ფრაიდი 1997: 28-41; პოლანი 2001; შაიეტი 2003; ბარენდსა 2003: 503-529; მორილო 2003: 531-550; კომნიელი 2008: 1-53; და სხვები).

საქართველოში, საბჭოთა პერიოდში, ფეოდალიზმი იმ ისტორიულ პრობლემათა რიგს განეკუთვნებოდა, რომელთა კრიტიკული შეფასებაც კლასობრივი ბრძოლისა და სოციალური უსამართლობის კონტექსტში თავისუფლად შეიძლებოდა. თუმცა, სწორედ ამგვარი „თავისუფლება“ აღმოჩნდა მთავარი პრობლემა. სწორედ ამ „თავისუფლების“ შედეგია, რომ, მნიშვნელოვანი სამეცნიერო მემკვიდრეობის მიუხედავად ამ კუთხით, დღესაც საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს მრავალი საკითხის შესახებ.<sup>28</sup>

30-იან წლებამდე ქართული ისტორიოგრაფია ძირითადად პოზიტიურად აფასებდა მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში არსებულ სურათს (ნათამე 1930: 148). ვითარება იცვლება 50-იანი წლებიდან, როდესაც ერთგვარ სამეცნიერო ტრენდად იქცა ე.წ. „რეფორმამდელი“ ისტორიკოსების კრიტიკა (მესხია 1982: 375-376; მეგრელაძე 1967ა: 11-12.). სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, რომ ადრეც იყო საპირისპირო შემთხვევები, მაგალითად, სარგის კაკაბაძე თავდაპირველად

---

<sup>28</sup> მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ პირველად, ჯერ კიდევ ასი წლის წინ, ივანე ჯავახიშვილი მიუთითებდა სოციალური ურთიერთობების ჩვენთან არსებულ ფორმასა და ევროპულ ფეოდალიზმს შორის მნიშვნელოვან მსგავსებაზე (ჯავახიშვილი 1928ბ: 93; ჯავახიშვილი 1982ა: 249; ვრცლად იხ.: ჯავახიშვილი 1905; ჯავახიშვილი 1907; ჯავახიშვილი 1913), მომდევნო პერიოდებში, ქართული ისტორიოგრაფიული აზრი ამ საკითხის გაშუქებისას, თუმც მან ბევრი ფაქტობრივი გარემოებების დაზუსტება შეძლო, მასზე შორს აღარ წასულა.

მიუთითებდა ქართლ-კახეთის ეკონომიკური ჩამორჩენილობის შესახებ (კაკაბაძე: 1924: 272); თუმცა მოგვიანებით მან შეიცვალა პოზიცია (კაკაბაძე 1930: 179; კაკაბაძე 1950: 164).

ვითარება მეტ-ნაკლებად იცვლება 60-იანი წლებიდან. ამ დროს მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხების დაზუსტებასთან ერთად სამეცნიერო მიმოქცევაში შეძლებისდაგვარად ბრუნდება მანამდე უარყოფილი შეხედულებები.<sup>29</sup> თუმცა საერთო სურათი ამით დიდად არ შეცვლილა.

თვალსაჩინოებისათვის მოკლედ განვიხილავთ ორ ტექსტს. ერთი მათგანი არის, წარმოშობით ქართველი, ფრანგი მეცნიერის, გ. შარაშიძის მიერ ქართული ფეოდალური ურთიერთობების გააზრების მცდელობა, მეორე კი საქართველოში მოღვაწე ქართველი მეცნიერის – გ. ტივაძის თვალთ დაწახული ევროპული გამოცდილება. ამ ავტორებს შორის, თუმცა ორივე ფეოდალიზმის შესახებ წერს, არის პრინციპულის სხვაობა. გ. ტივაძეს მიაჩნია, რომ დასავლეთში, კერძოდ, საფრანგეთში, განვითარებული ფეოდალიზმის დროს არსებული კრიზისი და ცენტრალური ხელისუფლების სისუსტე იყო მიზეზი ქვეყნის დაქუცმაცებულობისა (ტივაძე 1962: 4-17). ქართული მაგალითის განხილვისას სხვა ავტორებიც მივიდნენ იმავე დასკვნამდე (ბერძენიშვილი 1973: 94; ლომინაძე 1979: 599; დუმბაძე 1986: 138, 140). ავტორის ასეთი შეფასება განმარტების გარეშე საკმაოდ ბუნდოვანია. როგორც

---

<sup>29</sup> მაგ., იხ. Зачатки капитализма в Грузии и политика Ираклия II. Сабчота Сакартвелო. Тифлис, 1974. გვ. 30, 163. როგავას იმავე სათაურით ქართულ ენაზე, სტატია გამოქვეყნებული აქვს უფრო ადრე, 1964 წელს. დერმიშა გოგოლაძე წერს, რომ მეთვრამეტე საუკუნეში მზადდებოდა პირობები ფეოდალური ურთიერთობების რღვევისათვის (გოგოლაძე 1966: 166, 168), *საისტორიო ძიებანის* მეორე ტომში იმავეს მიუთითებს შოთა მესხიაც (მესხია 1983: 263-264). ვასილ ჩანტლაძემ მათ მსგავსად თვლის, რომ ფეოდალური ურთიერთობების რღვევისათვის საფუძველი მზადდებოდა მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში (ჩანტლაძე 1959: 11). აღსანიშნავია ნ. ქოიავასა და გ. აკოფაშვილის კვლევები ფულად-საფინანსო და საგადასახადო სისტემებთან დაკავშირებით. საბჭოთა პერიოდის ავტორებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი, არსებული მდგომარეობის შეფასების თვალსაზრისით, გახლავთ მიხეილ სამსონაძის შრომები. იგი მიუთითებდა, რომ მეთვრამეტე საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, არსებული ეკონომიკური მდგომარეობა გახდა წინაპირობა მეცხრამეტე საუკუნეში განვითარებული ეკონომიკური პროცესისა და არა რუსული მმართველობის დამყარება (სამსონაძე 1980). ბოლო პერიოდში შესრულებული შრომებიდან აღსანიშნავია ა. თაბუაშვილის სადისერტაციო ნაშრომი, *ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის*. იმავე ავტორის: *მასალები XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის* (2010), ასევე ა. ჩიქობავას ვასალიტეტის საკითხი განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქის საქართველოში. *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ინსტიტუტის შრომები*. ტომი, VII. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“ და სხვები.

სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, თავისი არსით ფეოდალიზმი, სწორედ, რომ ერთგვარ ფედერაციულ მმართველობას გულისხმობს (ჰანტი, ლაუცენჰაიზერი 2011: 8; პელსი 2016: 1-2).

ერთია, ფეოდალიზმის დროს განვითარებული კრიზისი და მეორეა, ფეოდალიზმის კრიზისის გამომწვევ გარემოებად მიჩნევა. ამგვარ შეფასებას შარაშიძე ფეოდალური ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ნიშნების აღრევას უწოდებს:

...ბევრმა ავტორმა ფეოდალურ საზოგადოებას ისეთი ნიშნები მიაწერა, რაც მას სულაც არ შეჰფერის და უფრო მეტიც — რაც მასთან სრულიად შეუთავსებელია. ამის ყველაზე ტიპური მაგალითია ფეოდალური წყობილებისა და ანარქიის გაიგივების მცდელობა (შარაშიძე 2011: 8).

ასეთი შემთხვევებისათვის ის საგანგებოდ განმარტავს, რომ:

....ანტაგონიზმი (იგულისხმება ფეოდალებსა და სამეფო ხელისუფლებას შორის დაპირისპირება, ზ.თ) და საკმაოდ მნიშვნელოვან როლსაც ასრულებდა რამდენიმე საუკუნის მანძილზე, მაგრამ შედარებით ახალ ეპოქაში. იგი მიეკუთვნება ფეოდალიზმის ისტორიას, მაგრამ ასახავს რეჟიმის დაკნინებას, რაც მის დასასრულს გვაუწყებს. სწორედ იმ დროს, როდესაც ფეოდალური სისტემა წყვეტს ნორმალურ ფუნქციონირებას, ადარ მისდევს თუ ენგელსის ტერმინს მოვიშველიებთ, საკუთარ „კონცეფციას“, იწყება ბრძოლა ორ განსხვავებულ ხელისუფლებას — სამეფო ძალაუფლებასა და წარჩინებულთა წრეს შორის (შარაშიძე 2011: 9).

როგორც ვხედავთ, ტერმინების, *ფეოდალიზმის კრიზისის* და *განვითარებული ფეოდალიზმის* ერთ კონტექსტში გამოყენება საჭიროებს მეტ სიფრთხილეს. ფეოდალიზმის კრიზისი თავისთავად გამორიცხავს განვითარებული ფეოდალიზმის არსებობას. გ. ტივადის გადაწყვეტილებას, ფეოდალური და



განსაკუთრებით დასავლური ფეოდალური სახელმწიფოს ისტორიული გამოცდილება გაეშუქებინა, როგორც ქვეყნის გაერთიანებისათვის ხელისშემშლელი და რეგრესული მოვლენა, მიზეზი და შედეგიც ორგვარი ჰქონდა: ერთი მხრივ, როგორც ვთქვით, ამ გზით ხაზი გაესვა ფეოდალიზმის, როგორც კლასობრივი ურთიერთობების მანკიერ ფორმას, <sup>30</sup> მეორე მხრივ კი, მყარდებოდა და ძლიერდებოდა სოციალიზმის, როგორც ფეოდალურ-არქაული ურთიერთობების აღმომფხვრელი მოძრაობის, პროგრესული ხასიათისა და ზოგადად საქართველოს რუსეთთან შეერთების პოზიტიურ ისტორიულ კონტექსტში წარმოდგენის ტრადიცია. <sup>31</sup>

ამგვარი სულისკვეთება ზოგადად სოციალური თეორიით შთაგონებულ მკვლევრებში არც დასავლეთში იყო უცხო. თუმცა ჩვენთან, ის წარმოდგენდა ოფიციალურ პოზიციას და ამდენად უალტერნატივოც იყო. ეს კი, ხელს უწყობდა საზოგადოებაში საკუთარი სოციალური წარსულისადმი გაუცხოებასა და ქმნიდა ერთგვარ გაუცნობიერებელ მითოპოეტურ დამოკიდებულებას მისადმი. წარსული, რომელიც როგორც წინა თავებიდან დავინახეთ ერთობის ჰომოგენიზებისათვის, მით უფრო ნაციად ფორმირების პერიოდში, როდესაც ერთობის სოციალური სხეულის გაერთგვაროვნება ხდება, და თუმცა ის, ამ აზრით, ინტერპრეტაციასაც ექვემდებარება, საბჭოთა პერიოდში რადიკალიზაციის ფონზე, რიგითი ქართველის წარმოდგენაში ცალსახად ასოცირდა კლასობრივი თვალსაზრისით უარყოფით გამოცდილებასთან და დაჩიხულობასთან. ამდენად, მას არ შეეძლო ჰომოგენიზების ფუნქცია ეკისრა, ასეთ ვითარებაში გამოსავალი იყო ისტორიის ჰიპერჰეროიზებული, მაგრამ დადებითი შინაარსების შემცველი ვერსიის დაჯერება, რაც ერთობისათვის სინამდვილეში ისეთივე დესტრუქციული იყო მრავალი ასპექტით, როგორც კლასობრივი დაპირისპირების რწმენა. <sup>32</sup>

საბჭოთა პერიოდში არსებულ ვითარებას კარგად ასახავს შემდეგი ციტატაც:

<sup>30</sup> მაგალითისათვის იხ. მ. დუმბაძე (დუმბაძე 1986: 140-141).

<sup>31</sup> მაგალითისათვის იხ. ი. კაჭარავა (კაჭარავა 1986: 77-78).

<sup>32</sup> ე.წ. ქართული *ისტორიული რომანის* წარმატება ალბათ ამანაც განაპირობა. ფაქტია, რომ დღესაც კი მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს, ასეთ ტექსტებში აღწერილი სიუჟეტები ისტორიული სინამდვილე ჰგონია.

საბჭოური პერიოდის ისტორიოგრაფია გლეხობის შესახებ, პრინციპულად განსხვავდება რევოლუციამდელი ხანის ისტორიოგრაფიისაგან. რევოლუციამდელი ხანის ისტორიკოსთა ნაშრომების ძირითადი ნაკლი მეთოდოლოგიის საკითხებში იჩენდა თავს: აღიარებდნენ ქართულ ფეოდალიზმს, მაგრამ არ ეძებდნენ იმ სპეციფიკურს, რაც ქართულ ფეოდალიზმს ახასიათებდა. ამდენად მათი მიდგომა საკითხისადმი მეტ-ნაკლებად წინასწარ შემუშავებული სქემების მიხედვით ხდებოდა. საბჭოთა პერიოდის ისტორიკოსთა შრომების ეს ნაკლი ძირითადად დაძლეულია (1930-იან წლებამდე ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი ჯერ კიდევ განიცდიდა ძველი სკოლის გავლენას). დღეს საბჭოთა ისტორიკოსთა მიერ გლეხობის ისტორიის შესწავლა მარქსისტული მეთოდოლოგიის მომარჯვებით წარმოებს. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ფეოდალური ხანის გლეხობის შესახებ ერთი ვრცელი განმაზოგადებელი ნაშრომი არ შექმნილა, ჩვენ საკმაოდ მრავალფეროვანი სამეცნიერო ლიტერატურა გვაქვს ხელთ ფეოდალური ხანის გლეხობის ისტორიისათვის (მეგრულად 1967ბ: 11-12).<sup>33</sup>

გარდა პოლიტიკური ვითარებისა, ე.წ. „რეფორმისშემდგომი“ პერიოდის ისტორიოგრაფიის პრობლემა იყო ისტორიული მატერიალიზმის პრინციპებისადმი უპირობო ერთგულება. ბუნებრივია, რომ ემპირიაზე კონცენტრირებული მკვლევარებისათვის, საქართველოში დასავლეთთან შედარებით განვითარების არასაკმარისი ტემპი, XVIII საუკუნის მეორე ნახევარშიც კი, არსებული ვითარების დადებითად შეფასებისათვის სერიოზული დაბრკოლება აღმოჩნდა. თუმცა აშკარა იყო არგუმენტების ნაკლებობა სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ახსნისას, ერთი მხრივ, პროგრესულ სოციალურ-ეკონომიკურ ტენდენციათა გამომწვევ ისტორიულ წინაპირობებს შორის გარდამტეხი ეკონომიკური სტიმულის არარსებობაზე მითითების და, მეორე მხრივ, სოციალურ-ეკონომიკურ

---

<sup>33</sup> ქვემოთ იმავე გვერდზე ჩამოთვლილია რევოლუციამდელი ისტორიკოსებიც: ი. ჯავახიშვილი, ფ. მახარაძე, ს. კაკაბაძე, გ. ნათაძე, გ. გიორგაძე, პ. გელეიშვილი და სხვები (მეგრულად 1967ბ: 12).

ურთიერთობებში ცალსახა პროგრესის გამო. სამეცნიერო დისკუსია,<sup>34</sup> რომელიც ამ საკითხების შესახებ ქართულ სინამდვილეში განვითარდა უფრო იმის ჩვენებას ემსახურებოდა, რომ სოციალური გარდაქმნებისათვის საჭირო შინაგანი ენერგია და ისტორიული გამოცდილება, რომელიც აუცილებელი იყო დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაფუძნებისათვის ქართულ ერთობას არ გააჩნდა, ყოველ შემთხვევაში რუსული მმართველობის დამყარებამდე. ქვემოთ ვეცდებით შეძლებისდაგვარად მიმოვიხილოთ ქართული ერთობის ისტორიული გამოცდილება.

განვითარებული ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელ ნიშნებად მიიჩნევა: საქალაქო ცხოვრების აღორძინება, ნატურალური რენტის ფულადი ვალდებულებით შეცვლა, ასევე თავისუფალი (ე.წ. აზატი) გლეხების რიცხვის რაოდენობის ზრდა და ა.შ. (ვუდი 1999: 39, 74-80; პელსი 2016: 1-51; ტივაძე 1962: 4-6, 21, 28, 30-31; კუტალია 2005: 18-19, 202-219).

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში საქართველოში ქალაქი საკმაოდ დაწინაურებულია. მაგალითად, თბილისის შემთხვევაში, აღნიშნავენ, რომ ძირითად მოსახლეობას შეადგენდნენ ვაჭარ-ხელოსნები (დუმბაძე, გუჩუა 1990: 108). როგორც ლ. ჭილაშვილი მიუთითებს, თბილისში იმ პერიოდში განვითარებული ყოფილა შუა საუკუნეების ვაჭრობისათვის ცნობილი პრაქტიკულად ყველა დარგი (ჭილაშვილი 1970: 155, 162; დამატებით იხ.: გაბაშვილი 1966: 122-125). გაბაშვილი ყურადღებას ამახვილებს შუა საუკუნეების საქალაქო ცხოვრებაში რინდების სოციალურ მდგომარეობასა და მათ როლზეც (გაბაშვილი 1966: 139). ავტორი მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში თბილისში სხვა სუბ-ჯგუფების, ჯევანმარდ-ფითიანების და აიარუნების არსებობასაც ვარაუდობს (გაბაშვილი 1966: 151). აღნიშნავენ საფინანსო კორპორაციებისა და საქალაქო მმართველობაში დაბალი ფენების გააქტიურების შესახებ, ასევე მიუთითებენ ქალაქის მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის კონფლიქტზეც (დუმბაძე, გუჩუა 1990: 108-110). მეცამეტე-მეთხუთმეტე საუკუნეში

---

<sup>34</sup> თუმცა, დასავლეთშიც არ იყო ერთგვაროვანი სურათი (ვრცლად იხ.: რაუნდი 1895; ვაითი 1975: 138-155; მორილო 2003: 531-550; შაიეტი 2003: 6-42), მათგან განსხვავებით, სამეცნიერო „დისკუსიის“ ის ფორმა, რომელიც ჩვენთან იყო, ობიექტურად, სამეცნიერო აზრის განვითარების შესაძლებლობას ზღუდავდა, ვიდრე პირიქით.

ქალაქს გარდამავალი პერიოდი უდგას, თუმცა საქალაქო ცხოვრება, როგორც ჩანს, მაინც შენარჩუნებულია და მეცამეტე საუკუნიდან მოყოლებული კვლავ იწყებს აღორძინებას (ნალბანდიანი 1959: 109).

რაც შეეხება საგლეხო რენტას. ქართველი მკვლევრები აღნიშნავენ, რომ საქართველოში საგლეხო რენტა ფეოდალიზმის ეპოქაში, შრომით და ნატურალურ ვალდებულებასთან ერთად, ფინანსურ გადასახადსაც გულისხმობდა. ამასთან, ფინანსური ვალდებულება ჩანს, რომ მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებისათვის ქვეყნის განვითარებასთან ერთად მატულობს (ლორთქიფანიძე 1967: 43, 61, 66-67; იხ.: მეგრელაძე 1967ა: 77). მამისა ბერძნიშვილი საგლეხო გადასახადებთან დაკავშირებით წერს, რომ ფულადი გასახადი მთლიანი რენტის ნახევარი უნდა ყოფილიყო (ბერძნიშვილი 1964: 139). ზოგადად გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ აღნიშნავენ, რომ ღარიბი გლეხების გვერდით მეთოთხმეტე საუკუნეში გვხვდებიან ისეთებიც, რომლებიც დაქირავებულ შრომასაც კი იყენებენ (მეგრელაძე 1967ა: 82-83). ეკონომიკური ცხოვრების განვითარების კვალდაკვალ სოციალური და ეკონომიკური დაწინაურების შესახებ წერენ, რომ:

XIV ს. კანონმდებლობაში გაჩენილი გლეხის სისხლის ორგვარი ფასის საფუძველიც-400 თეთრი ჩვეულებრივი გლეხისა, ხოლო 1000 თეთრი გლეხისა, რომელსაც „პატრონი იცნობდეს სიკეთესა ზედა“, გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობის სხვადასხვაობაში უნდა ვეძებოთ, მიუხედავად კანონმდებლობის განცხადებისა, რომ გადამწყვეტი მომენტი პატრონთან პირადი დამოკიდებულება იყო (მეგრელაძე 1967ა: 83).

გლეხობის ეკონომიკური აღზევების წინაპირობებს შორის სახელდება გააზატება (მეგრელაძე 1967ა: 84) და მისი კავშირი ბაზართან:

შრომითი და ნატურალური ბეგარის გვერდით, როგორც აღნიშნული გვექონდა, ფეოდალური ურთიერთობის ადრეულ ხანიდან გვაქვს დადასტურებული ფულადი გადასახადები. ფულადი გადასახადის არსებობა გვაფიქრებინებს, რომ

გლახი დაკავშირებულია ბაზართან (ციტატისათვის იხ.: გაბაშვილი 1981: 70-82; დამატებით იხ.: მესხია 1962: 57).

ფულადი რენტის მატებისა და ეკონომიკური აღზევების პარალელურად, ამავ პერიოდში მრავალი მაგალითი გვაქვს გლახთა სოციალური და კლასობრივი ბრძოლისა აყრა-გაქცევის სახით (მეგრელაძე 1967ა: 85). სოციალური ბრძოლის ნაირსახეობას წარმოადგენდა მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებისათვის დადასტურებული ე.წ. უპატრონო, მეღალე გლახების არსებობის ფაქტიც (მეგრელაძე 1967ა: 80). საბოლოო ჯამში ითვლება, რომ „...ქვეყნის განვითარების ნორმალურ პირობებში, მიუხედავად თავისი ბეგარა-ვალდებულებებისა, მკვიდრ გლახს ექმნებოდა ეკონომიკურად დაწინაურების პირობები“ (მეგრელაძე 1967ა: 84).

განვითარებულ შუა საუკუნეებში საქართველოს სოციალური შინაარსის შეფასებისას აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ მსახურთა ფენაც. როგორც მკვლევრები თანხმდებიან, საქართველოში იმ პერიოდში დადასტურებულად, გარდამავალი კლასის სახით, არსებობდა მსახურთა ფენა (ჯავახიშვილი 1928ა: 35). სიმონ ჯანაშია მიიჩნევდა, რომ ადრეფეოდალურ ხანაში მსახურები, იგივე ტაძრეულნი, წარმოიშვნენ უმეტესწილად „წვრილი ერისაგან“, და, რომ ის იყო ერთგვარი გარდამავალი საფეხური „წვრილ ერსა“ და აზნაურობას შორის. ავტორი, მსახურთა შორის ვარაუდობს გააზატებული მონების არსებობასაც. მისი განმარტებით მსახურებს ევალეობდათ თავიანთი ბატონის მსახურება, მათ შორის ომში ხლებაც (ჯანაშია 1949: 279). ბერძენიშვილი კი მიიჩნევდა, რომ მსახურები გარდამავალ ფენას წარმოადგენენ, კერძოდ, ისინი იყვნენ მიწათმოქმედნი, რითაც გლახებს ემსგავსებოდნენ, ხოლო წოდებრივი ფუნქციით კი აზნაურებს (ბერძენიშვილი 1965: 49-70). პრაქტიკულად არცერთ მკვლევარს არ დაუყენებია ეს ფაქტი კითხვის ნიშნის ქვეშ (ვრცლად იხ.: რატიანი 1974; ჩხატარაიშვილი 1979; სანაძე 1979).

სტატიაში, *სოციალური ურთიერთობების ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში*, გულჩინა აკოფაშივილი წერს, რომ:

ვასალიტეტის სისტემის ჩამოყალიბების (IX-X სს.) შემდეგ ხდება მსახურთა ერთი ნაწილის თანდათან შერწყმა ფეოდალთა კლასთან და ზოგ შემთხვევაში მოხელეობისა და მოლაშქრობის ერთი პიროვნების ხელთ შეთავსება. ამასთანავე არსებობას განაგრძობენ საკუთრივ მსახურნიც, რომელნიც მხოლოდ სამსახურებრივ, მოხელეობრივ მოვალეობას ეწევიან – ესაა შედარებით დაბალი თანამდებობის პირნი, მოლაშქრობას ჩამოცილებულნი (აკოფაშვილი 1986: 71).

ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ მეცამეტე საუკუნეში უცხოელი დამპყრობლის გამო ყრმა-რაინდობის შინაარსის მატარებელი კლასის არსებობას საფუძველი ეცლება და ის კარგავს თავის მნიშვნელობას. ამიტომ მსახურები მოგვიანებით თავიანთ უწინდელ მდგომარეობას უბრუნდებიან. უფრო მოგვიანებით კი, ზოგადი მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესების ფონზე, გლეხური საქმიანობის შესრულებაც უწევთ (აკოფაშვილი 1986: 71-72). თუმცა, მიუხედავად ამისა, როგორც ავტორი შენიშნავს მეთხუთმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების საბუთებში მსახურები გლეხებისაგან განცალკევებულად და უფრო ხშირად კი აზნაურების გვერდით იხსენიებიან: „ხოლო ის ნაწილი, რომელიც გლეხთა მდგომარეობამდეა ჩამომცრობილი, ამ კლასის შიგნით ცალკე სოციალურ ფენას, გლეხობის პრივილეგიურ ნაწილს ქმნის მსახურთა სახელწოდებით“ (აკოფაშვილი 1986: 74-76).

ქართველ ავტორთა ნაწილი, მეთოთხმეტე საუკუნეში, ფეოდალიზმის კრიზისის ფონზე კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებისათვის დამახასიათებელი ნიშნების გაჩენის შესახებაც მიუთითებს (რატიანი 1970: 139-141):

XIII საუკუნიდან XIV საუკუნის ბოლომდე ქურდობა და განსაკუთრებით მეკობრეობა დიდად ვრცელდება და ისეთ სერიოზულ მასშტაბებს იღებს, რომ ქვეყნის მესვეურნი ვერავითარი ღონისძიებით ვეღარ ახერხებენ მათს ალაგმვას. ყოველივე ეს კი, როგორც აღვნიშნეთ, მოახლოებულ გლეხთა ომების, ანუ ბურჟუაზიული რევოლუციის წინა პერიოდზე მიგვითითებდა (რატიანი 1970: 146).

..XIV საუკუნის მეორე ნახევარში ვაჭრების ცალკე წოდებად აღიარების ფაქტი ისეთივე მაუწყებელია ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის - კაპიტალიზმის წინა პერიოდის, როგორც იმავე ხანაში დეკლასირებული ელემენტების-გლახაკების, ქურდებისა და განსაკუთრებით მეკობრეების სიმრავლე (რატიანი 1970: 152).

რომ შევაჯამოთ, მეათე-მეთოთხმეტე საუკუნეებში არსებული სურათი, გამოდის, რომ იმ დროს საქართველოში ფეოდალიზმის განვითარებისათვის დამახასიათებელი პრაქტიკულად ყველა ნიშანი გვაქვს. და როგორც ქართველი მკვლევრები მიუთითებენ ფაქტია, რომ მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებში საქართველოში ფეოდალიზმი კრიზისში შედის (ლორთქიფანიძე 1967: 43, 66; მეგრელაძე 1967ა: 85; რატიანი 1970: 146, 152). თუმცა რა სოციალური და კულტურული ასპექტები ჰქონდა კრიზისს ამის შესახებ ქართული ისტორიოგრაფია პრაქტიკულად მნიშვნელოვანს არაფერს ამბობს, გარდა იმისა, რომ მისი გაღრმავების უმთავრესი მიზეზი მონღოლთა შემოსევა და შექმნილი უმძიმესი ფონი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ, მონღოლთა შემოჭრამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კრიზისის გაღრმავებაში, ქართველი მკვლევრებისაგან განსხვავებით (მეგრელაძე 1967ა: 78-79, 85, 87; აკოფაშვილი 1986: 71-72). ვთვლით, რომ ის მაინც უფრო გვერდითი მოვლენა იყო ვიდრე შინაგანი. ზემოთ აღწერილი გარემოებების გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ პროცესი საქართველოშიც იმ სცენარით განვითარდა, როგორც დასავლეთში (ანდერსონი 1974: 200, 207, 209; ვალერშტეინი 1976: 273-283; კარცი 1993: 376-378; ბრენერი 2001: 170; მური 2002: 303-305, 313). ზოგადად როდესაც ვსაუბრობთ ქართულ ფეოდალიზმზე უნდა გვახსოვდეს, რომ ვსაუბრობთ ქართულ მაგალითზე და რომ ქართული ამ შემთხვევაში მოვლენის სოციალურ შინაარსს არ განსაზღვრავს. ვეთანხმებით თვალსაზრისს, რომ ფეოდალიზმი არის უნივერსალური, თუმცა

არასავალდებულო ისტორიული კატეგორია (ჩიქობავა 2013: 88; ჩიქობავა 2015: 13), სწორედ ამ პოზიციიდან უნდა ამოვიდეთ ისტორიული პროცესის შეფასებისას.<sup>35</sup>

ფეოდალიზმის პირობებში, ცენტრალური ხელისუფლების სიძლიერე არ არის ფეოდალური ურთიერთობების დაცვის გარანტი, შესაბამისად, არც სისუსტე შეიძლება იყოს მისი დაქვეითების მიზეზი. წონასწორობის გარანტიებს ფეოდალიზმის ეპოქაში სოციალური და სამართლებრივი რეგულაციები ქმნიდნენ. საქართველოში მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებში განვითარებული ფეოდალური კრიზისი, როგორც აღვნიშნეთ, უნდა მივაწეროთ არა დამპყრობელთა შემოსევების შედეგად მეფის ხელისუფლების შესუსტებას პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ სოციალური და სამართლებრივი დღის წესრიგის ცვლილების გამო, კრიზისი უნდა დავინახოთ მისთვის დამახასიათებელი წანამძღვრების, თავისუფალ გლეხთა კატეგორიის, ფულად-საფინანსო სისტემის, კლასობრივი დაპირისპირებისა და საქალაქო ცხოვრების განვითარების შესაძლებლობაში. და, რაც მთავარია, ისტორიული პროცესის განვითარების თვალსაზრისით, ეს, ცალსახად პოზიტიური მოვლენა იყო.

ნათელია, რომ საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ, მეთექვსმეტე საუკუნიდან მოყოლებული (შეიძლება უფრო ადრინდელი პერიოდიდანაც), როდესაც საქართველოში ფეოდალიზმის შესახებ ვმსჯელობთ ამ ტერმინის სოციალური შინაარსის გათვალისწინება აუცილებელია. ფეოდალური ურთიერთობების შენარჩუნება მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე არ იყო ფეოდალიზმის ფარდი მოვლენა. კრიზისი ერთიანი ქართული სამეფოს დაშლის შემდეგ გაფორმდა სათავადოების ჩამოყალიბებით. თავადები პრაქტიკულად შეუზღუდავი უფლებებით, დამოუკიდებლად მართავდნენ სათავადოს (ქიქოძე 1963:

---

<sup>35</sup> მართალია, ამ შემთხვევაში ჩვენ ამ საკითხს არ შევხებივართ, თუმცა, საინტერესოდ მიგვაჩნია, საქართველოში ფეოდალიზმის გავრცელების შესახებ კევინ თუითის მოსახლეობის აღნიშვნა, რომელიც მიღებული აზრის საპირისპიროდ თვლის, რომ მაღალმთიან მოსახლეობაში, განსხვავებული სახით, თუმცა მაინც დადასტურებულად არსებობდა ფეოდალური ურთიერთობების გამოცდილება. კერძოდ, ის მიუთითებს, რომ ფშავ-ხევსურეთში ფეოდალური ურთიერთობების გავლენა ძირითადად მეზობელი ხალხებიდან შევიდა და აისახა ღვთიური არსებების იერარქიაში, დასავლეთ საქართველოში კი, კერძოდ, სვანეთში, ფეოდალიზმი რეალიზდა ძირითადად სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობებში და მას გავლენა არ მოუხდენია რელიგიური წარმოდგენების ფორმირებაზე (თუითი 2002: 25-42). როგორც ჩანს, პრაქტიკა, რომელიც თან ახლდა ფეოდალური ურთიერთობების დამყარებას და მისი კრიზისიც, უნდა მივიჩნიოთ ცალსახად მთლიანი ქართული საზოგადოების გამოცდილებად.



97-98; ჯამბურია 1973: 206, 210; გვრიტიშვილი 1955: 121-122). მიუხედავად იმისა, რომ მათ გარკვეული კავშირი აქვთ ცენტრალურ ხელისუფლებასთან, მათ შორის, სამართლებრივიც (სოსელია 1960გ: 31; ქიქოძე 1963: 97), ამ ურთიერთობებს ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი ვასალური დამოკიდებულების სახე აღარ ჰქონდა.

ქართული ერთობა მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს, ერთი მხრივ, ხვდება გამოცდილებით, როდესაც ფეოდალური ურთიერთობების ფორმები, მართალია, შენარჩუნებულია, თუმცა მხოლოდ სოციალურ ატრიბუტადღა რჩება და, მეორე მხრივ, შეცვლილი საერთაშორისო ვითარების ფონზე, რომელსაც საფუძველი შეუმზადა დასავლეთში განვითარებულმა ისეთმა უმნიშვნელოვანესმა მოვლენებმა, როგორც იყო რეფორმაცია და გლეხთა ომი გერმანიაში (1524-1525), რევოლუცია ნიდერლანდებსა (1566-1609) და ინგლისში (1640-1660), ვესტფალიის ზავი (1648) დაბოლოს განმანათლებლების იდეები.

#### § 4.2 გლეხთა ბრძოლა და მათი ეკონომიკური მდგომარეობა

მეთვრამეტე საუკუნეში არსებული სოციალური გარემოს შეფასებისათვის აუცილებელია, კლასობრივი დაპირისპირების ხასიათის გათვალისწინება. XVIII საუკუნეში, საქართველოში არსებული კლასობრივი დაპირისპირების სოციალური თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ პროტესტის გამოხატვის ამგვარი უკიდურესი ფორმა, გლეხებს, აზნაურებთან ერთად არა მხოლოდ მეფის პოლიტიკურ ან სამხედრო მოკავშირეებად აქცევდა, არამედ მის თანამოაზრეებადაც. ამ მოძრაობის მეორე თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ მათი ბრძოლის ანტიფეოდალური ხასიათის მიუხედავად, ურთიერთობა მეფესთან ცალსახად პოზიტიურ კონტექსტში წარმოიდგინებოდა. ერეკლეს პოპულარობა უბრალო ხალში ამის ძალიან კარგი მაგალითია.

ამბივალენტურ და სარისკო ნაბიჯს, თუმცა ამით, საბოლოოდ გლეხთა მდგომარეობა ძირეულად და მყისიერად ვერ უმჯობესდებოდა, მათ შორის, ეკონომიკური თვალსაზრისითაც, იმ საქმეებში ჩართულობისა და

თანამონაწილეობის განცდა, რომელსაც მეფე ქვეყნის დაცვის, მისი მოდერნიზების და რაც მთავარია ერთობის შენარჩუნებისათვის აკეთებდა, ამართლებდა.

ქართულ სამეფო-სამთავროებში პროტესტის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა გახლდათ *მყრელობა*. *მყრელობა* ბატონისათვის ყმურ სამსახურზე უარის თქმასა და საკუთარი საკომლოს მიტოვებას ნიშნავდა. ბუნებრივია, არც მმართველი კლასი იყო გულხელდაკრეფილი და აქტიურად მიმართავდა ურჩი გლეხების ძალით დაშოშმინების პოლიტიკას, რაც მათ დარბევასა და ტყვედ გაყიდვაში გამოიხატებოდა (სოსელია 1960ბ: 17-18).

აყრილ გლეხთა დიდი ნაწილი ბოლომდე ვერ ახერხებდა დამოუკიდებლობის შენარჩუნებას და მაინც ებმებოდა ახალ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობაში. ნასყიდ გლეხთა რაოდენობის მატება მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში (აკოფაშვილი 1962: 81) ადასტურებს ამ ფაქტს. შეიძლება ითქვას, რომ იმ პერიოდის: ბოგანო, ხიზან, ნებით ნაყმოზ თავშეწირულ და წყალობის ყმების, ასევე თავნასყიდ გლეხთა მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ გაქცეული ყმების შთამომავლები არიან (მეგრელაძე 1979: 99).

განსაკუთრებულად იზრდება მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისათვის ხიზან გლეხთა რიცხვი. მურავიოვის სტატისტიკური მონაცემის მიხედვით, კახეთში მოსახლეობის 40% ხიზანი იყო. თუმცა არასტაბილური მდგომარეობის გამო სავარაუდებელია, რომ აღნიშნული მაჩვენებელი არ იყო მუდმივი (გუჩუა 1963: 141-142).

ბატონყმური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლა აისახა ვახტანგის *დასტურლამალშიც*. კერძოდ, 195-ე მუხლი გლეხის გააზატებას, ანუ მის მიერ თავისუფლების მოპოვების აღიარებას ეხება. 196-ე მუხლში გვხვდება თავდახსნილი კაცის გაგებაც (დოლიძე 1963: 547-548; დამატებით იხ.: ტუხაშვილი 1973: 399-400). ვახტანგის სამართალში ამგვარი მუხლების არსებობა აშკარად მიგვანიშნებს იმას, რომ მმართველი წრეები გლეხებთან მიმართებაში გარკვეულ დათმობებზე მიდიან. ეს ტენდენცია მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარშიც შენარჩუნდა. 1765 წელს ერეკლეს მიერ გამოცემული ბრძანება, რომელიც უკან დაბრუნების შემთხვევაში ტყვეობაში 10 წლით ნამყოფი კაცის თავისუფლებას

უპირობოდ გარანტირებულს ხდიდა, აშკარა „დადასტურებაა გლეხთა გამარჯვებისა თავისუფლებისათვის ბრძოლაში“ (მეგრელაძე 1979: 150). „ამ ნიადაგზე XVIII საუკუნეში იქმნება თავისუფალ მიწათმოქმედ გლეხთა კლასი“ (გუჩუა 1962: 55-56).

აყრა-გაქცევა, რომ იყო კლასობრივი ბრძოლის გამოვლენა და თავისუფლების მოპოვების შესაძლებლობა (მეგრელაძე 1979: 94), ამას მრავალი ისტორიული საბუთი ადასტურებს გლეხთა მყრელობისა და მათი მძიმე სოციალური მდგომარეობის თაობაზე როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. მაგალითად, 1703–1722 წლების ოქმი მეფე იმამ-ყული-ხანისა ჭიურთ მოურავის ქაიხოსროსადმი გაცემული. სადაც მას მეფე ჭიურლების აყრასა და მათ კუჭატანში გადასახლებას სთხოვს (ბერძენიშვილი 1940: 375). გარდა ნებაყოფლობითი აყრისა, როგორც ჩანს, იყო იძულებითი აყრაც, რის დადასტურებასაც ეს დოკუმენტი წარმოადგენს. ამასვე მოწმობს 1733-1745 წლების ყმის დათმობის წიგნი, რომელიც ეხება მერაბ წულუკიძის მიერ პაპუნა წერეთლისათვის დაბრუნებულ გლეხებს. როგორც წერილიდან ჩანს, ისინი ორჯერ მისულან წულუკიძესათან (ბურჯანაძე 1958: 77).

ზოგ შემთხვევაში ვხვდებით რამდენიმე გზის მყრელობასაც. 1710 წელს ნიკოლოზ სამებელსა და ქრისტოფორე რუსთველს შორის წარმოებული დავა სწორედ ასეთ შემთხვევას ეხება. გლეხები, რომელთა კუთვნილების საკითხი ირჩევა ამ ორ ბატონს შორის, როგორც ჩანს, თავდაპირველად სულ სხვა პატრონს ეკუთვნოდნენ და მძიმე ვითარების გამო იქიდან აყრილან. როგორც ვთქვით, მრავლად არის ისეთი შემთხვევებიც, როცა გლეხი შიმშილის ან რაიმე სხვა მიზეზის გამო ნებაყოფლობით თანხმდება ვინმეს ყმობას (ბერძენიშვილი 1940: 380, 386, 387).

გლეხების მძიმე ყოფას ასახავენ სხვა საბუთებიც, მაგალითად, ე.წ. პირობის წიგნი, იმ გლეხის მოძიებისა და დაბრუნების თაობაზე, რომელიც დათუნა და სხვა ესიტაშვილებისათვის დურმიშხან ჯავახს მოუტაცია, და თათრებში გაუყიდა. ხშირი იყო ბატონის მიერ გლეხის ნებაყოფლობით გაყიდვა ფინანსური სარგებლის მიღებისათვის. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დამპყრობელთა შემოსევების გამო აყრილი გლეხების კატეგორიასაც (ბერძენიშვილი 1940: 388, 391-392).

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში ქართლ–კახეთში ჩნდება სოციალური ჩაგვრისაგან თავის დაღწევის ახალი ფორმა ე.წ. *გალეკება* და *გაოსმალება*.

უკიდურესად მძიმე სოციალურ ფონზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ კახეთის გლეხთა დიდი ნაწილი შეგნებულად გადადიოდა ლეკების მხარეზე და მათთან ერთად მარცვავდა ქართლ-კახეთს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ლეკები ფაქტობრივად მთელი კახეთის გამგებლად იქცნენ. საბოლოოდ ამან ქართველი გლეხების მდგომარეობა არ გააუმჯობესა. მათი იმედი გალევებასთან ერთად თავისუფლების მოპოვებისა არ გამართლდა, ამჯერად ისინი ლეკების მიერ აღმოჩნდნენ დაყმევებულები (ბერძენიშვილი 1965: 163-164).

თავისუფალი გლეხების არსებობის ფაქტი ადრეული პერიოდიდანვე გვაქვს დადასტურებული. ერთ-ერთ პირველი ასეთი დოკუმენტია 1468 წლით დათარიღებული გიორგი მერვის მიერ მცხეთის საყდრის გლეხთათვის მიცემული საბუთი (ბერძენიშვილი 1953: 16), თუმცა მათი მდგომარეობის აღმნიშვნელი ტერმინების გამრავლება და დამკვიდრება, ადრეული პერიოდისაგან განსხვავებით ახალი სოციალური და სამართლებრივი გარემოს ჩამოყალიბებაზეც უნდა მიუთითებდეს. თვალსაჩინოებისათვის ქვემოთ მოკლედ დავახიათოდ ორი მათგანი.

მეთვრამეტე საუკუნეში როგორც დასავლეთ, ისევე აღმოსავლეთ საქართველოში დადასტურებული გვაქვს *აზატი* და *თარხანი* გლეხების კატეგორიის არსებობა. „აზატი, როგორც სოციალური ტერმინი დასავლეთ საქართველოში პირველად XVI საუკუნის მეორე ნახევარში ქუთაისის საყდრის გამოსვლის დავთარში გვხვდება“ (სოსელია 1960ა: 185). „აზატი იყო საბატონო ბეგარა-გამოსაღებისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ თავისუფალი“ გლეხი (სოსელია 1960ა: 186). ვახტანგ მეფის მიერ შემოღებული კანონები გააზატების შესახებ, იგულისხმება გლეხისათვის აზატობის დამადასტურებელი წიგნის მოწმეების თანდასწრებით გადაცემა, მიღებული იყო ფეოდალური ხანის მთელ საქართველოში (სოსელია 1960ა: 186). ქართულ საისტორიო საბუთებში *აზატთ* ერთად გამოიყენება ტერმინი *თარხანი*. როგორც ჩანს, ეს ტერმინები ერთი და იგივე მნიშვნელობისანი არიან (სოსელია 1960ა: 188; დამატებით იხ.: გვრიტიშვილი 1979: 69).

*თარხნობა* გულისხმობდა სახელმწიფო ანუ სამეფო გადასახადიდან გლეხის განთავისუფლებას. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს გლეხის დაწინაურებასთან (კაკაბაძე 1950: 165-255). აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ *აზატი* გლეხი, ახალი

ბატონის გაჩენის მიუხედავად, მაინც ინარჩუნებდა პირად თავისუფლებას (სოსელია 1960ა: 197-198). ამასთან „თავდახსნა–გააზატებით მოპოვებული უფლებები მემკვიდრეობით[აც] გადადიოდა“ (სოსელია 1960ა: 199). როგორც ჩანს, აზატობის შემთხვევაში გლეხის მდგომარეობა არცთუ ისე უიმედო იყო. პირადი თავისუფლების მოპოვება მას გზას უხსნიდა საქალაქო ურთიერთობებისა და საკუთარი მამულის შეძენის შესაძლებლობისაკენ (სოსელია 1960ა: 200; მეგრელაძე 1967ა: 95). აყრა გაქცევა არ იყო გლეხთა ბრძოლის ერთადერთი ფორმა, მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, ადგილი ჰქონდა მასიურ გამოსვლებსაც. 1786 წლის აჯანყება, რომელშიც 4000 გლეხი მონაწილეობდა, ატარებდა წმინდა კლასობრივი ბრძოლის ხასიათს (ქორთუა 1962: 199-200).

ნიშანდობლივია, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, შიდა კლასობრივი დიფერენციაციის პროცესი დაბალ ფენებში საკმაოდ შორს იყო წასული: „გლეხობა XVIII საუკუნის II ნახევრის საქართველოში ერთგვაროვან მასას არ წარმოადგენს და გარკვეული სიჭრელით ხასიათდება, როგორც სოციალური ისე ეკონომიკური თვალსაზრისით“ (აკოფაშვილი 1963ბ: 124; ).

დარეჯან მეგრელაძეც მიუთითებს ე.წ. პრივილეგირებული და არაპრივილეგირებული გლეხების კატეგორიების არსებობაზე, ასევე მათ შორის ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერესების ქონაზე, თუმცა ამ ფაქტს არ მიიჩნევს სოციალურ დიფერენციაციად (მეგრელაძე 1979: 167; დამატებით იხ.: ანთელავა 1977: 143-166).

მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება საზოგადოების პრივილეგირებულ ნაწილშიც. ჩანს თავადაზნაურთა საგვარეულო ოჯახებში მიმდინარე რღვევები. აზნაურთა ფენა, რომლის ჩამოყალიბებასაც ჰქონდა ღრმა სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები და, რომელიც ხშირად გამოდიოდა მეფის მოკავშირედ მსხვილ ფეოდალებთან დაპირისპირებაში (აკოფაშვილი 1963ა: 115-139), განიცდიდა შევიწროვებას თავადთა მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ ისინი სოციალური კიბის მაღალ საფეხურზე იდგნენ, მათაც გლეხებივით არ ჰქონდათ საკუთარი ქონების თავის ნებაზე განკარგვისა და პირადი თავისუფლების ხელშეუხებლობის გარანტიები. ბატონის ნებართვის გარეშე არ შეეძლოთ თვითნებურად წასვლა და

მეფის სამსახურში ჩადგომა, სადაც მათი უკეთესად ცხოვრების მეტი პერსპექტივა იყო (აკოფაშვილი 1955: 86). სწორედ ამ მიზეზების გამო დასავლეთ საქართველოს აზნაურობა, გარდა შიდა კლასობრივი ბრძოლისა, ხშირად მიმართავდა ხიზნობასაც (სოსელია, ჩხატარაიშვილი 1973: 589).

აზნაურთა ფენის მოღონიერება დასავლეთ საქართველოში სამეფო ხელისუფლების გაძლიერებას უკავშირდება. ცენტრალური ხელისუფლებისა და აზნაურთა ინტერესები, თავადებთან დაპირისპირების გამო ერთმანეთს ემთხვეოდა. იმერეთის მეფეები მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში აქტიურად გამოდიან დაბალი ფენების უფლებების დასაცავად. თავის მხრივ აზნაურები ყმა-გლეხებთან ერთად შეადგენდნენ ე.წ. *ფიცის კაცების* აბსოლუტურ უმრავლესობას. ტახტის აზნაურების მეთაურობით ეს გასამხედროებული გაერთიანება, რომელიც ამ ფორმით მხოლოდ იმერეთის სამეფოში გვხვდება, გახლდათ სამეფო ხელისუფლების მოკავშირე თავადების წინააღმდეგ ბრძოლაში (სოსელია, ჩხატარაიშვილი 1973: 589). აღნიშნული ალიანსის შედეგი იყო ტყვეთა სყიდვის აკრძალვა და დამკვიდრებული ოსმალური გადასახადების გაუქმება.

მიუხედავად იმისა, რომ

მემამულესა და ხიზნებს შორის კლასობრივი ბრძოლის არსი ბატონყმობის გაუქმებამდე იმაში მდგომარეობდა, რომ ხიზნები თავიანთი ხიზნური უფლებების დაცვისათვის იბრძოდნენ, მემამულეები კი ცდილობდნენ დაუფლებოდნენ ხიზანის პიროვნებასაც (გუჩუა 1963: 143);

არამართებული გვგონია ხელისუფლების მხრიდან გატარებული ღონისძიებების, მათ შორის, *მყრელობის*, გლეხებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის დამოკიდებულებაში ცალსახად ამ უკანასკნელთა უფლებო მდგომარეობა დავინახოთ. როგორც დასაწყისში მივუთითეთ, გლეხთა პროტესტი გარდა იმისა, რომ მას ჰქონდა ეკონომიკური ხასიათის მიზანდასახულობაც, ამავე დროს იყო იმ სოციალური გარემოს შემადგენელი ნაწილი, რომელსაც ქმნიდა მეთვრამეტე საუკუნეებში განვითარებული ეთნო-კულტურული მოძრაობა.

მეთვრამეტე საუკუნეში არსებული ვითარების კლასობრივი საფუძვლების გააზრებისათვის, მნიშვნელოვანია, დაპირისპირების კვალდაკვალ თვალი მივადევნოთ გლეხთა ეკონომიკურ მდგომარეობასაც. ქართულ სამეფო-სამთავროებში მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში გლეხების ეკონომიკური მდგომარეობა უმჯობესდება. იმ დროს გლეხის ეკონომიკური შეძლება მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული მიწის ფლობასთან. სრული საგლეხო მამული შედგებოდა სახლ-კარის, გარკვეული რაოდენობის სახნავი მიწების, ბაღ-ვენახებისა და სამეურნეო სათავსოებისაგან. თელავის მაზრის 1804 წლის კამერალური აღწერის მიხედვით, ვარაუდობენ, რომ გლეხთა მთლიანი მოსახლეობის 70-75 % საშუალო შეძლების გლეხები იყვნენ, რომლებიც ფლობდნენ 12-15 დღიურ (6-7.5 ჰექტარი) მიწას. მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ღირებულება კი დაახლოებით 100 მინალთუნზე (10 თუმანი) მეტი იყო (თაბუაშვილი 2016: 159, 164). შეძლებული გლეხების გვერდით იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ნახევარი ან სულაც მეოთხედი საკომლო ეჭირათ და ისეთი გლეხებიც, რომლებსაც საერთოდ არ ჰქონდათ მამული (აკოფაშვილი 1963ბ: 127; მეგრელაძე 1967ა: 93-94). ამ პერიოდში ნასყიდი მიწების სტატუსის შესახებ მეგრელაძე აღნიშნავს, რომ ასეთი მიწები დაუბეგრავი იყო (მეგრელაძე 1967ა: 94).

მეთვრამეტე საუკუნეში, მათი გარკვეული კატეგორია მცირე რაოდენობით, სისტემატურად ეწევა მიწების შესყიდვას. ერთ-ერთი ასეთი გლეხია მღვდელი შიო მაკოზაშვილი. არიან ისეთი გლეხები, რომლებიც ას დღიურ მიწას ფლობენ. ზოგის შემოსავალი კი 1000 ფუთი ხორბალი იყო, რაც არათუ იმ დროს, დღესაც საკმაოდ დიდი რაოდენობაა (აკოფაშვილი 1963ბ: 129-131; ანთელავა 1977: 146-151):

გლეხთა შორის დიფერენციაციის არსებობას მრავალი საბუთი მიუთითებს. სოფლად არსებობენ დაწინაურებული უფროსი ყმები ე.ი. ყმა-გლეხთა ზედა ფენა. მას მოსდევდნენ საშუალო გლეხები, ხოლო ბოლოს არის მდაბალი გლეხი (აკოფაშვილი 1963ბ: 131).

გლახთა ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა მათი გაყრილობისა და შეყრილობის საბუთები. მაგალითად, ამილახვრების ყმების, ღვთისიაშვილების, გაყრილობის წიგნებიდან ვიტყობთ, რომ გაყრის შემდეგაც თითოეულ მათგანს საკმაოდ დიდი 26 დღიური მიწა სამი ნახევანახარით და ერთი ვენახით შეხვედრია. გლახთა ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი საინტერესო ცნობაა დაცული მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში: აქ საუბარია გლახი აკულაშვილის მიერ თეიმურაზ მეორის გამასპინძლებაზე. გარდა მისი სიმდიდრისა, ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მას საკუთარი მოჯამაგირეები ჰყავს. ეს შემთხვევა ადასტურებს იმას, რომ იმ დროის საქართველოში არსებობდნენ გლახები, რომლებსაც საკუთარი ძალები არ ყოფნით მიწის დასამუშავებლად და საჭიროებენ დამატებითი მუშახელის აყვანას. ხდებოდა ისეც, რომ ისინი საკუთარ მამულებს სხვებზე გაცემენ საღალედ (აკობაშვილი 1963ბ: 133-134). მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევრისაგან განსხვავებით, მეორე ნახევარში ძალიან ცოტა იყო ისეთი გლახების რიცხვი, რომლებსაც საკუთარი მამული არ ჰქონდათ (აკოფაშვილი 1963ბ: 137-138).

როგორც ვხედავთ სოციალურ-ეკონომიკური ვითარების თვალსაზრისით გლახთა მდგომარეობა საკმაოდ არაერთგვაროვანი იყო. კვლევისას რაოდენობრივი/სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებასთან ერთად მნიშვნელოვანია, მხედველობაში ვიქონიოთ ის ფაქტიც, რომ ისტორიული რეკონსტრუქციისას არ არსებობს რაიმე რაოდენობრივი სტანდარტი, რომელიც დაგვადგენინებდა მკვეთრ ზღვარს ან გაგვაზომინებდა ეკონომიკური ცხოვრების ხასიათს და მიმდინარეობას ისე, რომ ობიექტურად დარწმუნებული ვიყოთ რომელიმე კონკრეტული შემთხვევის აღწერის დროს ჩვენი პოზიციის მართებულობაში.

მეთვრამეტე საუკუნის კულტურული შინაარსი მთლიანად ცვლიდა მიმდინარე პროცესის ხასიათს. თუკი ადრეულ პერიოდებში კლასებს შორის დაპირისპირება, გაზრდილი ექსპლოატაციის ფონზე, ძირითადად საგადასახადო რეფორმის საჭიროებით გამოწვეული პროტესტი იყო, მეთვრამეტე საუკუნეში, ქართული ერთობის კონცეპტუალიზების იმ ეტაპისათვის, კლასობრივი



დაპირისპირება გულისხმობდა არა უბრალოდ ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქებას ან გაუმჯობესებას, არამედ მის გარდაქმნას, სისტემური ცვლილების მოხდენას. კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობის გავლენა გამოიხატებოდა იმაში, რომ მისთვის დამახასიათებელი დემოკრატიზმით ის უზრუნველყოფდა ამ მოძრაობის იდეურ მხარდაჭერას. სწორედ ამგვარი ფაქტორების ჩამოყალიბების ფონზე უნდა დავინახოთ განვითარებული მოვლენები. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში თვისებრივად განსხვავებული სოციალური გარემოს ფორმირების შესახებ სხვა ფაქტებიც მიუთითებენ. ქვემოთ ვეცდებით მოკლედ განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

#### § 4.3 საქალაქო ცხოვრება

როგორც აღვნიშნეთ, საქალაქო ცხოვრების განვითარება საქართველოში ადრეული დროიდანვე გვაქვს დადასტურებული. ქალაქი თავისი არსით ყოველთვის იყო ვაჭარ-ხელოსანთა როგორც საცხოვრებელი, ასევე სამუშაო ადგილიც. თუმცა მეთვრამეტე საუკუნეში, ქალაქს, განსხვავებული სოციალური შინაარსი აქვს, ვინაიდან ის ხდება მოსახლეობის იმ ნაწილის თავშესაფარი, რომელმაც სხვადასხვა გზებით მოიპოვა პირადი თავისუფლება. თავისუფალ გლეხთა ნაწილი ქალაქში დამკვიდრების შემდეგ საბოლოოდ წყვეტს მიწასთან კავშირს და ერთვება ხელოსნურ და მანუფაქტურულ საქმიანობაში, ავითარებს მას და ადიდებს საკუთარ კაპიტალს. რაც მთავარია, ისინი იბრძვიან საკუთარი სამართლებრივი და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ამდენად, განვითარებული შუა საუკუნეების ქალაქსა და მეთვრამეტე საუკუნეში არსებულ ქალაქს შორის შოციალური შემადგენლობის თვალსაზრისით პრინციპული სხვაობაა.

მოქალაქეთა ფენის ბრძოლის შედეგი იყო ვახტანგის მიერ 1722 წელს შემოღებული დებულება, რომელიც მათი ქონების მემკვიდრეობით გადაცემის უფლებას გარანტირებულს ხდიდა. იგივე წესი მოქმედებდა ერეკლეს დროსაც (დუმბაძე, გუჩუა 1990: 362; დუმბაძე 1973: 527; ბერძენიშვილი 1965: 224), საკუთრების ამგვარი წესი და მისი კანონის ძალით გამაგრება არა მხოლოდ საქალაქო ცხოვრების

განვითარებაზე მიგვანიშნებს, არამედ კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ნიშანიც გახლდათ.

ქალაქის მაცხოვრებელთა პროტესტი უფრო შთამბეჭდავ სახეს ერეკლე მეორის მმართველობის პერიოდში იღებს. *გორის ქეთხუდების საჩივარი* სწორედ ამ ბრძოლის დოკუმენტურ დადასტურებას წარმოადგენს. იგი ეხება მეთვრამეტე საუკუნის 80-90-იან წლებში იესე ამილახორის მიერ გორის მოსახლეობისათვის შეწერილ გადასახადებსა და გორელების პროტესტს ამასთან დაკავშირებით. მართალია, სასამართლოს გზით სამართლიანობის აღდგენა ბრძოლის პასიურ ფორმას წაერმოადგენდა:

მაგრამ იყო შემთხვევები როცა კლასობრივი ბრძოლის ეს ფორმა უფრო მრისხანე სახეს იღებდა და იგი ქალაქის მოსახლეობის მასიურ ანტიფეოდალურ გამოსვლად იქცეოდა. ასეთი იყო სწორედ გორელების ერთიანი პროტესტი თავგასული მოხელისა და დიდი ფეოდალის წინააღმდეგ (მესხია 1955: 215).

ერეკლე იძულებული გახდა, ახალი მოურავისათვის წინასწარ მკაცრად დაედგინა სარგო და უფლება–მოვალეობანი, რომლებიც ისევ გორელების მიერ იყო შემოღებული. როგორც ჩანს, პროტესტი იმდენად დიდი იყო ქალაქებში, რომ თავად მეფეც ერიდებოდა მათთვის რაიმე გადასახადების შეწერას (მესხია 1983: 220).

ამ პერიოდში 1784 წელს ქალაქ ცხინვალის მოსახლეობამაც მიმართა ერეკლეს საჩივრით. 1778 წელს გიორგი ბატონიშვილისათვის საჩივრით მიუმართავს ცხინვალელ ვაჭარს. ქალაქებში არსებულ დაპირისპირებაზე მიუთითებს ერეკლე მეორის მიერ თელავის მოურავისადმი 1768 წელს მიწერილი წერილიც (მესხია 1983: 380-381).

ხელოსნობის ორგანიზაციულ განვითარებასთან ერთად, ახალი ტიპის ქალაქური ცხოვრების განვითარების ერთ-ერთი ნიშანი, სავაჭრო ურთიერთობების განვითარება და ვაჭართა ფენის ჩამოყალიბებაცაა. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ მეთექვსმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში, მიუხედავად აქტიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებისა, ქართულ ქალაქებში არ „შექმნილა საჭირო ნიადაგი... თვისობრივი განვითარებისა და ახალი საზოგადოებრივი ძალის

(ბურჟუაზიის) წარმოსაქმნელად“ (გაბაშვილი 1966: 163). მიზეზთა შორის სახელდება ფაქტები, რომ მაშინდელ ქალაქებში ჯერ კიდევ იყო შენარჩუნებული ფეოდალური მმართველობისათვის დამახასიათებელი ფორმები და, რაც მთავარია, არ წარმოქმნილა თვითმმართველობა. საგარეო ვაჭრობაზე ორიენტირებაც ქალაქების „სტაგნაციის“ მიზეზთა შორის სახელდება (გაბაშვილი 1966: 164).

„თბილისის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მომსახურების სფეროში იყო დასაქმებული“, ნაწილი კი ეწეოდა სოფლის მეურნეობასაც. პროცესები იმდენად შორს იყო წასული, რომ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დიდვაჭრები სხვადასხვა გზებით ახერხებენ თავადის წოდების მიღებასაც კი (მესხია 1983: 365-366). საინტერესო ტენდენციაა, რომ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში აზნაურები აქტიურად ერთვებიან საქალაქო ცხოვრებასა და ვაჭრობაში. ზოგიერთი მათგანი ქორწინდება მოქალაქეზე, იწყებს ფულის გასესხებას, სათავეში უდგებიან სხვადასხვა წარმოებას და ა.შ. მათი სახით აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა თავისუფალ მემამულეთა კატეგორია, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი სავაჭრო-საფინანსო ცხოვრებასთან. ისინი მუდმივად ზრდიდნენ თავიანთ ფულად კაპიტალსაც (სოსელია, ჩხატარაიშვილი 1973: 132-133, 135-136; დუმბაძე, გუჩუა 1990: 366).

მეთვრამეტე საუკუნეში არსებული მსოფლიო მეურნეობისათვის დამახასიათებელი იყო საგარეო ვაჭრობაზე ორიენტირებულობა. ნებისმიერ შემთხვევაში, არ აქვს მნიშვნელობა, ვაჭრები ქართული სამეფო-სამთავროებიდან რა ფორმით იყვნენ მასში ჩართულები, ვაჭრობდნენ საქართველოში წარმოებული პროდუქციით, რაც ნაწილობრივ ასეც იყო, თუ უცხოეთში წარმოებული პროდუქციის ყიდვა-გაყიდვით იყვნენ დაკავებულნი, შეუძლებელია მათი ეკონომიკური აქტივობები სტაგნაციის შედეგად ან მიზეზად მივიჩნიოთ. ასევე, მიუხედავად ქალაქისათვის დამახასიათებელი ბატონყმური იერსახისა, არასწორია შუა საკუნეების ფეოდალური ქალაქისა და მეთვრამეტე საუკუნის ქართული ქალაქების ერთ სიბრტყეში წარმოდგენა. მოქალაქის სტატუსის მქონე პირთა ჩართულობა მამასახლისის არჩევნებში არ შეიძლება ცალსახად გავაიგივოთ

განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდში ქალაქში არსებულ თვითმმართველობის ფორმასთან.

მეთვრამეტე საუკუნის ქალაქები სხვა ნიშნების მიხედვითაც განხვავდებოდა ძველისაგან. ხელოსნობის განვითარების პარალელურად ადრევე იქმნება ერთგვარი პროფესიული გაერთიანებები (მესხია 1983: 195), და თუმცა, „...XVII-XVIII საუკუნეების ქართული ამქრული ორგანიზაციების დამოუკიდებლობა და შეუვალობა არასრული, შეზღუდული იყო“ (კუცია 1984: 125; მესხია 1983: 537-539, 552, 556), სპეციალური წერილობითი წესდებების ე.წ. სტატუტების არსებობის ფაქტი ნიშნავდა მათი სამართლებრივი სტატუსის აღიარებას. „პირველი სტატუტები საქართველოს ამქრებში უნდა გაჩენილიყო არაუგვიანეს XVII საუკუნისა“ (კუცია 1984: 131; ნადირაძე 2018: 339). ამასთან დაკავშირებით მკვლევრები წერენ, რომ ქართულ ამქრებში კონცენტრირებული იყო როგორც ევროპული, ისე აღმოსავლური გამოცდილება (კუცია 1984: 137) და რომ,

XVII-XVIII საუკუნეების თბილისში გარკვეული დარგის ხელოსნებს, ვაჭრებს და სხვა სპეციალობების წარმომადგენლებს ეჭირათ ქალაქის გარკვეული ნაწილი – უბანი, ქუჩა, მცირე ბაზარი, დიდი ბაზრის რიგი და სხვა (კუცია 1984: 15).

ავტორთა ნაწილი საქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის ხელისშემშლელ გარემოებად მიიჩნევს მანუფაქტურული წარმოების ნაცვლად სახელმწიფო ქარხნების არსებობას (გაბაშვილი 1966: 164). რა პრინციპული სხვაობა შეგვიძლია დავინახოთ მანუფაქტურულ წარმოებასა და სახელმწიფო ქარხნებს შორის? ტექნიკურად არავითარი! ყველაზე უფრო თვალშისაცემ სხვაობად დასავლურ და ქართულ გამოცდილებას შორის, საკუთრების უფლება შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, არც ეს სხვაობაა არსებითი. მართალია, კერძო საკუთრება კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშანია, ის არ არის ერთადერთი და დღესაც კი კაპიტალისტურ ქვეყნებში, კერძო საკუთრებასთან ერთად სახელმწიფო საკუთრებაც არსებობს, მით უფრო, მისი განვითარების საწყის ეტაპებზე. მანუფაქტურული წარმოების განვითარების ინიცირება, თუნდაც, მეფე ყოფილიყო ასეთი წარმოების

რეალური მეპატრონე, მიუთითებდა, რომ ვითარდებოდა წარმოების განსხვავებული წესი, რომელიც მოითხოვდა მის გარშემო განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებას.

მეთვრამეტე საუკუნეში არსებული ქალაქების ისტორიის შესწავლისას, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენების ერთობლიობა. ისტორიული მატერიალიზმის გადასახედიდან ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე საქალაქო ცხოვრების გავლენის შეფასებისას და პირიქით, სტატისტიკურ და გარეგნულ მხარეზე გადამეტებული აქცენტის გამო შექმნილ ბუნდოვანებას, გარდა აღნიშნულისა, სხვა საფუძველიც ჰქონდა. კერძოდ, თუ ქართველი მეცნიერები ქართულ სამეფო-სამთავროებში არსებულ სურათს პოზიტიურ შეფასებას მისცემდნენ, წინააღმდეგობაში მოვიდოდნენ, პროპაგანდასთან, რომლის მიხედვითაც ქართული ეროვნული სახელმწიფოს დაფუძნებას არანაირი ეკონომიკური პერსპექტივა და პოტენციალი არ გააჩნდა. ზემოთ დასახელებული ფაქტები, მეთვრამეტე საუკუნეში, მიანიშნებენ თვისებრივად განსხვავებული სოციალური შინაარსის მქონე ურბანული სივრცის ორგანიზებაზე, რომელიც მმართველობის მონარქიული მოდელისათვის პოტენციურ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდა. საქალაქო ცხოვრების ამ ფორმით განვითარება, ერთი მხრივ, აჩვენებს სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებზე ნაციონალისტური მოძრაობების გავლენას, მეორე მხრივ, კი გარადამავალ პერიოდში განვითარებული პროცესები მოასწავებდა ახალი სოციალური და პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირებას, სადაც ქართული ერთობის კონცეპტუალიზებას უფრო პოლიტიკური ხასიათი უნდა ჰქონოდა, ვიდრე კულტურული.

#### § 4.4 ფულად-საფინანსო სისტემა<sup>36</sup>

საუკუნის დასაწყისში მშვიდობის დამყარებამ ხელი შეუწყო ეკონომიკურ აღმავლობას (ქიქოძე 1973: 396; მეგრელაძე 1960: 143). მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო

---

<sup>36</sup> მოხსენება თემაზე: *ეკონომიკური ტენდენციები ქართული ნაციონალიზმის იდეების ფორმირების პერიოდის დამდეგს*, წავიკითხეთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე: წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები. 18–21 ოქტომბერი, 2017. თბილისი, საქართველო.

ქართლის მეფეების – გიორგი მეთერთმეტისა და ქაიხოსროს ყოფნა ავღანეთში. იმავე პერიოდში მდგომარეობის სტაბილიზაციაზე მიუთითებენ დასავლეთ საქართველოშიც (ჩხატარაიშვილი 1973: 455, 473). აღმოსავლეთ საქართველოში განსაკუთრებით წინაურდება სოფლის მეურნეობა, ასევე მასთან დაკავშირებული სავაჭრო ურთიერთობები (ჯავახიშვილი 1964: 132). ჩნდება სახელოსნოები, იწყება დაცარიელებულ ადგილებზე მოსახლეობის დაბრუნება. როგორც აღვნიშნეთ, ამ მოძრაობას ქართული ისტორიოგრაფია *მურელობის* სახელით იცნობს. მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ მეთვრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში აღმოსავლეთ საქართველოში სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრება შედარებით მშვიდი ტემპებით და პროგრესულად ვითარდებოდა (ქიქოძე 1973: 386-388). მკვლევართა მიხედვით საპირისპირო ვითარებაა დასავლეთ საქართველოში (რეხვიაშვილი 1989: 436; გონიკაშვილი 1979: 17-23, 31; ჩხატარაიშვილი 1973: 478-479),<sup>37</sup> თუმცა როგორც აღვნიშნავენ დასავლეთ საქართველოში არსებული ვითარება სურსათ-სანოვაგის მხრივ იმდენად გამართული იყო, რომ მისი რელიაზაცია პრობლემას წარმოადგენდა (თაბუაშვილი 2018: 267). მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, ირანისა და ოსმალეთის შედარებით დასუსტება ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ქართულ სამეფო-სამთავროებში ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისათვის (გიგინეიშვილი 1959: 216; შარაშენიძე 1970: 3). პოლიტიკური ვითარების ცვლილებამ და პრაქტიკულად დამოუკიდებლობის მიღწევამ, შესაძლებელი გახადა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ბაზრების გაერთიანება (თაბუაშვილი 2018: 270-272), ეს კი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა იყო ფულად-საფინანსო ურთიერთობების განვითარებისათვის.

როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, მეთვრამეტე საუკუნის საქართველოში, ნატურალური მეურნეობის გარდა, არსებობს მარტივი სასაქონლო მეურნეობაც: „XVIII საუკუნემ დაგვიტოვა მრავალი საბუთი საქართველოს ფინანსების შესახებ, ეს საბუთები საშუალებას იძლევა, დადგენილ იქნეს ამ პერიოდის ქართლ-კახეთის ფინანსების სახე“ (ქოიავა 1954: 109).

---

<sup>37</sup> დასავლეთ საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ მცირე მიწიანობა, და სპეციფიკური კლიმატი, რაც არასახარბიელო მდგომარეობას ქმნიდა ეკონომიკური განვითარებისათვის.

საკმაოდ ხშირი უნდა ყოფილიყო ფულადი სესხები (ქოიავა 1948: 21), მევახშეობა და ზოგადად: „მევახშე რევოლუციურ როლს ასრულებდა, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი არღვევ[და] საკუთრების ფორმებს, რომელთა მტკიცე საფუძველზე იდგა ერთსადაიმაცე ფორმაში რეპროდუქციაზე დამყარებული ქვეყნის პოლიტიკური წყობილება“ (ქოიავა 1948: 41).

საინტერესო და არსებული სურათის შესაფასებლად ერთობ საყურადღებო ფაქტია ისიც, რომ მსესხებელი და გამსესხებელი ნებისმიერი სოციალური წრიდან შეიძლება ყოფილიყო. მეთვრამეტე საუკუნემ დაგვიტოვა მრავალი საბუთი, რომელიც მეფისა და მისი ოჯახის წევრების მიერ სესხის აღების ფაქტებს გვიდასტურებს. სესხი გაიცემოდა გირაოს გარანტიით უვადო ან ვადიანი დათქმით (ქოიავა 1948: 25, 35; ბერძენიშვილი 1953: 58).

საკმაოდ მაღალ დონეზე ჩანს სამონეტო წარმოებაც „XVIII ს. დასტურლამალის შესწავლიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მონეტები ლეგირებული ვერცხლისაგან იჭრებოდა“ (ქოიავა 1946: 97).

ფულად-საფინანსო სფეროს წარმატება თავისთავად ცხადია, რომ ეკონომიკურ აღმავლობასთან იყო კავშირში, თუმცა ის, ამავე დროს, იყო ერთგვარი ინდიკატორი და შედეგად გარკვეული სოციალური ცვლილებებისა. მაგალითად, მევახშური კაპიტალის ზრდას ცალსახად ჰქონდა კლასობრივი ხასიათი და მისი დადებითი გავლენაც უპირველესად დაბალ ფენებზე ისახებოდა და სწორედ მათ სტიმულირებას ახდენდა. მსესხებლები და გამსესხებლები არიან სწორედ ის ადამიანები, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით მოიპოვებდნენ თავისუფლებას, ერთვებოდნენ საქალაქო ცხოვრებაში და ა.შ.

#### § 4.5 მანუფაქტურული მრეწველობა და ვაჭრობა

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება დაკავშირებულია იმ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ პროცესებთან, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ევროპაში მეთექვსმეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში და, რაც ისტორიულ მეცნიერებაში ცნობილია, როგორც დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების, ხოლო ეკონომიკაში კი მსოფლიო მეურნეობის

წარმოშობისა და მისი პირველი ეტაპის ჩამოყალიბებით (ვეშაპიძე, ასლამაზიშვილი და სხვები 2005: 121; ვუდი 1999: 82-83; ვალერშტეინი 2000: 93-94, 270). მკვლევრები, მეთვრამეტე საუკუნის სამოციან წლებში, აღნიშნავენ სამრეწველო რევოლუციის დაწყებას. ამ პერიოდიდან მოყოლებული წარმოებას ტექნიკური გარდაქმნები უდევს საფუძვლად. რაც ძირეულად ცვლის ეკონომიკის ხასიათს, იზრდება ქალაქების მოსახლეობა, იცვლება ტრადიციული სოფლის მეურნეობა, მშენებლობა და ტრანსპორტი (ქვაჩახია, ქუტიძე 2003: 54; ჰანთი, ლაუცენჰაიზერი 2011: 17-18). ვითარდება სავაჭრო კაპიტალი და როგორც აღვნიშნეთ, მევახშე სესხს აძლევს: „როგორც გაბატონებული კლასების წარმომადგენლებს – მონათმფლობელებსა და ფეოდალებს, ასევე წვრილ მწარმოებლებს – გლეხებსა და ხელოსნებს“ (ქვაჩახია, ქუტიძე 2003: 193).

მსოფლიო ეკონომიკის წარმოშობაში იგულისხმება საერთაშორისო ვაჭრობის სწრაფი განვითარება. თანამედროვეობისაგან აღნიშნულ ეკონომიკურ პროცესს განასხვავებს ის გარემოება, რომ პირველი ეტაპზე მისთვის დამახასიათებელი იყო ცალსახად ექსპორტზე ორიენტირებული სავაჭრო ურთიერთობები. ასეთი ბაზრისათვის უცხო იყო დაბალანსებული სავაჭრო-ეკონომიკა, თითოეული ქვეყნის ინტერესი სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობის წარმოებაში, პირველ რიგში გულისხმობდა საკუთარი პროდუქციის გასაღებისათვის სასურველი ბაზრის მოძიებას. საკუთარ ბაზარზე იმპორტული პროდუქციის შედინება დაკავშირებული იყო მხოლოდ დეფიციტური საქონლის მოპოვების სურვილთან (ჰანთი, ლაუცენჰაიზერი 2011: 5-6; ვეშაპიძე, ასლამაზიშვილი და სხვები 2005: 21). ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ ევროპულ ქვეყნებში მანუფაქტურის განვითარებამ, მოთხოვნად პროდუქტებთან მიმართებაში შესაძლებელი გახადა დეფიციტის შევსება (გაბაშვილი 1966: 164). აღნიშნული ფაქტორები განსაზღვრავდა ევროპის ქვეყნების და, მათ შორის, რუსეთის დამოკიდებულებას ქართული სამეფო-სამთავროებისადმი.

მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების, ასევე არასტაბილური პოლიტიკური გარემოს გამო, ქართლ-კახეთსა და დასავლეთ საქართველოში შეუძლებელი იყო ინვესტიციების მოზიდვისა და სუბსიდირების გარეშე ეკონომიკის განვითარება. ამ ფაქტის მაკომპენსირებელი, მეთვრამეტე საუკუნეში, განსაკუთრებით კი მის მეორე



ნახევარში, ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში კულტურული მოძრაობის გავლით, ევროპული დისკურსის სიძლიერე იყო (თვალავაძე 2006: 135-138). ერეკლე მეორის ეკონომიკური სტრატეგია ეკონომიკურზე უფრო მეტად, კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობით იყო შთაგონებული.

როგორც ლიტერატურაშია განმარტებული, მანუფაქტურა წარმოადგენდა: „...შრომის დანაწილებაზე დამყარებულ კოოპერაციას“ (ქვაჩახია, ქუტიძე 2003: 52). ასეთი წარმოება იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ამ დროს, თუმცა, ჯერ კიდევ ხელით შრომა ხდება, შრომის მანუფაქტურული ორგანიზაცია ზრდის მის ნაყოფიერებას, სპეციალიზაციასა და პროფესიონალიზაციას, ინტენსივობას, იხვეწება შრომის იარაღები. მოკლედ, მანუფაქტურა ამზადებს წინაპირობას მანქანურ წარმოებაზე გადასვლისათვის (ქვაჩახია, ქუტიძე 2003: 52).

წვრილი სასაქონლო წარმოების დაშლის პროცესში ჩნდებიან ერთდროულად მარტივი კოპერაციის ტიპის საწარმო-სახელოსნოები და მანუფაქტურები. ეს უკანასკნელნი უშუალოდ გენეტიკურ კავშირში არიან წვრილ სასაქონლო წარმოებასთან. სწორედ ამ პერიოდში წვრილი სასაქონლო წარმოება ხდება კაპიტალიზმის წარმოშობისა და განვითარების პირველი, დაბალი სტადია. ... მანუფაქტურა განსხვავდება იმით წინა სტადიისაგან, რომ მასში მკვეთრადაა გამოხატული კაპიტალიზმის ხასიათი (გოგოლაძე 1961: 304).

მანუფაქტურული წარმოება განსაკუთრებულად ვითარდება მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც მუშათა კვალიფიკაციის, ისე ტექნიკური აღჭურვილობის თვალსაზრისით. რაც თავისთავად აისახებოდა წარმოებული პროდუქციის ხარისხზეც (ქოიავა 1954: 111).

XVIII ს. მეორე ნახევრიდან თბილისში საგრძნობლად მომრავლდა მანუფაქტურული ტიპის შედარებით მსხვილი საწარმოები, რომლებიც საისტორიო წყაროებში „ფაბრიკებად“ და „ქარხნებად“ იწოდებიან. ისინი ძირითადად მეფისა და სამეფო სახლის წევრთა საკუთრებას შეადგენდნენ და,

როგორც წესი, სხვადასხვა პირებზე იჯარით იყო გაცემული (დუმბაძე, გუჩუა 1990: 348).

ეკონომიკის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ერეკლეს მიერ ვერცხლისა და სპილენძის ახტალის განახლებული საბადოების ამუშავებას. 1763 წელს იწყება ახტალის ვერცხლის საბადოების დამუშავება. ახტალის ვერცხლის სადნობი ქარხნის საშუალო წლიური შემოსავალი, როგორც ცნობილია, 48 ათას მანეთზე მეტი იყო. ალავერდის სპილენძის მადაროებიდან 150 ათასი მანეთი (გოგოლაძე 1966: 15-16). ადგილობრივი სამთამადნო წარმოების ბაზაზე თბილისში აშენდა ლითონის ჩამომსხმელი ქარხანა, გამოშვებული პროდუქციის ნაწილი ხმარდებოდა ადგილობრივ წარმოებას, ზარბაზნებისა და მორტირების ჩამომსხმელ ქარხანას. ნაწილი კი გადიოდა უცხოეთში (დუმბაძე, გუჩუა 1990: 347). სამთამადნო მრეწველობის აღმავლობა ხელს უწყობდა სამხედრო წარმოების განვითარებას: „XVIII ს. თბილისში თოფის წამალს ამზადებენ მოქალაქე ხელოსნები, რომლებიც ამით ვაჭრობენ“ (კლიმიაშვილი 1962: 272). მანუფაქტურული წარმოება, მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტი იყო ქვეყნის განვითარებისათვის. ბურნაშევის ცნობების თანახმად, მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის წლიური შემოსავალი 400000–დან 600000 მანეთამდე უნდა ყოფილიყო (ბურნაშევი 1902: 118-124).

მანუფაქტურული წარმოების უპირატესობა მეთვრამეტე საუკუნის 70-იანი წლებიდან იმდენად აშკარა იყო, რომ ერეკლე მეორე გარდა იმისა, რომ თავად ფლობდა ასეთ საწარმოებს ის იყო გარკვეულ მიმართულებებში მრეწველობის განვითარებისა და მისი კერძო პირებისათვის გადაცემის ინიციატორიც. 1770 წელს მოქალაქე იასია თაყუაშვილი მეფის ნებართვით აშენებს თოფ-წამლის ქარხანას (საწარმოო საქმიანობის წარმატების შემდეგ ის მეფემ მოქალაქეს უკანვე გამოსთხოვა). კერძო საწარმოებიდან აღსანიშნავია ზეთისხილის, თიხის ჭურჭლისა და აგურის ქარხნები, რომლებიც ეკუთვნოდათ იოსებ ყორღანაშვილს, იოანე პენტელაშვილს და გლახა გაბაშვილს. ერეკლე ცდილობდა ინვესტიციების მოზიდვას ქვეყნის გარედანაც, მას მიმოწერა ჰქონდა ინდოეთში მოღვაწე სომეხ დიდვაჭართან,

რომელსაც სთავაზობდა საქართველოში გადმოსახლებას შაქრის წარმოების საქმის განვითარებისათვის. ერეკლე ქართველ ვაჭრებს მფარველობდა უცხოეთშიც (დუმბაძე, გუჩუა 1990: 349-350, 359). ასევე საგულისხმოა ისიც, რომ 1783 წელს კერძო პირს გადაეცა სტამბა, რომლის რენტაბელობა ამის შედეგად თვალსაჩინოდ გაიზარდა.

იმ პერიოდში განვითარებული იყო საფეიქრო-სამღებრო წარმოება და მასთან დაკავშირებული სხვა სფეროებიც, აღნიშნულ საწარმოებს ფლობდნენ კერძო პირებიც (დუმბაძე, გუჩუა 1990: 349-351). როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, საფეიქროების ფლობა კერძო მეიჯარეების მიერ ნიშნავდა იმას, რომ მოიჯარადე დამოუკიდებლად თვითონ ქირაობდა ოსტატებს და სხვა დამხმარეებს. იმავე ავტორს ასეთი წარმოება მანუფაქტურული ხასიათისად მიაჩნია და შეუძლებლად თვლის მის გაიგივებას შუა საუკუნეების სახელოსნოებთან (ბერძენიშვილი 1967: 325; ბერძენიშვილი 1937: 437-441). დაქირავებული შრომის გამოყენება ზოგადად მნიშვნელოვანი წინაპირობა და უტყუარი მოწმობაა კაპიტალისტური ურთიერთობების ჩვენში არსებობისა. როგორც ავტორები მიუთითებენ, ამას უნდა მოჰყოლოდა იმ ეტაპების გავლა, რაც დამახასიათებელი იყო დასავლეთისათვის (დუმბაძე, გუჩუა 1990: 351).

მანუფაქტურის განვითარება მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული წარმოებული პროდუქციისათვის გასაღების ბაზრების მოძიებასთან, რაშიც გადაწყვეტი მნიშვნელობა სავაჭრო ურთიერთობებსა და ზოგადად ვაჭართა ფენას ეკისრებოდა. სავაჭრო ურთიერთობების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის არაერთი ისტორიული საბუთი. მათ შორის, თავისი ინფორმაციულობით გამორჩეულია *ჯულაბაშვილების სავაჭრო სახლის დავთარი*, რომელიც ასახავს მეთვრამეტე საუკუნის ოციანი წლებიდან მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებამდე პერიოდს. ამ ძეგლში დაცულია ცნობები *ჯულაბაშვილების სავაჭრო სახლის* შემოსავალ-გასავლის შესახებ (მეგრელაძე 1963: 207). დავთრიდან ირკვევა, რომ ისინი გორში ცხოვრობდნენ და მათი წინაპრებიც ვაჭრები ყოფილან. *ჯულაბაშვილებს* სავაჭრო კავშირები ჰქონიათ უცხოეთში. ისინი არ იყვნენ ერთადერთნი. როგორც მკვლევრები მიუთითებენ, მეთვრამეტე საუკუნეში ქვეყნის მოლონიერებამ განაპირობა საქალაქო ცხოვრების განვითარება. ხელი შეუწყო ქართველი ვაჭრების

საქართველოს ფარგლებს გარეთ გასვლას და ურთიერთობების დამყარებას უცხოელ ვაჭრებთან – ისპაჰანში, თავრიზში, გილანში, შემახანში, დარუბანდში, ყიზლარში, სტამბოლში, რუსეთის ქალაქებში და ა.შ. „საგულისხმოა ისიც, რომ საკმაოდ მრავალფეროვანი იყო მათი სავაჭრო საქონელი. ეს იყო მარცვლეული, თევზი, თამბაქო, ჭურჭელი, საპონი, ქსოვილები, ვერცხლი, ძაფი და ა.შ.“ (მეგრელაძე 1963: 208-209). საგულისხმო ფაქტია, რომ ქართველ ვაჭრებს ურთიერთობა ჰქონდათ არა უშუალოდ მწარმოებლებთან, არამედ კომერციულ გაერთიანებებთანაც. ჩანს, რომ ისინი აქტიურად იყვნენ დაკავშირებული კათოლიკე მისიონერებთანაც (მეგრელაძე 1963: 209-210).

როგორც ნ. ბერძენიშვილი მიუთითებს: „სავაჭრო და პოლიტიკური ურთიერთობები საქართველოსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის, ერთობ მისუსტებული მე-16 საუკუნეში, მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან კვლავ გაცხოველდა“ (ბერძენიშვილი 1944: 175). დასავლეთთან სავაჭრო ურთიერთობების წარმატებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ მხოლოდ ქართველები არ იყვნენ მათთან ურთიერთობით დაინტერესებლნი. თავის მხრივ, დასავლეთ ევროპული ბურჟუაზიული წრეების წარმომადგენლებიც დიდ ინტერესს ავლენდნენ აღმოსავლეთისაკენ ახალი სავაჭრო გზების ძიებისა (კაკაბაძე 1940: 109). ამ ინტერესის დადასტურებას წარმოადგენს ყირიმში საფრანგეთის კონსულის – პეისონელის, მოხსენებები. პირველი 1753 წელს გამოქვეყნდა და საქართველოსა და ირანში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას ასახავდა. 1754 წელს გამოცემული გამოკვლევა კი ყირიმის, ჩერქეზეთისა და საქართველოს ეკონომიკურ შესაძლებლობებს ეხებოდა. მეორე მოხსენებაში საგულდაგულოდ არის აღწერილი როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში არსებული ბაზრები, სავაჭრო პუნქტები, მარშრუტები, სავაჭრო დაწესებულებების განთავსებისათვის ხელსაყრელი ადგილები. კონსულს, როგორც ჩანს, საფუძვლიანად აქვს შესწავლილი ადგილობრივი ბაზრის ფასები, იმდენად, რომ განსაკუთრებით მომგებიანი საქონლის სიასაც კი სთავაზობს საფრანგეთის მთავრობას (კაკაბაძე 1940: 109-119).

საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ტყვეთა

სყიდვის ფაქტი. ცხადია, რომ მისი წარმოქმნა, მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური წინაპირობებით იყო განსაზღვრული (თაბუაშვილი 2018: 266), თუმცა, ამ მოვლენას ჰქონდა ეკონომიკური შინაარსიც და მისი „წარმატება“ გაზრდილი ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სურვილთანაც იყო დაკავშირებული. ამაზე ის შემთხვევები მიუთითებენ, როდესაც ოჯახის წევრები თავად ყიდნენ ერთმანეთს ეკონომიკური სარგებლის მიზნით.<sup>38</sup>

ხშირად ხდებოდა ისე, რომ ბატონი მთლიანად ყიდდა მის ყმებს. იმ პერიოდში ვიცნობთ გლეხის მიერ გლეხის მოტაცებისა და ტყვედ გაყიდვის შემთხვევებსაც (სოსელია 1973: 481-482; რეხვიაშვილი 1982: 311, 313, 315). „...გარეშე ომების წყალობით ნივთიერად დაზარალებული თავადაზნაურობა ყმების ექსპლოატაციის გაძლიერებით და ტყვეების ყიდვის გაფართოებით აწონასწორებდა შერყეულ საბიუჯეტო ბალანსს“ (ბარამიძე 1940: 7-8; დამატებით იხ.: ახვლედიანი 1944: 27).

შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთ საქართველოში ტყვეთა სყიდვა შემოსავლის საკმაოდ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა: „დატყვევება და უცხოეთში გაყიდვა ელოდა როგორც გლეხს, ისე ეკლესიის მსახურს, აზნაურსა და თავადსაც, მაგრამ ჟამთა სიავის მთელი სიმძიმე მაინც გლეხობის ზურგზე გადადიოდა“ (ჩხატარაიშვილი 1973: 481).

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მეთვრამეტე საუკუნეში არსებული სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ფორმირებაზე მრავალი ფაქტორი ახდენდა გავლენას. ერთი მხრივ, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად ევროპული ქვეყნების სავაჭრო მარშრუტების ცვლილება (ჯავახიშვილი 1924: 178-188; კაკაბაძე 1924: 214-242), რეგიონში არსებული პოლიტიკური ვითარება და მეორე მხრივ, ქართული სამეფო-სამთავროების მძიმე სოციალური ფონი.

როგორც დავინახეთ, წინააღმდეგობრივი იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში განვითარებული თვალსაზრისებიც. ფაქტია, რომ თუმცა სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინება მნიშვნელოვანი და აუცილებელია ეკონომიკური

---

<sup>38</sup> ამ საკითხის კვლევას სათანადო ყურადღება ქართულ ისტორიოგრაფიაში, არ დათმობია. მისი მხოლოდ კლასობრივი დაპირისპირების თვალსაზრისით წარმოდგენა არაა მართებული. გასათვალისწინებელია ამ მოვლენის სოციალური და ეკონომიკური ასპექტები.

ისტორიის კვლევისათვის, როდესაც ეკონომიკურისა და სოციალურის მნიშვნელობა პრაქტიკულად ემთხვევა ერთმანეთს, შეუძლებელია, რეალური სურათის აღდგენა. ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების დახასიათებისას ეყრდნობოდა ისტორიული მატერიალიზმისა და სოციალური თეორიის <sup>39</sup> იმ პრინციპს, რომლის თანახმადაც ისტორიული განვითარების მამოძრავებელი ძალა კლასთა შორის დაპირისპირებაა. ამ პოზიციიდან, მაგალითად, მეთვრამეტე საუკუნეში, საქართველოში არსებული სურათის პოზიტიური შეფასება მოითხოვდა, კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების ფონზე წარმოქმნილ ბურჟუაზიასა და მმართველ ელიტას შორის არსებულ დაპირისპირებაში კლასობრივი ნიშნებისა და ბურჟუაზიის, როგორც კლასის, გადამწყვეტი მნიშვნელობის აღიარებას. შესაბამისად, ქართული გამოცდილების განხილვისას, მიუხედავად იმისა, რომ მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს აშკარაა კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარება, ბურჟუაზიის როგორც კლასის არარსებობის ფაქტი,<sup>40</sup> საკმარისი საფუძველი იყო არსებული ვითარების რეგრესულობაში დასარწმუნებლად. მეთვრამეტე საუკუნეში განვითარებული მოვლენების დადებითად შეფასებას, იმ პერიოდში დასავლეთში და მოგვიანებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში განვითარებული ნაციონალისტური მოძრაობების გათვალისწინებით, საქართველოს რუსეთთან შეერთების „პროგრესულობის“ იდეის გადაფასებაც შეიძლება მოჰყოლოდა, ამიტომ მნიშვნელოვანი იყო იმ აზრის დაფიქსირება, რომ ქართულ სამეფო-სამთავროებში არსებული სოციალურ-ეკონომიკური გარემო, ქართული ერთობის დამოუკიდებლად განვითარებასა და მის ერად ჩამოყალიბებას ვერ უზრუნველყოფდა.

---

<sup>39</sup> მარქსისტული თეორია უდავოდ არის უდიდესი ამხსნელობითი შესაძლებლობების მქონე კონცეფცია, თუმცა მისი უალტერნატივოდ მიჩნევა პრინციპულად არასწორია და ზღუდავს მისსავე გამოყენების შესაძლებლობებს (გიდენსი 1995; შიმფი 2009: 35-56). მარქსისტული თეორიის პრაქტიკაში გამოყენებისას შექმნილ უხერხულობებზე მიუთითებს ვალერშტეინი (ვალერშტეინი 2000: 73-74; ვალერშტეინი 1991ა: 125-135).

<sup>40</sup> მხოლოდ რაოდენობრივი მონაცემების მიხედვით ვერც ბურჟუას სოციალურ სტატუსს ვერ განვსაზღვრავთ, ვინაიდან ეკონომიკურთან ერთად და, შეიძლება ითქვას, რომ უფრო მეტადაც, განსაკუთრებით კაპიტალიზმის განვითარების ადრეული ეტაპებისათვის, ბურჟუა წარმოადგენდა არა მხოლოდ და აუცილებლად ეკონომიკურად დაწინაურებულ პერსონას, არამედ ერთგვარ გარდამავალ კლასს მიწისმფლობელებსა და გლეხებს შორის, რომელთაგან მას განასხვავებდა უპირველესად მისი მდგომარეობის სოციალური და არა ეკონომიკური შინაარსი (ვალერშტეინი 1991ბ: 135-152).

თუმცა, ჩვენც ვიზიარებთ თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ მეთვრამეტე საუკუნეში საქართველოში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ტენდენციებს არ შეეძლოთ ისეთი მხარდაჭერის უზრუნველყოფა, რომელმაც დასავლეთში მნიშვნელოვანი სოციალური გარდაქმნები განაპირობა,<sup>41</sup> ის ცალსახად პროგრესული მოვლენა იყო და მიანიშნებდა იმაზე, რომ მეთვრამეტე საუკუნეში არსებული სოციალური და სამართლებრივი წესრიგი თვისებრივად განსხვავდებოდა ძველისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალური ურთიერთობები ნარჩუნდება, რითაც აღნიშნული პერიოდი გარკვეულ მემკვიდრეობითობას აჩვენებს ფეოდალიზმთან, შეუძლებელია, კლასობრივი დიფერენციაციის, ქალაქისა და წარმოების კაპიტალისტური წესის, ფულად-საფინანსო სიტემისა და ვაჭრობის განვითარების, თავისუფალ გლეხთა რიცხვის გამრავლებისა და ზოგადად მოდერნიზაციისაკენ მიდრეკილების გათვალისწინებით ვერ ამოვიკითხოთ პრინციპულად გასწავლებული რეალობისათვის დამახასიათებელი ნიშნები იმ პერიოდში.

საქმე ისაა, რომ ქართველი მკვლევრები, როდესაც ისინი ასეთ პოზიციას ავითარებდნენ, მხედველობაში იღებდნენ დასავლეთ ევროპულ გამოცდილებას, სადაც, მეთვრამეტე საუკუნეში განვითარებულ მოვლენებში ობიექტურად უმნიშვნელოვანესი როლი ჰქონდა ბურჟუაზიის აქტიურობას (რასაკვირველია ისტორიკოსთა ასეთ თვალსაზრისს მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკური და იდეოლოგიური კურსიც). საკითხის მექანიკურად გააზრებამ გააჩინა მოლოდინი, რომ ისტორიული განვითარება ყველა შემთხვევაში ერთმნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. როგორც თეორიულ ნაწილში მსჯელობისას განვმარტეთ, არსებობს პრემოდერნული ერთობების ორი ტიპი *ლატერალური* და *დემოკრატიული*. პირველი სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც ისტორიულ პროცესებში გადამწყვეტ მნიშვნელობას ბურჟუაზია იძენს, თუმცა მეორე, დემოკრატიული ერთობის შემთხვევაში, რომელსაც ემთხვევა ქართული ერთობის ფორმა იმ პერიოდში (და არა

---

<sup>41</sup> თანაც, საგულისხმოა, რომ ამ დროს თავად ევროპული სახელმწიფოების ნაწილიც პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით განვითარების განსხვავებულ საფეხურებზე იმყოფებოდნენ. როგორც ლიტერატურაშია განმარტებული, მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ფორმირების ადრეულ ეტაპებზე ჯერ კიდევ არ არსებობდა კაპიტალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ერთიანი ეკონომიკური სისტემა (ვალერშტეინი 2000: 74).

მარტო), მოვლენების პოზიტიური განვითარებისათვის აუცილებელი არ იყო მსგავსი ეკონომიკური სტიმულის არსებობა, პირიქით, მისთვის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება პირველ რიგში და იმდენად იყო მნიშვნელოვანი, რამდენადაც მას შეეძლო ხელი შეეწყო ერთობის წევრების მობილიზებისათვის იმ ეთნო-კულტურული მოძრაობის გარშემო, რომელსაც არანაირი ეკონომიკური/მატერიალური ღირებულა არ ჰქონდა. და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთ შემთხვევაში ეკონომიკური განვითარება და ხელოვნური მოდერნიზაცია, სწორედ, მისი იდეებით შეიძლებოდა ყოფილიყო შთაგონებულები და მხარდაჭერილიც. ამდენად, დემოკრატიული ერთობის ლატერალური *ეთნის* ისტორიული ტიპისათვის დამახასიათებელი მოცემულობის გათვალისწინებით გააზრება, ისტორიკოსთა მხრიდან, კონცეპტუალურად არასწორი მიდგომაა.

არსებული სოციალური გარემო, მიუხედავად მისი სისუსტისა, განვითარებული ეთნო-კულტურული მოძრაობის გათვალისწინებით, მიუთითებს პროცესების პოლიტიკურ პოტენციალზე. ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები აჩვენებენ, რომ დაბალი ფენების მისწრაფება გასაგები იყო მმართველი წრეებისათვისაც. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქართულ სამეფო-სამთავროებში არსებულ ტენდენციებს (ცენტრალური ხელისუფლების კავშირს დაბალ ფენებთან) წარმოვიდგენთ მმართველი ელიტის მიერ მხოლოდ საკუთარი ხელისუფლებისა და ძალაუფლების შენარჩუნებისათვის ზრუნვის შედეგად, მოგვიწევს ვაღიაროთ, მათ შორის, ასეთი არჩევანის გაკეთების აუცილებლობიდან გამომდინარე, რომ ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის ფორმირების, ხსენებულ ნიადაგზე წარმოშობილი მოთხოვნილება, მომავალში აუცილებლად დაბალი ფენებისათვის სასურველი შედეგით დასრულდებოდა; სტაბილურობის შენარჩუნების ორმხრივი სურვილის გამო ან თავად ელიტა შეცვლიდა ხელისუფლების ფორმას, ან კრიზისის შედეგად წარმოქმნილი სოციალური კონფლიქტი თავად იპოვიდა განვითარების ლოგიკურ გზას. მეთვრამეტე საუკუნეში არსებული ვითარება აჩვენებს იმ წინააღმდეგობრივ და პარადოქსულ ფუნქციასა და როლს, რომელიც ერთობების კონცეპტუალიზების პროცესში, ნაციონალისტური მოძრაობებისა და ნაციონალიზმის განვითარებაში, მმართველ ელიტას აქვს. სოციალურ-ეკონომიკური



ტენდენციები და ნაციონალისტური მოძრაობისათვის დამახასიათებელი მიდრეკილება დემოკრატიზმისაკენ საინტერესოდ აისახა გენდერული პერცეფციების ჩამოყალიბებაზეც.

თავი V. ქალთა ისტორია ეკონომიკური და სამართლებრივი ურთიერთობების  
განვითარების ფონზე <sup>42</sup>

გენდერული იდენტობის შესწავლა და ისტორიული ანალიზი, თუმცა მისი მნიშვნელობა ერთობის ჰომოგენიზებისა და ფორმირების ადრეულ ეტაპებზე შედარებით შეუმჩნეველია, ნაციონალურ ერთობად ფორმირების პერიოდში, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და იდენტობის პოლიტიკების პროცესში, ქალთა ჩართულობა და ემანსიპირება პრობლემა თვალსაჩინოა. ასეთ დროს, ვითარების სწორად შეფასებისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გენდერული პერცეფციების ჩამოყალიბების ისტორიულ პრიზმაში გააზრებას, ქალთა სოციალურ და სამართლებრივ მდგომარეობაზე დაკვირვებას, შეუძლია, თავად ისტორიული პროცესის ხასიათის გაგებაშიც დაგვეხმაროს. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ „გენდერულმა კვლევებმა ისტორიულ მასალებს, რომლებიც კარგა ხნის წინათ მათი ინფორმაციული შესაძლებლობების ამოწურვის გამო თაროებზე იქნენ შემოდებული, ახალი სიცოცხლე ჩაჰბერა“ (ციტატისათვის იხ.: თარგამაძე 2017: 72; დამატებით იხ.: სკოტი 1986: 1053-1075; კელი 1984: xii; ვრცლად იხ.: რობერტსი 2017: 275-291; კეცხოველი 2016: 237-259; იაკობსონი, ქიინი და სხვები 2001).

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ისტორიკოსები გენდერისა და ქალთა ისტორიის საკითხების კვლევით იყვნენ და არიან კიდევ დაკავებული, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთან, დისციპლინაში არ არსებობს ქალთა ისტორიის კვლევის აკადემიური მიმართულება.<sup>43</sup> ისტორიკოსებისათვის, ამ საკითხთან დაკავშირებითაც, ისევე, როგორც ზოგადად წარსულის იდენტობათა გადასახედიდან გააზრებისას, მთავარ გამოწვევას წარმოადგენს თვითცნობიერების, როგორც გარკვეული

---

<sup>42</sup> წინამდებარე ტექსტის ძირითადი შინაარსი გამოქვეყნდა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში International Journal of culture and History, vol., 3. No., 1. March, 2017. გვ. 72-79. სტატია: Social and Legal Status of Women in Medieval Georgia. ხელმისაწვდომია: <http://www.ijch.net/vol3/081-HF2002.pdf>

<sup>43</sup> საგულისხმოა, რომ ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტში წაკითხული ლექციის „ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში“, პირველ ნაწილში „მოდღვრება ადამიანზე“, ძირითადი ყურადღება ქალისა და მამაკაცის ასაკობრივი და სქესობრივი საკითხების შესახებ ქართულ საისტორიო მასალებში არსებული ცნობების მიმოხილვას დაუთმო (გაიპარაშვილი 2015: 21-31) ქალთა ისტორიის საკითხებს შეეხნენ მ. ჯანაშვილი, ე. თაყაიშვილი, პ. ინგოროყვა, ლ. ასათიანი, კ. კველიძე, ვ. ბერიძე, ტ. რუხაძე, ა. ბარამიძე, ნ. ბერძენიშვილი, გ. ჯიბლაძე, თ. ჩიხლაძე, ი. ქაფიაშვილი, ნ. ხაზარაძე, ნ. ჩიხლაძე და სხვები.

ჯგუფების მიერ საკუთარი თვითიგივურობის, სუბიექტივისტური განცდა და მისი გაგების პრობლემა. გენდერი, როგორც ხანგრძლივი დროის განმავლობაში კონსტრუირებული წარმოდგენა და, როგორც სმითი განმარტავს, ერთ-ერთი ყველაზე უფრო „აშკარა და ფუნდამენტური“ ელემენტი (სმითი 2008: 4), ისტორიული კატეგორიაცაა. სწორედ თვითცნობიერების ჩამოყალიბების პროცესის დროში განგრძობადობის გამო, მიგვაჩნია, რომ ამ საკითხის გაგების შესაძლებლობები გაცილებით დიდი და მრავალფეროვანია ისტორიაში, ვიდრე უახლესი წარსულის გააზრების პერსპექტივიდან შეიძლება ჰქონდეს მას მომიჯნავე დისციპლინებში. ამდენად, ვფიქრობთ, რომ გენდერული კვლევები და ქალთა ისტორიის საკითხები სწორედ ის თემებია, რომლებიც ქართული საისტორიო სკოლის სამომავლო გეგმებში უნდა შედიოდეს.<sup>44</sup>

მანამ, სანამ ძირითად სათქმელზე გადავიდოდეთ, გვსურს ორიოდე სიტყვით საბჭოთა პერიოდში არსებული ვითრება მიმოვიხილოთ. გენდერი იყო ის იშვიათი გამონაკლისი კულტურისა (ვგულისხმობთ სახელოვნებო მიმართულებებს, ძირითადად ფოლკლორს) და ეთნიკურობის საკითხებთან ერთად, სადაც „თვითგამორკვევა“ ნებადართული გახლდათ. ამასთან, კომუნისტური პარტია, როგორც „მარგინალური“ ჯგუფების „მხარდამჭერი“ ცდილობდა „თანასწორობის“ უზრუნველყოფას, მათ შორის, გენდერული თვალსაზრისითაც.

რეჟიმის დამყარების პირველ პერიოდში აქტიურად იყენებდნენ კინოს პროპაგანდისტულ შესაძლებლობებს. იქმნებოდა სრულმეტრაჟიანი ფილმები, სადაც ქალი წარმოგვიდგება დამოუკიდებელ და ძლიერ პიროვნებად (*ელისო* 1928, *ნარინჯის ველი* 1937). ჟანრობრივი და შემოქმედებითი თვალსაზრისით, ვითარება იცვლება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. ამ დროს ყალიბდება

---

<sup>44</sup> მით უფრო მაშინ, როდესაც საქართველო მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიგს, რომელთა კულტურაშიც ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა არის ქალი. პრაქტიკულად ყველა მთავარი სიტყვა/პოსტულატი, რომელიც გამოხატავს ქართველის მსოფლმხედველობას, ნაწარმოებია სიტყვა დედისაგან. მაგალითად: დედაბოძი (საცხოვრებელი სახლის გადახურვის მთავარი საყრდენი, მას ასევე ჰქონდა საცხოვრებლის წმინდა სვეტის რიტუალური დანიშნულება), ადგილის დედა (ქართულ მითოლოგიაში ასე უწოდებდნენ ამა თუ იმ ადგილის მფარველ ქალ ღვთაებას) (ხიდაშელი 2001: 125); დედამიწა, დედაკაცი, დედაენა, გუთნის დედა (საინტერესოა, რომ ეს ტერმინი წარმოადგენს სამუშაო იარაღის სახელწოდებისა და სიტყვა დედისაგან შემდგარ კომპოზიტს და აღნიშნავდა მიწის დამამუშავებელ მამაკაცს) და ა.შ.

ემანსიპირებული ქალის სახე (*რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე* 1977).<sup>45</sup> საბჭოთა ეპოქაში გაგვიჭირდება მოვძებნოთ სფერო, სადაც ქალები არ იყვნენ წარმოდგენილი კაცების გვერდით, თუმცა, როგორც ამას ბოლო ათწლეულებში ქართულ საზოგადოებაში არსებული გენდერული სტერეოტიპები მოწმობენ, გენდერული იდენტობების გაგების თვალსაზრისით მდგომარეობა არ გაჯანსაღებულა. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ფემინური და მასკულინური ფენომენების არასრულყოფილმა გააზრებამ, შექმნა გენდერული კონფლიქტის საფუძველი; ახალ დროში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, ძლიერი და აქტიური ქალის სახე, რომელიც ახალ რეალობაში აღარ თავსდებოდა „ძლიერი“ ქალის საბჭოურ პარადიგმაში, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების პარალელურად, „დაუპირისპირდა“ მამაკაცობის, როგორც ოჯახის მარჩენალისა და მფარველის იდეას.

ფემინური კატეგორიის სემანტიკა, როგორც ერთგვარი გენეტიკური მეხსიერება (იხ. გუგაშვილი: ინტერნეტ პუბლიკაცია), განსაზღვრავს ჩვენი საზოგადოების ყველა წევრისათვის ქალობის გაგებისა და, შესაბამისად, ქალებისადმი წინასწარ მოლოდინებს. აღზრდის მომდევნო ეტაპებზე ამ მოლოდინების არა თუ გადახედვა და კრიტიკული გააზრება არ ხდება, პირიქით, ისინი კიდევ უფრო ძლიერდებიან.<sup>46</sup> ნიშანდობლივია, რომ ჩვენ მიერ შესავალში

---

<sup>45</sup> 1958 წელს ქალაქ თბილისის დაარსების 1500-ე საიუბილეო წლისთავთან დაკავშირებით აღიმართა ქართველი მოქანდაკის, ელგუჯა ამაშუკელის, მიერ შესრულებული „ქართველის დედის“ მონუმენტური ქანდაკება. თავიდან დროებით საჩვენებლად დადგმული ოცმეტრიანი ხის ნაგებობა, დაიფარა ალუმინით და ერთ-ერთ გამორჩეულ სიმბოლოდ იქცა საქართველოს დედაქალაქისა. ამ აქტში საინტერესო ის არის, რომ მეოცე საუკუნის მოქანდაკემ გააცოცხლა/შექმნა ქართველი ქალის ის სახე, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა და დამკვიდრდა ქართველთა წარმოდგენებში. ნებისმიერ შემთხვევაში, არ აქვს მნიშვნელობა ის ასახავდა იმ პერიოდის რეალურ დამოკიდებულებას თუ არა, ახდენდა ქალობის ისტორიული პერცეფციის მხარდაჭერას. ქართულ ეროვნულ სამოსში გამოწყობილ ქალს ერთ ხელში უჭირავს ხმალი, ძალაუფლებისა და სიძლიერის სიმბოლო, მეორეში კი თასი, სტუმარმასპინძლობის საუკუნოვანი ტრადიციის აღსანიშნავად. არ არის შემთხვევითი, რომ ორივე საგანი მკვეთრად მასკულინური იდენტობის გამომხატველი სიმბოლოა.

<sup>46</sup> სასკოლო პროგრამები ხელს უწყობს სტერეოტიპების გაძლიერებას. *წმინდა შუშანიკის წამების* პერსონაჟი შუშანიკი წარმოდგენილია ცალსახად სარწმუნოების დამცველ ქალად. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება თამარ მეფის პიროვნებაზე (1160-1213), როგორც მორწმუნე და ძლიერ მმართველზე, რომლის დროსაც საქართველო აღწევს არნახულ სიძლიერეს. საინტერესოა ის, რომ სწორედ თამარის ისტორიული სახის რეპრეზენტაციითა და *ვეფხისტყაოსნის* ციტირებით ხდება ქალისა და მამაკაცის თანასწორობის იდეის ისტორიულობის მტკიცება. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრიათ ზეპირ გადმოცემებს მეომარი ქალების შესახებ (თამარ ვაშლიოვნი, მაია წყნეთელი,

ნახსენები ე.წ. მენტალური გაორების საკითხი ამ ასპექტშიც იჩენს თავს. არსებული ნარატივი, რომელიც ქალს ქართული ერთობის წევრებისათვის ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურად და თავყვანისცემის ობიექტად წარმოადგენს, შეერწყა „ემანსიპირებული“ ქალის საბჭოურ სახეს. ქალობის შესახებ ისტორიული და საბჭოური იდეების „კოქტილმა“ შექმნა ილუზია პრობლემის არარსებობის შესახებ; სწორედ ამ იდეის მაქსიმიზაცია, ისტორიულ რეპრეზენტაციასთან ბმით, ანელეებს ქალის სქესობრივი და გენდერული იდენტობის შესახებ საზოგადოების წარმოდგენას.

ჩვენი აზრით, ქართველთა თვითცნობიერებაში არსებულმა ქალის რელიგიურმა სახემ, რომელიც ქრისტიანობის შემოსვლის პერიოდიდან იქმნებოდა და რომლის ჩამოყალიბებაც პრაქტიკულად ქართლის გაქრისტიანების პარალელურად დასრულდა, ქალის რეალური ინდივიდუალური სქესობრივი და, რაც მთავარია გენდერული იდენტობის მიმდებარე ნაცვლად საზოგადოებაში მისადმი ერთგვარი გაორებული დამოკიდებულება შექმნა. თუ დღეს არსებულ სურათს კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ, უპირველესად, თანამედროვე ქართული საზოგადოების ცნობიერებაში დამკვიდრებული სტერეოტიპი ქალობის შესახებ დაკავშირებულია დედობის, ან პოტენციური დედობის გაგებასთან (სინამდვილეში დედობის არა როგორც უფლების, არამედ უფრო, როგორც რეპროდუქციული უნარისა), რომელსაც, უპირველესად კავშირი აქვს პოტენციური ან უკვე შემდგარი დედების მიერ საქვეყნო/საჯარო წმინდა მოვალეობის შესრულებასთან.

ისტორიულ პროცესებზე თვალის მიდევნება, ვფიქრობთ, უფრო ნათლად აჩვენებს ქალობის გენდერული პერცეფციის ჩამოყალიბების შესახებ და მოგვცემს შესაძლებლობას გარკვეული ისტორიული კავშირი დავინახოთ ჩვენი კვლევის პერიოდსა და წარსულს შორის.

---

რომლის თავგადასავლი აისახა თეატრსა და კინოში, „მაია წყნეთელი“), ან გმირების გამზრდელი ქალების შესახებ (ცხრა ძმა ხერხეულიძეების დედა) ისტორიებს და ა.შ.

## § 5.1 პრე-მოდერნული ვითარების მიმოხილვა

პირველი წერილობითი ტექსტი, სადაც ქალობის გენდერული პერცეფცია ასახა არის *მოქცევაი ქართლისაიში* დაცული წმინდა ნინოს ცხოვრება. ზოგადად უნდა ითქვას, რომ *ნინოს ცხოვრება* დატვირთულია ქალთა სახეებით (მათითაშვილი 2017: 119, 123, 126). ეს ნაწარმოები იმით არის საინტერესო, რომ ასახავს ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ იდეოლოგიად დამკვიდრების პროცესს. როდესაც ჩამოყალიბდა „ქართველთა ეთნიკური რჩეულობის და მცხეთის, როგორც ქრისტიანული ოიკუმენის საკრალური ცენტრის, ანუ ახალი იერუსალიმის იდეოლოგია“ (ჩხარტიშვილი 2008ბ: 423-453). ამ პროცესებში უმთავრესი ფიგურა წმინდა ნინო იყო. წმინდანი წარმოგვიდგება, როგორც პრინციპული ადამიანი, რომელიც საკუთარი შეხედულებების დასაცავად უარს ამბობს მისთვის შეთავაზებულ ეკონომიკურ და სხვა პრივილეგიებზე (აბულაძე 1963: 131-132). ის უარყოფს მირიანის მიერ შეთავაზებულ იდეოლოგიურ-რელიგიური ტრანსფორმაციის გეგმას, რომლის მიხედვითაც, ნინოს უნდა გაეძლიერებინა ადგილობრივი რელიგიური ტრადიცია. ლიტერატურაში მითითებულია:

რომ მისიონერმა ქალმა ქართველთა პერცეფციებში წარმართი ქალღვთაების – დედის/მაწოვნებელის ადგილი დაიკავა. დედამფარველზე ინფორმაციის განსათავსებლად საჭირო „ფაილი“ სახელწოდებით *ნინო* (ანუ დედა) უკვე არსებობდა ქართული ერთობის ისტორიულ მახსოვრობაში (ჩხარტიშვილი 2008ა: 62).

*ქართლის ცხოვრების* ერთ-ერთი ავტორი ლეონტი მროველი წმინდა ნინოზე თხრობისას მის პორტრეტს შემდეგნაირად გვიხატავს: „ვხედავ ძალსა შენსა, ვითარცა ძალსა ლომისა ძუვისასა, რომელი იზახის ყოველსავე ზედა ოთხფერხსა, გინა ვითარცა ორბი დედალი, რომელი აღვიდის სიმაღლესა ჰაერისა უფროის მამლისა“ (მროველი 1959: 77).<sup>47</sup>

<sup>47</sup> ლეონტი მროველი ამ შემთხვევაში იმეორებს *მოქცევაი ქართლისაიში* არსებულ დახასიათებას. *მოქცევაი ქართლისაი*, მიჩნეულია ერთ-ერთ უადრეს წერილობით წყაროდ (მეოთხე საუკუნე) საქართველოს ისტორიისა. მასში გაერთიანებულია ორი თხზულება, პირველი ნაწილი არის ე.წ.

ქართლის გამაქრისტიანებელი ქალისადმი ასეთ დამოკიდებულებას ჩვენ არ ვაზოგადებთ. წმინდანობის სტატუსის გამო მის მდგომარეობას ვერ განვიხილავთ საყოველთაოდ. თუმცა, ჩვენი აზრით, ის ფაქტი, რომ საისტორიო-ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების, რომელსაც მკითხველი ჰყავდა არა მხოლოდ მაღალ საზოგადოებაში, გმირები ხდებიან მეამბოხე/რეფორმატორი ქალები და მათი ისტორიები, გარკვეულ ტენდენციაზე მიანიშნებს. ამ პერიოდის ლიტერატურიდან ჩანს, რომ ქალის სოციალური აქტივობა მჭიდროდ დაუკავშირდა რელიგიურ მოღვაწეობას. თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში ისინი შეზღუდულები ჩანან, სარწმუნოებრივ საკითხებში, თუმცა არა იერარქიული თვალსაზრისით, მაინც მნიშვნელოვანი და ხშირად გადამწყვეტი პოზიციაც კი უჭირავთ. შეიძლება ითქვას, რომ ქართული ერთობის ცნობიერებაში მორწმუნე ქალის სახე-ხატი, *წმინდა ნინოს ცხოვრებისა* და საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრობის საეკლესიო ტრადიციის გაძლიერებით დამკვიდრდა.<sup>48</sup> ქალსა და კაცს შორის იერარქიული წესრიგის ქრისტიანული მოდელი არ არღვევდა პატრიარქალური საზოგადოების წესრიგს. თავის მხრივ, ამ მოცემულობაში მორწმუნეობა ერთგვარ გასაღებად იქცა აქტიური ქალისათვისაც განეხორციელებინა საკუთარი ქმედებები ისე, რომ ერთბაშად არ გასულიყო დამკვიდრებული ნორმებიდან. წმინდანი ზოგადად არ ცდილობს ქალის ტრადიციული მოვალეობებისაგან გაქცევას, ის ასეთ მოვალეობაზე სწორედ ქრისტიანული საღვთო მისიის აღსრულების გამო ამბობს უარს (მათითაშვილი 2017: 151).

ერთ-ერთი ყველაზე უფრო ადრეული ჰაგიოგრაფიული თხზულება, რომელიც გენდერული საკითხის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის, არის იაკობ ხუცესის *წმინდა შუშანიკის წამება* (მეხუთე საუკუნე). ეს ძეგლიც, ისევე, როგორც *წმინდა ნინოს ცხოვრება*, უკვე გახდა დაკვირვების ობიექტი, თუმცა გენდერული საკითხის განზოგადების კუთხით საინტერესო იქნება მათ შორის გარკვეული კავშირების გამოკვეთა.

---

ქრონიკები, სადაც თხრობა ძვ.წ. მეოთხე საუკუნიდან ახ.წ. მეცხრე საუკუნემდე მოდის, მეორე ნაწილი არის უშუალოდ „ნინოს ცხოვრება“ (ჩხარტიშვილი 2008ა: 54-73).

<sup>48</sup> საეკლესიო ტრადიციის მიხედვით, საქართველო ითვლება ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნადაც (ზეთეიშვილი 2014: 29-34).

შუშანიკის წამებაში აღწერილი ამბები წმინდა ნინოს ცხოვრებიდან დაახლოებით 120-130 წლის შემდეგ ხდება. აქაც ისევ, როგორც ნინოს ცხოვრებაში გადმოცემულია მორწმუნე ქალის ისტორია. იაკობ ხუცესი შუშანიკის მეუღლესთან დაპირისპირების ძირითად მიზეზად, სწორედ, ვარსქენის მიერ ქრისტიანობის უარყოფას ასახელებს. ის ჰაგიოგრაფიული თხზულების დასაწყისშივე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ შუშანიკი ბავშვობიდანვე ქრისტიანობის დამცველი და ერთგული იყო. თუმცა, ამავე დროს, სარწმუნოების დამცველის პოზიცია, შუშანიკს, არა მხოლოდ რელიგიური ამბის პერსონაჟად აქცევდა, ამ შემთხვევაში ის წარმოგვიდგება კონკრეტული პოლიტიკური პროცესის მონაწილედაც, ისევ, როგორც თავის დროზე წმინდა ნინო.<sup>49</sup> როდესაც ვარქენმა სარწმუნოება საკუთარი ნებით შეიცვალა, ამით მან პოლიტიკური არჩევანიც გააკეთა ირანის მეფის სასარგებლოდ (ხუცესი 1987: 224-225). ვარქენსაც პრეტენზია შუშანიკთან მხოლოდ რელიგიური შეუთავსებლობის გამო კი არ ჰქონდა, არამედ იმის გამოც, რომ მისმა ცოლმა არ გაიზიარა მისი პოლიტიკური ხედვა. ამ აზრს აძლიერებს ის გარემოებაც, რომ ტექსტში ვარსქენი ზოგადად ქრისტიანობის წინააღმდეგ მებრძოლად არ ჩანს. ავტორის მიერ შუშანიკის გულშემატკივართა სიმრავლეზე აქცენტირების (ხუცესი 1987: 233-234, 241) ერთ-ერთი მიზეზიც სწორედ იმის ჩვენება უნდა ყოფილიყო, რომ წმინდანის რელიგიურ-პოლიტიკურ პოზიციას უფრო მეტი მომხრე ჰყავდა, ვიდრე მისი ქმრისას. რასაც როგორც ტექსტიდან ვიგებთ, ვარსქენიც გრძნობდა და შიშობდა კიდევ, მისი ცოლი ვინმე დიდებულს არ მისთხოვებოდა, რასაც, შეიძლება მისი მდგომარეობის დამძიმება მოჰყოლოდა (ხუცესი 1987: 237). იაკობის პერსონაჟმა კიდევ უფრო გააძლიერა აქტიური მორწმუნე ქალის სახე.

როგორც ვთქვით, ქალებისათვისაც მოსახერხებელი აღმოჩნდა ეკლესიურობასთან შერწყმული როლი „სადა არა არს რჩევაი მამაკაცისა და დედაკაცისაი“ (ხუცესი 1987: 241). საეკლესიო ტრადიცია, თუმცა არ გულისხმობდა ქალთა და კაცთა აბსოლუტურ თანასწორობას, ქართულ ქრისტიანულ კულტურაში

---

<sup>49</sup> ქართლის გაქრისტიანების ისტორია (მროველი 1955ა: 90-127), კონფესიურთან ერთად იყო ერთგვარი პოლიტიკური არჩევანიც იყო, ამ ამბების მოთავე წმინდანი კი პოლიტიკური პროცესების შუაგულში იდგა.



ამგვარი რელიგიური ტრადიციის გაძლიერება პოზიტიურ გავლენას ახდენდა საერო აზრის ფორმირებაზე.

ადრექრისტიანულ ხანაში საქართველოში ჩამოყალიბებული ნარატივი მომდევნო პერიოდებშიც განაგრძობს არსებობას. თუმცა განვითარების კვალდაკვალ, ხდება მისი გადამუშავება. ამ კუთხით საინტერესოა გიორგი მერჩულეს *გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების* (მეათე საუკუნე) ტექსტში შემონახული ამბავი ზენონისა და მისი დის შესახებ. მშობლების გარდაცვალების შემდეგ ზენონს გადაუწყვეტია მონაზვნად აღკვეცა და საკუთარი ქონების დისათვის დატოვება, თუმცა მისი და საკუთარი სურვილით გაჰყოლია უცხო კაცს, რასაც დროებით ხელი შეუშლია ზენონის გამონაზვნებისათვის (მერჩულე 1987: 546-547). როგორც ვხედავთ, მორწმუნე ქალის გვერდით შუა საუკუნეების ქართულ ნარატივში ჩნდება ქალის სეკულარული სახეც. ზენონის დის მოტივაცია, განსხვავებით აქამდე ნახსენები პერსონაჟებისაგან, არა საზოგადო ინტერესებზე ზრუნვით, არამედ პირადი სურვილით იყო ნაკარნახევი.

ზოგადად, როგორც ლიტერატურის ისტორიის მკვლევრები მიუთითებენ, *გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში* ყველაზე უფრო აშკარაა ტენდენცია საერო ცხოვრების თემების ასახვისა და ზოგადად ადამიანის იდეის ახლებური გააზრებისა:

ადამიანის ამ ახლებური იდეალის დასახვასთან ერთად, ქართულ პროზაში, რომლის უმთავრესი საგანი კვლავ ბერ-მონაზონთა, ქრისტიან მოღვაწეთა თუ მარტვილთა ცხოვრებაა, შეინიშნება ერთი საგულისხმო მოვლენა — ინტერესის გაღვივება ბუნებისადმი, რაც უფრო ადრინდელი ხანის ავტორთათვის პრინციპულად თითქმის სრულიად გამორიცხული იყო... და ეს მოვლენა მწერლობაში მომხდარი მხატვრული ძვრების მაცნე კი არ არის მხოლოდ, გაცილებით უფრო ღრმა მსოფლმხედველობრივი ევოლუციის მანიშნებელია (თვარაძე 1985: 48).

ქალობის გაგების თავისებურებაზე მიუთითებს მეორე სიუჟეტიც *გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან*, კერძოდ, ამოტ კურაპალატისა და სიძვის დიაცის ამბავი.

ტექსტის ავტორი გრიგოლისა და ამ ქალის დიალოგში აჩვენებს არა მხოლოდ ქრისტიანული მორალისაგან გზას აცდენილი ქალის სახეს, არამედ მხსვერპლს, რომლის მიმართაც მკითხველთა გარკვეულ თანაგრძნობასაც კი იწვევს (მერჩულე 1987: 600-604). ამავე ნაწარმოებში ვხვდებით ადარნესეს აშოტის შვილის ამბავსაც. გარდა იმისა, რომ ამ შემთხვევაში მთავარი გმირი მამაკაცია, საინტერესო ის არის, რომ, ზენონის დის მსგავსად, ადარნესეც საკუთარი პირადი სურვილის გამო მიდის არსებული წესების წინააღმდეგ და ქალს, რომელსაც ტექსტის ავტორი მეძავად იხსენიებს, ცოლად ირთავს (თუმცა თავგადასავალი, რომელიც ამ ქალს ასეთი ცოდვის გამო შეემთხვა, სასტიკი იყო, ტექსტში მეძავი ქალის ცოლის სტატუსით მოხსენიება საერო ცხოვრებისა და მისი მნიშვნელობის აღიარებაზეც მიუთითებს) (მერჩულე 1987: 604-609). მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო ჯამში ადარნესე იძულებული გახდა მოქცეულიყო ისე, როგორც მოუწოდებდნენ, თავისთავად ის ფაქტი, რომ ჰაგიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებში ხვდება ასეთი სიუჟეტები, თანაც ისე, რომ მას არ ახლავს მკაცრი მორალური რელიგიური შეფასება, არამედ განხილულია გასაგებ ადამიანურ კონტექსტში, თუმცა გენდერული კუთხით ცალსახად არ მიანიშნებს საეკლესიო წრეების თავლსაზრისის ცვლილებაზე, მაინც ასეთი ამბების გადმოცემით იქმნებოდა ნარატივი, რომელიც საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, ქალის საერო სახის დამკვიდრების თვალსაზრისით, ცალსახად პოზიტიურ გავლენას ახდენდა.

მომდევნო პერიოდში, *ქართლის ცხოვრების* ტექსტებში რელიგიური ქალი პერსონაჟების გვერდით ვხედავთ აშკარა საერო სტატუსის მქონე აქტიურ ქალებსაც, რომელთა ძირითად მოტივაციას არა სარწმუნოების დაცვა, არამედ ხელისუფლების შენარჩუნება წარმოადგენს. ამას, რასაკვირველია, ჰქონდა თავისი ისტორიული წინაპირობები.

მეთორმეტე საუკუნე უმნიშვნელოვანესი პერიოდია საქართველოს ისტორიაში. ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება, სამხედრო და ეკონომიკური წარმატება საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. ჩვენი აზრით, ამ დროს ქალობის შესახებ არსებულ ნარატივში მორწმუნე ქალის პარალელურად ქალის სეკულარული სახის დამკვიდრება და მისი

ლეგიტიმაცია ხდება. თუ ზენონის დისა და ადარნესეს შემთხვევაში საკუთარი სურვილის შესაბამისად მოქცევა საზოგადოებისათვის მაინც მიუღებელ ქმედებად ითვლება, თამარის შემთხვევაში საზოგადოებრივ აზრთან დაპირისპირება, მათ შორის მეუღლის შერჩევის დროსაც, მემატანეთა მიერ მის წინდახედულებასა და სიბრძნეს მიეწერება (ეზოსმოდღვარი 1959: 120, 141, 145; ისტორიანი და აზმანი... 1959: 37, 40).

თამარის სახით პირველად საქართველოს ისტორიაში სამეფო ტახტი დაიკავა ქალმა. ამ ამბავს წინ უძღოდა მნიშვნელოვანი დაპირისპირება სამეფო ოჯახში, რაც კანონიერი მეფის დავით მეხუთის (1155-1156) ექვსთვიანი მეფობის შემდეგ გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალებით დამთავრდა. მოგვიანებით მისი ვაჟი დემნა (დემეტრე) ქართველი დიდებულების ერთი ნაწილის მხარდაჭერით, საკუთარი კანონიერი უფლებების აღდგენას აჯანყებით შეეცადა. დაპატიმრების, დაბრმავებისა და დასაჭურისების შემდეგ კი 1178 წელს გარდაიცვალა, მხოლოდ ამის შემდეგ 1179 წელს გიორგიმ თამარი თანამოსაყდრედ გამოაცხადა. თავის დროზე თამარის მამის გიორგი მესამის გამეფებას (1156 წ.) და განსაკუთრებით თამარის მეფობას სჭირდებოდა ნდობისა და აღიარების მოპოვება იმ ქართველ საერო ხელისუფალთა შორის, რომლებსაც სამეფო ოჯახში არსებული დაპირისპირების შემდეგ მეფის ხელისუფლების ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით კითხვები გაუჩნდათ. *ქართლის ცხოვრების* ტექსტებში თამარისა და მისი მეფობის შესახებ დაცულ ცნობებში ის წარმოგვიდგება არა მხოლოდ, როგორც მორწმუნე ქალი ან დედა, არამედ, როგორც დამოუკიდებელი, ბრძენი მსაჯული და ძლიერი მმართველი, რომლის მეფობის პერიოდში საქართველომ არნახულ სიძლიერეს მიაღწია (ცხოვრება დიდისა... 1955: 368-369; ისტორიანი და აზმანი... 1959: 26, 30-32, 38; ცხოვრება მეფეთ-მეფისა... 1955: 121, 125, 141; ბაგრატიონი 1973: 171). ამდენად, ქალის საზოგადოებრივი და პოლიტიკური როლის გაძლიერება *ქართლის ცხოვრებაში* დაკავშირებულია მნიშვნელოვან პოლიტიკურ პროცესებთან.<sup>50</sup>

---

<sup>50</sup> ქალები აქტიურად იყვნენ ჩართულნი თამარის გამეფების შემდეგ მის წინააღმდეგ აჯანყებულ ქართველ დიდებულებთან მოლაპარაკების პროცესშიც (ისტორიანი და აზმანი... 1959: 31-32).

არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ რა მოტივიც არ უნდა ჰქონოდათ თამარის შესახებ შექმნილი ტექსტების ავტორებს, საბოლოოდ მათ ხელი შეუწყვეს ქალის შესახებ გენდერული პერცეფციის ცვლილებას. საქართველოში არც ერთი მეფის შესახებ არ არის დაცული იმდენი ზეპირი გადმოცემა, რამდენიც თამარზე. გიორგი მესამისა და თამარის მეფობის ლეგიტიმურობის საკითხის ფონზე, ამ თქმულებათა სიმრავლე ორგანიზებული კამპანიის შთაბეჭდილებას ტოვებს. როგორც ჩანს, შექმნილი პოლიტიკური კრიზისი გახდა ინტელექტუალური ტრანსფორმაციის ინდიკატორი; და ახალი კულტურული პოსტულატისადმი, როგორც მაღალ, ისე დაბალ ფენებში, საჭირო იყო დადებითი დამოკიდებულების უზრუნველყოფა.

*ვეფხისტყაოსანში* გახმოვანებული გენდერული კონცეფცია „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“ (რუსთაველი 1988: 15), მიუხედავად იმისა, რომ ეხებოდა მაღალი წრის წარმომადგენლებს, კონკრეტულად კი სამეფო ოჯახის წევრებს, მაინც არსებული ტრადიციული შეხედულების რეფორმისტული ალტერნატივაა. ისიც მსგავსად *ქართლის ცხოვრების* ტექსტებისა, აძლიერებდა ქალის განსხვავებულ როლში წარმოდგენის სიუჟეტს. ქართული ლიტერატურის ისტორია იმ პერიოდში თამარის პერსონისადმი მიძღვნილ არაერთ ნაწარმოებს იცნობს. ლიტერატურული და მხატვრული ღირებულების სხვადასხვაობის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ თითოეული მათგანის ცენტრალური თემა იყო ძლიერი და ინიციატივის მქონე ქალი. მიუხედავად ამისა, შუა საუკუნეების ქართული მწერლობისათვის ბოლომდე დაუძლეველ მომენტად რჩება ქალურობის შუასაუკუნეობრივი აღქმა.

ქალობის გენდერული პერცეფციის შესახებ საინტერესო ცნობებს შეიცავს გიორგი ბრწყინვალის *ძეგლისდება* (მეთოთხმეტე საუკუნე).<sup>51</sup> საკანონმდებლო კრებულის შინაარსი ცხადყოფს, რომ სამართალშიც და ყოფით დონეზეც ქალის მდგომარეობა უმჯობესდება. გიორგი ბრწყინვალის (1286-1346) საკანონმდებლო კრებული, იმითაც არის საინტერესო, რომ წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოს

---

<sup>51</sup> მიუხედავად იმისა, რომ ეს საკანონმდებლო რეგულაციები შეიქმნა აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანი რეგიონისათვის, ზოგადი სურათის წარმოდგენისათვის მაინც ღირებულია. ის, როგორც სამართლის კრებული იმ პერიოდში მოქმედ ქართულ სამართალთანაც კორელაციაში იყო და ამდენად მისი მუხლები ზოგადი სამართლებრივი ნორმის ნაწილს წამოადგენდა.

მთიანეთისათვის სპეციალურად შემუშავებულ სამართლებრივ დოკუმენტს, სადაც ადმინისტრაციულ საკითხებთან ერთად ჩანს ქალთა სოციალური და უფლებრივი მდგომარეობის კანონიერ სივრცეში მოქცევის მცდელობა.

პირველი თავი, სადაც ქალთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ვხვდებით გარკვეულ ცნობებს ეხება *დედათა-მამათა და ძმათა სიკვდილის* საკითხებს. მე-18 მუხლში, ჩანს, რომ მოკლული კაცის ქვრივისათვის, იმ შემთხვევაში, თუ ის მეუღლის გარდაცვალების შემდეგ არ გათხოვდებოდა, ქმრის ოჯახს ისე უნდა მიეცა წილი ქონებიდან, როგორც მის მეუღლეს ეკუთვნოდა (დოლიძე 1970).<sup>52</sup>

ცალკე თავი აქვს დათმობილი ცოლის დაგდების/მიტოვებისა და წაგურის/წართმევის საკითხებს. 21-ე მუხლიდან ვიტყობთ, რომ იმ შემთხვევაში თუ კაცი მიატოვებდა/გაეყრებოდა ქალს უმიზეზოდ, ის ვალდებული იყო მისი გვარისათვის/ოჯახისათვის მიეცა გასამრჯელო. 22-ე მუხლში კი საუბარია კაცისაგან სხვა კაცისათვის ცოლის წართმევის საკითხზე, როგორც *ძეგლისდებიდან* ჩანს, ამ შემთხვევაში დაზარალებულს, თუ ის ცოლის მოტაცების გამო მომდევნო ერთი წლის განმავლობაში ჩაიდენდა დანაშაულს გამტაცებლის მიმართ, მათ შორის დაარბევდა და გაანადგურებდა იმ კაცის ქონებას, სამართლებრივი სახდელი არ დაეკისრებოდა. 23-ე მუხლიც ცოლის წართმევის შესახებაა, ამ შემთხვევაში განსხვავება ისაა, რომ ამჯერად საქმე ეხება ჯვარდაწერილი ცოლის წართმევის საკითხს. აქაც ისევე, როგორც წინა მუხლში, სახდელის სახით ცოლის წართმევისათვის მოძალადის გვარს ეკისრებოდა ნახევარი სისხლის<sup>53</sup> საფასი. რაც შეეხება დანიშნული ქალის წართმევას, ამ შემთხვევაში სახდელი 24-ე მუხლის მიხედვით მეექვსედი სისხლი უნდა ყოფილიყო.

თუ წინა მუხლები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ეხებოდნენ ქალებს, მათი ძირითადი დანიშნულება მამაკაცებს შორის არსებული სამართლებრივი დავების გადაწყვეტა იყო, *ძეგლისდების* იმავე თავის 25-ე მუხლში გვხვდება რეგულაციები, რომლებიც მხოლოდ ქალებს ეხებათ. ერთ-ერთი ასეთი რეგულაცია მეომარი ქალების

<sup>52</sup> აქაც და ქვემოთაც გიორგი ბრწყინვალის *ძეგლიდებს* ვიძიოწმებთ მითითებული გამოცემებიდან.

<sup>53</sup> სისხლი წარმოადგენს ქონებრივ საზღაურს, რომელიც დამნაშავეს კანონით დადგენილი სასჯელის გარდა უნდა გადაეხადა დაზარალებულისათვის მისი გვარისა და მდგომარეობის შესაფერისად (დოლიძე 1953: 190).

შესახება. მეომარი ქალის გარდაცვალების შემთხვევაში არავის საურავი არ ეკისრებოდა. იქვე საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ იმ შემთხვევაში, თუ ქალი უბრალო ანუ უდანაშაულო იქნებოდა, მისი მკვლელობის შემთხვევაში ორი სისხლის მიცემა უნდა დაკისრებოდა მკვლელს. თუ ეს დედკაცი მწირველი იყო, მაშინ მისი სისხლის ფასი უტოლდებოდა მონაზვნებისა და მღვდლების სისხლის საფასს. ვხვდებით ისეთი მაგალითის განმარტებასაც, როდესაც ქალი გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობის მსხვერპლი ხდება, ამ შემთხვევაში მისი სისხლის საფასი მისი გვარის წესის მიხედვით უნდა განსაზღვრულიყო.

25-ე მუხლის შინაარსი მიუთითებს იმაზე, რომ თუმცა ქალის მეომრად წასვლა არ არის კანონისმიერად დასჯადი ქმედება, ის ამგვარი ნაბიჯის გადადგმით არღვევს სოციუმში მიღებულ ქალობის ტრადიციულ გაგებას, რაც ხდება საფუძველი მისი გარიყვისა. მომდევნო სტრიქონში ადათ-წესების მორჩილი ქალის სისხლის საფასზე საუბრისას *უბრალოს*, ანუ უდანაშაულოს ტერმინით მსჯელობის გაძლიერების ფაქტიც ამაზე მიუთითებს. ამავე მუხლის ბოლო აბზაცშიც საგანგებოდ აღნიშნულია, რომ უაბჯრო ქალის მკვლელობა, რომლის შუამავალი იქნებოდა მონაზონი ან ხუცესი, ცხადია, აქ იგულისხმება მეომარ ქალთა ის კატეგორია, რომელიც საკუთარ *დანაშაულს* ინანიებს და იცვლის ცხოვრების წესს, ორკეცი სისხლის ფასით ისჯებოდა. კანონის ასეთი სახით ფორმულირება მონანიების შემდეგ სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამკაცრებაზე მითითების პარალელურად ემსახურებოდა არსებული სოციალური დისკურსის გაძლიერების მიზანსაც.

ბოლო თავი, სადაც ქალის შესახებაა მსჯელობა ეხება თავდამსხმელი/მოძალადის ქმედების განსჯას. 29-ე მუხლში ნათქვამია, რომ თუ თავს დაესხმებიან უდანაშაულო პირს და მას წაართმევენ ან მოუკლავენ ცოლს, ეს კაცი, ანუ დაზარალებული, სამაგიეროს გადახდის შემთხვევაში არ მიეცემა პასუხისგებაში და ის სამართლებრივადაც არ შეიძლება, რომ ბრალდებულად, ანუ თავდამსხმელად იქნეს ცნობილი. ეს მუხლი პრაქტიკულად იმეორებს ამავე სამართლის 22-ე მუხლის შინაარსს.

მიუხედავად იმისა, რომ *ძეგლისდებაში* ქალი ჯერ კიდევ სამართლის ობიექტია (შარაშიძე 2011: 97-98), თავისთავად ის ფაქტი, რომ სამართლებრივ

დოკუმენტში ქალის სპეციფიკური მდგომარეობის ასახვა მოხდა არსებული ვითარების ნორმირებასაც ნიშნავდა. ფაქტი, რომ ქალს, თუნდაც სოციუმში ადგილის დაკარგვის ხარჯზე, მაგრამ მაინც შეეძლო არსებული წესრიგის წინააღმდეგ წასვლა, მიუთითებდა მნიშვნელოვან ცვლილებაზე ამ თვალსაზრისით.

ისტორიული ფონის მიმოხილვამ აჩვენა, რომ მეთვრამეტე საუკუნე ქალობის გენდერული პერცეფციის თვალსაზრისით შეხვდა იმ ტიპის გამოცდილებით, რომლისთვისაც, ერთი მხრივ, დამახასიათებელი იყო ქალურობის რელიგიური/მორწმუნეობრივი მარკირება, თუმცა, მეორე მხრივ, აშკარა იყო ტენდენციაც ქალობის აღქმის სეკულარული ტრანსფორმაციისაკენ.

## § 5.2 ქალთა სამართლებრივი სტატუსი<sup>54</sup>

მეთვრამეტე საუკუნეში, ქალთა სამართლებრივი მდგომარეობის შეფასებისათვის უმნიშვნელოვანესი წყაროა ვახტანგ მეექვსის *სამართლის წიგნი*.<sup>55</sup> ეს ძეგლი, გარდა მისი ინფორმაციული და საისტორიო ღირებულებისა, მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ითვალისწინებს იმ ისტორიულ-კულტურული გარდაქმნების კონტექსტს, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში და, რომლისთვისაც, ადრინდელი პერიოდებისაგან განსხვავებით, დამახასიათებელი იყო ორიენტირებულობა დაბალ ფენებზე.

თუმცა აშკარაა თვისებრივი სხვაობაც ვახტანგის სამართლასა და არსებულ გამოცდილებას შორის, ის მუხლები, რომლებიც ეხება ქალთა უფლებრივ მდგომარეობას, მნიშვნელოვან ნათესაობას პოულობს სხვა უფრო ადრინდელი

<sup>54</sup> საქართველოში ქალისა და მამაკაცის შესახებ მსჯელობებს ვხვდებით ქართული სამართლის მეცნიერული შესწავლის კონტექსტში, მათ შორის, გამორჩეული ადგილი სამართლიანად უჭირავს ივანე ჯავახიშვილს (მეტრეველი 2004: 10-16; დამატებით იხ.: ჯავახიშვილი 1982b: 144-154); თუმცა უნდა ითქვას, რომ ადრეული შრომები, რომლებსაც ჩვენ ვიცნობთ და ვითვალისწინებთ კიდევ, ქალთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხებს ეხებოდნენ მხოლოდ ქართული სამართალწარმოების პროცესუალური განვითარების შესწავლის თვალსაზრისით და არ განიხილავდნენ გენდერულ ასპექტებს. ეს ბუნებრივიცაა, ჩვენ მიერ ნაგულისხმევ ავტორთა უმეტესობა მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის 70-იან წლებამდე პერიოდის მკვლევრები არიან, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო გენდერული კვლევები საქართველოში აქტუალური.

<sup>55</sup> ვახტანდ VI-ის (1675-1737) მიერ მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში შემუშავებული კანონთა კრებული, *სამართალი ვახტანგ მეექვსისა*, იმით არის საინტერესო, რომ ის პრაქტიკულად ითვალისწინებს ქართული საკანონმდებლო ცხოვრების მთლიან ისტორიულ გამოცდილებას (დოლიძე 1981: 6-11).

ქართული სამართლის ძეგლებთან, მათ შორის, ზემოთ განხილულ გიორგი ბრწყინვალის *ძეგლის დებასთანაც*. მაგალითად, 62-ე მუხლში საუბარია მეუღლის მიერ უდანაშაულო ცოლის მოკვდინებაზე, რისთვისაც სასჯელის ფორმის ერთ ნაწილს შეადგენს მატერიალური ზიანის ანაზღაურება, და მეორეა, სამართლებრივი იძულების ღონისძიება. ამავე მუხლში საუბარია იმაზე, რომ მოკლული ქალის ოჯახის წევრებს სიძისადმი ეჭვის არსებობის შემთხვევაში შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს (დოლიძე 1981).<sup>56</sup> მომდევნო 63-ე მუხლში საუბარია კაცის მიერ ცოლის დაჭრის ან დაშავების შემთხვევაზე. როგორც ჩანს, ამ დროს ქალს შეეძლო ქმრისათვის ეჩივლა და მოეთხოვა მისი პასუხისმგებლობაში მიცემა. ამავე მუხლში საგანგებოდ არის ხაზგასმული, რომ საყოფაცხოვრებო დავის ნიადაგზე, ისეთ შემთხვევაში, როგორც არის, მაგალითად, ცოლქმრული ღალატი, ჯვარდაწერილი მეუღლეების გაყრა არ შეიძლებოდა. 64-ე მუხლი ეხება ოჯახური ძალადობის საკითხს. ქმედება, როდესაც, კერძოდ, ქმარი ცოლს ტანჯავს ან ღირსების შემლახვად ეპყრობა, არის მკაცრად დასჯადი, თუმცა, როგორც ამავე მუხლიდან ჩანს, სხვა დავა იმავე ცოლ-ქმარს შორის განხილვებოდა ინდივიდუალურად და მას კათოლიკოსი წყვეტდა.

მომდევნო მუხლები ეხება ქალის მიერ ჩადენილ დანაშაულებს. 65-ე მუხლი განმარტავს ისეთ შემთხვევას, როდესაც ქალი კლავს ქმარს. თუმცა კონკრეტული სამართლებრივი ნორმა ინდივიდუალურ შემთხვევებში თუ როგორ უნდა გადაწყდეს ასეთი დავა, არ გვაქვს მოცემული და ის მთლიანად სასამართლოზე დამოკიდებული ჩანს. ფაქტი, რომ ქალის მიერ ქმრის მკვლელობის შემთხვევაში სავალდებულო იყო სიმართლის დადგენა და მკვლელობის მიზეზის გარკვევა, რაც შეიძლებოდა მისი გამართლებითაც დამთავრებულიყო, მიანიშნებს მისი უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. დასჯად ქმედებადაა მიჩნეული ქალის მიერ კაცის ცემა და მისთვის ფიზიკური ზიანის მიყენება. როგორც ვხედავთ, ზემოთ მოყვანილი მუხლები ქალისა და კაცის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს პრაქტიკულად თანაბრად აყენებს.

---

<sup>56</sup> აქაც და ქვემოთაც მუხლებს ვახტანგ მეექვსის სამართლიდან ვიმოწმებთ მითითებული გამოცემიდან.



66-ე მუხლში განმარტებულია, რომ ცოლ-ქმრის გაყრა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათ ერთმანეთი სძულთ, არ არის სასურველი და კათოლიკოსი უპირველესად უნდა ეცადოს მათ შერიგებას. 67-ე მუხლი ეხება ქალის მხრიდან ღალატის შემთხვევების განხილვას. ამ მუხლიდან ჩანს, რომ თუ ქმარი ცოლს აპატიებდა ღალატს, არავის ჰქონდა უფლება ქალისათვის მოეთხოვა პასუხი. ეს მუხლი იმითაც არის საინტერესო, რომ როგორც მისი ფორმულირებიდან ჩანს, გარდა იურიდიული რეგულაციისა, ცოლის ღალატის შემთხვევაში, კანონი ქალის საზოგადოების/სოფლის<sup>57</sup> (განსხვავებით *ძველისდებისაგან*, სადაც *სოფლის* ანუ საზოგადოების აზრი გადამწყვეტია) მხრიდან განუსჯელობასაც გულისხმობდა. იმავე მუხლში წარმოდგენილია ისეთი შემთხვევაც, როდესაც ცოლის მიერ ქმრის ღალატი გაყრით მთავრდება. ამ დროს იმ შემთხვევაში, თუ ცოლს ჰყავდა შვილი, რომელიც კანონიერი მეუღლის არ იყო, ქმარი ვალდებული იყო შვილთან ერთად ქალისათვის სრულად გაეტანებინა მისი მზითევი. მაგრამ თუ ამ ქალს კანონიერ ქორწინებაში ყოფნის დროს მეუღლისაგან შეეძინებოდა შვილი, მას მისი შვილიც და მზითევის ნაწილიც, რაც მისი შვილის სამემკვიდრეო იყო, უნდა დაეტოვებინა ყოფილი ქმრის ოჯახში. მზითვის იმ ნაწილის მოთხოვნის უფლება, რომელიც ქალს ქორწინებაში ყოფნის პერიოდში ექნებოდა დახარჯული, ქმარსა და შვილებს არ ჰქონდათ.

მომდევნო 68-ე მუხლი ეხება მოღალატე ქალისა და მისი პარტნიორის ურთიერთობის საკითხს. თუ კაცი, რომლისაგანაც ამ ქალს შეეძინებოდა ბავშვი, შეირთავდა მას კანონიერ ცოლად, აღარ დაეკისრებოდა სახდელი ქალის ოჯახის მიმართ, მხოლოდ ქალის ყოფილი ქმრისათვის მოუწევდა სისხლის მიცემა. თუ ქალის ახალი პარტნიორი უარს იტყოდა მის ცოლად მოყვანაზე, მაშინ მას, როგორც ქალის ყოფილი ქმრისათვის, ისევე ქალისათვის უნდა მიეცა სისხლი. ქალს იმ შემთხვევაშიც უნარჩუნდებოდა მზითევი, თუ მას ღალატის შემდეგ არც მისი პარტნიორი შეირთავდა ცოლად და არც შვილი ეყოლებოდა ყოფილ ქმართან.

69-ე მუხლი ეხება *მაჰანკლობის* საკითხს. კანონიდან ჩანს, რომ აღნიშნული ქმედება დასჯადია და ფულად ჯარიმასთან ერთად ითვალისწინებდა ფიზიკურ

---

<sup>57</sup> სოფელი ძველ ქართულში ნიშნავდა ქვეყანას, ხალხს.

სასჯელსაც. 69-ე მუხლის შინაარსი და მისი ამ კანონის კონკრეტულად ამ ნაწილში ჩართვა გვაფიქრებინებს, რომ ის ეხება მხოლოდ კანონიერ ქორწინებაში მყოფ ოჯახებში მაჭანკლობის საკითხს. ამას ადასტურებს მომდევნო 70-ე მუხლი, სადაც ისეთი შემთხვევაა აღწერილი, როდესაც კაცი გათხოვილ ქალს ეარშიყება. ეს მუხლი საინტერესოა იმიტომაც, რომ განიხილავს სპეციფიკურ მაგალითს, კერძოდ თუ არშიყობაზე ქალი იტყოდა უარს, იმ შემთხვევაშიც, კი როდესაც მას გარკვეული სიმპათიები ექნებოდა მოარშიყე კაცისადმი და თუნდაც ყოველივე ეს მისი ქმრისა და მშობლებისათვის ცნობილი გამხდარიყო, მას სასჯელი ვერ დაედებოდა.<sup>58</sup> პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრებოდა მაჭანკალს, რომელიც ამ საქმეში იშუამავლებდა და სახდელიც ისეთი დაეკისრებოდა, როგორც ღალატის შემთხვევაში. 71-ე მუხლი ეხება კაცის მიერ სხვა კაცის ცოლისადმი გაარშიყების შემთხვევას. ნებისმიერ შემთხვევაში, ექნებოდა თუ არა ამ კაცს ქორწინებაში მყოფ ქალთან სქესობრივი კონტაქტი, მოუწევდა სრული სისხლის საფასის გადახდა ქალის ქმრისათვის. თუ დაამტკიცებდა, რომ მხოლოდ ეარშიყა და სხვა ურთიერთობა არ ჰქონია მაშინ ღალატისათვის განკუთვნილი სისხლის საფასის ნახევარი უნდა გადაეხადა. მიუხედავად იმისა, რომ 67-ე, 71-ე მუხლები წარმოადგენენ ქალისა და მამაკაცის პირადი ცხოვრების შემზღვევად ნორმებს, ის ფაქტი, რომ, მაგალითად, ქმრისაგან ცოლის მიტოვება ისევე, როგორც, პირიქით, ხდებოდა ქონებრივი დავის წარმოშობის საფუძველი, მიანიშნებს სამართალში ბუნებითი (თანასწორებრივი) გაგების წარმოშობაზე.

72-ე და 73-ე მუხლები არეგულირებენ კაცისაგან ქალის უმიზეზოდ მიტოვების საკითხებს. ამ დროს კაცი ვალდებული იყო ქალისათვის სრულიად დაებრუნებინა მისი მზითვევი და თუ ქალი ქმარზე უფრო მაღალი სოციალური წრის წარმომადგენელიც იქნებოდა მაშინ კაცი ვალდებული იყო, ქალისათვის მისი გვარის საფასი სისხლიც მიეცა. მომდევნო 74-ე მუხლი განიხილავს ისეთ შემთხვევას, როდესაც ქალი ტოვებს უმიზეზოდ მამაკაცს. ასეთ დროს მასაც, კაცის მსგავსად, ეკისრება სახდელი მეუღლის სოციალური კუთვნილების შესაფერისად. თუ ქალის

---

<sup>58</sup> თავისთავად ის ფაქტი, რომ არშიყზე ქალის საპასუხო რეაქციის მიუხედავად, სქესობრივი კავშირის არქონის შემთხვევაშიც, სახდელი მაინც მოარშიყე კაცს ეკისრებოდა, მიუთითებს იმას, რომ კვლავ ძლიერია ადათობრივი ტრადიციების გავლენა სამართალზე.

გაშორება კაცთან მოხდებოდა მისი მშობლების გამოისობით/მოთხოვნით, მაშინ სახდელი მათ ეკისრებოდათ, თუ არა, მაშინ, ქალს თავად უნდა გადაეხადა და მის მშობლებს არაფერი მოეთხოვებოდათ.

ვახტანგის *სამართლის წიგნის* 77-ე მუხლი, მსგავსად *ძეგლისდების* 24-ე მუხლისა, განიხილავს ისეთ შემთხვევას, როდესაც დანიშნული ქალის გათხოვება სხვაზე, ან სხვის მიერ მოტაცება მოხდებოდა. ასეთ დროს, როგორც ჩანს, კანონი ითვალისწინებდა პირობამიცემული კაცისათვის გარკვეული საფასის გადახდას.

როგორც ზემოთაც დავინახეთ, გარკვეულ შემთხვევებში კანონი არ იძლევა კონკრეტული სასჯელის შესახებ განმარტებას და უშვებს მოსამართლის/მსაჯულების მიერ ინდივიდუალური გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. ეს ძირითადად ეხება სოყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულებს. 82-ე მუხლი სწორედ ასეთ შემთხვევას, დის მიერ ძმის, ან, პირიქით, მკვლელობის საკითხს შეეხება. *ვახტანგის სამართლის* მომდევნო მუხლებიც ამჟღავნებს ნათესაობას *ძეგლისდებისათან*. მაგალითად: 84-ე და 85-ე მუხლები. 84-ე მუხლში საუბარია ისეთ შემთხვევაზე, როდესაც კაცი ცოლს წაართმევს მეორე კაცს, თუმცა გათვალისწინებულია ისეთი გარემოებაც, როდესაც ქალი თავისი ნებით მიჰყვება ამ კაცს. სახდელი ასეთ შემთხვევაში გამოიყვანებოდა ამ კაცის გვარის შესაბამისად. აქვე ჩანს ისიც, რომ მზითევის წაღების შემთხვევაში ქმარყოფილს რაიმე პრეტენზიის წაყენების უფლება არ ჰქონდა. იმ მოძრავ ქონებაზე, რომელიც პირველ ქმართან ყოფნის დროს იქნა ათვისებული, თუნდაც ის ქალის მზითევის ნაწილი ყოფილიყო, მაშინაც კი, როდესაც ამ ქალს თავის ყოფილ ქმართან საერთო შვილიც არ ჰყავდა, რომლის სამემკვიდრეო შეიძლება გამხდარიყო აღნიშნული ქონება, ქალს პრეტენზია ვერ ექნებოდა. რაც შეეხება უძრავ ქონებას, კერძოდ მამულს, მას ქმარყოფილი ფლობდა, სანამ სრულად არ გადაუხდიდნენ სისხლის საფასს, მხოლოდ ამის შემდეგ უბრუნდებოდა ის ქალის ოჯახს, კერძოდ, მის დას. 85-ე მუხლი განიხილავს ისეთ შემთხვევას, როდესაც ხდება ქალის მოტაცება ძალის გამოყენებით. ამ დროს ქმარყოფილის სასარგებლოდ გამტაცებელს ეკისრებოდა ფულადი ჯარიმა როგორც ქალის გატაცებისათვის, ასევე თავდასხმის გამო.

86-ე და 87-ე მუხლები ეხება ცოლქმრული ურთიერთობების საკითხს. 86-ე მუხლში საუბარია ისეთ შემთხვევაზე, როდესაც კაცი სხვა კაცის ცოლთან დაიქერდა საქმეს. საინტერესოა ის, რომ ვახტანგის სამართალი აწესებს სახდელის ორ ფორმას: იმ შემთხვევაში, თუ ქმარი გადაწყვეტს ამ ქალთან ცოლ-ქმრული ურთიერთობის შენარჩუნებას, დამნაშავეს ეკისრება მხოლოდ ნახევარი სისხლის მიცემა, ხოლო, თუ ქმარი უარს იტყვოდა ცოლზე, დამნაშავეს ეკისრებოდა სრული სისხლის გადახდა. 87-ე მუხლი განიხილავს ისეთ შემთხვევასაც, როდესაც ცოლი წაასწრებს ქმარს სხვა ქალთან. ამ მუხლში საინტერესოა ის ფაქტი, რომ ასეთ დროს, თუ ცოლი ქალის ქმარს გააგებინებდა მისი ღალატის ამბავს და თუ ქმარი მოღალატე ცოლს გააგდებდა ამის გამო, სახდელი მის ქმარს ეკისრებოდა (მართალია, კანონის მიხედვით ნებისმიერ შემთხვევაში ეკისრებოდა სხვის ცოლთან ურთიერთობის გამო კაცს სახდელი, მოღალატე მამაკაცის ცოლის მიერ ამბის გავრცელების შემთხვევაში სასჯელის არსებობა, ადათობრივ/ქრისტიანული სამართლის გავლენაზე მიუთითებს, რომლისთვისაც ოჯახის ერთიანობის შენარჩუნება უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო), მაგრამ თუ კაცი აპატიებდა საკუთარ ცოლს ღალატს და შეინარჩუნებდა მას, მომავალში ამ ღალატის შეხსენების, ან მის ნიადაგზე წარმოშობილი ცოლქმრული დავა ქალის სასარგებლოდ უნდა გადაწყვეტილიყო.

ვახტანგის კანონთა კრებულის 96-ე და 97-ე მუხლები ეხებიან ტყვეთა სყიდვის საკითხებს და წარმოადგენენ იმ მძიმე სოციალური ფონის გამოძახილს, რაც მე-18 საუკუნის დასაწყისში იყო საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებში. 96-ე მუხლში საუბარია კაცისათვის ცოლის წართმევისა და გაყიდვის საკითხებზე. ამ შემთხვევაში კანონი ითვალისწინებდა გამტაცებლის მიერ სამი სისხლის საფასის მიცემას დაზარალებულისათვის. მომდევნო მუხლში საუბარია იმავე გარემოებებში კაცისათვის შვილის, როგორც ქალის ისევე ვაჟის გაყიდვის თაობაზე. ამ მუხლში ხაზგასმულია ტყვეთა გამოხსნის ვალდებულების შესახებაც.

110-ე მუხლი ეხება უკანონო შვილების სამართლებრივი და მემკვიდრეობითი უფლებების განსაზღვრას. როგორც ჩანს, თუ უკანონო შვილი იყო ქალი, მისი ძმები ვალდებული იყვნენ, ის გაეთხოვებინათ მისი მდგომარეობის შესაფერისად. თუმცა ქალის, ისევე, როგორც კაცის შემთხვევაში, უკანონო შვილს

კანონიერი შვილებისაგან განსხვავებით შეიძლება ჰქონოდა მხოლოდ ყმის (ვასალური დამოკიდებულების მქონე პირი) სტატუსი.

მომდევნო მუხლი, რომელშიც ქალი ჩანს, არის 131-ე. აქ საუბარია მევალისათვის ვალის დაბრუნების საკითხზე, სადაც ქალი, ქმრის უფლებამონაცვლე პირადაა დასახელებული. 145-ე და 146-ე მუხლებშიც ქალი კაცის უფლებამონაცვლე პირადაა დასახელებული. 145-ე მუხლში საუბარია ისეთ შემთხვევაზე, როდესაც კაცს გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრე ქალი რჩება. ქალი მამის ქონების მიღებასთან ერთად მის ვალებსაც იბარებს. საგანგებოდ არის დაზუსტებული ისეთი შემთხვევა, როდესაც ქალი მამის გარდაცვალებამდე თხოვდება, ასეთ დროს მოდავე მხარეს (იგულისხმება სიცოცხლეში მამის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულები), მიღებული მზითევი არ შეიძლება ქონებრივი ან სავალო დავის საგნად გაეხადოს. 146-ე მუხლში განმარტებულია, რომ გარდაცვლილი კაცის ვალი დედისა და დის ქონებიდან ვერ დაიფარებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგის სამართალი ადრეული ძეგლებისაგან განსხვავდება და მასთან ქალი სამართლის სუბიექტადაა ქცეული, ბოლომდე მაინც არ ჩანს დაძლეული სჯულებითი/ადათური ნორმების გავლენა. ამ თვალსაზრისით ვითარება მნიშვნელოვნად უმჯობესდება ერეკლე მეორის მმართველობის პერიოდში.

როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, ერეკლე მეორის (1720-1798) დროს ვახტანგ მეექვსის დაწყებული კულტურული მოძრაობა ახალ საფეხურზე ავიდა. სახელმწიფო სკოლების ფორმირება და განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესი წინაპირობა იყო ერთიანი ქართული ცნობიერებისა და ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებისათვის. ერეკლეს მიერ შემოღებული საკანონმდებლო რეგულაციები იმ ინტელექტუალური პროცესის გაგრძელება იყო, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, უმთავრეს მიზნად ქართული ერთობის ეთნო-კულტურული ღირებულებების გარშემო მობილიზებას ისახავდა, და, რომლის ცენტრშიც *ეთნოსის* და მისი წევრების, მათ შორის, განსაკუთრებით დაბალი ფენების წარმომადგენელთა ჰომოგენიზება იყო.

მეოთხე თავში უკვე აღვნიშნეთ ერეკლე მეორის ცალკეული სოციალური და სამართლებრივი აქტივობების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა არა მხოლოდ

ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას, არამედ მიმართული იყო გლეხთა უფლებრივი და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, ასევე ვაჭრობისა და საქალაქო ცხოვრების განვითარებისაკენ (აკოფაშვილი 1963ა: 115-139), როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული ერეკლე ქართული სამართლის რეფორმის კუთხითაც აქტიურად მუშაობდა და საკუთარი კანონშემოქმედებითი საქმიანობისას ის სხვადასხვა სამართლებრივ გამოცდილებებს ეყრდნობოდა, მათ შორის არაქართულსაც (როგავა 1959ბ: 37-40). ერეკლეს კანონშემოქმედებითი საქმიანობის პროგრესულობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ის პირველად საქართველოს ისტორიაში დედოფალთან ინაწილებს მოსამართლის ფუნქციას. დედოფალი ერეკლეს დროს ხდება რანგით მეორე მოსამართლე. მოსამართლის ფუნქციებით აღჭურვილი ჩანან ამ დროს სამეფო ოჯახის სხვა წევრებიც (მეტრეველი 2004: 400-401; სურგულაძე 1947: 237; კეკელია 1970: 121-126).

მეთვრამეტე საუკუნეში ქალთა სამართლებრივი მდგომარეობის გასაანალიზებლად უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს იოანე ბატონიშვილის რეფორმების პროექტი *სჯულდება* (1799) და დავით ბატონიშვილის სამართლის კრებული *სამართალი ბატონიშვილის დავითისა* (1800).<sup>59</sup> დისერტაციის წინათავებში, სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში იოანე ბატონიშვილის *სჯულდების* მნიშვნელობის შესახებ უკვე აღვნიშნეთ. გარდა ამისა, *სჯულდება* საინტერესო წყაროა ქალთა სამართლებრივი მდგომარეობის გასაშუქებლადაც. შეიძლება ითქვას, რომ ის დავით ბატონიშვილის სამართალთან ერთად, მეთვრამეტე საუკუნეში განვითარებული ინტელექტუალური პროცესის ერთგვარი შემაჯამებელი დოკუმენტია, რომელიც აჩვენებს ქართული ერთობის ინტელექტუალურ მზაობას ეთნო-ნაციონალისტური მოძრაობის თვისებრივად ახალ, პოლიტიკურ და სამოქალაქო დონეზე გადასვლისათვის. იოანე ბატონიშვილი თავისი პროექტის ერთ-ერთი თავის *მოხელეთათვის* 69-ე მუხლში საუბრობს ქვრივ-ობოლთა დახმარებისა და არასაქორწილო კავშირის შედეგად დაორსულებული ქალებისათვის სპეციალური ხელშეწყობის თაობაზე, მათ შორის ნაყოფის შენარჩუნებისათვის. 85-ე მუხლში იოანე

---

<sup>59</sup> მიუხედავად იმისა, რომ ვერც ერთ მათგანში აღწერილი სამართლებრივი რეგულაციები რეალობაში გატარებული ვერ იქნა, მათი როგორც წყაროების მნიშვნელობა მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს არსებული სურათის აღსაწერად განუზომლად დიდია.

ბატონიშვილი განიხილავს ღალატის ნიადაგზე ჩადენილ მკვლევლობას და მასზე დაკისრებულ სასჯელს (ბაგრატიონი 1957). მართალია ამ ნაწილში ის მთლიანად იზიარებს და საგრებლოს ვახტანგის სამართლის მიერ დადგენილი ნორმებით, ვახტანგისაგან განსხვავებით მისი მოტივაცია, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარეობდა და არა ადათობრივი შეზღუდვებიდან.

რაც შეეხება დავით ბატონიშვილის სამართალს. შეიძლება ითქვას, რომ მისი კრებული, გარდა იმისა, რომ წარმოადგენს ქართული სამართლის კოდიფიკაციის პროექტს, ის ასახავს მეთვრამეტე საუკუნის ქართული კულტურული ელიტის ზოგად მსოფლმხედველობრივ პრინციპებს და აჩვენებს მათ მონათესაობას განმანათლებლურ იდეებთან (როგავა 1959ა: 166.). ამ ტექსტის გამომცემელი დ. ფურცელაძე თავის გამოკვლევაში სავსებით სამართლიანად მიუთითებს, რომ დავითის სამართალი თავისი შინაარსით უფრო ბუნებითი სამართალთან დგას ახლოს, ვიდრე სჯულისმცემ/ადათობრივთან (ფურცელაძე 1964: 7).

მსგავსად ერეკლეს კანონებისა, *დავითის სამართალს*, ტრადიციული ქართული სამართლისაგან განასხვავებს მთელი რიგი თავისებურებებისა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი იზიარებენ ქართულ სამართლებრივ სივრცეში ადაპტირებულ საკანონმდებლო ტრადიციებს, დაბალ სოციალურ ფენებზე ორიენტირებულობა მათ კანონშემოქმედებით საქმიანობას აქცევდა საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო მოძრაობის ზოგად დისკურსში. საზოგადოებაზე ორიენტირება ჩანს დავითის მიერ სამართლებრივი განსჯის მნიშვნელობის განმარტებიდანაც: „ვინაითგან დამდები სირცხვილისა ქვეშე საზოგადოებისა, უმჯობეს არს დადებად“ (ბაგრატიონი 1964: 32-33).

დავითი თავის სამართლის კრებულში ტრადიციულ სამართლებრივ რეგულაციებს ახალი სამართლებრივი ნორმების შესაბამისად ასწორებს. მაგალითად, მართალია, მზითევთან დაკავშირებით ქართულ საკანონმდებლო ძეგლებში ადრეც გარანტირებულს ვხედავთ ქალის საკუთრების უფლებას, თუმცა დავითთან ამ ნაწილში კანონის გაცილებით დეტალური განმარტება და დაზუსტებები კონკრეტული შემთხვევებისათვის მას უფრო ქმედუნარიანს ხდის. 64-ე მუხლში ქალის მზითვის შესახებ დავითი აღნიშნავს, რომ მასზე არანაირი უფლება არა აქვს

ქალის ქმარს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცოლი თავად აძლევს მას მზითვის განკარგვის უფლებას (ბაგრატიონი 1964). როგორც სტატიის მომდევნო ნაწილში ცოლ-ქმარს შორის არსებული ქონებრივი დავებიდან დავინახავთ, ამ უფლებით ქალები მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში რეალურად სარგებლობდნენ. ამავე მუხლიდან ჩანს, რომ ქმარი ვალდებული იყო, სრულიად დაებრუნებინა ცოლისათვის მოძრავი და უძრავი ქონება, მათ შორის, ქონების ის ნაწილი, რომელიც ქალის მზითვის გამოყენებით იქნა შეძენილი. დაკონკრეტებულია ისეთი შემთხვევაც, როდესაც ქალი ქმარს უანდერძებს თავის მზითვეს. საინტერესოა ისიც, რომ თუ სხვა უფრო ადრინდელ შემთხვევებში გაყრის მიზეზად ყოველთვის დალატი იყო მიჩნეული და ამ დროსაც კი უმჯობესად მიიჩნეოდა ცოლ-ქმრის განქორწინების გარეშე მორიგება, დავითთან განშორების მიზეზის განმარტებასთან დაკავშირებით ნათქვამია „თავისუფლად ცხოვრებისათვის და ანუ სხვითა რაითამე მიზეზთა“ (ბაგრატიონი 1964: 40-41).

მეთვრამეტე საუკუნეში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში შექმნილმა სამართლებრივმა გარემომ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქალთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

### § 5.3 ქალთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

მეთვრამეტე საუკუნეში ქალთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან ეკონომიკური შინაარსის შემცველი საბუთები და სასამართლო განჩინებანი.

მზითვეი ადრეული პერიოდიდანვე ჩამოყალიბდა საცოლქმრო საკუთრების პირობადადებულ ფორმად და შედიოდა დედულის/დედის მხრიდან მიღებული მემკვიდრეობის შემადგენლობაში. როგორც აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერს, ის ორი სახისა არსებობდა და მოძრავ ქონებასთან ერთად შედგებოდა უძრავი ქონებისაგანაც (ჯავახიშვილი 1984: 271-272).



მეთვრამეტე საუკუნეში ქალისათვის მზითევი<sup>60</sup> გახდა არა მხოლოდ მისი სამემკვიდრეო ქონება, არამედ ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარანტი. მას შეეძლო საკუთარი სურვილის შესაბამისად ეწარმოებინა მისთვის საინტერესო და ეკონომიკურად მომგებიანი ოპერაციები. მეთვრამეტე საუკუნის დასასრულის (#232), 1808 (#279), 1813 (#286), 1815 (#295), 1822 (#311) წლებით დათარიღებული სხვადასხვა პირების მზითვის წიგნებიდან ვიტყობთ, რომ ქალს, ძვირფასეულობისათან ერთად ატანდნენ საოჯახო და პირადი მოხმარების საგნებსაც (ბოლო სამი საბუთი შედგენილია სოციალური კიბის ქვედა საფეხურების წარმომადგენელთა სახელზე). ლეონ ბატონშვილის მიერ 1779 წელს გაცემული საბუთიდან ჩანს, რომ არსებობდა საქორწილო შემონაწევის/საჩუქრის ტრადიციაც (ბერძენიშვილი 1955: 225-226, 339-340, 405-412, 416-418, 437-438, 471-473, 546).

ქალთა ეკონომიკური დავები ცხადყოფს, რომ მეთვრამეტე საუკუნეში მათ არა მხოლოდ გააჩნდათ პირადი საკუთრება, არამედ შეეძლოთ ეწარმოებინათ დამოუკიდებელი სასამართლო დავები და ეკონომიკურად მომგებიანი ოპერაციები, საკუთარი ქონებრივი და ფინანსური ინეტრესების დასაცავად. 1736 (#63) წელს გაცემული საბუთი ეხება სამეფო ოჯახის წევრებს შორის წარმოშობილ ქონებრივ დავას (ბურჯანაძე 1959: 63-64). 1771 (#16) წლის 27 მარტით დათარიღებული განჩინება ცხადყოფს, რომ ვინმე ოსეფას შვილი ნათელა უჩივის საკუთარ ძმას. როგორც ირკვევა, ნათელას მზითევიში მიღებული დუქანი ფინანსური პრობლემების გამო გაუსხვისებია, მის ძმას კი მოგვიანებით გამოუსყიდია მამისეული დუქანი. ძმის გარდაცვალების შემდეგ კი ნათელას ქონებაზე პრეტენზია განუცხადებია. მიუხედავად მოწმეთა ჩვენებებისა, სასამართლო ქონების ნაწილს, ვინაიდან ის მოდავე მხარის სამზითვოს წარმოადგენდა, ნათელას აკუთვნებს. მომდევნო დავაში (1779 #52) მოქალაქედ მოხსენიებული ვინმე შაქრუას ქვრივი ჩივის, რომ ქმრის გარდაცვალების შემდეგ მეზობელმა მისი ქონების მითვისება დაიწყო. განჩინებიდან

---

<sup>60</sup> ისტორიული წყაროებიდან ვიტყობთ, რომ საქართველოში, მემკვიდრეობით სამართალში ადრე შუასაუკუნეებიდანვე გამოიკვეთა ქალის სტატუსი. მეცხრე საუკუნიდან მოყოლებული მზითვის ინსტიტუტი საკმაოდ განვითარებული სახით არსებობდა. ჩანს, რომ უკვე ქალი ნივთი კი არ არის, არამედ პიროვნებაა (ნადარეიშვილი 1996: 35). ქალის მემკვიდრეობითი უფლებების შესახებ საინტერესო ცნობაა დაცული X საუკუნის ჰაგიოგრაფიულ ტექსტში *სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება*, ტექსტის მიხედვით, მთავარი გიორგი საკუთარ დას, თევლას, მემკვიდრეობით უტოვებს მთელ ქონებას (ზარზმელი 1987: 669).

ჩანს, რომ მეფე ერეკლეს დავა ქვრივის სასარგებლოდ გადაუწყვეტია. 1781 (#83) წლის 28 თებერვლის იეზანთ სტეფანეს ქვრივ-ობლის ბალის საქმის განჩინებიდან ვიტყობთ, რომ ვინმე გალუას სტეფანესათვის თავის დროზე მიუყიდია მიწის ნაკვეთის ნაწილი, როგორც ჩანს, ამავე გალუას მოგვიანებით დარჩენილი ნაწილიც გაუსხვისებია, თუმცა გასხვისების საბუთში ნაკვეთის ზომების არასწორად მითითების გამო სტეფანეს ქვრივის მიწის ნაკვეთი სადავო გამხდარა. სასამართლოს მოწმეთა გამოკითხვის შემდეგ დავა ქვრივის სასარგებლოდ გადაუწყვეტია. 1782 (#106) წლის ქონებრივი დავაც ვინმე ოქრომჭედლიშვილის ქვრივის სასარგებლოდ გადაწყვეტილა. საგულისხმოა ისიც, რომ ამ საქმისათვის მსველელობა დარეჯან დედოფალს მიუცია. მომდევნო საბუთი, რომელსაც გვინდა შევხებით (1785 #183), არის ქალებს შორის წარმოებული ქონებრივი დავის საქმე. აქ ჩვენთვის საინტერესო დეტალია ის, რომ მოდავე მხარეებს ჰყავთ ქმრები, თუმცა, მიუხედავად ამისა, სასამართლოში მოპასუხე მხარეებად ცოლები გამოდიან. 1788 (#237) წლის 28 თებერვლის განჩინებიდან ვიტყობთ, რომ ვინმე ტერ-ოსეფას ქვრივი მარიამი უჩივის თავის მაზლს სახლის თაობაზე. განჩინებიდან ირკვევა, რომ ტერ-მიკირტიჩას ძმის ცოლის სასარგებლოდ საბოლოოდ უარი უთქვამს ქონებაზე (დოლიძე 1977: 29-30, 86-87, 139-142, 179-180, 298-300, 404-406). როგორც ზემოთ მოყვანილი საბუთები აჩვენებს, მოდავე მხარეები არ განეკუთვნებიან მხოლოდ მმართველ წრეებს, ისინი წარმოადგენენ ხელოსნების, სამღვდელოების დაბალი იერარქიისა და მოქალაქეთა ფენას.

1802 (#264) წელს აბაშიძის ქვრივის საჩივრიდან ჩანს, რომ ქვრივი ქალი სასამართლოს გზით ცდილობს საკუთარ მაზლებთან ფინანსური დავის გადაწყვეტას, 1807 (#274) წლის 1 ივნისით დათარიღებული სასამართლო განაჩენიდან კი ვიტყობთ, რომ ვინმე ავეტიქას შვილს, ოსეფას, საკუთარი დედინაცვალი ედავება ქონებას. ეს განაჩენი იმით არის საინტერესო, რომ ხდება ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის დადგენა. ჩანს, რომ სადავო ქონება დედინაცვლის მზითვევის, მისი პირველი ქმრის სამემკვიდრეოსა და ოსეფას დედისა და მამისაგან მიღებული მემკვიდრეობისაგან შედგებოდა (ბერძენიშვილი 1955: 370-372, 392-393). 1794 (#168) წლის 22 ივნისით დათარიღებული საბუთი გადმოგვცემს ცოლ-ქმარს შორის

არსებულ ქონებრივ დავას. როგორც საბუთიდან ჩანს, ქმარი იძულებული გამხდარა ცოლისათვის აენაზღაურებინა მისი მზითევიდან გახარჯული თანხა. 1800 (#199) წლის 11 იანვრით დათარიღებული საბუთის ავტორები ქართლ-კახეთის მეფეს, გიორგი მეთორმეტეს (1798-1800), სთხოვენ თამასუქის დამადასტურებელი საბუთის დაკარგვის გამო წარმოშობილი დავის სასამართლო წარმოებაში მიღებას (ბერძენიშვილი 1955: 111).

იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ქალები საკუთარ უფლებებს იცავენ სასამართლოს გზით, ვხვდებით ისეთ მაგალითებსაც, როდესაც სამეფო ოჯახის წევრი ქალები არიან ამა თუ იმ სამართლებრივი ქმედების ინიციატორები და წარმოადგენენ მოდავე მხარეთა მსაჯულებს. მაგალითად, 1740 (#87) წლით დათარიღებული საბუთიდან ვიტყობთ, რომ ერთ-ერთ ქართველ ფეოდალს ქაიხოსრო წერეთელს, დედოფალი თამარი უბოძებს ხელშეუხებლობის გარანტიას (ბურჯანაძე 1959: 81). 1789 (#64) წლის 30 იანვრის საჩივრიდან ჩანს, რომ დედოფალს სთხოვენ მოსარჩელესა და უფლისწულებს შორის არსებული საგადასახადო დავის გადაწყვეტას. 1790 (#65) წლის 14 მარტის საპასუხო წერილში დედოფალი საგადასახადო დავის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას აცნობს მოსარჩელე მხარეს, 1799 (#196) წლის 26 თებერვლით დათარიღებული საბუთიდან ირკვევა, რომ სახელმწიფო მოხელეს დედოფალი ავალებს საფარემოს აღწერას (ბერძენიშვილი 1955: 83-84, 84).

ქალთა ეკონომიკური აქტივობების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან თამასუქისა და ყიდვა-გაყიდვის საბუთები. 1736 (#61) წლის 25 აგვისტოთი დათარიღებული ნასყიდობის წიგნი ეხება ლევან აბაშიძის მიერ ანუკა ბატონიშვილისათვის მიწის მიყიდვის ფაქტს (ბურჯანაძე 1959: 62). 1731 (#29) წლის 1 ივლისის თამასუქის წიგნიდან ფულის გამსესხებლად ჩანს ქალი, რომელსაც ამ ფინანსური ოპერაციის სანაცვლოდ ყოველთვიური სარგებელიც უნდა მიეღო პროცენტის სახით. როგორც საბუთებიდან ვიტყობთ, ფინანსური გარიგებები ყოველთვის მშვიდობიანად არ მთავრდებოდა და გამსესხებელსა თუ მსესხებელს საკუთარი უფლებების დაცვა უწევდათ სასამართლოს გზით. 1756 (#60) წლის 7 ივნისით დათარიღებული განაჩენი სწორედ ასეთ შემთხვევას ასახავს. ხორაზმ

ბატონიშვილის ასული ელენე ფინანსური გარიგების პირობის გატეხისათვის უჩივის ჯავახიშვილებს, როგორც ჩანს, მევახშეობა ფინანსური თვალსაზრისით მიმზიდველი იყო მაღალი წრის წარმომადგენლებისათვისაც. ზოგად ქალთა და, მათ შორის, დაფალი ფენის წარმომადგენლთა დაინტერესებას სამევახშეო საქმიანობით სხვა საბუთებიც მოწმობენ, კერძოდ: 1782 (#83); 1784 (#93); 1761 (#67) წლის საბუთიც ქალის მიერ ფულის პროცენტის სარგებლით გავალების შემთხვევას ეხება. 1785 (#104) წლის საბუთშიც ფულის გამსესხებლად დასახელებულია ვინმე მეზადის ცოლი; 1794 (#164) წლის გირავნობის საბუთიდან ჩანს, რომ მიღებული იყო ძვრიფასი ლითონის დაგირავების პრაქტიკაც (ბერძენიშვილი 1944: 25, 39-40; იქვე., გვ. 54, 60, 68, 209).

ქალის საკუთრების უფლების განმტკიცებაზე მიუთითებს მეთვრამეტე საუკუნის ზოგიერთი საბუთი. 1799 (#194) წლის 4 თებერვლით დათარიღებული ანდერძიდან ჩანს, რომ ქალი საკუთარ ქონებას სამემკვიდრეოდ გასცემს არა მიღებული წესის მიხედვით, არამედ საკუთარი სურვილის შესაბამისად. ერთგვარი გენდერული სოლიდარობის აქტად შეიძლება ჩაითვალოს, ის ფაქტი, რომ ანდერძში მოხსენიებული არიან როგორც დაბალი, ისე მაღალი სოციალური ფენის მხოლოდ ქალი მემკვიდრეები (ბერძენიშვილი 1955: 287-288), მაშინ, როცა როგორც საბუთიდან ვიგებთ, ქალს ჰყავდა კაცი მემკვიდრეებიც.

წარმოდგენილი მასალები მხოლოდ ნაწილია იმ დოკუმენტებისა, რომლებიც ქალთა აქტივობებს ასახავენ მეთვრამეტე საუკუნეში, თუმცა ვფიქრობთ, რომ საკმარისია გარკვეული კანონზომიერების საჩვენებლად. ფაქტია, რომ საკანონმდებლო ძეგლებში არსებული ნორმები რეალურად მოქმედებდა. განხილული მასალები, ცხადად მიუთითებენ ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ქალთა ეკონომიკური აქტივობის გათვალისწინებით, რაც ძირითადად მევახშურ ურთიერთობებში ჩართულობით გამოიხატებოდა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს იმ ფაქტის შესახებაც, რომ საქართველოში არსებული ქრისტიანული და ადათობრივ-სამართლებრივი ტრადიცია, რომელიც მევახშეობას კაცისათვის მიუღებელ და შეუფერებელ საქმედ მიიჩნევდა (დოლიძე 1957: 119), ხელს უწყობდა ამ სფეროს გენდერიზებასა და ახალი გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბებას. აქვე იმასაც

აღნიშნავთ, რომ მეთვრამეტე საუკუნეში ქალთა სამართლებრივი და ეკონომიკური აქტივობა, ბუნებრივად, არ ნიშნავდა გენდერულ ემანსიპაციას თანამედროვე გაგებით, თუმცა მიანიშნებდა მნიშვნელოვან ცვლილებაზე, როგორც ქალობის შესახებ არსებული საზოგადოებრივი პრეცედენტების ტრანსფორმირების, ასევე პოლიტიკური და სამართლებრივი ვითარების თვალსაზრისით.

ბუნებრივად, ქალთა ისტორიისა და გენდერის პრობლემა, მათ შორის, მეთვრამეტე საუკუნეში, ჩვენ მიერ განხილული საკითხებით არ შემოიფარგლება, და აუცილებელია შემდგომში ამ მიმართულებით კვლევების გაგრძელება.

## თავი VI. პოლიტიკური თვითცნობიერება

მარცხების სერია, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნეებიდან მოყოლებული, თან სდევდა ქართველ მეფე-მთავართა მოქმედებებს, პოლიტიკური დაქუცმაცებულობის გაღრმავებასა და ეკონომიკურ სტაგნაციასთან ერთად, მნიშვნელოვანი ინდიკატორი იყო ქართული ერთობის ეთნიკური მობილიზებისათვის. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ამ მოძრაობის თავისებურებისა და მისი განვითარების ხელშემწყობი ისტორიული ფონიც მიმოვიხილეთ, ამჯერად მხოლოდ იმას გავიმეორებთ, რომ ქართული ერთობის ჰომოგენურობა ღრმა ისტორიულ წარსულში ჩამოყალიბებულ კულტურულ პოსტულატებს ეფუძნებოდა. სწორედ ასეთმა ეთნო-კულტურულმა მომენტებმა უზრუნველყო გადაწყვეტ მომენტში ქართული დემოტური *ეთნის* წევრების ერთგვაროვნება და მისი საზღვრების გამკვეთრება. მეთვრამეტე საუკუნის შუა პერიოდიდან ქართული ინტელექტუალური ელიტა საერთო წარმომავლობის, ისტორიული მემკვიდრეობის, რელიგიური და ენობრივი მარკერების გარშემო აყალიბებს ნაციონალისტური მოძრაობის დღის წესრიგს, ოთხმოციანი წლებიდან სოციალიზაციის შესაძლებლობის უზრუნველყოფის (სახელმწიფო სკოლების დაარსების, ბეჭდური კაპიტალიზმის განვითარების, სოციალურ-ეკონომიკური მგომარეობის გაუმჯობესებისა და სამართლებრივი რეგულაციების შემოღების) შემდეგ, მისი ხასიათი შეესაბამება ნაციონალიზმის, ან უფრო სწორად პირველადი ნაციონალიზმის შინაარსს.

სანამ ძირითად საკითხზე ვისაუბრებდეთ, განვმარტავთ, რომ თუმცა წინამდებარე თავი პოლიტიკური საკითხების ანალიზსაც მოიცავს, ჩვენი მიზანი არ არის პოლიტიკის ისტორიის ტრადიციული საკითხების გაშუქება. გვინტერესებს ისეთი მომენტების გამოვლენა, რომელიც პოლიტიკური დღის წესრიგის გარდა, პოლიტიკური იდენტობის განვითარებაზეც ახდენდა გავლენას. ამ მიზნის შესრულება, მართალია, სადისერტაციო თემისათვის განსაზღვრული ქრონოლოგიური ჩარჩოდან გამომდინარე, პირველ რიგში, მეთვრამეტე საუკუნეში არსებული ვითარების გათვალისწინებით გვსურს, თუმცა ამოცანის მეტ-ნაკლებად სრულყოფილად გადაწყვეტა მოითხოვს კვლევისას, გაცილებით ადრინდელი ვითარების გათვალისწინებასაც.

აქვე შეგახსენებთ იმასაც, რომ ჩვენთვის, როგორც დისერტაციაში განხილულ სხვა საკითხებთან მიმართებაში, ამ შემთხვევაშიც, *ეთნოსიმბოლისტური* პარადიგმა გახლავთ ამოსავალი დებულება, რომლის თანახმადაც სხვა იდენტობებს შორის განირჩევა რეგიონული/ტერიტორიული იდენტობის ფორმა (იხ. თავი I.). სწორედ ამ თვალსაზრისით ვაფასებთ პოლიტიკური თვითცნობიერებისა და პოლიტიკური მოვლენების განვითარებას წინამდებარე თავში. თუმცა ასევე ვიზიარებთ ე. კანტოროვიჩის პოლიტიკური თეოლოგიის შესახებ ჩამოყალიბებულ კონცეფციასაც, რომლის მიხედვითაც თანამედროვე სახელმწიფოს პოლიტიკური, სიმბოლური, იდეოლოგიური საფუძვლები უნდა ვეძებოთ იმ იდეაში, რომლის თანახმადაც სახელმწიფო არის მისტიკური სხეული, რომელსაც სათავეში მისი ღვთიური წარმომავლობის რწმენის გამო ედგა მეფე (სტრუპარუ 2015: 73). მეფის პოლიტიკური სხეულის თეოლოგიური ინტერპრეტაცია გულისხმობდა სამართლებრივ-პოლიტიკური მოცემულობის ქრისტიანულ თეოლოგიურ კონცეფციასთან შეთანადების პრობლემის გადაწყვეტას, მეფის, როგორც პოლიტიკური მეთაურის, სახელმწიფოს სიმბოლური განსახიერებისა და მისი, როგორც პიროვნების გამიჯვნას (კანტოროვიჩი 1957: თავი I). ყოველივე ეს იმ რთული ინტელექტუალური პროცესის ნაწილი იყო, რომელიც „კონცენტრირდება ზეციურ და მიწიერ სახელმწიფოთა დამოკიდებულებაზე.... [და], რომელიც საბოლოოდ ეკლესიის სასარგებლოდ“ გადაწყდა (გოგატიშვილი 2003: 12).

### § 6.1 მეფის ორის სხეული

თუმცა, „საქართველში „მეფის ორი სხეული არასოდეს გამხდარა იურიდიული დისკურსისა და ექსპილიციტური მსჯელობის საგანი“ (ანდრონიკაშვილი 2011: 9), შუა საუკუნეებში, საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთობაში, ამ კუთხით, საინტერესო ნიშნები შეიძლება ამოვიკითხოთ.

ქართულ სინამდვილეში საერო და საეკლესიო ინსტიტუციების ურთიერთობას პოზიტიური საფუძველი შეექმნა წმინდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევის პერიოდში. როდესაც ის ქართლის მოსახლეობას აქრისტიანებდა, წმინდანი ამას აკეთებდა არა მხოლოდ ღმერთისა და სარწმუნოების, მეფის სახელითაც, მისი

თანხმობის საფუძველზე. ამდენად, რელიგიურთან ერთად ის გახდა სახელმწიფო ძალაუფლებითა და მეფის ნდობით აღჭურვილი პირიც და თუ მანამდე ხალხს იმოწაფებდა ფარულად (მროველი 1955ა: 94), მას შემდეგ რაც მირიანმა და ოფიციალურმა პირებმა აღიარეს ქრისტე, წმინდა ნინო ღიად და მათი რესურსების გამოყენებით იწყებს მოქმედებას (მროველი 1955ა: 120, 125-126).<sup>61</sup>

*გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან* კარგად ჩანს საერო და სასულიერო ხელისუფალთა იერარქიული ურთიერთობები. მართალია, გრიგოლი აშოტ კურაპალატს მიმართავს „სადა არს პატივი მთავრობისა, მუნ არს მსგავსება ღმერთებისაი, რამეთუ თქუნ ხელმწიფენი უფალ გყვნა ღმერთმან ქვეყანისა განგებასა“ (მერჩულე 1987: 547). თუმცა, როდესაც ამის საჭიროება დგება, საბა იშხნელი ბაგრატ კურაპალატს ახსენებს

დიდებულო მეფეო, შენ ქვეყანისა ხელმწიფე ხარ. ხოლო ქრისტე – ზეცისა და ქვეყანისა და ქვესკნელთა; შენ ნათესავთა ამათ მეფე ხარ, ხოლო ქრისტე – ყოველთა დაბადებულთა, შენ წარმავალთა ამათ მეფე ხარ, ხოლო ქრისტე – საუკუნოდ მეუფედ და სრული ჰგიეს უცვალებელი, უჟამოი, დაუსაბამოდ, დაუსრულებელი მეუფედ ანგელოზთა და კაცთა. და უფროდს შენსა ჯერ არს სმენად სიტყვათა მისთა, რომელმანცა ბრძანა, ვითარმედ — ვერვის ხელეწიფების მონებად ორთა მათ უფალთა. არამედ აწ სიტყვათა ძმისა და მოძღვრისა ჩემისა გრიგოლისითა მოვედ წინაშე შენსა (მერჩულე 1987: 564).

მსგავსი მაგალითები იმავე ტექსტში სხვაგანაც გვხვდება (მერჩულე 1987: 539, 541, 554-557, 561, 566-567, 585-590). მიუხედავად იმისა, რომ მიწიერი ძალაუფლება ეპყრათ მთავრებს, მათი ძალაუფლება მაინც არასრულყოფილი იყო. ვინაიდან ის ღმერთისაგან არ მოდიოდა.

მეათე საუკუნის ავტორი იოანე მინჩხი ერთ-ერთ ჰიმნში ქმნის ქრისტიანი მეფის იმ იდეალურ სახეს რომელთან მიახლოება და მიმსგავსება ყველა მეფის ვალად მიაჩნდა: „...ღმრთის-მსახურო და მის მიერ პატივცემულო დიდო მეფეო თევდოსი...

---

<sup>61</sup> ამ თვალსაზრისით საინტერესოა მირიან მეფის სტრატეგია, როგორც ფარნავაზის პიროვნებასთან, ასევე ქრისტიანობასთან მიმართებაში (ჩხარტიშვილი 2018: 38, 48-58).



სახე ექმენ შემდგომთა მათ მეფეთა და რომელნი გემსგავსნეს, იშუებენ ედემს შინა შენ თანა!“ (ლორთქიფანიძე 2016: 118).

მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში, როდესაც პოლიტიკური ცენტრალიზაციის რეალური შესაძლებლობა ჩნდება, პოლიტიკური და თეოლოგიური დრის წესრიგი ერთმანეთს ემთხვევა, აქედან გამომდინარე იქმნება ბაგრატიონთა ღვთიური წარმომავლობის შესახებ მითი (სუმბატ დავითის ძე 1955: 372-374; სულავა 2003: 59; ჯავახიშვილი 1929; ინგოროყვა 1954: 84; კეკელიძე 1956: 318; კარბელაშვილი 1999: 1-30). მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში, ვხედავთ, რომ ქართული ეკლესია სახელმწიფოსთან/მეფესთან შეთანხმებულად მოქმედებს და მასთან სრულ უნისონში მოდის. ეკლესიისა და ხელისუფლების კოლაბორაციის საინტერესო მაგალითია ბაგრატ მეოთხისა (1027-1056) და გიორგი მთაწმინდელის (1009-1065) თანამშრომლობა (აბულაძე 1967: 162; დამატებით იხ.: ჩხარტიშვილი 2010: 87-101). იგივე შეიძლება ითქვას გიორგი მწიგნობართ-უხუცეს ჭყონდიდელისა (-1118) და დავით აღმაშენებლის (1089-1125) პოლიტიკურ-ეკლესიური ტანდემის შესახებაც (ცხოვრება მეფეთ მეფისა... 1955: 333, 344). ქართველი მეფეები ხდებიან უმაღლესი საეკლესიო მსაჯულნიც (დოლიძე 1970: 117; ცხოვრება მეფეთ-მეფისა... 1955: 327-328).

ამ კუთხით, კულმინაცია აღმოჩნდა თამარის მეფობის პერიოდი, როდესაც მას ისტორიკოსები სამების მეოთხე იპოსტასად სახავენ: „მეცა ესრეთ ვიწყო ამის თამარისა, სამგზის სანატრელისა და სამებისაგან ოთხად თანააღზევებულისა, რომელი ეთეროან იქმნა ხელმწიფეთა შორის“ (ისტორიანი და აზმანი... 1959:)<sup>62</sup> ქართლის ცხოვრების სხვა ადგილებშიც ვხვდებით მსგავს შეფასებებს: „გარნა ვინათგან კელი საუფლო და მკლავი მაღალი შემწე და თანამბრძოლი [ექმნებოდა] მბრძოლთა მათ მისათა, და მის წილ ამღებელი ჭურისა და ფარისა ეკუთებოდა დამჯობად წინააღმდეგომთა მისთა“ (ისტორიანი და აზმანი... 1959: 31-32). მეფის ხელისუფლების, მისი პიროვნების ლეგიტიმაციის თეოლოგიური

---

<sup>62</sup> თამართან მიმართებაში იზოთეოსის არაერთი მაგალითია ქართლის ცხოვრების ტექსტებში (ისტორიანი და აზმანი... 1959: 2-3, 25; დამატებით იხ.: ჩხარტიშვილი 2011: 72-91).

კონცეპტუალიზაცია განვითარებული ფეოდალიზმის დროს თამარის პიროვნების იზოტეოსით დასრულდა (ლორთქიფანიძე 2016:18).

ქართული გამოცდილების მიხედვით, პოლიტიკური წონასწორობა ეფუძნებოდა მეფის ხელისუფლების წარმოშობისა და მისი პიროვნების შესახებ თეოლოგიური ინტერპრეტაციის დაჯერებას. ამდენად, ის იყო ხელშეუხებელი (ამ აზრით, საინტერესო მაგალითია ბაგრატ მეოთხისა და ლიპარიტ ბაღვაშის დაპირისპირება). ფრესკებზე მეფეებისა და მათი ოჯახის წევრების გამოსახვა, ლეგენდები, რომლებსაც თხზავდნენ მათ შესახებ და ა.შ. ერთობის წევრებისათვის ერთგვარი მედიის როლს ასრულებდნენ ამ წარმოდგენების ჩამოყალიბებაში. ერთობის წევრებისათვის მეფე, როგორც ერთგვარი სიმბოლო, ენისა და სარწმუნოებისა, სამშობლოს იდეის იკონურ ვიზუალიზაციასაც ახდენდა, და ქართული იდენტობისათვის თავადაც იქცა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მარკერად. ამდენად მეფისადმი ერთგულება წარმოადგენდა უმთავრეს ღირებულებას.

## § 6.2 რეგიონალიზმის პოლიტიკური ასპექტები

ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ (1490), მეფის პიროვნებისა და სამშობლოს/ტერიტორიის ერთმანეთთან სიმბოლური/ასოციაციური დაკავშირება რთულდება,<sup>63</sup> თუმცა პოლიტიკური ძალაუფლების წარმოშობის თეოლოგიური ვერსია კვლავ მუშაობს. მართალია, საქართველოს სამეფოს დაშლა, ისეთ მოცემულობას წამრმოადგენდა, რომლის აღქმა რთული არ იქნებოდა, მას არ შეეძლო გავლენა მოეხდინა სოციალური კიბის დაბალ საფეხურებზე მდგომი მოსახლეობის განწყობების ჩამოყალიბებაზე. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მათი სტატუსიდან გამომდინარე, ცხოვრების ყოველდღიური წესის გათვალისწინებით, დაბალი კლასები უპირველესად დაკავშირებული მაინც უფრო საკუთარ კარ-მიდამოსთან, პოლიტიკური თვალსაზრისით კი სუზერენის პიროვნებასთან იყო. მეორეც, იმიტომ,

<sup>63</sup> თუმცა, უფრო ადრეც, მონღოლების მიერ, დავით ულუსა (1216-1270) და დავით ნარინის (1225-1293) სამეფო ტახტზე ერთდროულად დამტკიცება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეთანხმებულად მართავდნენ ქვეყანას (ჟამთააღმწერელი 1959: 224-227), სერიოზული გამოწვევა იყო სამეფო ხელისუფლების ღვთიური წარმომავლობის იდეისათვის. დავით ულუსა და დავით ნარინის მიერ მოჭრილი მონეტები (დუნდუა, დუნდუა 2015: 67-72) ახლად შექმნილ პოლიტიკურ რეალობაზე მკაცრად მიუთითებდნენ.

რომ პოლიტიკური სტაგნაციის მიუხედავად მეფე, მისი სიმბოლური სახე-ხატი, ქართული იდენტობის ერთ-ერთი მარკერი იყო. ქართული ერთობის ერთგვაროვნებას ის ფაქტიც განსაზღვრავდა, რომ ის ღრმა ისტორიულ წარსულში ჩამოყალიბდა ჰომოგენური თვითცნობიერების მქონე კოლექტივად (ჩხარტიშვილი 2008გ: 122-130; ჩხარტიშვილი 2009ბ: 376-385). და უკვე იმ პერიოდში ჰქონდა მკაფიოდ ჩამოყალიბებული კულტურული მარკერები, რომელსაც მისი ჰომოგენურობა ეფუძნებოდა. ამდენად, შეუძლებელი იყო „პოლიტიკურ დეზინტეგრაციას ქართული ეთნიკური ერთობის (ეთნიკს) დესტრუქცია“, მოჰყოლოდა (ჩხარტიშვილი, მანია და სხვები 2011: 264-265).<sup>64</sup>

საქართველოს სამეფოს დაშლის პოლიტიკური „შედეგი“ პრე-მოდერნულ ხანაში ტერიტორიული/რეგიონული იდენტობების განვითარებისათვის ხელსყარელი გარემოს შექმნა იყო. თვალსაჩინო ეთნოგრაფიული მრავალფეროვნება, დიალექტები კილოები, ტანისამოსი, საკვები, ხასიათი ამისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნიდა. თუმცა რეგიონული იდენტობა საბოლოოდ მაინც ვერ გაიმიჯნა საერთო იდენტობისაგან, მნიშვნელოვანწილად სწორედ იმ ფაქტის გამო, რომ, როგორც ზემოთ მივუთითეთ დაბალი ფენები დისტანცირებული იყვნენ მიმდინარე პროცესებისაგან.

რეგიონალიზმის პოლიტიკური ასპექტები საყოველთაოდ თვალსაჩინო (მათ შორის დაბალი ფენებისთვისაც) მოგვიანო პერიოდებში ხდება, როდესაც ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონების (სამცხე-ჯავახეთის და ზოგადად სამხრეთ საქართველოს) საერთო კულტურულ-რელიგიური სივრციდან გასვლა პოლიტიკურადაც და კულტურულადაც ფორმდება. ყოველ შემთხვევაში მსგავსი ნიშნები, უკვე მეთვრამეტე საუკუნეში ნამდვილად ჩანს (დარჩიაშვილი 2015: 36-49).

მეთვრამეტე საუკუნეში, როგორც წინა თავებიდან დავინახეთ პოლიტიკური სტაგნაცია ეთნო-კულტურული მობილუზებისათვის ერთგვარი სტიმული გახდა. ამ მოცემულობამ ქართული დემოტური *ეთნის* დღის წესრიგში დააყენა ქართული

---

<sup>64</sup> ამ თვალსაზრისით ქართული *ეთნისათვის* თავის დროზე ბევრად უფრო დიდი გამოწვევა იყო წმინდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევა. რელიგიური ერთობა თავისი საკრალიზმით, შინაგანი სოციალურ-კულტურული და სპირიტუალური კავშირებით, ეთნიკური ერთობის წევრებისათვის მთავარი გამაერთიანებელი გახლდათ. აღმსარებლობის ცვლილებას თავისუფლად შეიძლება გამოეწვია ერთობის დესტრუქციაც.

ერთობის *სხვებისაგან* გამიჯვნის საკითხი, რითაც რეგიონალიზმის პრობლემა თვალსაჩინო გახდა. *სხვები* რეგიონალურ/პოლიტიკური თვალსაზრისით აღმოჩნდნენ ეთნიკურად არაქართველები, ამ შემთხვევაში აფხაზები (ამ აზრით საინტერესო მაგალითია ლევან დადიანის მიერ კედლის მშენებლობა სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროებს შორის).

შექმნილი პოლიტიკური ვითარება, განსხვავებით დაბალი ფენებისაგან, უფრო მყისიერად სოციალური კიბის უმაღლეს საფეხურებზე მდგომი ადამიანების ცხოვრებაზე აისახა. ერთიანი სახელმწიფო, რომელიც ზურგს უმაგრებდა მეფის პოლიტიკური ძალაუფლების ღვთიური წარმომავლობის პროვიდენციულ ინტერპეტაციას, როგორც ვიცით 1490 წლიდან აღარ არსებობდა. რეალობისა და თეორიული დისკურსის აცდენის გამო, თანდათან ხდება არსებული ვითარების პოლიტიკური თვალსაზრისით შეფასება. იცვლება რეგიონული მმართველების პოლიტიკური დღის წესრიგი, ისინი იწყებენ საკუთარი ძალაუფლების ზრდისათვის ბრძოლას და ა.შ. მრავლდება ისეთი პოლიტიკური ერთეულების რიცხვი (სამცხის, სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთი, სვანეთის სამთავროები), რომლებიც პრაქტიკულად აღარ ცნობენ სამეფო ხელისუფლებას და აღარ არიან ცენტრალური ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილნი (თარგამაძე 2017/2018: 53). მიუხედავად საგარეო პოლიტიკური საფრთხეებისა, ეს პროცესი შეუქცევადი სახეს იღებს. ინტელექტუალური ცვლილება ძველსა და ახალ დროს შორის გამოიხატა იმაში, რომ რეგიონული მმართველები საკუთარი ხელქვეითების ბუნებით ბატონებად იქცნენ. ეს გულისხმობდა იმას, რომ მთავრები, რომლებიც ადრე ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი იერარქიული წესრიგის მიხედვით თავად ითვლებოდნენ სხვათა ვასალებად, ახლა დამოუკიდებელ ხელმწიფეებად იქცნენ (ამ ცვლილებაზე მეტყველებს XVII-XVIII საუკუნეებში გურიელთა მიერ იმერეთის ტახტის დაკავების არაერთი შემთხვევა, ასევე გიორგი-მალაქია აბაშიძის მმართველობა და ა.შ.).

ამ თვალსაზრისით, საინტერესო სურათს გვიხატავს მეჩვიდმეტე საუკუნის მოგზაური, ლამბერტი. მართალია, იგი მიუთითებს, რომ ქვეყნის დაქუცმაცება გამოიწვია მეფის არასწორმა გადაწყვეტილებამ, როდესაც მან სამეფო საკუთარ

შვილებს გაუყო (ამასთან დამპყრობელთა შემოსევებმაც), თუმცა მთავარ მიზეზად მაინც იმას ასახელებს, რომ, ყოველივე ამის ფონზე გაძლიერებულმა მთავრებმა, რომლებმაც დაინახეს, რომ მეფეს ძალაუფლებით არ ჩამოუვარდებოდნენ, უარი თქვეს მის მორჩილებაზე (ლამბერტი 2011: 31-36). „როცა ... თავისუფლებას მოკლებული და დაბორკილი შეიქმნა (გულისხმობს დადიანს – ზ.თ), სწორედ მაშინ იპოვა ჯაჭვებში თვითმპყრობელის სასურველი გვირგვინი“ (ლამბერტი 2011: 33).

როდესაც დადიანისა და ათაბაგის საუბარს გადმოსცემს, ლამბერტი დადიანის პირით ამბობს: „... ხომ ვიცით, რომ ჩვენს ქვეშევრდომებს ვუყვარვართ, როგორც მოურავები კი არა. არამედ მათი ბუნებითი ბატონები“ (ლამბერტი 2011: 34).

მიუხედავად პოლიტიკური წონასწორობის დარღვევისა, მეფე, როგორც ქართული ერთობის ერთ-ერთი მთავარი მარკერი, განსაკუთრებით მისი ძლიერი სიმბოლური კავშირის გამო ენობრივ და რელიგიურ ნიშნებთან, კვლავ რჩებოდა ერთიანობის გარანტად, თუმცა ის რეალურ პოლიტიკურ შინაარსს მოკლებული იყო. მისი პოლისემიურობა, მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს გარკვეულ ამბივალენტურ პოლიტიკურ მოლოდინებს ქმნიდა ელიტის, განსაკუთრებით სამეფო ოჯახის წარმომადგენლებს შორის.

### § 6.3 სამშობლოს იდეის პოლიტიზება

მეფის, როგორც ერთგვარი გამაერთიანებელი სიმბოლოს მნიშვნელობა, ინტელექტუალთა წრეში გარკვეულ პოლიტიკურ იმედებს აჩენდა.

შესაძლოა, არისტოკრატის იმ ნაწილში (და არა მხოლოდ), რომელიც მეფის ხელისუფლებისადმი სხვადასხვა მიზეზის გამო ლოიალურად იყო განწყობილი, უმეტესად კი სამეფო ოჯახის წევრებისათვის, ერთმეფობის იდეის მხარდაჭერა იყო რეალური პოლიტიკის ნაწილი, თუმცა არსებულ ვითარებაში, თავისთავად ეს ფაქტიც მაინც უფრო იმაზე მეტყველებდა, რომ მათი პოზიცია მეფის უპირატესობისა და ერთმეფობის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, შუა საუკუნეებში ჩამოყალიბებულ ეთნო-კულტურული პოსტულატების რწმენას ეფუძნებოდა (ბაგრატიონი 1989: 552-568; თბილელი 1989: 591-596, 606, 608-609, 627, 641-642, 642-643; ეგნატაშვილი 1959: 326; ბაგრატიონი 1975: 82-84; ბაგრატიონი 1973: 17, 27;

გურამიშვილი 1989: 349; ბარათაშვილი 1989ა: 20-21; ბარათაშვილი 1989ბ: 30; ორბელიანი 1981: 84).

თეიმურაზ პირველის (1589-1663) ქართლ-კახეთში (1625-1632) გამეფება, ასევე არჩილ მეორის მიერ იმერეთის სამეფო ტახტის დაკავების მაგალითები (1661-1663, 1678-1679, 1690-1691, 1695-1696, 1698), თავის მხრივ ქმნიდნენ გარკვეულ მოლოდინებს ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებასთან დაკავშირებით. თუმცა, ობიექტურად ერთმეფობის იდეას აღარ და ვედარ შეეძლო მმართველი ელიტის და, მით უფრო, საზოგადოების ფართო მასების უზრუნველყოფა ერთიანობის მუხტით. ამ მოცემულობის გაუცნობიერებლობის გამო, მეფე ცენტრალურ ფიგურად რჩება მეთვრამეტე საუკუნის პირველი მეოთხედის ავტორთა შემოქმედებაშიც. შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარი პოლიტიკური ბუნდოვანება, რომელიც ქართული სამეფო-სამთავროების ბედ-იღბლის წინასწარმეტყველებას შეუძლებელს ხდიდა, გარკვეულ წრეებში უკეთესი მომავლის იმედს აჩენდა. ქართული დემოკრატიული ერთობისათვის, რომელიც ეთნო-კულტურული მარკერების რწმენას ეფუძნებოდა, ამგვარი პოლიტიკური ამოცანების გადაუჭრელობა იმ ეტაპისათვის პრობლემას არ წარმოადგენდა. უფრო პირიქით, მეფის, როგორც ერთ-ერთი ეთნო-კულტურული მარკერის გაქრობას ერთობის დესტრუქცია შეიძლება მოჰყოლოდა.

ვახტანგ მეექვსის პოლიტიკურმა მარცხმა, განსაკუთრებით მისმა შედეგებმა, ვითარება ამ თვალსაზრისით, არა მყისიერად, თუმცა მაინც შეცვალა.<sup>65</sup> ფსონი, რომელსაც ვახტანგი ჩამოვიდა, გამართლებისა და წარუმატებლობის შემთხვევაში მთლიანი საქართველოს ბედს სწყვეტდა. ირანის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიის წარმატების შემთხვევაში რეგიონში ძალთა ბალანსი ძირეულად შეიცვლებოდა. ნდობა, რომელიც მმართველმა ელიტამ მის ამ ერთობ რისკიან გადაწყვეტილებას გამოუცხადა, ერთიანი სახელმწიფოსა და ერთმეფობის აღდგენის სურვილით იყო მოტივირებული. სამწუხაროდ, ამდენადვე საბედისწერო და გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მარცხსაც. მეფისა და მისი მხარდამჭერების მიერ (ვახტანგს ათას ორას კაცზე მეტი ახლდა ამაღლაში) სამშობლოს დატოვება, პოლიტიკური თვალსაზრისით იმაზე გაცილებით უფრო რთული გამოწვევა იყო ერთობისათვის

<sup>65</sup> აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ერთმანეთის მიყოლებით ჯერ ოსმალები ამყარებენ საკუთარ გავლენას (1723-1735), შემდეგ ირანელები (1735-1744).

ვიდრე, ზოგიერთი ქართველი მეფის გამუსულმანება ან, ირანული კულტურით გატაცება.

ვახტანგის გადაწყვეტილება, ძალიან მკაფიოდ მიუთითებდა განსხვავებული პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირებაზე. ეს იყო არა თვითგადარჩენის მცდელობა, სავარაუდოდ, წასულთა უმეტესობა საქართველოში დარჩენის შემთხვევაშიც შეძლებდა ცხოვრების გაგრძელებას, არამედ ერთგვარი სამოქალაქო/პოლიტიკური შინაარსის შემცველი აქტი, კაპიტულაციაზე ურის თქმის მსგავსი. მეფის ასეთი მოქმედება თვისებრივად განსხვავდებოდა შუა საუკუნეებში მისი პიროვნებისათვის დამახასიათებელი ქცევითი მოდელისაგან, როდესაც ის, საკუთარი სამშობლოს მარადიულობისათვის ასრულებდა ერთგვარი თვითშეწირვის აქტს (დემეტრე თავდადებულის ისტორია). თუკი თავად მეფეს შეეძლო პრაგმატული მოსაზრებებით ეხელმძღვანელა და განშორებოდა სამშობლოს, ბუნებრივია ქართული ერთობის წევრებსაც ჰქონდათ უფლება იმავე პრინციპებით ეხელმძღვანელათ. განვითარებულმა პროცესებმა, რომ განსხვავებული რეალობა შექმნა ამაზე ერეკლეს მეფობაც მეტყველებს, თუ არჩილ მეორისა და ვახტანგ მეექვსის მოღვაწეობაში დაბალი ფენებისაკენ ორიენტირებულობა ძირითადად ხალხის, როგორც ეთნო-კულტურული ღირებულებისადმი სწრაფვაში გამოიხატებოდა, ერეკლეს მმართველობის პერიოდში (ისევე როგორც სოლომონისათვის) მისი მთავარი პოლიტიკური და სამხედრო მოკავშირე დაბალი ფენების წარმომადგენლები არიან. ერთი მხრივ, ერეკლე სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდა დიდებულებს (ის აუქმებს არაგვისა და ქსნის საერისთაოებს; 1765 წლის პაატას აჯანყების მონაწილეთა მიმართ წარმოუდგენელ სისასტიკეს იჩენს. ა. ამილახვარს, რომელიც ამ დროს თხუთმეტი წლის იყო უსასტიკესად უსწორდება ფიზიკურად), მეორე მხრივ კი, მის მიერ შემოღებული სამართლებრივი რეგულაციები, თვისებრივად აუმჯობესებდა ე.წ. ჩაგრული კლასების გლეხების, ვაჭრების, წვრილი აზნაურების, ქალების, ბავშვების მდგომარეობას. პოლიტიზაციის მაღალი ხარისხი, მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე პრაქტიკულად აბსოლუტ მონარქად იქცა, ანეიტრალებდა მეფის, როგორც გამაერთიანებლის პროვიდენციალურ სიმბოლოს. აბსოლუტური ძალაუფლების მქონე მონარქი, რომელსაც ქვეყნის მოდერნიზაციის მიზანი ჰქონდა, უფრო ახლოს

იყო სეკულარული მმართველის პოლიტიკურ იმიჯთან, ვიდრე თეოლოგიურთან. ადრინდელისაგან განსხვავებით მეფე ერეკლე შეიძლება ითქვას სახალხო გმირად იქცა.

გარდა იმისა, რომ ერეკლე მეფეა, ის წარმოდგენილია მზრუნველი, რაინდული ტიპის პერსონაჟის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ტექსტებში ერთმანეთს ერწყმის ერეკლეს, როგორც გმირისა და პოლიტიკური მოღვაწის სახეები. მის შესახებ შექმნილ ტექსტებში ის არის გმირი, რომელიც მზადაა ქვეყნისათვის თავი გასწიროს, მისი მაგალითი კი მის თანამებრძოლებს პატრიოტული სულისკვეთებით მსჭვალავდა (მაგ., ვრცლად იხ.: ორბელიანი 1981; ხერხეულიძე 1989).

ერეკლე მეორის ბიოგრაფიის აღმწერი ომან ხერხეულიძე, აზატ-ხანის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლის წინ მეფის მიმართვას თანამებრძოლებისადმი შემდეგნაირად გადმოგვცემს:

ჩემნო ძმანო და შვილნო, თქვენ ჩემის განძლიერებისა და ჩემის გულისათვის იხოცებით და მე ღ(მერ)თმან თქვენი დიდ მოვალე ვარო და დღეს რაც მე გითხარით, ის დამიჯერეთ და სისხლსა თქვენსა მე ვინდობო“. მაშინ ყოველთა მხედრობათა ერთპირად ნება სცეს და მოახსენეს: „მეფეო და დიდებაო ჩვენო, სისხლი ჩვენი თქვენთვის შემოგვიწირავს და ბრძანებასა თქვენსა ვმორჩილებთ და ნებასა თქვენსა აღვასრულებთო (ხერხეულიძე 1989: 51).

მოგვიანებით, 1755 წლის მოვლენებთან დაკავშირებითაც ქართლ-კახეთის ჯარის სულისკვეთებასაც იგივენაირად გვიხატავს ავტორი: „... გარნა გამოერჩივნენ ქართველ-კახნი ორასნი მხნენი, ვიდრე ორასამდე და შესწირეს სისხლი მსხვერპლად ქრისტიანობისა და ერთგულებისათვის მეფეთასა...“ (ხერხეულიძე 1989: 56).

1795 წელს, ალა-მაჰმად ხანის ქართლ-კახეთში შემოჭრის შემდეგ, როდესაც უკვე ბრძოლის ბედი გადაწყვეტილი იყო, მეფეს სთხოვენ, რომ უკან დაიხიოს:

უწყის ყოველმან სკიპტრისა თქვენისა ქვეშე მყოფმან სიმხნე და გულოვნება თქვენი და რომელ არა რიდებით თავსა თქვენსა სიკვდილსა, ერისათვის შენისა და



მსხვერპლ ექმნები მამულსა საყვარელსა, მაგრამ თუ სადმე გეწიოს შენ ძური ანუ ბოროტი, რადმე უმეტეს განლაღნენ მტერნი და უყოფენ ძვრსა ქვეყანასა ჩვენსა (ბაგრატიონი 1972: 36).

სოლომონ ლიონიძის ამაღლელებელი გამოსათხოვარი სიტყვა ერეკლესადმი თავისი პათოსით მშობელი მამის გამოტირება იყო:

ველმწიფევ მფლობელო, საზოგადოვ მამავ, მეფევ ირაკლი! ვის მივსცე შენის უმაღლესის თავისა და უძლეველის ტანის უზომო ტრფიალება?! ვისს დროშას ვემსახურო?! ვინ შევიყვარო?! ვისთვის მოვკუდე?! ვისთვის ვიცოცხლო შენს უკან სიცოცხლე საზრახავად განმწარებულმან?! (ლიონიძე 1957: 46).

ამ ვითარებაში ერთმეფობის იდეას პოლიტიკური რეალიზაციის უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდა ვიდრე უწინ. მთავრი ამოცანა იყო ქართულ სამეფო-სამთვაროებს შორის მშვიდობის შენარჩუნება (1758 წლის ურთიერთდახმარების შეთანხმება, ასევე 1790 წელს გაფორმებული *ივერიელთა ერთობის ტაქტატი*). როგორც მესამე თავში აღვნიშნეთ, მეთვრამეტე საუკუნის შუა პერიოდიდან ვითარდება ქართული ნაციონალისტური მოძრაობა, რომელიც 70-80-იანი წლებისაკენ აღწევს სოციალიზაციის იმ ხარისხს (სახელმწიფო სკოლების დაარსებისა და ბეჭდური კაპიტალიზმის განვითარების წყალობით), რომელსაც ეთნ-კულტურული მოძრაობა ნაციონალიზმის ხარისხში აჰყავს. ცვლილება ამ კუთხით, აისახა სოციალურ-ეკონომიკური ვითარებაზეც (იხ. თავი III და თავი IV).<sup>66</sup>

ქართული ინტელექტუალური აზრის ტრანსფორმაცია ამ მიმართულებით მეთვრამეტე საუკუნის მიწურულისათვის უკვე აშკარაა.

ჩვენთვის საინტერესო ცნობას გვაწვდის პლატონ იოსელიანი. როდესაც ერეკლესათვის სოლომონ პირველის გარდაცვალების შემდეგ იმერელ დიდებულებს მიუმართავთ დასავლეთ საქართველოში გამეფებისა და საქართველოს გაერთიანების

---

<sup>66</sup> ამ აზრით საინტერესოა ალექსანდრე ამილახვრის პიროვნება და მისი შემოქმედებაც. მისი ინტელექტუალური კავშირი განმანათლებლებთან (როგორც ცნობილია, *ბრძენი აღმოსავლეთისა* (1779), სადაც ის მეფის ხელისუფლების ლეგიტიმაციის საკითხს აყენებს, მონტესკიეს იდეების შთაგონებითაა შექმნილი).

იდეით, თათბირზე ჭაბუა ორბელიანს ერეკლესათვის მოუწოდებია: „ნუ ჰყოფნი, მეფეო! — იტყოდა ჭაბუა, — მეფე ერისათვის და არა ერი მეფისათვის“ (იოსელიანი 1936: 15-16).

ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ გიორგის პლატონ იოსელიანის გადმოცემით ფიცის მიღებასთან დაკავშირებით უთქვამს: „ძალითა არა, — იტყოდა მეფე, — ვისაც სურს ჰფიცოს ერთგულად და აღმიარონ მეფედ“ (იოსელიანი 1936: 50). გიორგი მეფისა (და სხვების) ამგვარი დამოკიდებულებები ფიცის მიღებასთან დაკავშირებით ცენტრალური ხელისუფლების სისუსტიტაც შეიძლება აგვეხსნა, მაგრამ მისი პიროვნებისადმი დადებითად განწყობილი ავტორი, ამ ამბავში ასეთი მნიშვნელობა მართლაც, რომ დაენახა, სავარაუდოდ, მოერიდებდა ამის აღნიშვნას. საქმე ისაა, რომ იოსელიანს სურდა ხაზი გაესვა არა გიორგის სისუსტისათვის, არამედ მისი შემწყნარებლობისა და პროგრესულობისათვის. ცალსახაა, რომ ფორმალურად რა სახის ძალაუფლებაც არ უნდა ჰქონოდა ერეკლეს მისი მმართველობის უკანასკნელ წლებში და მის მემკვიდრესაც ხანმოკლე მეფობის განმავლობაში, საზოგადოებრივი აზრი ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით უფრო ახალი დროის შესაფერის დამოკიდებულებას ამჟღავნებდა, ვიდრე პროვიდენციალურს.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის დავით ბაგრატიონის უმცროსი ძმის, თეიმურაზის დავით ბაგრატიონის ისტორია. ლეკებთან ბრძოლის წინ საქართველოს უკანასკნელი მეფის ვაჟს, თანამებრძოლებისათვის შემდეგი სიტყვებით მიუმართავს:

...დღეს ჩვენი ასეთი დღე არის, რომ ამ დღეს მტრის შიში სრულიად არ უნდა გქონდესო. თუმცა მტერნი ესე უმრავლეს ჩვენსა არიან ნუ ვიშიშვით ღმერთი დაგვიცავსო და მამულის სიყვარულისათვის თავდადებული და გულსმოდგინე სიმხნეო. მე მიგიძღვებით და გიჩვენებთ იმათ ძალსა, ვითარ შეიმუსროს ღმრთისა მიერ შეწევნითა (ბაგრატიონი 1972: 27).

აღა-მაჰმად ხანთან ბრძოლის შესახებ კი წერს, რომ

ბრძოდეს სიმხნითა უაღმატებულესითა | ძლიერად, რაოდენ და რაჟამს არღა ძალ  
იდებოდეს უმეტეს მისსა შრომად, მაშინ განსწირნეს თავნი თვისნი და შეიწირნეს  
მსხვერპლად საყვარელისა მამულისათვისსა და წინაშე მეფისა თვისისა  
სახელოვნად დასთხივნეს სისხლი თვისნი (ბაგრატიონი 1972: 36).

თეიმურაზ ბაგრატიონი დავითის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ  
თხრობას ასრულებს მისი საფლავის ეპიტაფიით: „მე თავი მაქვნდა მამულისა  
სახმარად,/ რომელმან საქმით არა ერთგზის ვაჩვენე/ ჩემთ ერთ ქართველთა, ბევრ  
გზის ჩემგან დამტკბართა,/ მეგობრობით და მოყვსობის შეკრულებით,/ შესაბამისა  
თავაზით და პატივით“ (ბაგრატიონი 1972: 77).

ერეკლეს მიერ გატარებული რეფორმები, შექმნილი პოლიტიკური ვითარება  
და მეფის, როგორც ერთგვარი ეთნო-კულტურული მარკერის ისტორიული  
მნიშვნელობა, კულტურული ნაციონალიზმის განვითარების პირველ ეტაპზე,  
პოლიტიზირებას განიცდის არა იმ აზრით და იმ ხარისხით, როგორც ეს დასავლეთში  
იყო, არამედ ხდება მეფის იდეის ერთგვარი კულტურული ტრანსფორმაცია და მისი  
საზოგადოებრივ/სამოქალაქო ხედვასთან შერწყმა. სწორედ ამიტომ იყო 1801 წელს  
მეფობის გაუქმება, ქართული ერთობისათვის სამშობლოს დაკარგვის ტოლფასი  
(ანდრონიკაშვილი, მაისურაძე 2010: 7; ჩხარტიშვილი, მანია 2011: 88) და თავისი  
მნიშვნელობით გაცილებით უფრო კატასტროფულიც, ვიდრე შუასაუკუნეებში  
ქართული სამეფოს სამეფო-სამთავროებად დაშლის ფაქტი.

პოლიტიკური კონცეპტუალიზების შესახებ ძალიან საინტერესო ცნობებს  
ვხვდებით იოანე ბაგრატიონის 1799 წელს შედგენილ *სჯულდების* სახელწოდებით  
ცნობილ სახელწმიფო გარდაქმენის პროექტში (ბაგრატიონი 1957: 35-36). ასევე დავით  
ბატონიშვილის სამართლის კრებულში (1800), სადაც ადამიანთა თანასწორობისა და  
საზოგადოებრივი განსჯის უპირატესობაა აღიარებული. 1790 წელს გაფორმებული  
*ივერიელთა ერთობის ტრაქტატი*, რომელსაც იმერეთის მეფე სოლომონ მეორე (1772-  
1815), სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი (1770-1804) და სიმონ მესამე  
გურიელი (-1792) აწერენ ხელს, თუმცა, ერთი მხრივ, იყო ქართველთა ერთიანობის

ეთნო-კულტურული მახასიათებლების ხაზგასმა (ტრაქტატის შესავალ ნაწილში და ძირითად შინაარსშიც საგანგებოდ იყო ხაზგასმული ის ფაქტი, რომ ქართველებს ერთმანეთთან აკავშირებდათ საერთო წარმომავლობა, რელიგია და ა.შ.; იხ. დოლიძე 1963: 501-507), მეორე მხრივ, ის ცალსახად იყო პოლიტიკური ხასიათის დოკუმენტიც და ქართული სამეფო-სამთავროების ცხოვრებაში ახალი სამხედრო და პოლიტიკური რეალობის დადგომას მოასწავებდა. ამასთან აღნიშნული დოკუმენტი აჩვენებდა და მიუთითებდა იმ გზების შესახებ, რომლითაც უნდა მომხდარიყო და რომლითაც იყო შესაძლებელი პოლიტიკური ერთობის აღდგენა.

#### § 6.4 პოლიტიკური ვექტორი და ქართული ერთობის ბედისწერა

პოლიტიკური ძალაუფლების ცენტრისა და მისი წარმოშობის შესახებ ადრე არსებული აღქმის ცვლილება, საერთაშორისო პოლიტიკური ტენდენციები და ეკონომიკური პროცესი, საგარეო ურთიერთობებში სტრატეგიის ჩამოყალიბებაზეც ახდენდა გავლენას. რაციონალური და პრაგმატული დასაბუთების მოთხოვნილება, ამოცანების ეფექტურად გადაჭრის სურვილი და არა რელიგიური, ან რაიმე მსგავსი ფაქტორი, განსაზღვრავდა გადაწყვეტილების მიმღებთა მოტივაციას, მათ შორის, 1783 წელს *გეორგიევსკის ტრაქტატის* დადების მომენტშიც და 1789 წელს, ერეკლე მეორის მიერ იმერეთისა და ქართლ-კახეთის გაერთიანების შემოთავაზებაზე უარის თქმის დროსაც.

ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ვახტანგ მეექვსისა და ერეკლეს საგარეო ორიენტაციას ყოველთვის კონკრეტული პოლიტიკური ამოცანები განსაზღვრავდნენ, მათ შორის, რუსეთთან ურთიერთობაშიც. მხოლოდ მას შემდეგ იცვლიან ისინი პოლიტიკურ კურსს, როდესაც დასავლურ სახელმწიფოებთან მოლაპარაკებები სასურველ ნაყოფს ვერ იღებს. როგორც ს. ბურნაშევის ანგარიშიდან ჩანს, ამ უკანასკნელისათვისაც არ იყო საეჭვო ის ფაქტი, რომ ქართლ-კახეთის მეფის განწყობა იმ ტიპის დამოკიდებულებაში შესვლისადმი, რაც მას *გეორგიევსკის ტრაქტატში* მოუტანა მაინდამაინც სასურველი არ იყო და არც ტრაქტატის გაფორმების შემდგომი გართულებების შესახებ იყო რუსი რეზიდენტისათვის უცნობი (მერკვილაძე 2015/2016: 152; დამატებით იხ.: ჯავახიშვილი 1998: 386-397). ვახტანგ მეექვსე და არც

ერეკლე მეორე მეორე მუსულმანურ ირანთან და ოსმალეთთანაც არ გამორიცხავდნენ სასარგებლო შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში პოლიტიკურ ალიანსს.<sup>67</sup>

ჩვენ დისერტაციის წინა ნაწილებში ვისაუბრეთ ქართული ისტორიოგრაფიის ორიენტირების შესახებ საბჭოთა დროს. იმ პერიოდისაგან განსხვავებით, რუსეთისადმი უარყოფით დამოკიდებულებას, შექმნილი ვითარების გამო, არ მალავდნენ ამ მოვლენების თანამედროვეები. *ახალი ისტორიის* ერთ-ერთი ყველაზე უფრო ვრცელი ხელნაწერი, რომლის სავარაუდო ავტორობასაც მისი გამომცემელი თეიმურაზ ბაგრატიონს მიაწერს, ჩაფიქრებული ყოფილა ვახუშტის *აღწერა სამეფოსა საქართველოსას* გაგრძელებად, ასეც არის (ბაგრატიონი 1983: 23, 40). აღნიშნული ნაწარმოები ახალი ისტორია იმდენად, რამდენადაც მართლაც ბოლო დროინდელ და, შესაბამისად, ახალ ამბებს ასახავს, თუმცა იმ აზრითაც არის ახალი, რომ მასში გაშუქებულია ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გაუქმების შემდეგ შექმნილი რეალობა. განსხვავებით, *დავით ბაგრატიონის ისტორიისაგან*, სადაც არ ჩანს ავტორის პოზიცია, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებასთან დაკავშირებით, აქ რუსული მმართველობის დამყარება მკაცრად არის გაკრიტიკებული. თეიმურაზ ბაგრატიონი დავით გიორგის ძისა და მისი რუსი მონაცვლის მმართველობას შემდეგნაირად აფასებს: დავითმა „იწყო მართვად ქართლისა ფ(რია)დ გონიერად... ვინადგან უწყოდა მან ვ(ითარც)ა კანონი სამოქალაქო და სამკედრო აზიისა, ეგრეთვე ევროპისა“ (ბაგრატიონი 1983: 67-68). პავლე ციციშვილის შესახებ კი წერს: „კაცი ესე

---

<sup>67</sup> ცალსახად ხელოვნური და არამართებულია მოსაზრება, რომ ქართველ მეფეთ-მთავართა რუსულ ორიენტაციას რელიგიური ფაქტორი განსაზღვრავდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, გასაგები მიზეზების გამო, იმ პერიოდის პრაქტიკულად ყველა ავტორი სწორედ ამ მოსაზრებას ავითარებდა. თუმცა, მათგან განსხვავებით, დღეს როდესაც ამ თვალსაზრისით არანაირი დაბრკოლება არ არსებობს, გაუგებარია ქართულ-რუსულ ურთიერთობებში რელიგიური მოტივების ძიებისას (ყრუაშვილი 2015: 208) ავტორთა თვითდაჯერებულობას რა განსაზღვრავს, მით უფრო, მეთვრამეტე საუკუნეში. ვფიქრობთ, რომ ასეთი დასკვნები თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში თეორიული დისკურსის ნაკლებობის ბრალია. ქართველ-მეფეთა და ოფიციალურ პირთა, ასევე მაღალი სასულიერო იერარქების გაკათოლიკების შემთხვევები, როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ საქართველოში მიუთითებს იმაზე, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს ევქარისტიული კავშირი გადამწყვეტი არ იყო. როგორც აღვნიშნეთ მეთვრამეტე საუკუნეში, ქართული ეკლესია ერთგვარი ინტელექტუალური გადაფასების გზაზე დგება, კათოლიკური სარწმუნოების მიღება გარდა იმისა, რომ ის შეიძლება დაკავშირებული ყოფილიყო წმინდა კონფესიურ არჩევანთან, ამავე დროს, იყო ქართული იდენტობისათვის უმნიშვნელოვანესი რელიგიური მარკერის, ქრისტიანობის, შენარჩუნების გზაც. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურ დოკუმენტებში ხაზგასმულია რელიგიური ერთობა, ეს გარემოება თავისთავად რუსეთთან პოლიტიკური კავშირის მიზეზზე კი არ მიუთითებს, არამედ ქართული იდენტობისათვის რელიგიური მარკერის მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

იყო გონება-ვნებულ და ცნობა-მიხდილ, ვინადგან გუართა მათ შ(ორი)ს ზოგად არა იშვი[ა]თ არს ესე სენი“ (ბაგრატიონი 1983: 69).

ავტორი არც ქართველების თავგანწირული ბრძოლების ამბების გადმოცემას ერიდება: „გარნა იყო შეჭირვებაი რუსთაგან ფრიად...“ (ბაგრატიონი 1983: 79, 80-81), აღწერს რუსების წინააღმდეგ ქართველთა აჯანყებებს და ა.შ (ბაგრატიონი 1983: 79-87).

თეიმურაზ ბაგრატიონის პიესა *სამსახეობა რაინდისა* ძალიან ღრმად გამოხატავს მის პერსონალურ დამოკიდებულებას და საქართველოს იმჟამინდელი მდგომარეობის უცხო ქვეყნის სამსახურში ჩამდგარ თანამემამულეთა გამო. ამ ნაწარმოების ძირითადი თემა სამშობლოს რომანტიზებული იდეალია (ბაგრატიონი 1987: 108, 117-119, 121, 126-127, 135, 137, 143-145, 151, 153-154, 157, 160, 174). ერთ-ერთ სიუჟეტში მინზამისაგან მოტანილ წერილთან დაკავშირებულ დიალოგში, ავტორი, რაინდის პერსონაჟს ათქმევინებს: „გარნა ბატონმან ბრძანა მოხსენებისა ჟამს... რამეთუ გიორგია არს გიორგიათათვის“ (ბაგრატიონი 1987: 137).

ამდენად, მეთვრამეტე საუკუნეში განვითარებული მოვლენების შემსწრეთათვის, ვინც საკუთარ თავზე განიცადა პოლიტიკური დევნა და ემიგრაცია, ქართულ-რუსული ურთიერთობებისა და საქართველოს ისტორიის აღნიშნული მონაკვეთის შესახებ, საბჭოთა პერიოდში შექმნილი ვერსიისაგან განსხვავებული სინამდვილე არსებობდა. რუსული მმართველობის დამყარებამ ქართული ერთობის პოლიტიკური კოცეპტუალიზების საკითხი თითქმის ორასი წლით გადაავადა.

*ეთნოსიმბოლისტური* თეორიის მიხედვით პოლიტიკურ-სამოქალაქო ნაციონალიზმი და ერი-სახელმწიფოს პარადიგმული მოდელი იმ ტიპის ერთობებში განვითარდა, რომლებიც თავისი შინაარსით შეესაბამებოდნენ ლატერალური ერთობის ისტორიულ ტიპს. ასეთი ერთობები, გარდა იმისა, რომ კონკრეტული ისტორიული წინაპირობების გამო, მათში უფრო ადრე მომწიფდა აზრი პოლიტიკური სისტემის ცვლილებისა და ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების შესახებ, ბეჭდური კაპიტალიზმისა და მოდერნის ეპოქას მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული სახელმწიფოებრივი ერთობით, ერთი მონარქის მმართველობის პირობებში შეხვდნენ. ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიცირებული პროცესის

სათავებში მალევე მოექცა *ხალხი*, რომელთა პოლიტიკური/სუვერენული უფლებების აღიარებისათვის აუცილებელი იყო ისეთი მოწინააღმდეგის, თუნდაც სიმბოლურის არსებობა, რომელის დაძლევის სურვილი და აუცილებლობის რწმენა ერთობის წევრების კოჰერენტულობას უზრუნველყოფდა. ყველაზე უკეთ ამ როლის თამაში მონარქს შეეძლო. მეფე, როგორც ძველი სახელმწიფოს იდეის განსახიერება, მთელი თავისი ქრისტიანული და პოლიტიკური შინაარსით უნდა დანებებოდა ახალ უფრო ძლიერ და რაციონალურ იდეოლოგიას (ანდრონიკაშვილი, მაისურაძე 2010: 6).

ახლისა და ძველის დაპირისპირებაში სამოქალაქო იდეები და დემოკრატიული ღირებულებები ბუნებრივად გადაეჯაჭვნენ ერთმანეთს. ამ მოძრაობაში წინასწარვე იგულისხმებოდა კონსენსუსის მიღწევის გარდაუვალობა, თუმცა ეს უნდა მომხდარიყო რაიმე გამორჩეულად მნიშვნელოვანი და, თუ გნებავთ, ამაღელვებელი მოვლენის ფონზე, კონსტიტუციური კომპრომისის გამონახვის გზით, ან თუნდაც მეფის სიკვდილით დასჯითაც. რაც მთავარია, ის, რის გამოც კომპრომისი შედგებოდა, უნდა ყოფილიყო იმდენად სიმბოლურიც, რომ ახალი დროის გარიჟრაჟზე შეძლებოდა პოლიტიკურ ტრადიციად ქცევა. თანხმობა მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან ახალი გამარჯვებული ძალა, მიუხედავად ემაფოტებისა და სისხლის ღვრისა, უნდა გამოცხადებულიყო მშვიდობისა და შერიგების ძალად. ამ პროცესში იყო რაღაც ბიბლიური წარღვნის მაგვარი, სადაც სახელმწიფოებრივი მოწყობის ახალ ვერსიასა და *სუვერენი ხალხის* კონცეპტს, ზეთისხილის რტოს ალეგორიული მნიშვნელობა ჰქონდა.

ქართული ეთნო-კულტურული ნაციონალიზმისათვის *მეფე*, ასეთი წინაამღდეგობრივი შინაარსის მატარებელი არც მეთვრამეტე საუკუნეში არ ყოფილა (ეს ბუნებრივად იყო დემოკრატიული *ეთნისათვის*) და, მითუმეტეს, ვერც მეცხრამეტე საუკუნეში იქნებოდა.<sup>68</sup> პოლიტიკური კონცეპტუალიზება, მეფის პიროვნებისა და ძალაუფლების წარმოშობის იდეის დესაკრალიზაციის ნაცვლად, მისსავე ეთნო-კულტურულ წიაღში ეძიებდა პოლიტიკურ-სამოქალაქო ლეგიტიმაციის ძველის ფარდ წყაროს. ამ შემთხვევაში:

---

<sup>68</sup> ახალ მონარქს, რუსეთის მეფის სახით, შეუძლებელი იყო იგივე როლი ეკისრა. ამ დეფექტის გასწორებას რუსეთი ერთგვარი რელიგიური ევქარისტული ერთობის იდეის სეკულარული ვერსიის შექმნით შეეცადა. რომელშიც რელიგიურ-მესიანისტური მისია და მეფის ხელისუფლების მემკვიდრეობითობის იდეა ერთმანეთს შეერწყა.

პოლიტიზირებული „მისტიკური სხეულის“ ქრისტიანული უნივერსალიზმის იდეა თანდათანობით ნაციონალიზაციას განიცდის, რომელიც, საბოლოო ჯამში, მთლიანად ღვთაებრივ რანგში აყვანილ სამშობლოსა და მის კოლექტიურ რეპრეზენტანტ მოქალაქეებზე გადადის, რომლებიც ახალ ეპოქაში მეფის, როგორც ლოიალობის ერთადერთი სუბიექტის, ადგილს იკავებენ (მაისურაძე 2010: 113).

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მეფის რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის გამო ქართული ეთნო-კულტურული ნაციონალიზმის სრულფასოვანი პოლიტიზაცია შეუძლებელი იყო.<sup>69</sup> სამოქალაქო თვალსაზრისით, ქართული ერთობის პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაფუძნებამდე (1918), 1905-1907 წლების რევოლუციასა და 1917 წელს რუსეთის მეფის ხელისუფლების დამხობაში მონაწილეობა იყო. ფორმალურად ეს ჰგავდა წმინდა სისხლით განბანვის რიტუალს, რომელიც აუცილებელია ახალი პოლიტიკური სხეულის დაბადებისათვის. თუმცა ფაქტი, რომ არც მეფე იყო ქართველი და, რომ ქალაქებიც, რომლის ქუჩებშიც სისხლს ღვრიდნენ მათ არ ეკუთვნოდათ, ჯიუტი გახლდათ. პირველი რესპუბლიკის მარცხისა და კომუნისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ, სტალინის „კორონაცია“ უმაღლესი ხელისუფალის რანგში ქართველებისათვის ისტორიის ალტერნატიული ვერსიის დაწერის შესაძლებლობად იქცა, თითქოს მათ მართლა ჩამოაგდეს მეფე და დასვეს ახალი მეფე თავისი ტომიდან, რითაც ისტორიულ სამართლიანობასთან ერთად აღიდგინეს ღირსებაც. თანამედროვე ქართული ერთობის პოლიტიკური კონცეპტუალიზების შესაძლებლობა იქმნება 2003 წლიდან, თუმცა მთელი რიგი ისტორიული წინაპირობების გამოტოვების შემდეგ, პირდაპირ სამოქალაქო ტიპის საზოგადოების დაფუძნება არ არის მარტივად გადასაჭრელი ამოცანა.

სამწუხაროდ, პოლიტიკური დამოუკიდებლობის ფსევდო განცდა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, იმის ნაცვლად, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ

---

<sup>69</sup> 1832 წლის შეთქმულება და მის გარშემო განვითარებული პოლიტიკურ-იდეოლოგიური მოძრაობა ამის ნათელი მაგალითია. ამიტომ იყო თავისი ხასიათით ის, ერთდროულად სახალხოც და მონარქისტულიც (ჩხარტიშვილი, მანია 2011: 271-272).



მაინც გადაეფასებინა წარსული, დღესაც ქართული საზოგადოების იდეალი ისეთი პოლიტიკოსია, რომელშიც ის სამოქალაქო პირის ნაცვლად, მფარველისა და მხსნელის სახეს ხედავს და რომელსაც ქართული ერთობის არასრული და ყალბი პოლიტიკების იმგვარი გამოცდილება უმაგრებს ზურგს, რომელშიც პროვიდენციალური სულისკვეთებით დამუხტული სამოქალაქო და სასულიერო თვალსაზრისი ერთმანეთშია შერწყმული.

## დასკვნა

ქართული კოლექტიური კულტურული იდენტობა გამორჩეულია თავისი დრმა ისტორიულობით. მისი ფორმირების პროცესი, განსხვავებულ ისტორიულ პერიოდებში არაერთხელ გაშუქდა თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში, გამოკვეთილია ფუნდამენტური მნიშვნელობის ეთნო-კულტურული მარკერები, რომელთა მიხედვითაც საუკუნეების განმავლობაში იწრთობოდა მისი სოციალურ-კულტურული სხეული. ჩვენი მიზანი, *ეთნოსიმბოლისტური* პარადიგმის ძირითადი დებულებების გათვალისწინებით შეგვესწავლა ქართული ერთობის ფორმა და შინაარსი მეთვრამეტე საუკუნეში, შთაგონებული იყო სურვილით გამოგვეკვეთა ის ისტორიული წინაპირობები, რომელიც არსებობდა ქართული ნაციის დაფუძნების უშუალოდ წინა პერიოდში; დაგვენახა გარკვეული ისტორიული კავშირი და ხელი შეგვეწყო ამ კუთხით მეცნიერული ცოდნის გამდიდრებისათვის.

ჩატარებული კვლევის შედეგად, მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით, გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი დასკვნები:

1. მეთვრამეტე საუკუნეში განვითარებული კულტურული მოძრაობის მიზანი ქართული ერთობის კონცეპტუალიზების ახალ ხარისხში აყვანა და ერთგვარი ეთნო-კულტურული თვითგანახლება იყო. ეს გამოიხატებოდა საერთო წარმომავლობისა და საერთო წინაპრის მითებისადმი, მედიევალური ლიტერატურისა და ისტორიისადმი, ასევე აღმზრდელობითი საკითხებისადმი დიდი ინტერესით.
2. ინტელექტუალურმა ელიტამ ქართული კულტურული ერთობა:
  - ა) რელიგიური და ენობრივი ნიშნების მიხედვით გამიჯნა *სხვებისაგან*.
  - ბ) ასეთი შინაური *სხვები* აღმოჩნდნენ ოსები და აფხაზები.
3. ანტონ პირველის მმართველობის პერიოდში ეკლესიის პოლიტიკა განსაზღვრული იყო კულტურული მოძრაობის ამოცანებით:
  - ა) ის ემსახურებოდა რელიგიური და ენობრივი მარკერების გაძლიერებას.
  - ბ) რელიგიური იდენტობის დაცვის სურვილი განაპირობებდა კათოლიკობისადმი ლოიალურ დამოკიდებულებას. აღნიშნული

გარემოება მიუთითებდა ეთნო-კულტურულ მოძრაობაში ეკლესიის განსაკუთრებულ როლზე და ერთგვარ ინტელექტუალურ ცვლილებაზეც.

4. ზემოთ აღწერილი ნიშნების მიხედვით, მეთვრამეტე საუკუნეში არსებული ქართული ეთნიკური ერთობის ფორმა და შინაარსი შეესაბამებოდა დემოტური (ვერტიკალური) ერთობის ისტორიულ ტიპს.
5. სახელმწიფო სკოლების ფორმირება, ერთიანი საგანმანათლებლო სტანდარტის შემოღება (სასწავლო სახელმძღვანელოების შექმნა), სამართლებრივი რეგულაციები, თუმცა ვერ მოიცავდა მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას, ხელს უწყობდა ერთიანი ინტელექტუალური სივრცის ორგანიზებას. აღნიშული პროცესი იყო მნიშვნელოვანი ინდიკატორი ნაციონალისტური მოძრაობისა და ნაციონალიზმის განვითარებისათვის.
6. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ვითარდება ბეჭდური კაპიტალიზმის პირველი ეტაპი, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვანი სტიმული იყო ეთნო-კულტურული ნაციონალიზმის ფორმირებისა და მისი წარმატებისათვის. ეთნო-კულტურული მოძრაობის ამ ფორმით განვითარება შეესაბამება დემოტური *ეთნის* ისტორიულ გამოცდილებას.
7. მეთვრამეტე საუკუნეში ქართული ინტელექტუალური ელიტის მისწრაფება ერთგვარი ეთნო-კულტურული თვითგანახლებისაკენ გავლენას ახდენდა სამართლებრივი და სოციალური გარემოს ფორმირებაზეც. მნიშვნელოვანი ფინანსური და ეკონომიკური საფუძვლების გარეშე, წარმოქმნილი პოზიტიური ეკონომიკური და სამართლებრივი ტენდენციები, ზოგადად მოდერნიზაციისაკენ სწრაფვა, ამის დასტურია.
8. მეთვრამეტე საუკუნეში იცვლება ქალთა სამართლებრივი სტატუსი. ქალი ხდება სამართლის სუბიექტი. მათი ეკონომიკური და სამართლებრივი აქტივობა მიუთითებს ქალთა სოციალური სტატუსის ცვლილებაზეც, აღნიშნული მიანიშნებს ქართული ეთნიკური ერთობის სიმწიფეზე და მზაობას ახალ ეტაპზე გადასვლისათვის.

9. სხვა გარემოებებთან ერთად ეთნო-კულტურული მოძრაობაც ახდენდა გავლენას პოლიტიკური ცნობიერების ფორმირებაზე. ინტელექტუალური ტრანსფორმაცია პოლიტიკური თვალსაზრისით, გამოიხატა მეფის ხელისუფლებისა და ძალაუფლების წყაროს შესახებ პროვიდენციალური შეხედულების გადაფასებაში.
10. მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლო ათწლეულებში დაწყებულმა პროცესებმა მნიშვნელოვანი ბიძგი მისცეს ეთნო-კულტურულ მობილიზებასა და ნაციონალისტური მოძრაობის განვითარებას. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში აღნიშნული მოძრაობა, მისი ფორმა, ბუნებრივი იყო დემოტური (ვერტიკალური) *ეთნის* განვითარებისათვის და მისი შინაარსი შეესაბამებოდა ეთნო-კულტურული *ნაციონალიზმის ხასიათს*. მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს იკვეთება ეთნო-კულტურული მოძრაობის პოლიტიკურების ტენდენცია.

მართალია, ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანი არ იყო, მაინც არანაკლებ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის დაკვირვებები, რომლებიც ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის თავისებურებებს ასახავენ. როგორც ჩვენ მიერ კვლევისათვის გამოყენებული ლიტერატურის ანალიზმა ცხადყო, რომ:

1. ისტორიული მატერიალიზმით „გატაცება“ ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გადაიზარდა დოგმატურ ემპირიციზმში. რაც შემდგომში მნიშვნელოვანი დაბრკოლება აღმოჩნდა ისტორიული რეპრეზენტაციის განვითარებისათვის.
2. საბჭოთა ქართული ისტორიოგრაფიის ძირითადი ხაზი გადიოდა ისტორიული პროცესის იმგვარად გაშუქებაზე, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების ფაქტი, ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართველი ხალხის გადარჩენის ერთადერთ გზად წარმოჩენილიყო.
3. საბჭოთა ისტორიოგრაფია რუსულ-ქართულ ურთიერთობებში რელიგიური ფაქტორის წამოწევით ქმნიდა ქართველი და რუსი ხალხის ერთიანობის ილუზიას. საგულისხმოა, რომ აღნიშნული მოსაზრება დღესაც ობიექტურ

მოცემულობად განიხილება, როგორც საზოგადოებაში, ისე სამეცნიერო წრეებში.

4. ისტორიული კრიტიკა უშვებდა მეფის რუსეთის მმართველობის უარყოფითად შეფასების შესაძლებლობას, თუმცა ისტორიკოსები ამას ახერხებდნენ ადამიანური ჩაგვრისა და უსამართლობის ფაქტების იმგვარად წარმოჩენით, რომ აუცილებლად ხაზი გასმოდა რუსული მმართველობის დამყარების პოზიტიურ შედეგებსაც.
5. ქართული საისტორიო სკოლის განვითარება გასაბჭოებამდე და გასაბჭოების შემდგომ პერიოდებში ისტორიული რეპრეზენტაციის თავისებურებაზე/სტილზე აისახა.

ვფიქრობთ, ჩატარებულმა კვლევამ გარდა იმისა, რომ გარკვეული წვლილი შეიტანა კონკრეტული საკითხების გარკვევაში, მან ასევე აჩვენა ისიც, რომ მუშაობის გაგრძელება როგორც ქართული კოლექტიური კულტურული იდენტობის ისტორიის რეპრეზენტაციის, ასევე ქართული ისტორიული აზრის განვითარების კვლევის კუთხითაც აუცილებელია.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

### წყაროები:

**აბულაძე 1963.** აბულაძე ი., (რედ.). ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ნაწილი, I. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

**აბულაძე 1967.** აბულაძე ი., (რედ.). ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (XI-XV სს.). ილია აბულაძის საერთო რედაქციით. წიგნი, 2. თბილისი: მეცნიერება.

**ანტონი 1997.** ანტონ პირველი ა. ღრამმატიკა. ანტონ პირველი. ქართული ღრამმატიკა (მეორე რედაქცია-1767). ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ელენე ბაბუნაშვილმა, ნარგიზა გოგუამ, ლია კვიციანი, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ელენე ბაბუნაშვილმა. თბილისი, სააქციო საზოგადოება პირველი სტაბა, 1997.

**ანტონი 1885.** ანტონ პირველი. ქართული ღრამმატიკა. თბილისი: ექვთიმე ხელაძის სტამბა.

**ბაგრატიონი 1980ა.** ბაგრატიონი ა. *მარტიკა*. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი, VI. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთეს ენრიკო გაბიძაშვილმა და მიხეილ ქავთარიამ. რედაქტორი მზექალა შანიძე. თბილისი: მეცნიერება.

**ბაგრატიონი 1989.** ბაგრატიონი ა. საქართველოს ზნეობანი. *ქართული მწერლობა*. ტომი, 6. თბილისი: ნაკადული.

**ბაგრატიონი 1980ბ.** ბაგრატიონი ა. წყობილსიტყვაობა. რედაქტორი შოთა ძიძგური. თბილისი: მეცნიერება.

**ბაგრატიონი 1964.** ბაგრატიონი დ. სამართალი ბატონიშვილის დავითისა. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ. თბილისი: მეცნიერება.

**ბაგრატიონი 1975.** ბაგრატიონი ვ. ამირ-ნასარიანი. *ლექსები და პოემები*. აღ. ბარამიძის რედაქციით. თბილისი, მეცნიერება.

**ბაგრატიონი 1973.** ბაგრატიონი ვ. აღწერა სამეფოს საქართველოსა. *ქართლის ცხოვრება*. ტომი, IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

**ბაგრატიონი 1983.** ბაგრატიონი თ. ახალი ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლელა მიქიაშვილმა. თბილისი: მეცნიერება.

**ბაგრატიონი 1972.** ბაგრატიონი თ. დავით ბაგრატიონის ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო თ. ენუქიძემ. თბილისი: მეცნიერება.

**ბაგრატიონი 1987.** ბაგრატიონი თ. სამსახეობა რაინდისა. *მხატვრული თხზულებები*. თბილისი: მეცნიერება.

**ბაგრატიონი 1936.** ბაგრატიონი ი. კალმასობა. ალექსანდრე ბარამიძისა და კორნელი კეკელიძის რედაქციითა და წინასიტყვაობით. ტ., I. თბილისი: სახელგამი.

**ბაგრატიონი 1957.** ბაგრატიონი ი. *სჯულდება*. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ივანე სურგუაძემ. თბილისი.

**ბარათაშვილი 1989ა.** ბარათაშვილი მ. იამბიკო. *ქართული მწერლობა*. ტომი, 7. თბილისი: ნაკადული.

**ბარათაშვილი 1989ბ.** ბარათაშვილი მ. წამებული. *ქართული მწერლობა*, ტომი, 7. თბილისი, ნაკადული.

**ბერძენიშვილი 1940.** ბერძენიშვილი ნ. *დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII ს.ს.)*. ტ., I. თბილისი: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა.

**ბერძენიშვილი 1953.** ბერძენიშვილი ნ. *დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ბატონყმური ურთიერთობა XV-XIX ს.ს.* ტომი, II. თბილისი: მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

**ბერძენიშვილი 1955.** ბერძენიშვილი ნ. *მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის*, (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება). წიგნი, III. მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნიკო ბერძენიშვილმა. თბილისი: სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**ბურნაშევი 1902.** ბურნაშევი ს. ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობა მეფის ირაკლი მეორის დროს. *მოგ ზაური*. #02. თბილისი.

**ბურჯანაძე 1958.** ბურჯანაძე შ. *ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდის სამთავროების (1466-1770წ.წ.)*. ნაწ., I. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

**ბურჯანაძე 1959.** ბურჯანაძე შ. *ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია ოდის სამთავროებისა (1466-1770 წწ.)*. წიგნი, I. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო შოთა ბურჯანაძემ. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი.

**გურამიშვილი 1989.** გურამიშვილი დ. დავითიანი. *ქართული მწერლობა*. ტომი, 7. თბილისი: ნაკადული.

**დოლიძე 1957.** დოლიძე ი. *გიორგი ბრწყინვალის სამართალი*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამომცემლობა.

**დოლიძე 1963.** დოლიძე ი. ერთობის ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართა 1790 წ. *ქართული სამართლის ძეგლები*. ტომი, II. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო პროფ., ისიდორე დოლიძემ. თბილისი: მეცნიერება.

**დოლიძე 1981.** დოლიძე ი. სამართალი ვახტანგ მეექვსისა. ტექსტი დაადგინა გამოკვლევა და საძიებელი დაურთო ისიდორე დოლიძემ. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

**დოლიძე 1977.** დოლიძე ი. *ქართული სამართლის ძეგლები*, „სასამართლო განჩინებანი“. ტ., 5. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ისიდორე დოლიძემ. თბილისი: მეცნიერება.

**დოლიძე 1970.** დოლიძე ი. ძეგლისწერა რუის-ურბნისის კრებისა. *ქართული სამართლის ძეგლები*. ტომი, III. თბილისი: მეცნიერება.

**დე ფუა 1985.** დე გრაი დე ფუა. საქართველოს შესახებ. *საქართველოს ისტორიის წყაროები*. 38. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა. თბილისი: მეცნიერება.



**ეგნატაშვილი 1959.** ეგნატაშვილი ბ. ახალი ქართლის ცხოვრება. *ქართლის ცხოვრება*. ტომი, II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

**ეზოსმოდვარი 1959.** ეზოსმოდვარი ბ. ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. *ქართლის ცხოვრება*. ტომი, II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

**ზარზმელი 1987.** ზარზმელი ბ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება. *ქართული მწერლობა*. ტ., 1. თბილისი: ნაკადული.

**ზოსიმე 1991.** ზოსიმე ი. ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ. სამება. თბილისი: მერანი

**თბილელი 1989.** თბილელი ი. დიდმოურავიანი. *ქართული მწერლობა*. ტომი, 6. თბილისი: ნაკადული.

**იოსელიანი 1936.** იოსელიანი პ. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. აკაკი გაწერელის შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. ტფილისი: ფედერაცია.

**ისტორიანი და აზმანი... 1959.** ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. *ქართლის ცხოვრება*. ტომი, II. ტექსტი დადგენილი ყველა ზირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

**კაკაბაძე 1940.** კაკაბაძე ს. საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ მე-18-ე საუკუნეში. *ქუთაისის ა., წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები*. ტ., I. ქუთაისი: გაზ. ინდუსტრ. ქუთაისის „სტამბა“.

**კოხი 1981.** კოხი ვ. მოგზაურობა რედუტ-კალედან ტრაპიზუნამდე (კოლხეთი და ლაზების ქვეყანა). *საქართველოს ისტორიის წყაროები*. 23. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მამაცაშვილმა. თბილისი: მეცნიერება.

**ლამბერტი 2011.** ლამბერტი ა. სამეგრელოს აღწერა. თბილისი: გამომცემლობა მთაწმინდა.

**ლიონიძე 1957.** ლიონიძე ს. სიტყვა თქმული ერეკლე მეორის დაკრძალვაზე. XVIII საუკუნის ავტოგრაფიული ხელნაწერის მიხედვით. ტექსტი დაადგინა, ნარკვევი წაუმძღვარა და სამიეზლები დაურთო ნიკოლოზ კანდელაკმა. თბილისი: ხელოვნება.

**მერჩულე 1987.** მერჩულე გ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. *ქართული მწერლობა*. ტომი 1. თბილისი: ნაკადული.

**მროველი 1955ა.** ლეონტი მროველი. ნინოს მიერ ქართლის მოქცევა. *ქართლის ცხოვრება*. ტომი, I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: სახელგამი.

**მროველი 1959.** ლეონტი მროველი. ნინოს ცხოვრება. *ქართლის ცხოვრება*. ტომი, II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

